

მაცნე



675-ფ
1972/2

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

11972



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
 Отделение общественных
 наук

06090

თბილისი-1972-თბილისი





МАЦНЕ

ВЕСТНИК



Серия философии,
психологии,
экономики и права

1.1972

გაცნე



ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1.1972

სა რედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. შიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоршвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В., Тевзадзе Г. Б.,
Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრკ-ის 50 წლისთავი

ნ. არგვინაძე, პროდუქციის თეოლოგიზაცია და მისი შემცირების გზები საქართველოს სსრ მინერალური სისუქების წარმოებაში	7
ო. ბულიცინი, წარმოებრივი ფონდების ღირებულების შესახებ	21
რ. მიქაელაძე, თეორიული ბიოლოგიის მისაღობებთან	26

ფილოსოფია

ა. ბრეზინაძე, მ. ჰაიდელბერგის შენიშვნების შესახებ ედ. ჰუსერლის სტატიასზე	34
ნ. ნათაძე, ჟაკ მარიტენის ბუნების ფილოსოფიის კრიტიკისათვის	47
ბ. შუშანაშვილი, ფილოსოფია როგორც მეცნიერება	65
ბ. მარგველაშვილი, შემეცნების ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თეორიის დროითი საფუძვლები	81

ფსიქოლოგია

დ. ჩარკვიანი, დადებითი და უარყოფითი ინფორმაციის ეფექტი სოციალური განწყობის შეცვლაზე დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში	91
ლ. სამსონიძე, მუსიკის განცდის ასაკობრივ თავისებურებათა საკითხისათვის	98

ეკონომიკა

ბ. ხანია, მევენახეობის განვითარება საქართველოში (1921—1925 წწ.)	114
დ. ონიანი, საშოვარზე გასვლის საყოველთაო ჩასიათი რეფორმისმერქმინდელი პერიოდის სვანეთში	130
ი. ზაპტაშვილი, ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისათვის შესწავლაში	147
ს. ბუნიძე, სისტემათა ზოგიერთი კომპონენტის კლასიფიკაცია	155

სამართალი

თ. შაპვალაძე, აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება	165
გასული 1971 წლის ნომრებში დაიბეჭდა	173



СОДЕРЖАНИЕ

50 ЛЕТ СССР

Н. АРЕВАДЗЕ, Себестоимость продукции и пути ее сокращения в производстве минеральных удобрений Грузинской ССР	7
И. ГУЛИЕВ, О плате за производственные фонды	21
Р. М. МИКЕЛАДЗЕ, На подступах к теоретической биологии	26

ФИЛОСОФИЯ

А. Т. БОЧОРИШВИЛИ, К замечаниям М. Хайдегера на статью Ед. Гуссерли	31
Н. Р. НАТАДЗЕ, К критике философии природы Жака Маритена	47
Г. И. ШУШАНАШВИЛИ, Философия как наука	65
Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ, Временные основы экзистенциально-онтологической теории познания	81

ПСИХОЛОГИЯ

Д. А. ЧАРКВИАНИ, Влияние положительной и отрицательной информации на смену социальной установки в ситуации убеждающего сообщения	91
Л. С. САМСОНИДЗЕ, К вопросу возрастных особенностей переживания музыки	98

ЭКОНОМИКА

Б. А. ХАСИЯ, Развитие виноградарства в Грузии (1921—1925 гг.)	114
Д. ОНИАНИ, Всеобщий характер отхожего промысла послереформенного периода в Сванетии	130
Я. П. ЗАУТАШВИЛИ, К улучшению употребления основных производственных фондов в строительстве	147
С. Р. БУАЧИДЗЕ, Классификация некоторых компонентов систем	155

ПРАВО

Т. Г. ШАВГУЛИДЗЕ, Аффект и обоснование уголовной ответственности	165
В НОМЕРАХ 1971 ГОДА НАПЕЧАТАНО	173

სსრკ—50—СССР

ნაწილი პრეპრატ

პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები საქართველოს სსრ მინერალური სასუქების წარმოებაში

საქონლური წარმოებისა და ღირებულების კანონის მოქმედების პირობებში სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ეკონომიკური კატეგორია არის თვითღირებულება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ღირებულების ნაწილს. თუ ღირებულება მოიცავს საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ შრომით დანახარჯს, თავის მხრივ, თვითღირებულება ამ დანახარჯთა მხოლოდ ერთი ნაწილია და იგი შედგება მოხმარებულ წარმოების საშუალებებში განივებული წარსული შრომისა და აუცილებელი პროდუქტის შემქმნელი ცოცხალი შრომის დანახარჯებისაგან. პროდუქციის თვითღირებულების გარკვევა საშუალებას გვაძლევს, რომ დავადგინოთ, თუ რა უჯდება სოციალისტურ სახელმწიფოსა და თვითეულ საწარმოს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება და რეალიზაცია.

თვითღირებულება მოიცავს: წარმოების პროცესში მოხმარებულ შრომის საგნებს (ნედლეული, მასალა, სათბობი, ენერჯია), რომელთა ღირებულება მთლიანად გადაიტანება ახლადდამზადებულ პროდუქტზე; ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ანარიცხებს (ე. ი. შენობა-ნაგებობათა რემონტისა და მანქანა-იარაღების და მოწყობილობის ცვეთის დაფარვის ხარჯები, რომლებიც თავიანთ ღირებულებას ცვეთის კვალობაზე ნაწილ-ნაწილ გადაიტანენ ახლად შექმნილ პროდუქტზე); მომუშავეთა ხელფასს (ე. ი. თავისთვის შექმნილი პროდუქტის ღირებულება), სოციალური დაზღვევის ანარიცხებს, წარმოების მართვის ხარჯებსა და სხვ.

თვითღირებულების მოცულობა წინასწარ განისაზღვრება. ამჟამად ეს მაჩვენებელი იგეგმება არა ზემდგომი ორგანოებისაგან, არამედ — თვით საწარმოს მიერ. გეგმურ თვითღირებულებაში გათვალისწინებულია პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი ყველა ხარჯი; მაგალითად: წინასწარ იგეგმება, თუ რა მოცულობით უნდა დაიხარჯოს: ნედლეული, მასალა, სათბობი, ელექტროენერჯია; აგრეთვე — ამორტიზაციის ანარიცხები, ხელფასი, წარმოების მართვის ხარჯები და სხვ. გეგმური ხარჯის ანაზღაურება გათვალისწინებულია პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით.

ფაქტიური თვითღირებულება განსხვავდება გეგმურისაგან თავისი შედგენილობით, რადგან გეგმურში არ შედის ისეთი არამწარმოებლური ხარჯები, როგორცაა: ჯარიმა, საურაეი, სხვადასხვა დანაკარგი და ა. შ.; ამასთან, ფაქტიური თვითღირებულებაში შეიძლება არ შევიდეს გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ხარჯი, თუ საგეგმო პერიოდში ის არ განხორციელებულა.

საწარმოს მატერიალური დანახარჯის ჯამი გაღებული ნედლეულის, მასალის, სათბობის, ენერჯიის გარედან შესაძენად, აგრეთვე ძირითად საშუალება-

თა ამორტიზაციის ანარიცხები წარმოადგენენ განვითარებული, წარსული შრომის დანახარჯებს; ხოლო იმ დანახარჯთა ჯამი, რომელიც მოდის ძირითად და დამატებით ხელფასზე, აგრეთვე — სოციალური დაზღვევის ანარიცხებზე, წარმოადგენს დანახარჯს ახლად გაწეულ შრომაზე, რომელიც თავის თავში შეიცავს როგორც აუცილებელ, ისე ზედმეტ პროდუქტსაც; ე. ი. წარსული და ცოცხალი შრომის დანახარჯთა ერთობლიობა ქმნის წარმოების ხარჯებს. ელემენტების მიხედვით დანახარჯთა დაჯგუფება საშუალებას იძლევა, რომ წლების მიხედვით შევისწავლოთ ცვლილებები საწარმთა ეკონომიკაში, აგრეთვე იმის საშუალებაც გვექნება, რომ გამოვავლინოთ საწარმოს მთლიანი მოთხოვნილება მატერიალურ და ფულად რესურსებზე. კ. მარქსი მიუთითებს, რომ საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება დამოკიდებულია დროის ეკონომიაზე. სოციალიზმის პირობებში სამუშაო დროის ეკონომია წარმოადგენს წარმოების მოცულობის შეუნელებელი ზრდის ერთ-ერთ გადაწყვეტ ფაქტორს. ჩვენი საზოგადოების წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია განხორციელდეს სამუშაო დროის, მატერიალური და ფულადი რესურსების უმკაცრესი ეკონომია ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში. ბრძოლა ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ გაფართოებული აღწარმოების მატერიალურ საფუძველს ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს შიგასამეურნეო დარგოვება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბრძოლას საზოგადოებრივი შრომის ეკონომიისათვის დამატებითი დარგოვების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულ დაკმაყოფილებას, ეს ბრძოლა გამოიხატება საქონლური პროდუქციის მანეთზე დანახარჯების სისტემატური შემცირებით. „პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, — აღნიშნავს აბხ. ა. ნ. კოსიგინი, — სამეურნეო ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თვითღირებულების მაჩვენებელს უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება საწარმოს ტექნიკურ, მრეწველურ და ფინანსურ გეგმებში“¹.

პროდუქციის წარმოების პროცესში საწარმო ხარჯავს ნედლეულსა და მასალას, სათბობსა და ენერჯიას; უხდის მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასს და ეწევა სხვა ფულად ხარჯებს. ეკონომიკური ნიშნის მიხედვით დაჯგუფებულ ამ ხარჯებს ეწოდება დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტები. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა კი არის მის ცალკეულ ელემენტთა შორის არსებული თანაფარდობა, გამოსახული პროცენტებში.

სხვადასხვა დარგში მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება: ერთში თუ ნედლეულსა და მასალას უკავია მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა, მეორეში — ხელფასს, მესამეში — ენერგეტიკულ დანახარჯებს. მაგალითად, ისეთ დარგებში, როგორცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, აგრეთვე — ქიმიური მრეწველობა — დიდი ხვედრითი წონით ხასიათდება ნედლეული და ძირითადი მასალა, ამიტომ ეს დარგები მასალატევად დარგებს მიეკუთვნება; მოპოვებითი მრეწველობის დარ-

¹ ა. ნ. კოსიგინი, გავაუმჯობესოთ მრეწველობის მართვა, სრულყოთ დაგეგმვა და გააძლიეროთ სამრეწველო საწარმოების ეკონომიური სტიმულირება, თბ., 1965, გვ. 22.

გები კი — შრომატევად დარგებს, ხოლო მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება — მასალატევად დარგებსაც და შრომატევადსაც. დანახარჯების სტრუქტურა განსხვავებულია ქიმიური მრეწველობის ცალკეულ დარგებშიც, მაგალითად: საბურავების, რეზინა-აზბესტის, ძირითადი ქიმიისა და ლაქ-საღებავების მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულებაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა ნედლეულსა და მასალაზე მოდის; სამთო-ქიმიურ მრეწველობაში კი — ხელფასზე; აზოტის მრეწველობაში თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ხელფასის, ნედლეულისა და ძირითადი მასალის და, განსხვავებით სხვა დარგებისაგან, ენერგეტიკული დანახარჯები. რუსთავის ქიმიურ კომბინატში კი ეს მაჩვენებელი შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

წარმოების დანახარჯებას სტრუქტურა რუსთავის ქიმიურ კომბინატში %-ით წამის მიმართ (მოქმედი ფასებით)²

ცხრილი 1

წლები	1956	1960	1965	1967	1968	1969	1970
დანახარჯების ელემენტები							
1. ნედლეული და ძირითადი მასალა (ნარჩენების გამოკლებით)	20,1	23,1	41,0	39,6	38,8	28,7	36,3
2. დამხმარე და სხვა მასალა	11,1	9,8	5,8	5,4	5,3	5,9	5,3
3. ყველა სახის ენერჯია გარედან	17,0	24,3	20,0	24,1	29,7	28,6	30,8
4. ხელფასი (ძირითადი და დამატებითი)	21,3	19,5	13,8	12,9	11,0	9,6	8,9
5. სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	1,9	1,7	1,2	1,0	0,9	0,9	0,7
6. ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია	20,9	17,8	15,0	12,8	11,7	11,7	13,6
7. სხვა ფულადი დანახარჯები	7,7	3,8	3,2	4,2	2,6	4,6	4,6
8. დანახარჯების წამი	100	100	100	100	100	100	100

პირველი ცხრილი წარმოდგენას იძლევა ცალკეული წლების მიხედვით წარმოების დანახარჯების სტრუქტურის ცვლილებაზე რუსთავის ქიმიურ კომბინატში და, როგორც ირკვევა, თვითღირებულების სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონით ხასიათდება მატერიალური დანახარჯები, რამაც 1970 წ. შეადგინა 62,4%, მაშინ, როდესაც 1956 წ. მისი ხვედრითი წონა უდრიდა 48,2%-ს; ე. ი. შრომის საგნების ღირებულებას რუსთავის ქიმიური კომბინატის პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, ამიტომაც ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერჯიის ეკონომიურად გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომბინატის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

ცხრილიდან აგრეთვე ირკვევა, რომ ხელფასის ხვედრით წონას წარმოების დანახარჯების სტრუქტურაში ახასიათებს შემცირების ტენდენცია, მაგალითად: თუ 1956 წ. მასზე მოდიოდა დანახარჯის 21,3%, შემდგომ წლებში სისტემატურად მცირდებოდა იგი და 1970 წლისათვის მასზე მოდიოდა მთელი დანახარჯის მხოლოდ 8,9%; ე. ი. ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად წარმოების დანახარჯების სტრუქტურაში სულ უფრო მცირდებოდა ცოცხალი შრომის წილი და იზრდებოდა განივებული შრომის წილი.

² ცხრილები შედგენილია ჩვენს მიერ რუსთავის ქიმიური კომბინატის შესაბამისი წლების ანგარიშებათა საფუძველზე.

როგორც კ. მარქსი ამბობს: „შრომის ნაყოფიერების გადიდება იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება, ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს“³.

პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა 1967—1970 წლებში დიდი ცვალებადობით ხასიათდება, კერძოდ, ამ პერიოდში ადგილი აქვს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას; მაგალითად: 1967 წელთან შედარებით 1970 წელს ამონიუმის გვარჯილის თვითღირებულება გაიზარდა 80%-ზე მეტად, ხოლო ამიაკის (ცისტერნებში) თვითღირებულება — 40%-ზე მეტად, რაც ნათლად ჩანს მეორე ცხრილის მონაცემებიდან.

ტონა პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა რუსთავის ქიმიურ კომბინატში (მან.)
 ცხრილი 2

წლები	1967	1968	1969	1970
პროდუქციის დასახელება				
ამონიუმის გვარჯილა ამიაკი ცისტერნებში	50—30 79—32	62—30 103—71	68—19 109—76	94—24 117—22
ამიაკი ბალონებში კაპროლაქტამი	100—58 1176—98	117—41 1208—52	127—23 1237—74	146—54 1345—86

შენიშვნა: ფასების შეცვლის გამო შესაძლებლობა არ გვაქვს, რომ გამოვიყენოთ წინა წელთა მონაცემები.

პროდუქციის თვითღირებულების ასეთი ზრდის გასარკვევად ვნახოთ, თუ როგორ სრულდებოდა ცალკეული წლების მიხედვით საქონლური პროდუქციის თვითღირებულების გეგმა რუსთავის ქიმიურ კომბინატში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილის მონაცემებით ჩანს, რომ რუსთავის ქიმიურ კომბინატში საქონლური პროდუქციის თვითღირებულების გეგმა ეკონომიის მხრივ შესრულდა მხოლოდ 1967 წ., ხოლო შემდგომ წლებში ადგილი ჰქონდა გადახარჯვას. თუ ყურადღებას გავამახვილებთ ცალკეული მუხლების მიხედვით, აღმოჩნდება, რომ 1968 წელს ყველაზე დიდი გადახარჯვა პირველ რიგში მოდის ნაყიდ ნაკეთობებსა და ნახევარფაბრიკატებზე, შემდეგ — სააქროსა და ათვისების ხარჯებზე, შემდეგ — ძირითად საშუალებათა ამორტიზაციაზე, აგრეთვე — ხელფასზე და ა. შ. 1968 წლის მეორე კვარტალში ამოქმედდა შხამქიმიკატების წარმოება, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ვერ ასრულებდა წარმოებრივ გეგმას და ეს გეგმა ვერ შეასრულეს აზოტიანი სასუქების ქარხნის რიგმა მნიშვნელოვანმა ობიექტებმაც. 1959 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რადგან გადახარჯვა დაშვებულია თითქმის ყველა მუხლის მიხედვით, ყველაზე მეტად კი — ნაყიდ ნაკეთობებსა და ნახევარფაბრიკატებზე, რომელთა ხარჯი გეგმით სულ არ ყოფილა გათვალისწინებული. მაგრამ აქაც, ისე როგორც წინა წელს, წარმოებრივი გეგმის შესრულებლობამ აუცილებელი გახადა ამიაკის შესყიდვა დამატებით, ხოლო შესყიდული ტონა ამიაკის ღირებულება კი საკუთარი წარმოების ამიაკთან შედარებით 19 მან. და 80 კაპიკით ძვირი დაჯდა.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწილი I, თბ., 1959, გვ. 330—331.



საქონლური პროდუქციის თეორიულუბუნების გვერდის შესრულება კალენდრული მუხლების მიხედვით (თან მიწოდებით)

წლები კალენდრული მუხლები	1967			1968			1969			1970		
	განმა	ფაქტ.	გაღობრა ±									
წელი, და ძირით. მისი.	19586	18772	-814	21178	21022	-156	21933	22547	+614	21032	23906	+2874
დაბრუნებული ნარჩენები	947	1055	+108	1020	861	-159	1073	911	-161	1575	1274	-301
წყვილი ნაკეთობანი და ნახევარგამზარელები	—	229	+229	—	573	+573	—	976	+976	—	386	+386
სათბობი და ვენტილა (ველი სახს.)	11701	10945	-756	15346	15290	-560	15411	16163	+752	14355	19287	+4932
ხელვალი (ძირით. და დამატ.)	1276	1340	+ 64	1380	1490	+110	1600	1600	—	1483	1660	+186
ათვისების ხარჯები	26	28	+ 2	14	15	+1	1118	1314	+196	916	1937	+1021
სამშენობის ხარჯები	3698	3946	+248	4422	4548	+126	749	890	+141	4514	5000	+486
ძირითადი ს.შ. ამორტ. ხაჯი	4422	4088	-334	4285	4518	+233	4684	4673	-11	4432	5555	+1163
საერთო-საქარბნის ხარჯები	1753	2305	+552	1830	1965	+135	1828	1924	+96	1351	2165	+814
დანაკარგები წუნისაგან	—	—	—	—	17	+17	—	—	—	—	14	+14
სხვა წარმოებრივი ხარჯები	407	539	+132	318	427	+114	308	384	+76	240	423	+174
არამწარმოებრივი ხარჯები	1302	937	-365	1195	1196	+1	1265	1285	+20	1125	1381	+256
საქონლური პროდუქციის სრული თეორიულუბუნება	48224	42074	-6150	49597	50190	+593	51823	54845	+3022	47899	60449	+12550

საქსტატი-საქართველოს სსრ-ის სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მესამე ცხრილის მონაცემებით ირკვევა ისიც, რომ საქონლური პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულებაში ყველაზე ცუდი მაჩვენებლები კომბინატს 1970 წელს ქონდა, ამიტომ მასზე შედარებით დეტალურად შეგჩერდებით; ამ წელს გადახარჯვამ პროდუქციის თვითღირებულებაში შეადგინა ყველაზე დიდი ციფრი — 12 550 ათასი მანეთი, ე. ი. წინა წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ მეტი თანხა გადაიხარჯა. საქონლური პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი იყო მთლიანი და საქონლური პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობა, რომელაც ამ წელს მხოლოდ 75,3%-ით შესრულდა; აქედან:

1) კაპროლაქტამისა — 94,3%-ით, 2) მინერალური სასუქების წარმოებისა — 45,5%-ით. ამ მონაცემებში ყურადღებას იპყრობს მინერალური სასუქების წარმოების გეგმის შესრულების ყველა უფრო დაბალი დონე. საქმე იმაშია, რომ კომბინატის ყველა წარმოების საფუძველი ამიაკია, მის გარეშე არ იწარმოება არც კაპროლაქტამი, არც მინერალური სასუქი, ხოლო ამათგან კაპროლაქტამის წარმოება უფრო რენტაბელურია, ვინაიდან მისი გასაცემი ფასი მაღალია (ტონა — 1470 მან.), მინერალური სასუქების წარმოება კი ნაკლებ რენტაბელურია, რადგან 14—20-ჯერ უფრო იაფია. როდესაცვერ სრულდება ამიაკის წარმოების გეგმა, პირველ რიგში ამიაკით მარაგდება კაპროლაქტამის წარმოება. ეს ერთი მხრივ სწორიცაა, ვინაიდან შესაძლებელი ხდება რამდენადმე გაუმჯობესდეს კომბინატის ფინანსური მდგომარეობა, მაგრამ, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობას აკლდება ასეული ათასობით მინერალური სასუქი.

ამიაკის წარმოების გეგმის შეუსრულებლობამ განაპირობა სხვა წარმოებათა გეგმის შეუსრულებლობა. თუმცა ამას დაემატა სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმის ხშირი დარღვევა და ამის შედეგად გამოწვეული ავარიები, რის გამოც წარმოება ჩერდებოდა რამდენიმე საათით ან რამდენიმე დღით; ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერგორესურსების გადახარჯვა და ზედნადები ხარჯების გაძვირება და სხვ.

პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების მრავალგვარობა განსაზღვრავს იმ ფაქტორთა მრავალფეროვნებასაც, რომლებიც მოქმედებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, რომ გამოვავლინოთ თვითღირებულების შემცირების რეზერვთა მობილიზაციის ძირითადი მიმართულებანი სამრეწველო საწარმოში თვითღირებულების ფორმირების სპეციფიკის გათვალისწინებით და იმ ფაქტორთა მხედველობაში მიღებით, რომლებიც მოქმედებენ მის დონეზე.

ქიმიურ მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირება განსაზღვრება როგორც საერთო სახალხომეურნეობრივი ფაქტორებით, ისე უშუალოდ წარმოების პროცესთან დაკავშირებული შიგაწარმოებრივი რეზერვებით.

სახალხომეურნეობრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ბითუმი ფასების შეცვლა ნედლეულზე, მასალებზე, სათბობსა და ელექტროენერჯიაზე; საკანონმდებლო ცვლილება შრომის ანაზღაურების დარგში, ცვლილება სახბანკის სესხებზე სარგებლის გადახდის საქმეში, წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირების, კომბინირებისა და კონ-

ცენტრაციის განვითარება; ცვლილებანი რკინიგზის ტარიფებში, სოცდაზღვევის ანარიცხების ზომაში და სხვა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შიგაწარმოებრივ რეზერვებს მიეკუთვნება: შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და პროდუქციის შრომატევადობის შემცირება, ტექნოლოგიური პროცესების მუდმივი სრულყოფა და ახალი ტექნიკის დანერგვა, მატერიალური დანახარჯების შემცირება, მეურნეობრივი საქმიანობის სისტემატური გაუმჯობესების საფუძველზე წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯების შემცირება.

ქიმიურ მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მნიშვნელოვანია: ნედლეულის კომპლექსური გამოყენება და ქიმიური კომბინატების ორგანიზაცია, იაფი ნედლეულისა და ენერჯის სახეებზე გადასვლა, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია, საწარმოო ტექნიკის დინამიურობა, უწყვეტი წარმოებრივი პროცესების დანერგვა, წარმოების ავტომატიზაცია, ნედლეულისა და მასალის ადგილობრივ სახეობათა გამოყენება⁴ და სხვა.

ქიმიური მრეწველობა საერთოდ და კერძოდ — რუსთავის ქიმიური კომბინატი მასალატევად დარგებს მიეკუთვნება. როგორც თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზიდან (ცხრილი 1) ჩანდა, მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა 1970 წ. თვითღირებულების სტრუქტურაში 62,4% -ს უდრიდა. ამიტომ მატერიალური დანახარჯების შემცირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

განვიხილოთ თვითღირებულების შემცირების ძირითადი რეზერვები: 1) შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, 2) ძირითადი ფონდების გამარყენების ხარისხი, 3) მატერიალურ დანახარჯთა ანუ შრომის საგნების ეკონომია, 4) წარმოების მომსახურებისა და მართვის ხარჯების შემცირება.

1. შ რ ო მ ის მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ო ბ ის ა მ ა ლ ე ბ ა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი რეზერვია. მასში აისახება თუ რამდენად მიზანშეწონილად და გონივრულად წარმართა ადამიანმა თავისი საქმიანობა მატერიალური წარმოების სფეროში. „მწარმოებლური ძალა, — წერს მარქსი, — რასაკვირველია მუდამ სასარგებლო, კონკრეტული შრომის მწარმოებლური ძალაა და ნამდვილად განსაზღვრავს მხოლოდ მიზანშეწონილი მწარმოებლური მოქმედების ეფექტიანობის ხარისხს მოცემული დროის განმავლობაში“⁵. შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა ვ. ი. ლენინმა მიიჩნია კომუნისმის გამარჯვების გადამწყვეტ პირობად: „შრომის ნაყოფიერების გადიდება, — შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნისმზე საბოლოოდ გადასვლა შეუძლებელია“⁶.

შრომის მწარმოებლურობის ზრდა უზრუნველყოფს წარმოების არა მარტო რაოდენობრივ გადიდებას, არამედ მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მის ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც, კერძოდ — პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებაზე; მაგრამ შრომის მწარმოებლურობის ზრდა ყოველთვის არ უზრუნველყოფს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ამისათვის აუცილებელია სწორი თანაფარდობა

⁴ И. И. Некрасов, Экономика химической промышленности, М., 1966, გვ. 407.

⁵ ვ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 63.

⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 119.



დამყარდეს შრომის მწარმოებლურობისა და ხელფასის ზრდის ტემპს შორის. საქმე იმაშია, რომ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად იზრდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ მომუშავეზე. ამასთან, აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით მომუშავის ხელფასი მატულობს, მაგრამ ხელფასის ხვედრითი წილი პროდუქციის ერთეულზე მცირდება, რასაც შედეგად მოსდევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; ე. ი. თვითღირებულების შემცირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ზრდის გამსწრები ტემპი საშუალო ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით.

ერთი მომუშავის საშუალო წლიური ხელფასი და გამომუშაება რუსთავის ქიმიურ კომბინატში
ცხრილი 4

	1959	1960	1964	1965	1966	1967	1968	1969	1970	გ.წ. თარიღი 1959 1961 01.01
ერთი მომუშავის საშუალო გამომუშაება	4873	5300	7331	10327	11351	13632	14109	15293	14079	286,8
წლიური ზრდა %	—	8,8	38,3	40,8	9,9	20,1	4,9	8,3	-7,9	—
ერთი მომუშავის საშუალო ხელფასი	1154	1156	1186	1237	1291	1366	1370-84	1400	1438	124,6
წლიური ზრდა %	—	0,2	2,6	4,3	4,4	5,7	0,3	2,1	2,7	—
შეფარდება შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის	—	44	14,3	9,5	2,24	3,53	4,3	3,9	2,7*	—

მომუშავის საშუალო წლიური გამომუშაებისა და ხელფასის ზრდის თანაფარდობა რუსთავის ქიმიურ კომბინატში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 4): ერთი მომუშავის საშუალო გამომუშაების ზრდას სისტემატური ხასიათი აქვს, გამონაკლისია 1970 წელი, როდესაც ადგილი ჰქონდა გამომუშაების შემცირებას წინა წელთან შედარებით 7,9%-ით, მაშინ როცა საშუალო ხელფასი გაიზარდა 2,1%-ით. საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას 10,6%-ით, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, წარმოებრივი გეგმის შეუსრულებლობით, ხოლო, მეორე მხრივ კი, სარემონტო პერსონალისადმი პრემიების გაცემით, გეგმის შესრულებისაგან დამოუკიდებლად, აგრეთვე წინა წელს მიღწეული წარმატებებისათვის ანაზღაურებით და მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემიების გაცემით იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის, რომელთაც შეასრულეს წარმოებრივი გეგმა სხვადასხვა საამქროში.

საერთოდ კი 1959—1970 წლებში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 186,8%-ით, საშუალო ხელფასი კი — 24,6%-ით, შრომის მწარმოებლურობის ასეთ დიდ ზრდაზე აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებული როლი ითამაშა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვამ, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ. ამ ფაქტორის

* ვინაიდან შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა, ხოლო საშუალო ხელფასი შემცირდა, მათ შორის შეფარდების ინდექსი არ გამოანგარიშება.

ზემოქმედება, ვინაიდან ის უშუალოდ არ არის დამოკიდებული მომუშავეთა შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, არ იწვევს ხელფასის ზრდას შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად; არამედ ეს ზემოქმედება ელინდება ტექნიკური პროგრესის გატარებაში მათი მონაწილეობის კვალობაზე, დანამატების სახით, რაც გათვალისწინებულია წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის სტიმულირებისათვის.

შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითი წონის ზრდა, სამუშაო დროის გაცდენის შემცირება, წუნიდან დანაკარგების შემცირება და ა. შ. ეს ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია მომუშავეთა შრომის რაოდენობასა და ხარისხთან. ამ სუბიექტური ფაქტორების მოქმედება ხელფასის ზრდის შრომის მწარმოებლურობის გადიდების შესაბამისად.

ხელფასის ღონეზე მოქმედებს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორცაა დანამატი ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, დაჯილდოება წელთა დამსახურებისათვის, მორიგი შევებულების, უსასყიდლო კომუნალური მომსახურებისა და სხვათა ანაზღაურება, რაც დამოკიდებული არ არის შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებზე.

აღნიშნული ფაქტორების ხელფასზე გავლენის ღონე რომ განვსაზღვროთ, განვიხილოთ რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშათა ხელფასის სტრუქტურა.

მუშათა ხელფასის სტრუქტურა

ცხრილი 5

ხელფასის სახეები	% -ით ხელფასის წლიურ ფონდთან	
	1960 წ.	1970 წ.
ანაზღაურება პირდაპირი სანარდო შეფასებით	16,2	9,3
ანაზღაურება პრემიალური "	—	4,9
პრემიები მენარდებს	0,2	0,3
დროითი ანაზღაურება სატარიფო განაკვეთებით	63,9	56,3
პრემიები დროითი მომუშავეებს	4,2	10,6
დანამატი შრომითა პირობების შეცვლისათვის	0,2	—
დანამატი ზეგანაკვეთური მუშაობისათვის	0,6	0,2
მორიგი შევებულების ანაზღაურება	7,8	7,4
დაჯილდოება წელთა დამსახურებისათვის	1,9	0,2
ხელფასის სხვა სახეები	5,1	10,8

იმ ელემენტების ერთობლიობამ, რომელნიც დამოკიდებულნი არ არიან შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ფაქტორებზე, რუსთავის ქიმიურ კომბინატში შეადგინა ხელფასის მთელი ფონდის 15,4% 1960 წელს, ხოლო 18,6% — 1970 წელს; შემცირდა დროითი ანაზღაურება სატარიფო განაკვეთებით და გაიზარდა პრემიალური ანაზღაურება; გაიზარდა აგრეთვე ხელფასის სხვა სახეები, ამ უკანასკნელში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა დანამატმა მატერიალური წახალისების ფონდიდან, რომელიც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის შესაბამისად გაიკცმა მუშებზე.

პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი პერიოდის ღონისძიებებმა ხელფასის მოწესრიგებისათვის შემცირებული სამუშაო დღის პირობებში, დიდად შეუწყო ხელი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. მნიშვნელოვნად გადიდდა მცირე და საშუა-

ლოხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, მაგალითად: 1960 წელთან შედარებით რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშაკთა წლიური ხელფასის ოდენობა 1970 წელს 26,3%-ით გაიზარდა.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის შესაბამისად შეიცვალა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემირების სისტემა. როგორც ცნობილია, ძველი წესი უკვე აღარ შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას, ამასთან ძველი წესისათვის დამახასიათებელი იყო რიგი უარყოფითი მხარეებისა: მომუშავეები არ იყვნენ მატერიალურად დაინტერესებულნი მიეღოთ მაღალი გეგმური დავალებანი, იმიტომ, რომ მათ პრემია უმთავრესად გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ეძლეოდათ; გეგმის შესრულებისას ისინი ლებულობდნენ ხელფასის 8—15%-ს, გადაჭარბებისას კი — 32—45%-მდე. პრემირების პირობების მრავალფეროვნება აქვეითებდა პრემიის მასტიმულირებელ მნიშვნელობას, ამასთან ყველა მანქანების შესრულების შემთხვევაშიც კი ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შესაძლოა პრემია არც მიეღო ხელფასის ფონდის გადახარჯვის გამო; ასევე ხელფასის გეგმური ფონდის დადგენის წესი გასული წლის მაჩვენებლის დონეზე საშუალებას არ იძლეოდა, რათა გაეცათ პრემია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის მიღწეული წარმატებების მიხედვით, ხოლო მათთვის და მოსამსახურეებისათვის პრემიების გაცემა ხელფასის ფონდის ეკონომიის ანგარიშში ცალკეულ შემთხვევაში ზიანს აყენებდა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის სხვა კატეგორიის მუშაკთა ინტერესებს.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას ეს უარყოფითი მხარეები. მუშათა პრემირება წარმოებს ორი წყაროდან: ხელფასის ფონდი და მატერიალური წახალისების ფონდი, რომელიც წარმოიქმნება მოგების საფუძველზე. მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის მიხედვით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემიის ოდენობა დამოკიდებულია არა მარტო ცალკეული უბნის, ან საამქროს მუშაობის შედეგებზე, არამედ მთლიანად წარმოების შედეგებზეც. პრემიის ოდენობა დამოკიდებულია ხელფასის განაკვეთზე, ამასთან წარმოების ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ პროფკავშირებთან შეთანხმებით, შეამცირონ ან გააძლიერონ პრემიის მოცულობა ცალკეული მუშაკის წვლილის შესაბამისად.

შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და საშუალო ხელფასის დონეზე აგრეთვე გავლენას ახდენენ ცვლილებანი მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის სტრუქტურაში. ტექნიკური პროგრესის ზრდასთან ერთად იზრდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ზედრითი წონა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საერთო რაოდენობაში, რომელთა ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე — მუშებისა; მაგალითად: 1965 წლის 16,8%-დან მათი ზედრითი წონა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საერთო ოდენობაში 1970 წელს გაიზარდა 18,3%-მდე. რაც, ბუნებრივია, ზრდის მომუშავეის ხელფასის დონეს და გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობისა და ხელფასის დონის შეფარდებაზე.

კომუნისმის მშენებლობის პერიოდში, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი დანერგვის კვალობაზე იზრდება მუშის კვალიფიკაცია, რომლის შრომის ხასიათი სულ უფრო უახლოვდება ინჟინრის შრომას; ამასთან დაკავშირებით კი იზრდება მუშის ხელფასი, რის გამოც სხვაობა მუშისა და ინ-



ენინის ხელფასს შორის სულ უფრო მცირდება, რაც ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (%-ით):

ხელფასის შეფარდება	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.
ენინერ-ტექნიკური პერსონალის ხელფასის შეფარდება მუშათა ხელფასთან	149,5	158,3	127,9
მოსამსახურეთა ხელფასის შეფარდება მუშათა ხელფასთან	75,3	89,1	74,8

ყველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დაეასკვნათ, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის უპირატესი ზრდა ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით, არის ობიექტური აუცილებლობა, ურომლისოდაც არ მოხდება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

2. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შიგაწარმოებრივ რეზერვებს მიეკუთვნება ძირითადი ფონდების გამოყენების ხარისხის მაჩვენებელი. შრომის საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესება შესაძლებლობას იძლევა იმავე მოწყობილობის საშუალებით ვადაუმუშავდეს და წარმოებრივად მოიხმარებოდეს შრომის საგნებისა და საშუალებების სულ უფრო მზარდი მასა: „მანქანების მზარდი გამოყენების საშუალებით... ნაკლები შრომით, მეტ ნედლეულსა და დამხმარე მასალას გარდაქმნის პროდუქტად“⁷.

ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება გავლენას ახდენს წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ყველა ელემენტის შემცირებაზე. საერთო-საქარხნო ხარჯები შედარებით მულმივი მაჩვენებელია, ამიტომ, წარმოების მოცულობის ზრდის კვალობაზე, მცირდება მისი ხვედრითი წონა პროდუქციის ერთეულზე. რამდენადაც ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისა მათი ცვეთა არაპროპორციულად იზრდება პროდუქციის გამოშვებასთან შედარებით, ამდენად პროდუქციის მოცულობის ზრდის შედეგად ამორტიზაციის მოცულობა პროდუქციის ერთეულზე მცირდება; ე. ი. ამორტიზაციის დანახარჯები პირდაპირ დამოკიდებულებაშია ძირითადი ფონდების გამოყენების ხარისხთან.

1970 წელს ამორტიზაციის თანხამ საქონლური პროდუქციის 100 მანეთზე შეადგინა 8,68 მანეთი, 1965 წ. კი უდრიდა 11,05 მანეთს, ე. ი. შემცირდა 21,5%-ით. ამორტიზაციის ანარიცხების შემცირებამ თავისი ასახვა ჰპოვა წარმოების დანახარჯთა სტრუქტურაში, კერძოდ — მისი ხვედრითი წონის შემცირებაში; მაგალითად: თუ 1956 წელს ამორტიზაციის ანარიცხების ხვედრითი წონა წარმოების დანახარჯების სტრუქტურაში 20,9%-ს უდრიდა, 1965 წელს იგი 15,0%-მდე შემცირდა, 1970 წელს კი — 13,6%-მდე (იხ. ცხრილი 1).

წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად აგრეთვე მცირდება წარმოების მოსახურებისა და მართვის ხარჯები, მაგალითად: საერთო საქარხნო ხარჯები ტონა ამონიუმის გვარჯილის თვითღირებულებაში 1970 წელს 22 კაპიკით შემცირდა 1967 წელთან შედარებით (ე. ი. 31%-ით), ხოლო ამიაკის (ციტერნებში) თვითღირებულებაში — 2 მანეთითა და 5 კაპიკით (თითქმის 40%-ით). ასევე შემცირდა საამქროს ხარჯებიც, შესაბამისად: 13 კაპიკით (თითქმის 20%-ით) და 47 კაპიკით (9,2%-ით).

⁷ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 270.

2. „მანე“, ფილოსოფიის... სერია, 1972, № 1.

19090



შრომის საშუალებათა გამოყენების ეფექტურობის ამაღლება პირველ რიგში მიიღწევა წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით. ძირითადი ფონდების გამოყენების ხარისხი ქიმიურ მრეწველობაში მკიდრით აღის დაკავშირებული მატერიალური რესურსების ეკონომიასთან. ვინაიდან ერთი და მეორე დაკავშირებულია წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან, რამდენადაც ტექნიკური პროგრესი ქიმიურ მრეწველობაში როგორც წარმოების მოცულობისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყარო კომპლექსურ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, მოწყობილობის გამოყენების ეფექტურობაზე, მეორე მხრივ კი — მატერიალური რესურსების ეკონომიაზე, ამდენად გამეორებების თავიდან ასაცილებლად თვითღირებულების შემცირების რეზერვებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შრომის საშუალებების გამოყენებასთან ჩვენ ვავარჩევთ შემდეგ, როდესაც განვიხილავთ თვითღირებულების შემცირების რეზერვებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან შრომის საგნების გამოყენებასთან.

3. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შიგაწარმოებრივ რეზერვებს ქიმიურ მრეწველობაში აგრეთვე მიეკუთვნება მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ დ ა ნ ა ხ ა რ ჯ თ ა ა ნ უ შ რ ო მ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი ა.

პროდუქციის ერთეულზე მატერიალური დანახარჯების შემცირებას დიდა სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს, რისი ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ მასზე მოდის მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების უმეტესი ნაწილი; მაგალითად: სსრ კავშირის მრეწველობაში მატერიალური დანახარჯების ზედღირითი წონა 75,4%-ს უდრიდა 1969 წლის მონაცემების მიხედვით*. ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ელექტროენერჯის მხოლოდ 1%-ით ეკონომია, უზრუნველყოფს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 1,8 მილიარდი მანეთის ოდენობით წელიწადში*.

მატერიალური დანახარჯების ეკონომიას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთავის ქიმიურ კომბინატში სადაც უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას და რომლის თვითღირებულების სტრუქტურაში ამ პუნქტზე მოდის დანახარჯთა 62,4%. წარმოებამ ზარალით დაამთავრა თავისი მუშაობა 1970 წელს. 1968, 1969, 1970 წლებში საქონლური პროდუქციის თვითღირებულების გეგმა არ შესრულებულა. ადგილი ჰქონდა გადახარჯვას კალკულაციის თითქმის ყველა მუხლის მიხედვით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო 1969 და 1970 წლებში, როცა გადახარჯვამ შესაბამისად 3 022 ათასი და 12 550 ათასი მანეთი შეადგინა.

1967—1970 წლებში ნედლეულის, მასალის, ნახევარფაბრიკატებისა და ენერგორესურსების გამოყენების მხრივ, რუსთავის ქიმიურ კომბინატში, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, დაშვებულია გადახარჯვა. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ წლების მიხედვით არა თუ მცირდება გადახარჯვა, არამედ მას ახასიათებს გადიდების ტენდენცია. მაგალითად, 1970 წელს ბუნებრივი გაზის გადახარჯვა 1967 წელთან შედარებით 68 ჯერზე მეტად გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მეთანის დიდი შემცველობით კონვერტირებულ გაზში და ამიაკის წარმოების საამქროთა არარტიკული მუშაობით, რის შედეგადაც

* Народное хозяйство СССР в 1969 году, Стат. ежег., М., 1970, зб. 184.

* „Экономическая газета“, № 26, 1968.



ადგილი ქონდა კონვერტირებული გაზის დანაკარგებს (საამქროებისა და აგრე-
გატების სწორი გაშვებისა და გაჩერების დროს); თხევადი კალიუმის გადახარჯვა
1967—1970 წლებში 9 ჯერზე მეტად გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ნორმა-
ლური ტექნოლოგიური რეჟიმის სწორი დარღვევით ელექტროლიზის სტადიაზე
და დაბალი ხარისხის კირის გამოყენებით. 1967 წელს ქალაქის ტომრების გა-
მოყენებაში მიღწეულია ეკონომია, 1970 წელს კი აქაც ადგილი აქვს გადახარჯ-
ვას, რაც განაპირობა ტომრების დაბალმა ხარისხმა, რადგან ისინი ადვილად
იხეოდა; აღნიშნულ წლებში მკვეთრად გაიზარდა ხარჯი როგორც ტექნიკური,
ასევე ქიმიურად გაწმენდილი წყლისა, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია ტექნი-
კურ წყალში მინარევეების დიდი მომატებით (განსაკუთრებით წვიმიან ამინდში,
წყლის გაწმენდა კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული), მეორე
მხრივ კი — წყლის უყიარათო ხარჯვით.

გადახარჯვა კალცინირებული სოდის გამოყენებაში, მართალია, არც თუ
იხე ბევრია, მაგრამ სხვა მასალების გადახარჯვისაგან იმით განსხვავდება, რომ
აქ საქმე გვაქვს კალცინირებული სოდის დანაკარგებთან, რაც დაკავშირებულია
სოდის ორმაგ გადაზიდვასთან საჭირო საწყობის უქონლობის გამო.

სათბობისა და ენერჯის გადახარჯვა ძირითადად ქიმიური პროდუქციის
წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შედეგია, ავრთვერ თვით ენერჯის,
ორთქლისა და წყლის გაძვირებისა; მასალების უყიარათო გამოყენება კი გახ-
და მიზეზი ისეთი სახის მასალების გადახარჯვისა, როგორცაა ფენოლი, ოლე-
უმი, ტრიქლორეთილენი და სხვა.

განხილულ მონაცემთა საფუძველზე აუცილებელია იმ დასკვნის გამოტანა,
რომ კომბინატს დიდი შესაძლებლობანი გააჩნია, რათა შეამციროს პროდუქ-
ციის თვითღირებულება მასალის, ნედლეულისა და ენერჯის ხარჯვის ნორმე-
ბის შემცირებით.

4. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი რეზერვია წარმოების მომსახურებისა და მართვის
ხარჯების შემცირება.

ზედნადები ხარჯები ქიმიურ მრეწველობაში შედგება — საამქროსი, საქარ-
ხნო და არაწარმოებრივი ხარჯებისაგან, რომლებშიც შედის: წარმოებრივი მო-
წყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიმდინარე რემონტი; ამორტი-
ზაცია, საამქროს პერსონალის შენახვა; შენობების, ნაგებობათა და ინვენტა-
რის შენახვა და ამორტიზაცია; შრომის დაცვა; ადმინისტრაციულ-სამმართვე-
ლო აპარატის შენახვის ხარჯები; ხელფასი; მივლინებები; კანცელარიისა და
ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები და სხვა. არაწარმოებრივი ხარჯები დაკავშირე-
ბულია მეურნეობის არადაამკმაყოფილებლად წარმართვასთან და ძირითადად
შედგება ჯარიმის, საურავისა და სხვა ხარჯებისაგან. ზედნადები ხარჯების რე-
ფორმამდელი შინაარსი რეფორმის შემდგომ პერიოდში შეიცვალა, ამიტომ გან-
ვიხილავთ 1956—1968 წლების მონაცემებს. ამ პერიოდში წარმოების მომსახუ-
რებისა და მართვის ხარჯები რუსთავის ქიმიურ კომბინატში გაიზარდა 6,4-ჯერ,
საქონლური პროდუქცია კი ამავე პერიოდში — 7,4-ჯერ, ე. ი. შემცირდა წარ-
მოების მომსახურებისა და მართვის ხარჯი საქონლური პროდუქციის ყოველ
ათას მანეთზე; შავალითად: თუ 1956 წელს ამ ხარჯის მოცულობა საქონლური
პროდუქციის ყოველ ათას მანეთზე 13,4 მანეთს უდრიდა, 1968 წელს იგი შემ-
ცირდა 11,1 მანეთამდე, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

წარმოების მომსახურებისა და მართვის ფაქტიური ხარჯები გეგმურისაგან განსხვავებით მოიცავენ აგრეთვე დაუგეგმავ არამწარმოებლურ ხარჯებს და ასეთი ხარჯები მთლიანად ქიმიურ მრეწველობაში მილიონობით მანეთს შეადგენენ, ხოლო ცალკეულ საწარმოებში — ათასობით მანეთს; მაგალითად: 1968 წელს არაწარმოებრივი ხარჯების ოდენობა რუსთავის ქიმიურ კომბინატში 102 810 მანეთს უდრიდა. საწარმოთა მეურნეობისა და წარმოების სწორი ორგანიზაციის შედეგად კი ასეთი ხარჯები შეიძლება მაქსიმალურად შემცირდეს ან სრულიად აღიკვეთოს.

წარმოება გარკვეულ სახსრებს გაიღებს ხოლმე აგრეთვე წარმოების გარეშე ხარჯებზე, რომლებმაც რუსთავის ქიმიურ კომბინატში 1968 წელს 1196 ათასი მანეთი შეადგინეს. წარმოების მომსახურებისა და მართვის ხარჯების შემდგომ შემცირებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში და მათი შემცირება პირველ რიგში უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამმართველო აპარატის ხარჯების შემცირებით, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ფართო გამოყენებით და სხვ.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე დიდ გავლენას ახდენს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შემდგომი სრულყოფა, ეკონომიის რეჟიმის მკაცრი დაცვა სამეურნეო საქმიანობის ყველა რგოლში და სხვა.

თუ ანალიზს გავუკეთებთ ზემოთქმულს, აღმოჩნდება, რომ რუსთავის ქიმიურ კომბინატს გააჩნია თვითღირებულების შემცირების ბევრი ფარული რეზერვი, რომელთა გამოყენება ბევრად გააუმჯობესებდა კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ყველა ღონისძიება გატარდეს ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმის დასაცავად. კომბინატი დროულად უნდა მომარაგდეს საჭირო ნედლეულითა და მასალით, ხოლო ძირითადი ნედლეული და მასალა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს. უეჭველად უნდა მოგვარდეს სარემონტო საქმის ორგანიზაცია, რისთვისაც საჭიროა სპეციალიზებული მაღალკვალიფიციური სარემონტო ბრიგადების შექმნა. უნდა აღიკვეთოს გადახარჯვა, რომელაც დაკავშირებულია ნედლეულისა და მასალის უყვიართოდ გამოყენებასთან, საჭიროა გაძლიერდეს საამქროთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით და სხვ.



И. ГУЛИЕВ

О ПЛАТЕ ЗА ПРОИЗВОДСТВЕННЫЕ ФОНДЫ

Ныне все мероприятия, осуществляемые в нашей стране по совершенствованию планирования и усилению экономического стимулирования, направлены на решение проблем интенсификации общественного производства, другими словами, на повышение его эффективности.

Некоторые из этих мероприятий, в том числе платность производственных фондов, служат поставленной задаче посредством выполнения или распределительной функции.

Так, согласно действующим положениям, плата за производственные фонды представляет собой отчисления из прибылей, предприятий в госбюджет в зависимости от стоимости основных производственных фондов и оборотных средств, и она введена в целях повышения заинтересованности предприятий в эффективном использовании этих фондов.

Следовательно, плата за производственные фонды стимулирует улучшение их использования путем отчисления части прибылей предприятий в государственный бюджет в зависимости от их стоимости.

Вот примерно какой смысл пытаются вложить в понятие платности производственных фондов, выпячивая ее роль в распределении прибылей предприятий.

Подобная трактовка платности производственных фондов послужила причиной возникновения различных точек зрения о ней. Например, одни рассматривают ее как народнохозяйственную эффективность капитальных вложений, а другие — как возмещение износа средств труда и т. п.

Нам представляется, что о платности фондов можно иметь определенную точку зрения, если рассматривать ее как мероприятие, вытекающее из необходимости укрепления хозяйственного расчета на предприятиях. А приняв определенную точку зрения о ней, безусловно, можно достичь и единого мнения об установлении величин ее нормативов, что, кстати, является тоже спорным.

Плата за производственные фонды или все равно что платность этих фондов говорит сама за себя, что в условиях хозяйственной реформы эти фонды не передаются в распоряжение хозрасчетных хозяйственных единиц безвозмездно, как это имело место в прошлом, а приобретаются ими с условием погашения их стоимости в дальнейшем. Теперь уставные фонды предприятий представляют собой ни что иное, как превращенные в действующие производственные фонды долгосрочные кредиты. Но так как кредиты подлежат погашению, то вполне резонно, чтобы плату за фонды рассматривали как погашение задолженности предприятий по долгосрочным кредитам, превращенным уже в действующие производственные фонды. Вот в этой связи нам кажется, что правы те, которые плату за фонды принимают как народнохозяйственную эффективность капитальных вложений.

Сейчас эффективность капитальных вложений по отдельным производственным объектам определяется также как рентабельность этих объектов. Здесь разница между ними количественная и она состоит в том, что первая представляет собой предполагаемую, а вторая — фактическую эффективность вложений.

В самом деле денежные средства, вкладываемые в создание и реконструкцию отдельных производств объектов в начале выступают как капитальные вложения, а затем через определенное время превращаясь в средства производства, уже играют роль производственных фондов. При этом, если учесть, что эффективность вложения в эти объекты и рентабельность их определяются по одному тому же критерию (прибыли), то становится очевидным, что между ними нет никакой качественной разницы.

Но народнохозяйственная эффективность капитальных вложений имеет несколько больше количественного отличия от рентабельности отдельных производственных объектов, что будет показано ниже.

Эффективность капитальных вложений, вообще, выражают степень их производительного использования, которую необходимо определить по срокам возврата этих вложений. Следовательно, рассматривая капитальные вложения как долгосрочные кредиты, мы вправе определить их эффективность по срокам полного погашения этих кредитов. Но так как государство заинтересовано в том, что ссуживаемые им средства в виде долгосрочных кредитов были возвращены в срок, то отсюда и возникает необходимость установления его как норматива погашения кредитов, т. е. платы за фонды.

Теперь вопрос о том, как определить уровень норматива платы за производственные фонды? Но прежде всего отметим, что возврат капитальных вложений (долгосрочных кредитов) ничего общего не имеет с возвратом их в виде амортизационных отчислений, предназначенных для возмещения стоимости изношенных частей основных производственных фондов.

Амортизационные отчисления хотя, как временно свободные средства, используются в качестве дополнительного источника капитальных вложений, однако их основное назначение состоит в обеспечении нормального функционирования производственных фондов на длительное время. Ведь объекты капитальных вложений не прекращают своего существования по истечении сроков их амортизации (исключение составляют здесь некоторые производственные объекты, действующие в отраслях горной промышленности), они еще долгое время эксплуатируются, подвергаясь в дальнейшем постоянному совершенствованию. Источником средств, необходимых для этого являются как амортизационный фонд, так и дополнительные капитальные вложения (долгосрочные кредиты).

Выше отмечалось, что капитальные вложения должны быть возвращены в срок ссуживающим их финансовым и другим органам, в числе которых имеются ввиду и производственные предприятия. А амортизационные принадлежат предприятиям, они по сути дела должны оставаться в их распоряжении, образуя для них источник средств, необходимых для обеспечения нормального функционирования действующих основных производственных фондов.

Следовательно, плата за фонды и амортизационные отчисления разные понятия, их нельзя отождествлять.

Норматив платы за фонды, как и всякие другие технико-экономические нормы и нормативы, служат ориентиром, намеченным обществом

для руководства в определении народнохозяйственного значения тех или иных мероприятий, осуществляемых в локальном масштабе.

Норматив платы за фонды в таком понимании представляют собой допустимый нижний предел производительного использования капитальных вложений, превращенных уже в действующие производственные фонды и определяемые условиями общественного производства в данное время. Эти условия в свою очередь определяются величиной фонда накопления при данной занятости населения и потребностями во вложениях, зависящими от сочетания экстенсивного и интенсивного типов расширенного воспроизводства. Во всяком случае, чем меньше фонд накопления, тем больше ограничивается общий объем капитальных вложений в народное хозяйство и тем меньше должен быть принят норматив платы за фонды (общей эффективности вложений). При сравнительно больших возможностях, наоборот, норматив платы за фонды может быть высоким. И в том и в другом случае, все равно, норматив платы за фонды представляет собой, как уже отмечалось, минимальный допустимый предел производительного использования капитальных вложений или максимально допустимый срок их возврата.

В вопросе установления норматива платы за фонды важным является не только его величина, но и то, каким должен быть этот норматив, единым для всех отраслей народного хозяйства или дифференцированным по отраслям.

В «типовой методике» (1969 г.) определения эффективности капитальных вложений в народное хозяйство СССР принят общий для всего народного хозяйства норматив эффективности (0,12), но с оговоркой, что «...при необходимости по соображениям стимулирования технического прогресса, учета неодинаковых уровней заработной платы (зональных и отраслевых) различного уровня цен, долговременности строительных программ и районных различий в отраслевых инструкциях допускается отклонение от установленного норматива эффективности по согласованию с Госпланом СССР».

В пользу дифференциации норматива эффективности (платы за фонды) по отраслям приводится в печати немало доводов. Тут прежде всего, указывает на неравномерность развития отраслей народного хозяйства, затем на разную структуру основных производственных фондов в которой в одной отрасли, скажем, активная часть имеет сравнительно больше удельного веса, а в другом — меньше, далее указывается на объем капитальных вложений, зависящий от степени концентрации производства, учет необходимости ускорения технического прогресса, оценку производственных фондов и т. д.

Все это, конечно, факт и никто не пытается его оспаривать. Однако эти доводы не дают основания для дифференциации норматива эффективности по той причине, что в определении его уровня возможности капитальных вложений страны имеет гораздо больше значения чем, скажем, специфическая особенность отдельных отраслей народного хозяйства. Наоборот, различие в степени эффективности вложений в отдельной отрасли производства, вызванное их специфической особенностью делает необходимым принимать норматив этой эффективности единым и к тому же минимально допустимым. Ибо, понятие его средним или максимально допустимым, лишали бы основания осуществлять менее эффективные, но необходимые мероприятия (строительство атомной электростанции и ряда других объектов научно-исследовательского назначения).

Дифференциация норматива эффективности по отраслям производства противоречит цели капитальных вложений, являющейся полу-

ნაივურ-ბუნებრივ განწყობაში ადამიანი, მისი ფსიქოფიზიკური არსება მუნდანური სინამდვილეა, ის მიეკუთვნება „ბუნებას“ სხვა საგნების მსგავსად, მათთან ერთად „ამ ქვეყნის“ რედუქცია თან წაიყოლებს ადამიანს და დადგება კითხვა იმის თაობაზე, თუ ვინ ან რამ უნდა აწარმოოს ფილოსოფიური ძიება ამის შემდეგ. ამ ვითარებაში. ასე იქმნება ე. წ. ფენომენოლოგიური ძიების, ადამიანის პარადოქსი: ადამიანი და მისი ცნობიერება რედუქციერებულა, რედუქცია არის ადამიანის ცნობიერების ნაწარმოები, ადამიანის სულიერი ცხოვრება (და მთელი დანარჩენი სამყარო) კონსტიტუციას ექვემდებარება, კონსტიტუციას აწარმოებს ადამიანის ცნობიერება. საბოლოოდ ჰუსერლის ფილოსოფიაში მთავარ სიძნელედ გვევლინება მიმართება ემპირიულ და ტრანსცენდენტალურ ცნობიერებას შორის.

ჰაიდგერის ფილოსოფიის პრინციპები განსხვავებულია, რაც ჩანს იმაშიც, რომ მას ეწოდება არა ცნობიერების, არამედ ყოფიერების ფილოსოფია. ფილოსოფიური პრობლემატიკა ჰუსერლთან პასუხს ელის ცნობიერების ცნებიდან, ჰაიდგერთან ყოფიერებამ უნდა შეასრულოს იგივე ფუნქცია.

ჰაიდგერი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სამყარო, თუ მას ვიაზრებთ ჰუსერლის მსგავსად, ე. ი. ნივთების, „უბრალოდ“ არსებულთა თავყრილობად, უვარგისია მის გასაგებად, სამყაროს ნათელსაყოფად. ასეთ

ვითარებაში ჰუსერლის ფილოსოფიის გზა იქნებოდა ერთადერთი სწორი გზა. მაგრამ, ჰუსერლისაგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ ერთნაირი არსებობის ცნება აქვს, ჰაიდეგერს ეგზისტენციალური ლიფერენცის ცნება შემოაქვს. არსებულთა შორის არის არსებობითი სხვაობა და ამ გარემოებაში უნდა დაგვაფიქროს: ის, რაც ერთი სახის არსებობას არ შეუძლია, ეგების მეორე სახის არსებობაში შეძლოს. ვერდ ნეითიერი არსებობა (Vorhandene) და ვერც არსებობა იარაღის სახით (Zuhandene) სამყაროს საიდუმლოებას ნათელს ვერ მოჰფენენ, მაგრამ, დასძენს ჰაიდეგერი, არსებობს ადამიანისეული არსებობა, რომელიც ამისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს. ადამიანის ამ სპეციფიკური არსებობის აღსანიშნავად ჰაიდეგერი ხმარობს „ეგზისტენცს“ და ამ ტერმინს ამიერიდან ხმარობს საკუთრივ ადამიანისეული ყოფიერების აღსანიშნავად. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც ამ ცნებას მიეცა ჰაიდეგერის ფილოსოფიაში, თვითონ ამ ფილოსოფიას, ჰაიდეგერის სურვილის წინააღმდეგ, ეგზისტენცფილოსოფიას ეძახიან. თვითონ ჰაიდეგერი ამჯობინებს სახელწოდებას — „ყოფიერების ფილოსოფია“⁸. — „ეგზისტენცი“ ადამიანის აღსანიშნავად არის ამიერიდან განკუთვნილი. ეს ისეთი არსებობაა, რომლისთვისაც ღია არის ყოველი არსებულის ყოფიერება, თვითონ ყოფიერება და აგრეთვე ადამიანის ყოფიერება. ამაში მდგომარეობს ადამიანის უპირატესობა ყველა სხვა არსებულთან შედარებით. ქვა და ჩაქუჩი ვერც სხვის ყოფიერებას „ხედავენ“ და ვერც თავისას, ადამიანისთვის და მხოლოდ მისთვის ღია არის როგორც ურთი, ისე — მეორე. ადამიანის ეგზისტენცი არის იმავე დროს ტრანსცენდენტური, ეს არის ადამიანის არსი ჰაიდეგერის მიხედვით. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ადამიანისა და მასთან ერთად მისი ცნობიერების გამოთიშვა არსებულთა სამყაროდან, ყოფიერებიდან შეუძლებელია. ჰაიდეგერის ძირითადი დებულება ეწინააღმდეგება ჰუსერლის ძირითად განზრახვას — ტრანსცენდენტალურ რედუქციას: ადამიანის სპეციფიკა თუ ეგზისტენცია და დაზიანი, როგორღა არის შესაძლებელი ტრანსცენდენტალური ცნობიერება, რომელიც მოითხოვს, როგორც აუცილებელ პირობას, ყოველივე არსებულის ეპოქეს, „ფრჩხილებში ჩასმას“, „ხელუხლებლობას“, „გამოუყენებლობას“⁹ ესაა ის ძირითადი და საცილობელი, რაც არის ჰუსერლისა და ჰაიდეგერს შორის, ამაზე მიუთითებს ჰაიდეგერი თავის შენიშვნებში.

ჰაიდეგერთან, მაშასადამე, რედუქციას ადგილი არა აქვს. ადამიანის არსი მდგომარეობს, ჰაიდეგერის მიხედვით, იმ მიმართებაში, რომელიც არის ადამიანსა და იმას შორის, რაც არ არის ადამიანი. „ადამიანის“ აღსანიშნავად ჰაიდეგერი იმითომ ხმარობს „Dasein-ს“, რომ მასში გამოთქმულია ადამიანის არსი ე. ი. ის, რაც არის ეგზისტენცი. ამ უკანასკნელში ის არ იგულისხმება, რასაც ვარაუდობენ, მაგ., ცნებაში — „ეგზისტენციალური მსჯე-

⁸ საქმე მარტო ნომინაციური განსხვავება არ არის: ჰაიდეგერის ფილოსოფიის აღნიშვნა „ეგზისტენცფილოსოფიით“ ხელს უწყობს იმ აზრის დადგენას, რომ ჰაიდეგერის ფილოსოფია უდრის ადამიანის ფილოსოფიურ თეორიას; „ეგზისტენციალური ანალიზი“ ამ შემთხვევაში უტოლდება მთლიანად ჰაიდეგერის ფილოსოფიას. ეს შეხედულება სწორი არ არის: ჰაიდეგერის ფილოსოფიის საგანი, მისი ძიების საბოლოო პუნქტი არის არა ადამიანი, რომელიც არსებულთა მიეკუთვნება, არამედ ყოფიერება, რომელიც არ არის არსებული. ადამიანის ონტოლოგიური ანალიზი არის, შეიძლება ითქვას, მხოლოდ პროპედევტიკა, მოსამზადებელი მომენტი საკუთრივ ყოფიერების ფილოსოფიისათვის.

ლობა“. ეგზისტენცი ჰაიდეგერს ნახმარი აქვს მიმართების მნიშვნელობით. აქ საკმე ეხება ადამიანის მიმართებას რომელიმე ყოფიერებასთან; არსებულის ყოფიერებასთან ანდა თვითონ „წმინდა“ ყოფიერებასთან. ჰუსერლი ტრანსცენდენტალურ „მეს“ ეძებს. ამისთვის ყოფიერებისაგან ჩამოშორება არის საჭირო. წინააღმდეგობა ჰუსერლისა და ჰაიდეგერის ამოსავალ პრინციპებს შორის მაქსიმალურია. როგორც მართებულად შენიშნავს ე. ბიმელი, ყველაფერი ტრიალებს „არის“-ის გარშემო. „არის“ ჰუსერლისათვის არის სინონიმი ქვეყნიერი არსებობისა და, როგორც ასეთი, თვითონაც უნდა ჩაისვას ფრჩხილებში. ჰაიდეგერი იმაზე უთითებს, თუ როგორ იგულისხმება „არის“ ტრანსცენდენტალურ „მეს“ წინამძღვრად და, მაშასადამე, როგორც პოზიტიური ვითარება, ისიც, ეს „მეც“, უნდა ექვემდებარებოდეს ეპოქეს⁹. იმის მტკიცება, რომ ყოველივე არსებულის რედუქციას ტრანსცენდენტალური „მე“ გადაურჩება, უსაფუძვლოა. ყოფიერება მასზედაც უწინარესია, მისთვისაც აუცილებელია და ამდენად მისი „ხელშეუხებლობა“ მოჩვენებითი ჩანს. ის, რაც არსებულის „უბრალო“ ყოფიერებასა და იარაღის იარაღისეული ყოფიერებისაგან განსხვავდება, არის ეგზისტენცი, ადამიანური ყოფიერება. სამყაროს ფილოსოფიური ცხადყოფა შეუძლებელი იქნებოდა, ყოფიერების მხოლოდ ის სახეობა რომ გველუოდეს, რაზედაც¹⁰ ჰუსერლი ლაპარაკობს. „არის“ ჰუსერლთან მოკლებულია დიდფრენციაციას. ამით აიხსნება მისი ფილოსოფიის სიძნელეები ჰაიდეგერის აზრით. ის, რაც ესაჭიროება ტრანსცენდენტალურ კონსტიტუციას. ფაქტობრივი და ტრანსცენდენტალური „მეების“ გათიშვას კი არ ემყარება, ჰაიდეგერის აზრით, არამედ ადამიანის ყოფიერების სპეციფიკას, ეგზისტენცს. ადამიანი არ არის მხოლოდ სამყაროსეული უბრალო არსებობა, არამედ — ეგზისტენცი¹¹. ჰაიდეგერი აკისრებს ფაქტობრივ, კონკრეტულ ადამიანს იმას, რასაც ჰუსერლი აკისრებს ტრანსცენდენტალურ „მეს“. არსებულის კონსტიტუცია (ჰუსერლი) და არსებულის გადმოშლა (ჰაიდეგერი) განზრახულია სულ სხვადასხვა გზით, სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ ონტიურისაგან ონტოლოგიურში გადასვლა ორივე შემთხვევაში იგულისხმება როგორც ფილოსოფიური ძიების აუცილებელი ხასიათი. არც ის უნდა იქნეს დაიწყებული, რომ ტრანსცენდენტალური „მე“ და მისი მოქმედება ჰუსერლისათვის არის უკანასკნელი ინსტანცია, საბოლოო „პასუხი“ ფილოსოფიის კითხვაზე, ხოლო ადამიანის ეგზისტენცი, ჰაიდეგერის აზრით, სამყაროს ნათელსაყოფად საკმარისია, მაგრამ თვითონ საბოლოო ვითარებას არ წარმოადგენს. იგი თვით საჭიროებს „ახსნას“; ეს „ახსნა“ თვითონ ყოფიერებაშია, მისგან უნდა იქნეს მიღებული. ამ მომენტში ჰაიდეგერი გამოიყურება „რეალისტად“, ხოლო ჰუსერლი იდეალისტად. ეს შთაბეჭდილება პირველის შესახებ ფრიად საეჭვოა, ხოლო მეორის შესახებ ექვს არ იწვევს.

⁹ ე. ბიმელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

¹⁰ მართალია, ჰუსერლი მკაცრად ასხვავებს ერთმანეთისაგან იდეალურ და რეალურ არსებობას, ფიზიკურსა და ფსიქიკურ არსებობას, მაგრამ ეს განსხვავება ამ საქმეს არ ეხება.

¹¹ ჰაიდეგერი წერს: Die transzendente Konstitution ist eine zentrale Möglichkeit der Existenz des faktischen selbst. Diese, der konkrete Mensch ist als solcher — als Seiendes — nie eine, „weltlich reale Tatsache“, weil der Mensch nie nur vorhanden ist, sondern existiert“. (Husserliana, Bd. IX, 1962, S. 601/602.)

სხვა მხრივაც შეუტია ჰაიდეგერმა ჰუსერლის კონცეფციას. მან მისგან „მოითხოვა“ იმ „ანთროპოლოგიური პარადოქსის“ გახსნა-დაძლევა, რომელზედაც ჰუსერიც ბევრს ფიქრობდა. მაკონსტიტუირებელი, წერს ჰაიდეგერი, არაა ხომ არ არის, რომ ყოფიერებას იყოს მოკლებული?! რახან ეს ასეა, მის მიმართაც უნდა დადგეს კითხვა: როგორია მისი ყოფიერების ფორმა?¹²

ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიაში ადამიანი წარმოდგენილია წმინდა ცნობიერების სახით. ეს ვითარება მიღწეულია ადამიანის (და სხვა არსებულთა) ფაქტიურობისა და „ხორციელობის“ ელიმინაციით. ადამიანის (და სამყაროს) ფილოსოფიური შემეცნებისათვის ჰუსერლთან აუცილებელია ნატურალური განწყობის გაუქმება, ფენომენოლოგიური განწყობის მომარჯვება და ამით მოპოვებულ ვითარებაში კონსტიტუციური მუშაობის წარმოება. ჰაიდეგერის გზა სრულიად საწინააღმდეგოა: აქ სამყაროსთან სპეციფიკური კავშირია ის, რაც აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის. ეს გასაგებია, რადგან ადამიანის განმარტება ჰაიდეგერთან ასეც არის გამოთქმული: „ადამიანი არის სამყაროში — ყოფიერება“¹³. ადამიანის არსებობა იწყება იმ მომენტიდან, როცა ხდება ადამიანის შექრა სამყაროში, ყოფიერებაში, რაც, თავის მხრივ, განხილულია როგორც ყოფიერების შექრა ადამიანში. ადამიანის ყოფიერებაცა და შემეცნებაც განუყრელია „წმინდა“ ყოფიერებასთან. ამას უნდა ვუმადლოდეთ ადამიანის ეგზისტენციობას, რასაც სრულიად არ იცნობს ჰუსერიც.

ჰაიდეგერისა და ჰუსერლის კონცეფციებს ზოგადფილოსოფიური განსხვავებულობა განსაკუთრებით მძლავრად იჩენს თავს ადამიანის გაგებაში. ჰუსერლისათვის ადამიანი ნატურალურ განწყობაში და ფენომენოლოგიურ განწყობაში არსებითად განსხვავებულად იაზრება. პირველ შემთხვევაში ის არის ფსიქოფიზიკური არსება, თავისებური ნივთი, სხეული სხვა ანალოგიურ მოვლენათა შორის. აქ ადამიანს ფიზიკური თვისებებიც აქვს სულიერ და გონით თვისებებთან ერთად. ფენომენოლოგიურ განწყობის ველზე ადამიანი გადაიქცევა წმინდა ცნობიერებად და მოიშორებს თავიდან ყოველ არსებულს, რათა კვლავ დაიბრუნოს იგი კონსტიტუციურ მუშაობაში. ჰაიდეგერის მიხედვით, ადამიანის არსის მისაგნებლად იმ მიმართებას უნდა ჩავუკვირდეთ, რომელიც არსებობს ადამიანსა და ყოფიერებას შორის, ე. ი. საქმე აქ მოითხოვს არა ყოფიერების ეპოქეს, არამედ მის მოქცევას ყურადღების ცენტრში. რადგან ამ ურთიერთობის არსი ისაა, რომ ადამიანი და ყოფიერება შეიჭრნენ ერთმანეთში, დამეზობლდნენ, გააშუქონ ერთმანეთი, ადამიანის ე. წ. ანთროპოლოგიური ნიშნები არც უნდა იქნეს ნახსენები.

„მესთან“ დაკავშირებული პარადოქსი — „სამყაროს სუბიექტად ყოფნა და იმავე დროს ობიექტად ყოფნა სამყაროში“ — ჰუსერლისათვის, რასაკვირველია, შეუძმჩნეველი არ დაჩენილა. რამდენადაც ადვილი იყო იმის დანახვა, რომ ტრანსცენდენტალური და ნატურალური „მე“ სხვადასხვაა, იმდენად ძნელი აღ-

¹² „Das Konstituierende ist nicht Nichts, also etwas und seiend—obzwar nicht im Sinne des Positiven“. Universal ist daher das Problem des Seins auf Konstituierendes und Konstituiertes bezogen“ (იქვე, გვ. 602).

¹³ ე. ბ. ი. მ. ე. ლ. წერს — „სამყაროსთან მიმართება ისე მნიშვნელოვანია, რომ ჰაიდეგერი ადამიანს (Dasein) განმარტავს როგორც „სამყაროში — არსებულს“... იხ. დაახ. ნაშრომი, გვ. 277.

მოჩნდა ამ სხვაობის დახასიათება და იმის გააზრება, თუ როგორ არიან ისინი ერთად, ერთ არსებაში, ადამიანის სუბიექტში. ჰუსერლი ასე ჭრის ამ სიტყვას: მიმართება, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, არ არის ორი რამის გათიშვა ერთმანეთისაგან, არ არის არც ორი რამის დაკავშირება ერთმანეთთან. ეს ცნებები: გათიშვა და დაკავშირება — გამოხატავენ ნატურალურ მოვლენათა ურთიერთობას და არ გამოდგებიან იქ, სადაც საქმე ეხება ნატურალურისა და ტრანსცენდენტალურის ურთიერთობას¹⁴. „მე“ არის ყოველთვის ფაქტობრივია და ტრანსცენდენტალური ერთდროულად. როცა „მე“ დგას ნატურალურ განწყობაზე, ის მიმართულია ობიექტზე (ობიექტი ხომ არ არის, რაზედაც არის „მე“ მიმართული?!); ამ მომენტში „მეს“ ტრანსცენდენტალური ფუნქცია არა ჩანს, დამალულია; „მემ“ ამ დროს იცის მხოლოდ ის, რომ მიმართულება აქვს ობიექტზე. იმისთვის, რომ „მეს“ სხვა ფუნქციები იქნეს დანახული, აუცილებელია, რედუქციის სხვადასხვა აქტები განხორციელდეს. იმის გამო, რომ ნატურალურ განწყობაში „მეს“ ტრანსცენდენტალური ფუნქციობა არ ჩანს, ჰუსერლი ამ ფუნქციას ანონიმურს უწოდებს, აქ არა ჩანს ავტორი ამ ფუნქციებისა. ტრანსცენდენტალური „მეს“ არსებობის შესახებ ამ ვითარებაში ვლაპარაკობთ მისი ნამოქმედარის, ნაქმობის¹⁵ საფუძველზე. როცა ნატურალური „მე“ ხედავს ისეთ ვითარებას, რომელიც მისგან არ შეიძლება მომდინარეობდეს, იქმნება იმის საფუძველი, რომ ტრანსცენდენტალურ „მეზე“ ვიფიქროთ. ასე უპასუხებს ჰუსერლი ჰაიდეგერის კითხვას — „როგორია აბსოლუტური „მეს“ ყოფიერების თავისებურება, რა აზრით არის ან არ არის იგი ისეთივე, როგორც არის ფაქტობრივი მეს ყოფიერება?“¹⁶.

ჰუსერლისა და ჰაიდეგერის ფილოსოფიური ვხვები ე. ბ. ი. მ. ე. მ. ა. შემდეგნაირად წარმოიდგინა: ჰუსერლი რჩება ახალი დროის მეტაფიზიკის კარტეზიანულ-რაციონალისტურ ხაზზე, ხოლო ჰაიდეგერი ცდილობს მთელი დასავლეთის მეტაფიზიკა გაიგოს როგორც ერთ მთლიან საწყისი-სეულ წინარე-მეტაფიზიკური აზროვნებისაგან მიბრუნება¹⁷. შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევს ბიშელის ანალიტიკური სტატია, ისეთია, რომ ჰაიდეგერი თითქოს და რეალისტურ გზას ირჩევს და ზურგს აქცევს ჰუსერლის ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ მაშინ, როცა ყოველი არსებულის ფილოსოფიური ცხადყოფა ჰუსერლთან ემყარება წმინდა აბსოლუტურ ცნობიერებას, ჰაიდეგერი ამავე ამოცანის გადასაჭრელად ყოფიერებას მოიხმობს. საკითხის საბოლოო გადაჭრა, მაშასადამე, იმაზეა დამოკიდებული, თუ რას წარმოადგენს ჰაიდეგერის „ყოფიერება“ თავისი შინაარსით, თავისი შიგთავსით და რა ადგილს იჭერს მის შემეცნებაში ცნობიერება.

სადავო არ არის ის, რომ ჰაიდეგერიც ადამიანს მიმართავს ყოფიერების საწვდომად, თუმცა მას ლაპარაკი აქვს არა ადამიანის ცნობიერებაზე, როგორც ეს არის ჰუსერლისთან, არამედ ადამიანის ეგზისტენცზე. მაგრამ რა არის

¹⁴ ჰუსერლი, *Husserliana*, Bd. IX, S. 294, შეად. ა. მაინონგი, რომელმაც იდეალურის რეალურთან დაკავშირების გამართლება იმით სცადა, რომ ამ კავშირად იდეალური ვითარება დასახა.

¹⁵ ტერმინი „ნაქმობა“ ეკუთვნის ერეკლე აბაშიძეს. ამით გადმოღებულია — „Leistung“.

¹⁶ იხ. *Husserliana*, Bd. IX, S. 602.

¹⁷ იხ. დასაბ. ნაშრომი, გვ. 280.

დენტალურ ფენომენოლოგიად, ტრანსცენდენტალურ ეგოლოგიად გვევლინება. ჰაიდეგერის „უქანასკნელი“ ყოფიერებაა, მაგრამ ის ფრიად გაურკვეველი ჩანს ჯერ კიდევ¹⁸. ჩვენთვის იგი ეკვივალენტია ჰუსერლის აბსოლუტური ცნობიერებისა; ასე, რომ ჰაიდეგერის „შენიშვნები“ მატერიალისტისათვის მხოლოდ იმდენად არის სასარგებლო, რამდენადაც აწ ნათლად არის ნაჩვენები ჰუსერლის კონცეფციის შინაგანი სიმწლეუბი, მაგრამ ის, რასაც ჰაიდეგერი გვათავაზობს, არ არის არსებითად უფრო დამაჯერებელი, ვიდრე ჰუსერლის პოზიცია. ყოფიერების ფილოსოფიაში იდეალიზმი ძალაში რჩება. თუ ამ კონტექსტში იდეალიზმის მომასწავებლად თვლიან მოძღვრებას კონსტიტუციის შესახებ, უნდა ითქვას, რომ ეს მოძღვრება ჰაიდეგერთან სავსებით შემონახულია. ჰაიდეგერი წერს: „უღდა იყოს ნაჩვენები, რომ ადამიანის, დაზიანის ყოფიერება მთლიანად განსხვავებულია ყოველი სხვა არსებულისგან და რომ ეს როგორც ასეთი მალულად შეიცავს ტრანსცენდენტალურ კონსტიტუციის შესაძლებლობას“¹⁹.

როგორც ჩანს, ფილოსოფიური აზრი ლოგიკური აუცილებლობით მიდის ყოველთვის სუბსტანციალური არსებობის აღიარებამდე. როცა ჰუსერლთან ემპირიული რეალობა საკუთარ ყოფიერებას მოკლებული აღმოჩნდა, ცნობიერებამ სუბსტანციალური ხასიათი მიიღო და სამყაროს შექმნა მას დაეკისრა. როცა ჰაიდეგერის ქვისეული და ჩაჭურჩისეული არსებობა უკმარისი აღმოჩნდა თავისათვის და დაზიანი და ყოფიერება შეიქნა საჭირო, მათ „უქანასკნელი ინსტანციის“ სახე მიიღეს და ყოველივე არსებულის საფუძვლად მოგვევლინენ²⁰. ასე მოხდა ბერკლის ფილოსოფიაში, როცა სამყაროს „სუბიექტად“ ღმერთი გამოცხადდა, ხოლო ე. მახთან შეგრძნებამ მსოფლიოს საშენი მასალის პრეტენზია მიითვისა. ანრი ბერგსონის „მომრბობამ“ კი სოლიდური სუბსტანციის სახე მიიღო. ყოფიერებას ვერაფერს ვაუქმებს, მაგრამ საკითხავია, როგორ იქნება მისი შინაარსი. ამ კითხვაზე გაცემულმა სხვადასხვა და ერთმანეთის მოწინააღმდეგე პასუხებმა გაათიშეს ფილოსოფოსები იმგვარად, რომ მათი შერიგება შეუძლებელია. ჰუსერლისა და ჰაიდეგერის კამათი შინაური კამათია ორი იდეალისტის შორის. აქედან ლოგიკური გზა მატერიალიზმში გადასვლისა არ არ-

18 საილუსტრაციოდ იმისა, თუ რაოდენ მრავალი მნიშვნელობა მიეწერება ჰაიდეგერის „ყოფიერებას“, მოვიტანთ ერთ-ერთი ავტორის სიტყვებს: „Sein, Zeit, Nichts, Spiel sind... dasselbe; Nichts-Sein, Welt-Sein, Welt-Zeit, Zeit-Spiel, Sein und Weltgeschick“, (Kostas Axelos, Einführung in ein künftiges Denken, über Marx und Heidegger Tübingen 1966, S. 41.).

19 Husserliana, Bd. IX, 601. ბიშელის განცხადება, რომ ჰაიდეგერი „კონსტიტუციურ“ ლაპარაკებს მხოლოდ ჰუსერლის „ხაზით“, მისი „პატივისცემით“, ხოლო თვითონ პრინციპულად უარყოფს მას, როგორც იდეალისტური პოზიციის მომასწავებელს, ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი. იხ. ვ. ბიშელის დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

20 აღარაფერს ვამბობთ აქ იმაზე, რომ დაზიანისა და ყოფიერების ცილობა „ბატონობისათვის“ ჯერ არ არის გადაჭრილი ეგზისტენციის ფილოსოფიაში, ჯერაც არ არის მოცემული დამაკმაყოფილებელი შერიგება ჰაიდეგერის ორ გამონათქვამს შორის: „არასოდეს არსებული არ არის ყოფიერების გარეშე“, „ყოფიერება არასოდეს არის არსებულის გარეშე“. ჰაიდეგერი, Was ist Metaphysik? 1955, S. 46 შედ. Max Müller, Existenzphilosophie im geistigen Leben der Gegenwart, 1958, S. 45. K. Löwith, Heidegger Denker in dürftiger Zeit, 1960, S. 40/41. W. Schulz, Über den philosophiegeschichtlichen Ort M. Heideggers, in: Martin Heidegger, Heraus. von Otto Pöggeler, S. 95-ff.

სებობს, სანამ ყოფიერებაცა და ცნობიერებაც გაგებულა ისე, როგორც ეს ამ ფილოსოფოსებს ესახებათ.

წმინდა ფენომენის ანუ არსის დასაზღაურებელი ჰუსერლი ფაქტობრივ მონაცემს თვლის აუცილებელ პირობად. უნდა გვექონდეს რამე თვალნათლივი, კვრეტითი მოცემული, რათა იმაში არსის ამოკითხვა მოვახერხოთ. სულიერი, ფსიქიკური ცხოვრება ჩვენს ფენომენოლოგიაში ასეთ პირობად უნდა ვიგუღავოთ. ასე ფიქრობს ჰუსერლი და ამიტომ უწოდებს იგი დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურ მუშაობას ფენომენოლოგიის პრობლემეტიკას. ჰუსერლის ეს აზრი საფრთხეს უქადის მის ანტიფსიქოლოგისტურ მიმართებას. თუ ჰუსერლის აზრი ისე იქნა გაგებული, რომ ფენომენოლოგიაში შესასვლელი გზა ფსიქიკურზე უნდა გადავდგომოდეთ, დაიღუპება ფენომენოლოგიაცა და ფსიქოლოგიაც: ვერც წმინდა ფენომენოლოგია გაჩნდება და ვერც ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია. ფენომენოლოგიაში შესასვლელად, მის ასაგებად ფსიქიკურისგან განწმენდა წინა პირობა, ხოლო იმისათვის, რომ ფენომენისაგან, ფენომენოლოგიის ელემენტისაგან ფსიქიკურის ჩამოშორება მოხერხდეს, აუცილებელია ფენომენის ცოდნით, ფენომენის ცნობით, მისი გამოსაცნობი ნიშნებით შეიარაღება. ამის შემდეგ, როცა წმინდა ფენომენი ცნობილია, ვაუმართლებელია ფსიქიკურ სფეროზე გავლა, ის ზედმეტია და საზიანო. ბევრგან აქვს ნათქვამი ჰუსერლს, რომ ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის ნაივრობის დანახვა და დადგენა მხოლოდ ფენომენის, ფენომენოლოგიური განწყობით შეიძლება მოხდეს. ის, რაც „ხედავს“ საერთოდ, არის ცნობიერება, გონი და არა ფსიქიკა, რომელიც, მართალია მუდამ ცნობიერებაშია, მაგრამ თვითონ იგი ცნობიერება არ არის. ჰუსერლი არ გამოყოფს ერთმანეთისაგან ფსიქიკას და ცნობიერებას, რაც მის ანტიფსიქოლოგისტურ მუშაობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია, როგორც ის ესახება საბოლოოდ ჰუსერლს, განუხორციელებელი დარჩება, თუ ადამიანს სხვა ორგანო შემეცნებისა არა აქვს, თუ არა ფსიქიკით დატვირთული, ფსიქიკით გარემოცული ხედვა. ფსიქიკა სუბიექტური მოვლენაა, როგორც ფიზიკური სინამდვილე არის ობიექტური მოვლენა. ფსიქიკას აქვს „უფლება“ იყოს სუბიექტური, როგორც ფიზიკურ პროცესს აქვს „უფლება“ იყოს ობიექტური არსებობა. არც ფსიქიკური და არც ფიზიკური, მხოლოდ როგორც შინაარსეული არსებობა, მეცნიერება არ არის. ორივეს სჭირდება ამისთვის სხვა განზომილება, კანონი, — ის კანონი, რომლითაც არის შეპირობებული ლოგიკურად მათი არსებობა. ფსიქოლოგია ისევე საჭიროებს „კანონსა“ და „კანონისეულს“, როგორც ამას საჭიროებს ყველა სხვა სინამდვილე, მისი მეცნიერება. თუ არსისა და ყოფიერების (ყოფიერებისა და გარკვეულობის) ურთიერთობაზე გადავიტანთ იმას, რაც ამ კერძო შემთხვევაში გამოვლინდა, ჩვენ ასე ვიტყვით: იმისთვის, რომ რამე მოხდეს, რამე უნდა იყოს, ის, რაც რამე არ არის, არც მოხდება.



ნოზარ ნათაძე

შაკ მარიტენის ბუნების ფილოსოფიის კრიტიკისათვის

თომისმის ერთ-ერთი აღიარებული ბელადის ჟაკ მარიტენის (დაბად. 1882 წ.) ფილოსოფიაში ბუნების ფილოსოფიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მარიტენის ღვაწლი, მისი თანამოაზრეების თანახმად, იმაში მდგომარეობს, რომ მან არისტოტელურ-თომისტური ფილოსოფია, რომელიც ჩვენს დროს შუა საუკუნეებშია უანდერძა, ბერული სამოსის მაგიერ თანამედროვე კოსტუმში გამოაწყობა და შუა საუკუნეთა აზროვნება მისი ხასიათის შეუცვლელად თანამედროვეობის საჭირობორტო პრობლემებს მიუყენა. ამითაა გამოწვეული, რომ მარიტენის ფილოსოფიურ აზროვნებას ყველაზე მეტი ორიგინალობა (არისტოტელურ-თომისტური ტრადიციის მიმართ) ახასიათებს ფილოსოფიის იმ დარგებში, რომლებზედაც დროის ზემოქმედება ყველაზე უფრო ძლიერია, სახელობრ, ბუნების ფილოსოფიაში, რომლის პრობლემები „დაყინებით მოითხოვენ თომისტურ პასუხს“¹ ეთიკაში და პოლიტიკაში. მარიტენის თვალსაზრისით, თომისმი არის „მარადიული ფილოსოფია“, რომლის არსი არ იცვლება იმ მოდიფიკაციების მიუხედავად, რასაც მისგან დროის შეცვლილი პრობემები მოითხოვს. ეს მოდიფიკაცია ხდება: ა) ზუსტი მეცნიერების მიღწევათა ფილოსოფიური ათვისების და ბ) თანამედროვე ადამიანის კრიზისის გათვალისწინების, ადამიანის პრობლემული პრობლემების წამოწევის მიმართულებით. მარიტენის მიერ აგებული ბუნების ფილოსოფია ამ ორთაგან პირველი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება. ამ ამოცანის გადაწყვეტა იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც „სწორ ფილოსოფიას შეუძლია ხელი იღოს მეცნიერული ახსნის კონკრეტულ სისტემაზე, რომელსაც იგი ემყარება მოცემული ეპოქის მეცნიერების მდგომარეობის შესაბამისად, და, თუ ეს სისტემა ყალბი აღმოჩნდება, ამ ფილოსოფიის ქეშმარიტება ამით არ დაზარალდება. მოდიფიკაცია დასჭირდება მხოლოდ მის ენას და მის მიერ გამოყენებულ გრძნობად ილუსტრაციებს“.

მარიტენის ბუნების ფილოსოფია ემყარება თომისტური ფილოსოფიის გარკვეულ ონტოლოგიურსა და გნოსეოლოგიურ წინამძღვრებს, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

1. არსი, როგორც ასეთი, ინტელიგიბილურია, მოაზრებადია. ინტელიგიბილობა ახლავს არსს, მისი ზომა არსის ზომის პროპორციულია. არსი ინტელექტის აუცილებელი და უშუალო ობიექტია. ინტელექტს აქვს ქეშმარიტი ცოდნა არსის შესახებ. ეს თეზისი არ ეხება საკუთრივ ჩვენს გონებას, არამედ — მხოლოდ ღვთაებრივს: არსი ინტელიგიბილურია, მოაზრებადია მთლიანად მხოლოდ „წმინდა გონებათათვის“ და არა ჩვენი შეზღუდული გონებისათვის.

¹ „Cny for thomistic answer“. Fechen. The philosophy of Jacques Maritain, გვ. 78.

2. მარიტენი შესაძლებლად თვლის ინდივიდუალურ საგანში მისი ინტელიგიბლური არსის გამოყოფას შემეცნებლის მიერ ანუ საგნის „ონტოლოგიური ანალიზის“ ჩატარებას. ისევე როგორც თომა აქვინელისათვის მარიტენისთვისაც ყოველი შემეცნება გრძნობადით იწყება. „გრძნობადი შემეცნება“ რომელშიც იგულისხმება გრძნობადი აღქმა, ინდივიდუალურის, კერძოს აღბეჭდვით ჩვენი შეგრძნებების მიერ, მაგრამ ის, რასაც ჩვენ საბოლოო ჯამში ვიმეცნებთ იდეების სახით ზოგადია. ეს იმით აიხსნება, რომ იდეებში საგნის კონკრეტული წარმოდგენიდან მოცილებულია უკვე ყველაფერი, რაც მას ახასიათებს როგორც შეგრძნების ობიექტს. იმისათვის, რომ ავხსნათ მოცილების ეს ოპერაცია, უნდა დავუშვათ „მოქმედი გონება“ (არისტოტელეს *ψυχή*: *ψυχή* — გერგვარი ინტელექტუალური ნათელი, რომელიც „მსგავსად რენტკენის სხივებისა“, მიადგება რა ჩვენთვის ხატის (image) სახით წარმოდგენად ობიექტს, გამოპყოფს ჩვენი აზროვნებითი უნარისათვის რაღაცას, რაც მასში უკვე არსებულია, მაგრამ დაფარულია და რასაც თვით ხატი ვერასოდეს ვერ გავგვხსნიდა. ეს რაღაცაა ფორმა ანუ ინტელიგიბლური მსგავსება ობიექტისა, რომელიც, ასე ვთქვათ, აღიბეჭდება ინტელექტზე.

ეს შემეცნებითი ოპერაცია აბსტრაქციის ოპერაციაა. აბსტრაქცია თავისი საბოლოო პროდუქტის მიხედვით, სამგვარია (როგორც ამას თომაც ასწავლიდა) და ამ სამი დონის სხვაობა საფუძვლად ედება მეცნიერებათა კლასიფიკაციას: ა. განყენება ინდივიდუალური ობიექტისაგან. საგნის ვერც არსებობს და ვერც მოიაზრება მატერიის გარეშე (მაგ., კაცის ხორცის გარეშე ვერ მოიაზრება; ბ. განყენება საერთოდ გრძნობადი მატერიიდან აქცენება მოიაზრება უმატერიოდ, მაგრამ ვერ არსებობს უმატერიოდ. ამ რიგისა მათემატიკური აბსტრაქციები; გ. განყენება, სადაც ვიღებთ ისეთ ცნებებს, რომელნიც მოიაზრებიან კიდევ და არსებობენ კიდევ უმატერიოდ (ღმერთი, ანგელოზი...). ეს მეტაფიზიკური აბსტრაქციაა.

როგორც ამ გნოსეოლოგიური სქემის არაკრიტიკული და არამეცნიერული ხასიათი, ისე აბსტრაქციის საფუძვლების სამწევროვანი კლასიფიკაციის ხელოვნურობა აშკარაა. რა ვიცით ჩვენ, რომ ინდივიდუალური საგნის სუბიექტური ხატი, ჩემი გონების წინაშე მდგომი, და თვით ეს საგანი იდენტურია ან შესატყვისია? მარიტენის კონცეფციაში არ ჩანს არც ამ სიძნელის გაცნობიერება, არც საბუთი იმ უფსკრულის გადაღახვისათვის, რომელიც ამ ორ ოდენობას შორის არსებობს (დიალექტიკური მატერიალიზმისათვის აქ საბოლოო ჯამში გადამწყვეტია პრაქტიკის კრიტერიუმი).

როგორ ხდება ინდივიდუალური საგნიდან (კერძოდ, ჩვენი შეგრძნებების მიერ წარმოდგენილი მისი ხატიდან) მეთარის, არსებისულის გამოჩენვა ანუ, როგორც მარიტენი უწოდებს, საგნის „ონტოლოგიური ანალიზი“? თუ ვხელმძღვანელობთ მხოლოდ იმით, რასაც სქოლასტიკოსები და მათ შორის მარიტენი „ტოტალური აბსტრაქციის“ მეთოდს უწოდებენ (მრავლიდან საერთოს გამოყოფა), მაშინ უბასუხოდ გვრჩება კითხვა: რატომ ვარჩევ მე მრავალი ერთგვაროვანიდან მაინცდამაინც ამ საერთო ნიშნებს როგორც არსებითს და არა სხვას? (მაგ., პეტრედან და პავლედან — „გონიერებას“, „იარაღების მკეთებლობას“ და არა ტუჩის ფორმას, რომელიც ყველა ადამიანს საერთო აქვს?); თუ ვხელმძღვანელობთ „ფორმალური აბსტრაქციის“ მეთოდით (კერძომივე გავარჩევ არსებითს, ესენციისუფლს), მაშინ იბადება კითხვა: რა უფლებით გამოვყოფ

მე ამ ფორმას მოცემული ობიექტიდან და არა სხვას (მაგ., „კაცის“ ფორმას ჰეტერედან და პავლედან და არა „თეთრკანიანისას“?), ან როგორ გამოვყოფ ამ ფორმას, თუ წინასწარ არა მაქვს განსაზღვრული, რას ვთვლი არსებითად, მნიშვნელოვნად და თუ ამ გამოყოფაში ტოტალურ აბსტრაქციას (მრაველიდან საერთოს გამოყოფას) არ ვიშველიებ?

ცნებათა შემუშავების ბუნებრივი მექანიზმი, პოზიტიური მეცნიერების თვალსაზრისით, ჩამოთვლილ სიმნეღეთა გარეშე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. იმისათვის, რომ კერძოში დავინახოთ ე. წ. „ზოგადი“, ჩვენ მხოლოდ ინდუქციური მეთოდით ხელმძღვანელობა შეგვიძლია (ზოგადი არის მთელი სიმრავლისათვის საერთო), ხოლო განსაზოგადებელ საგანთა სიმრავლის (ანუ ცნების მოცულობის) გამოყოფა მხოლოდ საკლასიფიკაციო ნიშნის მზად ქონის პირობითაა შესაძლებელი. აქ გარდუვალია მანკიერი წრე. ახსნა მხოლოდ იმაში შეიძლება ვეძებოთ, რომ ფაქტობრივად ონტოგენეზშიც და ფილოგენეზშიც ობიექტთა საანალიზო სიმრავლის (ცნების მოცულობის) მოხაზვა და საკლასიფიკაციო ნიშნის მონახვა ერთად, პარალელურად ხდება: ერთ ნაბიჯს ვდგამთ სიმრავლის მოხაზვაში. მეორეს — ნიშნის დაზუსტებაში და ა. შ., ცნებას მოცულობის მოხაზვისას ჩვენ მისი მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ექვივალენტებით ვოპერირებთ.

რაც შეეხება აბსტრაქციის სამი საფეხურის გამოყოფას, რომელიც მარიტენისათვის მეცნიერებათა კლასიფიკაციის საფუძველია, ამ საფეხურთა საკლასიფიკაციო ნიშანი — „გრძნობადისაგან განთავისუფლება“ — აქ არარსებითია. აბსტრაქციის I და II საფეხურებზე მიღებული ცნებათა განსხვავება („ადამიანი“ აბსტრაქციის I საფეხურზე, „სამკუთხედი“ II საფეხურზე), რომელიც უმნიშვნელოვანეს სხვაობას იძლევა ამ ცნებათა შემდგომი მეცნიერული გამოყენების პროცესში („ადამიანის“ ცნობილი და ცნებაში ნაგულისხმევი თვისებებიდან შეუძლებელია მისი ახალი თვისებების დედუქცია, „სამკუთხედის“ ცნებიდან კი შესაძლებელია), იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი (მაგ., „ადამიანი“) ბუნებრივი განზოგადებით მიღებული ცნებებია და ნიშანთა უსასრულო რაოდენობას შეიცავენ, მეორენი კი მეცნიერული შეთანხმებით დადგენილი ცნებებია (მაგ., „სამკუთხედისა“) და ნიშანთა სასრულ რაოდენობას შეიცავენ. ამიტომ პირველნი არ იძლევიან ამომწურავ ცოდნას ობიექტზე, არამედ მხოლოდ შიგვანიშნებენ მოცემული ობიექტის გამოყოფას სხვა ობიექტთაგან (მათი განსაზღვრებისათვის ჩვენ მხოლოდ იმ ნიშნების ჩამოთვლა და, ამგვარად, ცნობიერების ნათელ არეში შემოტანა გვყოფნის, რომელიც საჭიროა ობიექტთა ამ კლასის გამოყოფისათვის გარე სინამდვილის სხვა ობიექტთაგან), მეორენი კი გვაძლევენ ამომწურავ ცოდნას ობიექტზე, რომლის (ამ ცოდნის) ნაწილი მოცემულია არაცხადი სახით და, ამდენად, შემდგომში დედუქციურ გამოყენებას ექვემდებარება (მაგ., პითაგორას თეორემა გამოიყენება მართკუთხა სამკუთხედის ცნებიდან). ესაა პრინციპული სხვაობა ერთი მხრივ, მეცნიერული შეთანხმებით დადგენილ ცნებებსა და მეორე მხრივ ბუნებრივად შემუშავებულ ცნებებს შორის; პირველებს ვერ აღმოუჩენთ ახალ ნიშანს, რომელიც შეთანხმებისას დადგენილ მის ნიშნებში იმპლიციტურად არ იგულისხმება; მეორეს ვერ აღმოუჩენთ ახალ ნიშანს, თუ მის მოცულობაში შემავალი საგანთა სიმრავლე ხელახლა არ შევამოწმეთ და მათში კიდევ ახალი საერთო ნიშანი არ დავადგინეთ („ადამიანის“ ცნებიდან ვერ გამოვიყვანთ ადამიანის ვერც ერთ ახალ ნიშანს, თუ ადამიანებზე ემპირიული დაკვირვება არ მოვახდინეთ). ბუნებრივად

4. „მაინე“, ფილოსოფიის... სერია, 1972, № 1.

შემუშავებულ ცნებათა ხსენებული თვისება მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ისეთ საგანთა კლასიფიკაციის ამოცანას მივადგებით, რომელნიც ჩვენს მიერ აქამდე გამოყოფილ კლასთა მიჯნაზე დგანან. მაგ., თუ აღმოვაჩინეთ არსება, რომელიც ზოგი ნიშნით ძალღსა ჰგავს და ზოგით — მგელს, ჩვენ ვერ შევძლებთ მის „ძალღად“ ან „მგლად“ ჩათვლას, სანამ ორივე ამ ცნების („ძალღი“, „მგელი“) მოცულობის ხელახალი ანალიზით ახალ განმარტებებულ ნიშნებს არ მივაგნებთ. თუ შეგვხვდა ადამიანის მსგავსი ფონიერი არსება, რომელიც იარაღს არ აკეთებს, ჩვენი „სალი აზრი“ მძაფრ წინააღმდეგობას გაუწევს მის ადამიანად არმიჩნევას და თუ, პირიქით, ჩვენ აღმოვაჩინეთ იარაღის მკეთებელი ცხოველი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს, ჩვენს საღ აზრს ვერაფრით ვაძილებთ, რომ იგი ადამიანად ჩათვალოს. მართალია, ზემოხსენებულის მსგავს ამოცანებს ჩვენ იშვიათად ვაწყდებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ ვაწყდებით.

როდესაც მარიტენი საგნის „ონტოლოგიურ ანალიზზე“ ლაპარაკობს, ე. ი. როცა ინდივიდუალურ საგანში მისი ინტელიგიბილური შინაარსის, მისი „ფორმის“ გამოყოფის შესაძლებლობას სცნობს, მას მხედველობაში აქვს სწორედ რეალური სამყაროს ის საგნები, რომელთა ცნებები ზემოხსენებული ბუნებრივი ფეხით გვაქვს გამომუშავებული და არა მათემატიკური ობიექტები, რომელთა ცნებების ნიშნები ჩვენ დადგენილი გვაქვს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე (მაგ., „სამკუთხედისა“). როგორც უკვე ითქვა, ამგვარი „ონტოლოგიური ანალიზი“ პრინციპში შეუძლებელია: „ფორმალური აბსტრაქციის“ პროცედურა „ტოტალური აბსტრაქციის“ გარეშე, როგორც ეს მარიტენს ჰსურს, აქ ვერ მუშაობს.

მარიტენის ხსენებული კონცეფციის, ისევე როგორც საერთოდ თომისტური გნოსეოლოგიის მეორე გადაულახავი სიძნელე იმაშია, რომ მისი ახსნითი აპარატი მთლიანად კონცენტრირებულია გრძნობადი ფენომენების შთაბეჭდილებათაგან ცნებათა გამომუშავების შემეცნების პროცესზე. ამგვარად, მას ყურადღების გარეშე რჩება მოვლენებში ერთგვარობის აღმოჩენის, სამყაროს კანონზომიერებათა დადგენის პროცესი, რომელიც ძირითადი შემეცნებითი პროცესია.

მარიტენი ბუნების ფილოსოფიას აფუძნებს, ერთი მხრივ, მისი საპირობების, მეორე მხრივ, მისი შესაძლებლობის დასაბუთებით. ბუნების ფილოსოფია, მისი თვალსაზრისით, წარმოადგენს ერთადერთ შესაძლო ტრამპლინს იმ ზღვარის გადალახვისათვის, რომელიც არსებობს მეტაფიზიკასა და ბუნების მეცნიერებას შორის და გადასვლისათვის ქვევიდან ზევით (მეცნიერებიდან მეტაფიზიკისკენ) და პირიქით. ბუნების ფილოსოფიის საგანია „არსი როგორც მოქარაი“ (კატანი XVI ს.). ამგვარად, ბუნების ფილოსოფია ფილოსოფიის ნაწილია, მაგრამ იგი არაა პირველი ფილოსოფია ანუ მეტაფიზიკა, რადგან არ ირკვევს არსს როგორც არსს, არსს „მის პირველ ინტელიგიბილურ იდეალებაში“. მისი საგანი, მოცულობის მხრივ, არის არსი, რომელიც ექვემდებარება ქმნადობასა და მოსპობას, სხეულთა გადაადგილებას სივრცეში, ურთიერთქმედებას და ვეგეტატიურ ზრდას, რომელშიც ცხადდება ასევე მატერიიდან სი-ცოცხლისაკენ² (J. Maritain. Philosophy of Nature, გვ. 120).

² თომა აქვინელი განურჩევლად ხმარობს გამოთქმებს „philosophia naturalis“, „Scientia naturalis“, „physica“.

ბუნების ფილოსოფია არის ყველაზე მდარე „სიბრძნე“ და, ამ აზრით, გადასვლა ბუნების მეცნიერებიდან, რომელიც არაა სიბრძნე, მეტაფიზიკისაკენ. მეტაფიზიკისკენ ასასვლელად ბუნების ფილოსოფია აუცილებელი საფეხურია. ამ აზრით, ბუნების ფილოსოფიის გარეშე არ იქნებოდა სპეკულატური მეტაფიზიკაც (ამ სახელის ქვეშ ავტორს, როგორც ჩანს, საერთოდ გარე სამყაროს განკერძოებით აგებული მეტაფიზიკა ესმის), არამედ „იქნებოდა მხოლოდ რეფლექსიური მეტაფიზიკა“ (ბრუნშვიკისა, ჰუსერლისა, ბერგსონისა, ეგზისტენციალისტებისა)³ ლოკიური წრე, რომელშიც, თითქოს ჩავევარდით ზემომოტანილი განსაზღვრებებით (მეტაფიზიკისათვის წინამძღვარია ბუნების ფილოსოფია. ამავე დროს, მეტაფიზიკა, როგორც უფრო მაღალი და ზოგადი სიბრძნე, წინამძღვარია ბუნების ფილოსოფიის დედუქციურად აგებისათვის) მოჩვენებითია. ეს ჩვენი გონების თავისებურებიდან გამომდინარეობს: რამდენადაც რეალურთან კონტაქტი მხოლოდ შეგრძნებათა გზით ვვაქვს, წმინდა ინტელიგიბილური შემეცნება და არამატერიალური სამყაროს წვდომა მხოლოდ მატერიალური სამყაროს წვდომის შემდეგ შეიძლება. ეს წვდომა სულაც შეუძლებელი იქნებოდა, გონებას რომ არ ჰქონდეს უნარი, გრძნობადში შერეული სახით გამოიყოს მისთვის საინტერესო ინტელიგიბილური ობიექტები, მათსადავე, მაღწიოს ცოდნას, რომელიც წინამოასწავებს (prefigures) მეტაფიზიკურ კეშმარიტებას. გრძნობადთან ამგვარი კონტაქტი რომ არა, მეტაფიზიკა უნაყოფოდ დავრდოდა შემეცნებელი და მნებებელი ინტელექტით შემოზღუდვამდე. მეორე მხრივ, ბუნების ფილოსოფიის შუამავლობის გარეშე მეტაფიზიკა ვერ განახორციელებდა თავის მარეგულირებელ როლს, — ვერ იქნებოდა „მბრძანებელი მეცნიერება“ (scientia rectrix) ბუნებისმეცნიერებათა მიმართ, მის გარეშე კი ამ უკანასკნელთ, მიუხედავად მათი უდიდესი მიღწევებისა, არ ექნებოდათ „მიმართულება და უფრო მაღალი შუქი, ვიდრე რაოდენობრივი და ემპირიული კანონებია“ (Philosophy of Nature, გვ. 123).

ბუნების ფილოსოფიის, როგორც სიბრძნის დარგის, არსებობის უფლება უნდა დამტკიცდეს მისი გამიჯნვით ერთი მხრივ მეტაფიზიკისაგან, მეორე მხრივ ბუნების მეცნიერებისაგან. პირველი გამიჯვნა შედარებით იოლია იმ მხრივ, რომ იგი თითქმის მუა ფორმით მოცემულია უკვე არისტოტელთან და თომა აქვინელთან, მეორე უფრო რთულია იმ მხრივ, რომ ძველებს არა ჰქონდათ ხელთ ის უდიდესი მარაგი ბუნების მეცნიერების მიერ გაწეული შრომისა, რომელიც ჩვენ ვვაქვს ხელთ, და ამიტომ მეცნიერებას ფილოსოფიაში თქვეფდნენ.

ინტელექტი ეძებს არსს, მისი თანდაყოლილი (connatural — „თანამობუნებე“) ობიექტია „არსი თავის ინტელიგიბილური აუცილებლობითა და სტაბილობით (Philosophy of Nature, გვ. 4—5). მეტაფიზიკის საგანი არისტოტელის შემდეგ არის ის, „რასაც გონება სწვდება როგორც ყველაზე შინაგანს და ფუნდამენტურს საგნებში და არა მათ გარეთ“. როგორც ეს აღმოაჩინა არისტოტელმა, ეს „ინტელიგიბილური ელემენტი არის სპირიტუალური ან კვაზისპირიტუალური კონკრეტული ერთეული (singular), ვინაიდან ფორმა, ზოგადად რომ ვთქვათ, არის ერთგვარი წინამომასწავებელი (foreshadow) იმისა, რაც ცოცხალ ორგანიზმში სულია, ხოლო ადამიანში — გონი“. ინტელიგიბილური ელემენტი არის „კონკრეტული ერთეული, რომელსაც ეწვდება ჩვენს გონებაში არსებუ-

³ Y. Simon. Maritain's philosophy of nature, გვ. 161. წიგნი J. Maritain. Philosophy of Nature.

ლი ზოგადი იდეის მეშვეობით“, მაგრამ თვით ეს ფორმა, რამდენადაც იგი ჩვენი გონებისგან დამოუკიდებლად არსებობს, კონკრეტულია, ერთეულია და გრძობადი სინამდვილის ნაწილია. „ამის შედეგად, გონების თვალთ, სანამ მიაღწევდეს ბუნებისეულ საგნებში არსს, როგორც არსს და მის წმინდა მეტაფიზიკურ ინტელიგიბილობას, უნდა მისწვდეს და შეუძლია მისწვდეს მასში ისეთ ინტელიგიბილობას, რომელიც გრძობადის სამოსელშია გამოწყობილი“ (Phil. of Nature, გვ. 10).

„ამგვარად, — წერს მარიტენი — ბევრად ნაკლებ ღრმა დონეზე ჩადებული საგნებში, ვიდრე არსი როგორც არსი (მეტაფიზიკის ობიექტი), გრძობადსა და ცვალებად სამყაროში ჩვენ გვეხსნება (aredisclosed). ონტოლოგიური სხვადასხვაობანი და სპეციფიკურ კანონთა მრავალგვარობა. ეს ონტოლოგიური სხვადასხვაობანი, ეს სპეციფიკურ კანონთა მრავალგვარობა ქმნის ობიექტს არა მეტაფიზიკისას, არამედ იმისას, რასაც არისტოტელე ფიზიკას უწოდებდა და ჩვენ „ბუნების ფილოსოფიას“ ვუწოდებთ (Phil. of Nature, გვ. 10—11).

როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან მეტაფიზიკისა და ბუნების ფილოსოფიის მეთოდი? მათი განსხვავება ხარისხობრივია, იგი მათი სიღრმის განსხვავებულობაში მდგომარეობს.

როგორც უკვე ითქვა, მარიტენი, თომადან და, განსაკუთრებით, კაეტანიდან (XVI ს.) გამომდინარე, არჩევს ორი სახის აბსტრაქციას: ტოტალურსა და ფორმალურს. პირველი მეცნიერებამდელია, მეორე დამახასიათებელია მეცნიერებისთვის აბსტრაქციის სამსავე საფეხურზე, რომ მეორე — მათემატიკურ-საფეხურზე იგი სახეზეა (დახატულ სამკუთხედში მის ფორმას გამოვყოფთ, ათ დადებულ ვაშლში — მათს რიცხვს), ისევე როგორც მესამე — მეტაფიზიკურ — საფეხურზე (გამოვყოფთ „სუბსტანციას“ „რომელობას“, „აქტს“, „ერთსა და მრავალს“ და სხვ.), ეს ცხადია. მაგრამ იგი პირველ საფეხურზეც გვაქვს, ე. ი. იქ, სადაც მატერიალური, გრძობადი ობიექტებიდან გამოვყოფთ მათს ცნებას, ამ შემთხვევაში ფორმალური აბსტრაქცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გამოვყოფთ საგანში მის არსს და ვიდრევეთ განსაზღვრებას (მაგ., ადამიანისთვის „გონიერი ცხოველი“ და არა „უთმო ორფეხი“ ან „მომეტაფიზიკოსე მაიმუნი“).

სხვადასხვა სპეკულატური მეცნიერებანი განსხვავდებიან ამ ფორმალური აბსტრაქციის (საგნის ინტელიგიბილური არსის განქვერცის) ხასიათით და არა საგნისადმი მიდგომის ზოგადობის ხარისხით. არსი, რომელიც მეტაფიზიკის ობიექტია, იმით განსხვავდება არსისაგან, რომელიც ბუნების ფილოსოფიის ობიექტია (არსი, როგორც მოძრავი და ცვალებადი), რომ პირველი უფრო ზოგადია: მაგრამ მეტაფიზიკისა და ბუნების ფილოსოფიის განსხვავებას ეს კი არა ქმნის, არამედ ის, რომ მათ სხვადასხვაგვარი ფორმალური აბსტრაქცია ახასიათებთ. მეტაფიზიკისა უფრო ღრმაა, იგი ეძებს „უფრო წმინდა ფორმას, აბსტრაქტიზირებულს მატერიისაგან, უფრო მაღალი ტიპის ინტელიგიბილურ რეალობას, რომელიც დაზემდებარებულია სხვა ტიპების მიმართ“. „მეტაფიზიკური დონის ინტელიგიბიოები არიან მარეგულირებელი (regulative) ფორმები ფიზიკისტიკის (ბუნების ფილოსოფიის) ობიექტთა მიმართ“. აქედან გამომდინარეობს სწორედ, რომ მეტაფიზიკას, მათემატიკის მსგავსად, აქვს „რეგულაციური ფუნქცია ბუნების მეცნიერებათა მიმართ“, ვინაიდან მისი ობიექტი არის წმინდა აბსტრაქცია მატერიალური პირობებისაგან (Phil. of Nature, გვ. 22).

ბუნების ფილოსოფიის შესწავლის ობიექტი არის გრძობადი სამყარო. ეს ობიექტი მას ბუნების მეცნიერებასთან საერთო აქვს. რა ასხვავებს, შესწავლის

ობიექტის ერთობის მიუხედავად, ბუნების მეცნიერებას ანუ ემპირიოლოგიურ მეცნიერებას ერთი მხრივ, და ბუნების ფილოსოფიას მეორე მხრივ? სქოლასტიკურ ცნებათა და შეხედულებათა რთული სისტემის გამოყენებით, რომლებიც მეცნიერულ დისციპლინათა კლასიფიკაციის პრინციპებსა და ნიშნებს ეხება, მარიტენი მათ სხვადასხვაობას და მათ ურთიერთშემავსებლობას ასაბუთებს.

1. ისინი განსხვავდებიან ანალიზისა და ცნებათა კონსტრუირების წესით. ემპირიოლოგიური ანალიზი დაკვირვებადით იწყება და დაკვირვებადით მთავრდება. ყოფიერება მისთვის არის მხოლოდ უცნობი, რომელიც გარკვეული გრძნობადი განსაზღვრულობებისა და გაზომვების კონსტანტობის გარანტიას იძლევა. ასეთია, მაგალითად, ანალიზი, რომელსაც ამ ქიმიური ნივთიერების ცნებასთან მიეყავართ. ემპირიოლოგიური ანალიზი, სადაც რაობას, არსებას (quiddity, essence) გაზომვისა და გრძნობადი ვერიფიკაციის მუდმივი შესაძლებლობა ცვლის, ეწინააღმდეგება ადამიანის გონების ბუნებრივ მიღრეკილებას, რომელიც არსებების, ესენციების ალიარებისკენ მიისწრაფის. გონების ამ ბუნებრივი ტენდენციის დათრგუნვას ბუნების მეცნიერებაში მარიტენი „გონების ასკეზს“ უწოდებს.

დაკვირვებადობა, რომელზედაც ელაპარაკობთ ემპირიოლოგიური ანალიზის დახასიათებისას, არ ნიშნავს მხოლოდ პირდაპირ დაკვირვებადობას, წარმოდგენადობას. მეცნიერების ზოგიერთ დარგში, მაგ., კვანტურ მექანიკაში საქმე გვაქვს არაწარმოდგენადობიანობასთან და მიმართებებთან, რომელნიც, მიუხედავად ამისა, დაკვირვებადის (არაპირდაპირი დაკვირვებადის) ფარგლებში რჩებიან.

არსებას, სუბსტანციას, მიზეზებს ემპირიოლოგიური ანალიზი სწვდება, მაგრამ სწვდება მხოლოდ „ირიბად“ და „ბრმად“, სუბსტიტუტების (substitutes „შემცვლენი“) მეშვეობით, რომელნიც მითებსა და სიმბოლოებს წარმოადგენენ (Phil. of Nature, გვ. 78).

ონტოლოგიური ანალიზი აგრეთვე გრძნობადით იწყება, მაგრამ არსებობს, ესენციისკენ, ინტელიგიბილურისკენ მიდის. იგი არ კითხულობს, თუ რა გრძნობადი, დაკვირვებადი, გაზომვადი თვისებები აქვს საგანს, არამედ იმას, თუ რა არის საგანი. ამ ანალიზით მიღწეული ცნებების რიცხვში (აბსტრაქციის პირველი საფეხურისთვის) შედის ოთხი მიზეზის, ტრანსიტიული და იმანენტური ქმედების. სხეულებრივი სუბსტანციის, კვალიტეტის, ოპერაციული ძალების ცნებები. მისით მიღებული ცნებები არაწარმოდგენადია (მაგ., „ფერი“) და დროულ-სივრცული დიაგრამით არაგამოსახვადი. მიუხედავად ამისა, მათში (ამ ცნებებში) აუცილებლად შედის, როგორც მათი დეფინიციის ნაწილი, რაღაც გრძნობადი ცდის მონაცემები (მაგ., „ფერს“ ვერ გავიგებთ, თუ არ გვინახავს). ონტოლოგიური ანალიზით მიღწეულ ცნებათა ეს უკანასკნელი თვისება არ მოასწავებს იმას, რომ ცნებებით აღნიშნული ეს შინაარსი საგანთაგან განზოგადების შედეგია: მარიტენის საერთო რეალისტური წინამძღვრებიდან გამომდინარე, ამ ცნებათა შინაარსი უნდა გავიგოთ როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი ინტელიგიბილური ობიექტი, რომლის წვდომისთვისაც გრძნობადი მხოლოდ იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც საქმე ჩვენს ადამიანურ შემეცნებით ძალებს ეხება. „წმინდა გონებებს, ისევე როგორც ადამიანებს აქვთ ფერის ცნება, მაგრამ იგი შეგრძნებებიდან არ მიუღიათ“ (Phil. of Nature, გვ. 81).

ონტოლოგიური ანალიზი, ემპირიოლოგიურისგან განსხვავებით, „პატივს სცემს გრძნობად აღქმას“. თუ ემპირიოლოგიურ ანალიზში, განსაკუთრებით

ფიზიკა-მათემატიკურ კვლევაში, ჩვენს შეგარძნებებს უნდაზღობას ეუცხადებთ და მათ ვიყენებთ მხოლოდ არაპირდაპირ, ხელსაწყობების მეშვეობით, ონტოლოგიურ ანალიზში „გრძნობადი ინტუიცია“ — ჩვენი შეგარძნებების ჩვენებათა უშუალო შედეგი — მონაწილეობს გონების „მოძრაობაში ინტელიგიბილურის-კენ“. ამგვარად, შეგარძნებათა ჩვენებას აქვს „ბუნდოვანი სპეკულატური ღირებულება“. იგი „რეალურის ბუნდოვანი წედომის“ საშუალებაა (როგორ ხდება ეს „ბუნდოვანი წედომა“, ამის შესახებ ავტორი დუმს). ონტოლოგიური ანალიზისათვის, რომელიც ეძებს „არსებას უპირველეს ყოვლისა“, გრძნობადი მონაცემები არის მხოლოდ „საშუალება არსების აღნიშვნისათვის“ და არა განსაზღვრებისა და ცნების „არსებითი ელემენტები“, როგორც ემპირიოლოგიური ცნებისათვის.

ემპირიოლოგიურ ანალიზს დამავალი ეწოდება, ონტოლოგიურს — აღმავალი; იმის შესაბამისად, თუ რომელ საბოლოო დაუყვანელ ცნებებამდე მიდის ანალიზი ერთ ან მეორე შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ცნებათა თანმიმდევარი განსაზღვრებით (სახე თავისი გვარისა და differentia specifica-ს მიხედვით, შემდეგ ეს გვარის თავისი გვარის მიხედვით და ა. შ.) ჩავალთ გრძნობადი ცდის რაღაც მონაცემთან, რომლებიც პირველადი გრძნობადი ინტუიციის შედეგია. მეორე შემთხვევაში ავალთ უფრო და უფრო მაღალ ინტელიგიბილურ ობიექტებამდე თვით „არსის“ ჩათვლით.

ამ უქანასკნელ საზომს — აღმავალი და დამავალი ანალიზის სხვაობას, „ცნებათათიზოლოგიას“ თომისტურ აზროვნებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მარტივნიც კომენტატორი-სიმონი ამ საზომს ბუნების ფილოსოფიის ცნების დეფინიციისთვისაც კი იყენებს. „ბუნების ფილოსოფია შეიძლება განისაზღვროს როგორც ფიზიკალურის ისეთი განხილვა, რომლის ცნებათა არსენალი (conceptual instruments) მოითხოვს აღმავალ ანალიზს, პოზიტიური მეცნიერება — როგორც ისეთი, რომელიც მოითხოვს დამავალ ანალიზს“ (Simon. op. cit).

განვიხილოთ ამ ორი სახის ანალიზის მავალითი. „კაცი“ შეიძლება განისაზღვროს ორგვარად: ა) გონიერი ცხოველი. არცერთი ელემენტი ამ განსაზღვრებისა არ არის „დაუყვანელი“. განვსაზღვრავთ „ცხოველს“. ესაა „ცოცხალი სხეული, რომელსაც აქვს გრძნობადი შემეცნება“. განისაზღვრება „ცოცხალი“ როგორც „თვით — აქტუაციის“ მქონე. მაგრამ ეს უკვე მეტაფიზიკური ცნებაა: მისი ელემენტებია: „იდენტობა“ და „კაუზალობა“. ამათგან პირველი არის არსის პირველი თვისება (property), მეორე გაანალიზდება „პოტენციისა“ და „აქტის“ ცნებათა მოშველიებით. ესენიც, საბოლოოდ „არსზე“ დაიყვანებიან, რომელიც, აბსოლუტური აზრით, არის „პირველი და ყველაზე ინტელიგიბილური ყველა ცნებათა შორის“. ასე მოვედით ანალიზის საბოლოო პუნქტთან. ბ) კაცი არის „ძუძუმწოვარა პრიმატთა კლასიდან“. „ძუძუმწოვარა“ არის „ხერხემლიანი, რომელსაც აქვს „რქე“. „რქეს“ განვსაზღვრავთ მისი შემადგენლობით (ცხიმი, წყალი და სხვ.) და ა. შ. საბოლოოდ ჩავდივართ გრძნობად მონაცემებზე, რომლებიც ინტუიციის ობიექტი არიან, ამ ინტუიციას ვერავითარი ლოგიკური კონსტრუქცია ვერ შეცვლის: ამ მონაცემთა ცნებებს პოზიტიურ მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ მათი არსებობის შესაძლებლობის დადასტურება გრძნობადი ცდის საშუალებით.

„ონტოლოგიური ანალიზის“ ამ ნიმუშის მოყვანა მის გასარჩევად „ემპირიოლოგიურისაგან“ შემთხვევითი არაა: მეთოდთა ზემოხსენებული სხვაობა

ყველა ცნების ანალიზისას ვერ დასტურდება. მართლაც, ცნების დეფინიციის იმ პროცესის ანალიზში, რომელიც განვიხილეთ, დაშვებულია უზუსტობა: სხვაობა, რომელსაც ორი მოყვანილი ანალიზი შეიცავს და რომელიც ავტორს არსებითად მიაჩნია, ანალიზის მეთოდის თვისებიდან კი არ გამომდინარეობს თავისთავად, არამედ თვით საანალიზო ცნების შინაარსის გარკვეული ელემენტებიდან. როგორც არ უნდა განვსაზღვროთ „ადამიანი“ — ფილოსოფიურად თუ ზოოლოგიურად, — თუკი აქ ნებისმიერობას არ გამოვიჩინოთ, ანალიზის რომელიღაც საფეხურზე მივადგებით „ცოცხლის“ ცნებას — ერთადერთს ავტორის მიერ მოყვანილ ცნებებში, რომელიც აუცილებელია „ადამიანის“ ცნების ანალიზისას და ამავე დროს ერთგვარ ონტოლოგიურ მომენტსაც შეიცავს: მისი შინაარსის ერთ-ერთი ელემენტი — სიცოცხლე — თავისთავად გულისხმობს ონტოლოგიურ პრობლემას. ამგვარად, აქ საქმე დეფინიციის წესს კი არ ეხება, არამედ განსასაზღვრავი ცნების შინაარსს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, „აღმავალი ანალიზი“ ჩავატაროთ. თუ ჩვენი ინტერესის მიმართულება სხვა არის, — არც ფილოსოფიურია, არც ბიოლოგიური — შეიძლება იგივე „ადამიანი“ განვსაზღვროთ, როგორც „მთვლელი მანქანა, რომელაც შეიცავს ნახშირწყლებს“, მაშინ „ნახშირწყლების“ ანალიზით გრძნობად მონაცემებთან ჩავალთ, ხოლო „მთვლელის“ ანალიზით მათემატიკურ ცნებებამდე მივალთ.

2. „ადამიანის“ ცნების მოყვანილი ანალიზი, ჩვენი გონების დიანოეტური („მიდმოგონებით“) აქტის — „დიანოეტური ინტელექციის“ ჩაგალითია. ესაა „გონების ისეთი აქტი, რომელიც შეაღწევს არსებაში და დაადგენს, თუ რა არის საგანი“ (Simon. op. cit. გვ. 170). ამ შემთხვევაში მიუხედავად ტერმინ „დიანოეტურის“ ეტიმოლოგიისა, ხაზი ესმის არა იმას, რომ ამგვარი ინტელექციონ საფეხურებრივად, ლოგიკურ ოპერაციათა თანმიმდევრობით ზდება (ე. ი. არაა „ნოესისი“, უშუალო წედომა), არამედ თვით ფაქტს, რომ ესაა ესენციის, არსების წედომა, თუმცა იგი „არაამომწურავია და არაინტუიტური“. ასეთი წედომაც (როგორც „ადამიანის“ ესენციას მივწვდით) გონების „ოშვიათი ტრიუმფია“. მას უპირისპირდება ბუნების მეცნიერებისთვის დამახასიათებელი „პერინოეტური ინტელექცია“. გონების ამ აქტისას ჩვენ ვერ შევდივართ ფიზიკური ობიექტების არსებაში, ვერ ვიგებთ მათს რაობას, არამედ ვკმაყოფილდებით იმით, რომ ვასხვავებთ ერთიმეორისაგან გრძნობად ობიექტებს, მათს არსებას „შემოწერთ“ დაკვირვებად რეგულარობათა მყარი ანსამბლის სახით“ (Simon. op. cit. გვ. 170). მაგ., ჩვენ არ ვიცით, რაა ელემენტი „ვერცხლი“ — იმ მრავალრიცხოვან პრედიკატთა სუბიექტი, რომელსაც ბუნების მეცნიერება გაზომვის გზით ადგენს (დნება ამ ტემპერატურაზე, კუთრი წონა ესა აქვს და ა. შ.) — არ ვიცით, თუმცა ეს რაღაც, ეს ინტელიგიბილური ობიექტი არ არის ფიქცია. ანგელოზმა იცის, თუ რა არის ვერცხლი. ზუსტი მეცნიერება ყველა ამ პრედიკატთა დადგენის გზით „შემოსწერს“ ამ ესენციას, რომელიც (და სხვა არაფერი და არაფინი) აძლევს ამ მეცნიერებას საშუალებას, გასცდეს შიშველ ემპირიზმს და მეცნიერება იყოს. ამ „შემოწერით“ ზუსტი მეცნიერება გაურკვეველად პხედება (grasps) ამ ესენციას — ამ ონტოლოგიურ იქსს. ემპირიოლოგიური მეცნიერება როგორც მეცნიერება, ამგვარად, მხოლოდ რეალისტურ ფილოსოფიურ ბაზაზეა შესაძლებელი და მარიტენის ეს თეზისი, ა. სიმონის მტკიცებით, არის მისი (ამ მეცნიერების) პირველი ფილოსოფიური გამართლება, რომელიც თავისუფალია კანტისებური „იდეალიზმისაგან“ გონების მოქმედების გაგებაში.

როგორც თვით მარიტენი, ისე მისი აღიარებული კომენტატორი (სიმონი, როძლის წერილი მარიტენის „ბუნების ფილოსოფიის“ ინგლისურ გამოცემას დაერთო), ბუნების მეცნიერული შემეცნების ზემოხსენებული პროცესის ანალიზისა და აღწერისას უხვად იყენებენ გამოთქმის მეტაფორულ ფორმას. ეს მეტაფორული აღწერა მიგვანიშნებს, რომ ემპირიოლოგიური გზით მიღებული ცოდნა მხოლოდ მი გ ვ მ ა რ თ ა ვ ს ფიზიკურ სამყაროში იმანენტურ ინტელიგიბილურ ტიპთა შემეცნებისაყენ, ახლოს მიყვავართ ამ ტიპებთან, გვიჩვენებს ადგილს, სადაც უნდა ვეძიოთ ისინი (შდრ. არისტოტელის „უეპავოგე“), მაგრამ მაინც ბრმა, „ბუნდოვანი“ რჩება. ამ მეტაფორული ფორმის დონეს არგუმენტაციის სიზუსტე აქ არ სცილდება. საკითხი — რას ნიშნავს ეს „ბრმა“ „ბუნდოვანი“ ცოდნა? ცნების ნიშანთა არასრულ ცოდნას გვაძლევს იგი თუ მისი მოცულობისას? როგორ ხდება გადასვლა (და, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა იგი) ცნების ამ სუროგატიდან საკუთრივ ცნებაზე? — აქ უპასუხოდ რჩება.

რატომ არის ეს ბრმა ცოდნა მეცნიერება? ყოფიერების საყოველთაო და აუცილებელ ფორმებს — ინტელიგიბილურ ტიპებს რომელთაც გონება „ჰხედება“ (თუმცა „ბრმად“, „ბუნდოვნად“) პერინოეტურ ინტელექციაში — შეიძლება მიეყენოს მიზეზობრივი და ახსნითი საქმეები. მაშასადამე, ისინი მეცნიერული მიდგომის საგანი არიან. საყოველთაობა და აუცილებლობა აქ, როგორც ჩანს, იმას გულისხმობს, რომ, მაგალითად, ყოველივე იმას, რასაც კუთრი წონა და სხვა მახასიათებლები ვერცხლისა აქვს, დნობის ტემპერატურაც ვერცხლისა ექნება. ეს თვისი ნიშნავს პოზიტიური მეცნიერების ცნობას. მაგრამ იგი არ შეიცავს პოზიტიური მეცნიერების დასაბუთებას, თუ არ ჩაზევლით ასეთად იმის დასაბუთებას, რომ მასზე უფრო „მაღალი“, მარიტენის მიერვე კონსტრუირებული „ბუნების ფილოსოფია“ გრძნობად სინამდვილეს მის ყველა დეტალებში ვერ ამოსწურავს. პოზიტიური მეცნიერების უარყოფა შეუძლებელია — ეს თვალსაჩინოა. მაგრამ მისთვის ადგილის დატოვება „ბუნების ფილოსოფიის“ გვერდით არ წარმოადგენს საკმაო საფუძველს ამ უკანასკნელისთვის ადგილის გამოსაყოფად შემეცნების სისტემაში.

თუ მარიტენის მოძღვრება „ბუნების ფილოსოფიის“ საჭიროების შესახებ, ისევე, როგორც მისი ფილოსოფია საერთოდ, თავის მთავარ მოწინააღმდეგედ გულისხმობს პოზიტივისტურ თვალსაზრისს, მისი მოძღვრების მეორე მხარე — ემპირიოლოგიური მეცნიერების თავისებური დაფუძნება — მოწინააღმდეგედ გულისხმობს „იდეალიზმს“ — „წმინდა გონების კრიტიკას“ მისგან მომდინარე ფილოსოფიური ტრადიციითურთ, რომლის თანახმად ბუნების მარგანიზებელი პრინციპები ბუნებაში კი არ არის, არამედ გონებაშია. ამ იდეალიზმის დაძლევის მარიტენისეული ცდა რეალისტურია — იგი უპასუხოდ ტოვებს კანტის კრიტიკას და ბუნების ობიექტთა ინტელიგიბილური ესენციების ჩვენი გონებისგან დამოუკიდებელი არსებობის პოსტულატს ემყარება.

ემპირიოლოგიური მეცნიერება — თავისი ბუნებით ინდუქციური — „ექვემდებარება“ (ე. ი. მისგან თავის ამოსავალ პრინციპებს სესხულობს) რომელსავე დედუქციურ მეცნიერებას — ან ფილოსოფიას (ონტოლოგიას) ან მათემატიკას (სხვა წმინდა დედუქციური მეცნიერებანი არ არსებობს). ის ემპირიოლოგიური მეცნიერებანი, რომელნიც მათემატიკურ აპარატს იყენებენ, ანუ ემპირიოლოგიური მეცნიერებანი, ქმნიან გრძნობადის ამხსნელ ერთგვარ დედუქციურ სისტემას, რომელიც ოპერირებს მათემატიკური გონებრივი წარმო-

ნაქმნებით (*entia rationis*)⁴, ესენი არ არიან ონტოლოგიური ოდენობანი — *entia realia* (ნამდვილი არსებულნი), — გრძნობადის ნამდვილი მიზეზები და პრინციპები. ამგვარად, იქმნება საშიშროება, რომ მათემატიკა ბუნების ფილოსოფიას ცვლის ზუსტ მეცნიერებებთან მიმართებაში, მას ზედმეტად ხლის. ესაა მათემატიკური ფსევდოონტოლოგია. მაგრამ ნამდვილად მას მხოლოდ მეთოდოლოგიური ღირებულება აქვს მოცემული ზუსტი მეცნიერებებისათვის; როგორც ამხსნელი სისტემა, იგი აწყდება „ირაციონალური ელემენტების მნიშვნელოვან მარაგს (*residue*)“ მოცემული მეცნიერების შიგნით. ესაა პირველადი, მეცნიერებამდელი ონტოლოგიური ზასიათის წანამძღვრები, რომელნიც მონაწილეობენ ჩვენი ყოველგვარი ცოდნის აგებაში, და გრძნობადის ზემოხსენებული „პირველადი ინტუიციები“, რომელთაც ემპირიოლოგიური მეცნიერება საერთოდ ვერ ასცდება. ემპირიომეტრიული ანალიზი, „მიისწრაფის ფილოსოფიური მათემატიზმისაკენ“ და საშიშროება იმაშია, რომ ამ სწრაფვაში შეიძლება ნამდვილი, ფილოსოფიური ონტოლოგია მიგვაეწოდეს.

თეზისი — „ბუნების მეცნიერება და ბუნების ფილოსოფია, რომელთაც ობიექტი ერთი აქვთ (გრძნობადი სამყარო) ერთმანეთს საპირობენ და ავსებენ“, — იყოფა ორ ნაწილად. ამ თეზისის პირველი ნაწილი — ბუნების მეცნიერება საპირობებს მეტაფიზიკას“ — საბუთდება შემდეგნაირად: წინააღმდეგ პოზიტივიზმის პრეტენზიისა, ცოდნის სისტემა მეტაფიზიკური ცნებების მოშვებით აღივსება ავგოს, ფაქტია, რომ ბუნების მეცნიერება ამ ცნებათა და თეზისთა გარეშე ვერ არსებობს. ბუნების მეცნიერება „გულისხმობს“ ონტოლოგიურ ტენდენციას და როგორც ონტოლოგიურ, ისე გნოსეოლოგიურ წანამძღვრებს (მაგ., რომ საგანი არსებობს, რომ ჩვენს გონებას შეუძლია მისი შეცნობა და სხვ.), მაგრამ თვითონ ამ ტენდენციას ვერ აკმაყოფილებს. იგი გამიზნულია რეალურისკენ, მაგრამ უნდობლობას უცხადებს მას (რეალურს, ინტელიგიბილურს) ვითარცა დაუკვირებადს და უბრუნდება დაკვირებადსა და გაზომვადს, ე. ი. გრძნობადს, რითაც თრგუნავს გონების ბუნებრივ მიდრეკილებას „არსებათა“ უტყვევლ იმანენტურ ტიბთა ცნობისაკენ (ამას მარიტენი უწოდებს „გონების ასკეზს“, რომელიც დამახასიათებელია ზუსტი მეცნიერებისათვის); მამასადამე, იგი მოითხოვს შევსებას სხვა ცოდნით ამავე ობიექტზე (გრძნობად სამყაროზე), კერძოდ — ონტოლოგიური ცოდნით, ბუნების ფილოსოფიით.

აქ მარიტენის დასკვნა არ გამომდინარეობს მის ხელთ მყოფი წანამძღვრებიდან. თუ ბუნებისმეცნიერებისთვის გარდუვალია ონტოლოგიური (და გნოსეოლოგიური) წანამძღვრების ქონა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს წანამძღვრები აუცილებლად მისსავე ობიექტს უნდა ეხებოდეს, ოღონდ მიღებული უნდა იყოს სხვაგვარი მეთოდის შედეგად. მართლაც, იმ ფაქტიდან, რომ ბუნების მეცნიერება ფილოსოფიური წანამძღვრების გარეშე წარმოუდგენელია, გამომდინარეობს ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის კანონიერება და არა ბუნების ფილოსოფიისა — სხვა სიტყვებით, ბუნების მეცნიერების ფილოსოფიური დაფუძნების, მისი გნოსეოლოგიური პირობებისა და საზღვრების მოხაზვის საპირობება. ასეთი დისციპლინის შესაძლებლობა შეიძლება მტკიცდებოდეს მხოლოდ ინდუქციურად — იგი მართლაც, მტკიცდება კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“, რასელის და უაიტჰედის *principia mathematica*-ს და ამ დარგისადმი მიძღვნილ

⁴ უფრო ზუსტად, ესენი არიან *entia rationis cum fundamento in re* „გონების—წარმონაქმნები“, რომელთაც აქვთ საფუძველი საგნებში.

სხვა გამოკვლევათა არსებობის სახით, სადაც გამოთქმულია თეზისები ამ სფეროდან. იმის დამტკიცება, რომ გრძნობადი სინამდვილის ონტოლოგიური შესწავლა ანუ „ბუნების ფილოსოფია“ შესაძლებელია, მხოლოდ ინდუქციური გზით — ამ სფეროში თეზისთა გარკვეული სიმრავლის წამოყენებისა და დასაბუთების გზით შეიძლება.

მარიტენის თეზისის მეორე ნაწილი — „ბუნების ფილოსოფია საჭიროებს შევსებას ბუნებისმეცნიერებით“ — ასე საბუთდება. ბუნების ფილოსოფია „დედუქციური ცოდნა“, რომელიც „არსის პრინციპებს და ინტელიგიბილურ აუცილებლობებს მიაწერს თავის ობიექტებს იმ ზომით, რა ზომითაც მათი კონსტიტუცია (იგულისხმება: ინტელიგიბილური კონსტიტუცია — ნ. ნ.) დაიჭირა (Phil. of Nature, გვ. 95). მისი საგანია „უწყვეტის (Continuum), რიცხვის, რაოდენობის, სივრცის, მოძრაობის, დროის, სხეულგებრივი სუბსტანციის, ტრანზიტული შოკმედების, მცენარეული და სენსიტიური სიცოცხლის ბუნება“. ბუნების მეცნიერების დახმარება მას სჭირდება იმდენად, რამდენადაც მისი მეთოდი მეტისშეტად კერძო ობიექტებს ვერ მისწვდება, რამდენადაც ჩვენ არ შეგვიძლია, „არსება მისი საბოლოო სპეციფიკური განსაზღვრულობებით“ განვეკრიტოთ „ადაშიანზე და ადამიანურზე“ დაბლა მდგომ გრძნობად რეალობებში. ჩვენი ზემოხსენებული შესაძლებლობები ვრცელდება მხოლოდ „უკიდურესად ზოგად რეალობებზე“, როგორცაა ვეგეტატიური და სენსიტიური სიცოცხლის დაპირისპირება, სიცოცხლისა და უსიცოცხლო მატერიის დაპირისპირება და მათი მსგავსი. ჩვენ არ შეგვიძლია უფრო კერძო ობიექტთა სპეციფიკურ სხვაობებსა და ურთიერთგანსხვავებებს ვწვდეთ, ე. ი. აღმოვაჩინოთ მათი არსება იმავე დედუქციური წესით. აქ ჩვენ „ბრმა“ და „ნიშნებზე“ დამყარებული გაგების ანუ ბუნების მეცნიერების იმედზელა ვართ.

როგორც ვხედავთ, აქ ბუნების მეცნიერებისა და ბუნების ფილოსოფიის სფეროებს უკვე ობიექტის მიხედვითაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან. პირველი უფრო კერძო ობიექტებს მოიცავს, მეორე — უფრო ზოგადს; მაგრამ ეს ვერ ცვლის იმ ფაქტს, რომ ბუნების ფილოსოფიის დაფუძნებას მის მიერ მოპოვებული თეზისების არსებობა სჭირდება. ამასთან ერთად უნდა საბუთდებოდეს ამ თეზისთა დამოუკიდებლობა, ბუნებისმეცნიერებისაგან, მათი მოპოვების დედუქციური გზა. ეს მარიტენის მსჯელობაში არაა და, ამდენად, მის მიერ პრობლემათა კლასიფიკაცია, — ერთი მხრივ, „დიდი“, „ზოგად“, ბუნების ფილოსოფიისეულ პრობლემად, მეორე მხრივ მცირე, კერძო, ბუნებისმეცნიერებისეულ პრობლემად — არამყარია, მოკლებულია ზუსტად ჩამოყალიბებულ საკლასიფიკაციო ნიშანს.

ემპირიოლოგიურ ანუ ბუნების მეცნიერებებს მარიტენი ორ ჯგუფად ყოფს: მათემატიკური აპარატის მქონეებს იგი „ემპირიომეტრიულს“ უწოდებს, ხოლო იმ ბუნების მეცნიერებებს, რომელნიც მათემატიკურ დედუქციაზე არ არიან ორიენტირებულნი (ბიოლოგია, ფსიქოლოგია) — „ემპირიოსქემატურს“, რადგან მათი ცნებები, რომლებიც განისაზღვრება „გარკვეული შესაძლებელი გარეგანი და შინაგანი დაკვირვებების ტერმინებში“, წარმოადგენენ სქემებს, რომელნიც ემპირიული მახასიათებლებისა და გრძნობადი განსაზღვრულობების (determinations) გარკვეულ რიცხვს შეიცავენ. მეორენი მიისწრაფიან ფილოსოფიისკენ (ბუნების ფილოსოფიისკენ და მის იქით — მეტაფიზიკისკენ) როგორც ამხსნელი დედუქციური მეცნიერებისკენ, პირველნი — მათემატიკისკენ. ემპირიომეტრიულ, მაგ., ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებებზეც ვრცელდება

„დამავალი ანალიზის“ წესი, რომელიც დამახასიათებელია ყველა ბუნების მეცნიერებისთვის, ოღონდ საბოლოოდ ისინი მიდიან არა გრძნობად მონაცემებთან საერთოდ, არამედ, კერძოდ, ვაზომვად გრძნობად მონაცემებთან. ფიზიკა, თავისი მათემატიკური აპარატის წყალობით, გარკვეული აზრით, განურჩეველია სინამდვილის მიმართ და კონფლიქტში მოდის — „სალი აზრის“ შემადგენელ ნაწილთან — არა მარტო მის „ხატებთან“ (imagery), არამედ მის „რულიმენტულ“ ონტოლოგიასთანაც“ (მაგ., საღ აზრს ვერ წარმოუდგენია ერთდროულობის ცნების რელატივობა). ემპირიოსქემატური მეცნიერებანი, პირიქით, მიიღებენ ნამდვილი, ფილოსოფიური ონტოლოგიისკენ, რომელიც რეალურ მიზეზებსა და საწყისებს ეხება. მათი ანალიზი ექსპერიმენტულია, მაგრამ მაინც „ტიპოლოგიურია“ (ბრტყალბში) ე. ი. ფორმალური აბსტრაქციის მომხდენია და არა ტოტალურისა. ეს იმას ნიშნავს რომ იგი ისწრაფის ინტელიგიბილური ტიპების აღმოჩენისაკენ, მაგრამ იგი თავისი ექსპერიმენტული ხასიათის გამო მაინც არ იქცევა ნამდვილ ტიპოლოგიურ ანალიზად, რომელიც ონტოლოგიის კუთვნილებაა.

ემპირიოსქემატური და ემპირიომეტრული მეცნიერებანი განსხვავდებიან ერთიმეორისგან ბუნების ფილოსოფიასთან დამოკიდებულების მხრივ. როგორც უკვე ვთქვით, ემპირიოლოგიური დისციპლინები და ბუნებას ფილოსოფია ერთნი არიან შესასწავლი ობიექტის (გრძნობადი სამყაროს) მიხედვით. მაგრამ მათ ერთი არა აქვთ სხვა განზომილება, რომელიც ისევე შესამეცნებელ ობიექტთანაა დაკავშირებული და რომელსაც მარტენი, სქოლასტიკური ტერმინოლოგიის თავისებური თარგმნით, ობიექტის „ინტელიგიბილობის გამოწვევ ხასიათს“ (intelligibility — appeal) უწოდებს. ესაა შესამეცნებელი ობიექტის ის ასპექტი, — უფრო კერძოდ, მისი ის ინტელიგიბილური ასპექტი, რომლითაც იგი შემეცნებელ გონებას წარმოუდგება. ამგვარი ასპექტის თვალსაზრისით, ემპირიომეტრული და ემპირიოსქემატური მეცნიერებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ორივე ერთად — ბუნების ფილოსოფიისაგან. რომ მოვიკლოთ სქოლასტიკური ტერმინოლოგია, რომელთანაც მარტენს ჩვეულებრივ მიჰყავს ხოლმე თავის მიერ გამოყენებული ცნებათა არსენალი, ეს თეზისი შემდეგს ნიშნავს: ემპირიოსქემატური მეცნიერებისთვის, — თუმც კი იგი ისევე ცდილობს საგანთა არსების ანუ მათი ინტელიგიბილური რაობის დაჭერას, როგორც ბუნების ფილოსოფია და განსხვავდება მისგან მხოლოდ აბსტრაქტიზმისა და განსაზღვრის წესით, ანუ, მარტენის ტერმინოლოგია, რომ ვინმართ, ანალიზის „ობიექტური შუქით“, — მისი ობიექტი (გრძნობადი სინამდვილე) ჩანს თავისი „ფენომენალობის“ ასპექტით, რომელიც, თავისთავად, ინდუცირებულია, მეორადია (ფენომენი ხომ არ არის საგანი, ნამდვილი რეალობა კი მხოლოდ საგანს აქვს). ემპირიომეტრიული მეცნიერებებისთვის მათი ობიექტი ჩანს რაოდენობის ასპექტით. მათი ობიექტია ens mobile sub ratione quantitatis (მოდრავი არის რაოდენობის თვალსაზრისით), ბუნების ფილოსოფიის ობიექტი კი არის „არსი როგორც მოძრავი“ ზოვადად, — ინტელიგიბილობის ის ასპექტი, რომლითაც მას თავისი ობიექტი ეხატება, მოძრაობაა.

ბუნების მეცნიერებასთან მათი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით, მარტენს ემპირიომეტრიული მეცნიერებანი მეტ სირთულეს უქმნიან, ვიდრე ემპირიოსქემატურნი. ეს, უთუოდ, იმითაა შეპირობებული, რომ არისტოტელური ფილოსოფიის ცნებათა და თეზისთა არსენალში, რომელიც მარტენისთვის ამოსავალია (ისე, როგორც საერთოდ დომინანსათვის), უფრო ხელ-

საყრელად ეძებნება პასუხი ბუნების მეცნიერების ყველა სხვა მეთოდისა და ძრულ კითხვებს, ვიდრე არისტოტელის დროს არარსებული მათემატიკური მეთოდით აღძრულს. თომისტური კლასიფიკაცია აბსტრაქციის სამი დონისა, რომელიც ემპირიოსქემატურ მეცნიერებებს მთლიანად და უმტკივნეულოდ პირველი დონის ფარგლებში ტოვებს, მათემატიკური აპარატის მქონე (ემპირიოლოგიურ) მეცნიერებებს აპობს იმგვარად, რომ მათი ობიექტები (გრძნობადი საგნები) აბსტრაქციის I დონეზე რჩება, ხოლო მათი ამხსნელი ცნებები, ამ ობიექტიდან აბსტრაქტირებული, აბსტრაქციის II, მათემატიკურ დონეზე თავსდება. ამიტომაც მიახინა მარიტენს, რომ ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებანი უფრო შორს არიან ბუნების ფილოსოფიისგან, ვიდრე ემპირიოსქემატურნი. მათში მონაწილეობს ისეთი გონებრივი წარმონაქმნი (ens rationis) — რიცხვი, რომელიც მოკლებულია გრძნობად ელემენტს თავის ცნებაში და ამიტომ გრძნობადის ფარგლებში ვერ დარჩება.

ამგვარია მარიტენის კონცეფცია ზუსტი მეცნიერებებისა და ბუნებას ფილოსოფიის მიმართებაზე ცოდნის სისტემაში. როგორც ვხედავთ, მთელი დასაბუთება ემყარება რეალისტურ წანამძღვარს, რომლის თანახმად „არსებული“ და „ინტელიგიბილური“ ერთი და იგივეა, გრძნობადი სამყაროს საგნებში ჩვენი გონებისგან დამოუკიდებლად არსებობს მათთვის იმანენტური ინტელიგიბილური „ტიპები“, საგანთა „არსებანი“, რომელნიც განაპირობებენ საგანთა ქცევას და მის კანონზომიერებებს და რომელნიც დაკვირვებადი პროცესების მიღმა იმყოფებიან. ზუსტ მეცნიერებათა მიერ დაგროვილი ცოდნა არ არის საკმარისი იმ მხრივ, რომ ეს ინტელიგიბილური ობიექტები — საგანთა „არსებანი“ — მას მიუწვდომელი რჩება ან სწვდება მათ მხოლოდ „ბნელი“, „მღერი“, „ბრმა“ სახით. ბუნების ფილოსოფია, ზუსტ მეცნიერებათაგან ცალკე და მათ ზევით მდგომი, შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამ „არსებათა“, ამ „იმანენტური ტიპების“ წვდომა ჩვენი გონებისთვის შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ კითხვას: „რა არის საგანი?“ (და არა მხოლოდ კითხვას „როგორ იქცევა საგანი?“) და ჩვენი პასუხი ან ჰემშარიტი იქნება ან ყალბი.

ეს პირველი და მთავარი წანამძღვარი მარიტენის მოძღვრების „ბუნების ფილოსოფიის“ შესახებ საესებით ნებისმიერია და, არისტოტელურ-თომისტური ფილოსოფიის მკაცრი მოთხოვნა რომ არა, მისი წამოყენება ბუნების მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინების პირობებში ძნელი ასახსნელია. მარიტენის ბუნების ფილოსოფია არ აყენებს კითხვას იმის შესახებ, თუ რა საფუძველი გვაქვს ჩვენი გრძნობადი დაკვირვებას გზით შეცნობილ საგანთა ქცევის იქით მათში „იმანენტური ტიპების“ არსებობა ვცნოთ, ეს კი საკმარისია იმისთვის, რომ მისი ბუნების ფილოსოფიის მთელი ნაგებობა არა მართო განსხვავებოდეს იმისგან, რასაც „მეცნიერების“ სახელით ვიცნობთ, არამედ მკაცრი ლოგიკური საბუთიანობის ფარგლებს გარეთაც დადგეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „არსების“ ცნებით ოპერირება არ ზღუდავს მარიტენს ბუნების მეცნიერული კვლევის ხასიათის შეფასებაში, სადაც „არსების“ ფილოსოფიური ცნება როლს არ თამაშობს. (აქ, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ფიგურირებს მხოლოდ მისი ერთგვარი მეცნიერებამდელი ექვივალენტი, რომელიც საჭიროა ჩვენი გონების „ბუნებრივი ელვატური მიდრეკილების“ დასაკმაყოფილებლად და რომელიც იკარგება მაშინ, როცა მეცნიერების ასწნითი სქემები მის მათემატიკურ აპარატზე დაიყვანება ხოლმე). იგი სცნობს, როგორც ფაქტს, რომ ეს მეცნიერება ეხება საგანთა ქცევას და არა მათს არა

სებას და ეს ამ მეცნიერების სარწმუნოების და სიმკაცრის აღიარებას არ უშლის.

ემპირიოლოგიურ მეცნიერებაში, მარიტენის სიტყვით, „მუდმივი შესაძლებლობა გრძნობადი შემოწმებისა და გაზომვისა თამაშობს იმავე როლს, რასაც არსება (essence) თამაშობს ფილოსოფიისთვის“ (Phil. of Nature, გვ. 76) სხვანაირად რომ ვთქვათ, მეცნიერისთვის მისი კვლევის ობიექტის რაობა (quiddity), მისი არსება მდგომარეობს იმის გარანტიის ქონაში, რომ მისი გაზომვის მონაცემები განმეორდება.

მარიტენისთვის მხოლოდ ზუსტი მეცნიერების შემოფარგლულობა ამ ფენომენტთა საწყაროთი არის წინამძღვარი ბუნების ონტოლოგიური შესწავლის საჭიროების მტკიცებისთვის, ხოლო ამ უკანასკნელის შესაძლებლობა არის წინამძღვარი პირველის შეზღუდულობის, უკმარობის, უღარეობის კატეგორიული ფორმით აღიარებისთვის.

ამგვარად, საბოლოო ჯამში მარიტენისთვის საქმე ბუნების ონტოლოგიური შესწავლის შესაძლებლობას ეხება და თუმცა მისი არგუმენტაციის გზა დედუქციურია („არსების“ ცნების გამოყენებაზე დამყარებული. — იხ. ზემოთ), მისი კონცეფციის შეფასებისათვის ყველაზე არსებითი ამ დედუქციის შეფასება კი არ არის, არამედ სწორედ ამ ფაქტიური შესაძლებლობის განსაზღვრა ამგვარი კვლევით მიღწეული ცნებებისა და დებულებების შეფასების გზით. რას გვაძლევს ბუნების ონტოლოგიური შესწავლა? რა ისეთ ცნებებთან და დებულებებთან მივყავართ მას, რომელთანაც ბუნების ემპირიოლოგიური შესწავლა ვერ მოდის? — აი, მთავარი საკითხი, რომელზე პასუხისგანაც დამოკიდებულია მარიტენის მოძღვრების ამ ნაწილის ჭეშმარიტება — სიყალბის აღიარება და რომელზედაც იგი, არსებითად, პასუხს ვერ იძლევა.

ბუნების ფილოსოფია, მარიტენის მიხედვით, გარკვეული რიგის ფაქტებს ემყარება. „ფაქტად“ მარიტენს ესმის „სარწმუნო ეგზისტენციალური ჭეშმარიტება“, მაგრამ ვინაიდან ასეთი ჭეშმარიტება გამოითქმის მსჯელობაში, ფაქტი გულისხმობს დაკავშირებას ორ ობიექტურ ცნებას (თოვლი, თეთრი) შორის, რომელიც (ეს დაკავშირება) საგნებში (a parte rei) არსებობს, როგორც მსჯელობის მაგულისხმებელი, ფაქტი მოითხოვს გონების აქტივობას — გრძნობადი ინტუიციით, აღქმით მიღებული ორი ცნების (თოვლი, თეთრი) დაკავშირებას. მაგრამ ვინაიდან ობიექტური (საგნისეული — ნ. ნ.) ცნებები არ არის ერთი რიგისა (აბსტრაქციის ხარისხის მიხედვით), არამედ წარმოადგენენ იერარქიას, მათი დაკავშირებებიც — ფაქტები — სხვადასხვა რიგისაა: საღი გონების ფაქტები, ბუნებისმეცნიერული ფაქტები, მათემატიკური, ლოგაკური, მეტაფიზიკური ფაქტები და სხვა. ფილოსოფიურ ფაქტებად მივიჩნევთ მეცნიერებამდელ ფაქტებს (ანუ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიღებულია საყოველთაო მეცნიერებამდელი დაკვირვებიდან), მაგრამ არა ნედლი სახით, არამედ ფილოსოფიური კრიტიკის შემდეგ. ასეთებია, მაგალითად, ფაქტები, რომ რაღაცა არსებობს, რომ არსებობს საგანთა სიმრავლე, რომ არსებობს აზრი და შემეცნება, რომ არსებობს ცვლა და ქმნადობა და სხვ.

ბუნების ფილოსოფია ანუ გრძნობადი ბუნების ფილოსოფიური შემეცნება ემყარება ამგვარ ფილოსოფიურ ფაქტებს, აღებულს გრძნობადი საწყაროდან. ამგვარ ფაქტებს ორი შესაძლო წყარო აქვთ: ერთია ადამიანთა პირველადი, მეცნიერებამდელი ცდა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ; მეორეა მეცნიერება (ბუნების მეცნიერება), დაკვირვება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაიხსნას ჭერ უცნობი ფილოსოფიური ჭეშმარიტება და შემოწმდეს უკვე ცნობილი (მაგ.,

ფილოსოფიურ თეზისს სუბსტანციური ცვლილების არსებობის შესახებ ადასტურებს ფიზიკა და ქიმია). მეცნიერულ ფაქტებს ბუნების ფილოსოფია იყენებს არა ნედლი სახით, არამედ ფილოსოფიურად გადამუშავებულს ანუ შეჭერებულს მანამდე ჩვენ ხელთ მყოფ ფილოსოფიურ ცოდნასთან და ფილოსოფიის პირველ პრინციპებთან. ამგვარად, ბუნების ფილოსოფია ამოიღებს მათგან იმ ფილოსოფიურ ღირებულებებს, რითაც ისინი „ფეხმძიმენი არიან“. მივუყენებთ რა ამ ფაქტებს ფილოსოფიის „ობიექტურ შუქს“ (modus definiendi. ესაა სქოლასტიკური ცნება, რომელიც აღნიშნავს ანალიზისა და ცნებათა შემუშავების წესს), ჩვენ გამოვარჩევთ, თუ რა ონტოლოგიურ ღირებულებას შეიცავენ ისინი და გამოვყოფთ მას „მოქმედი გონების“ საშუალებით ისე, როგორც გამოვყოფთ ხოლმე ინტელიგიბილურ ობიექტებს გრძნობადიდან.

ვინაიდან ბუნების მეცნიერება განვითარებადია, განვითარებადია ზემოთქმულიდან გამოშინებულ ბუნების ფილოსოფიაც; ეს უკანასკნელიც ექვემდებარება მოძველებასა და განახლებას, რევიზიას. თუ მეტაფიზიკა, — წმინდა სახით რომ არსებობდეს, — დროს უძღვებს, ბუნების ფილოსოფიისადმი მიძღვნილია ტრაქტატმა, ბევრი-ბევრი, ერთი ადამიანის სიცოცხლე გასძლოს, ისიც სისტემატური რედაქტირების პირობით.

როგორ შედის კონკრეტული მეცნიერების ფაქტები ბუნების ფილოსოფიაში და რა სახის ცნებებს გვაძლევენ ისინი? ამ საკითხს მარიტენი აღარ აკონკრეტებს, ოღონდ მისთვის ყველაზე კარგად ნაცნობი ემპირიოლოგიური დისციპლინის — ბიოლოგიის — მაგალითზე ამის ერთგვარ მონიშვნას გვაძლევს (როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სიცოცხლის ცნებასთან დაკავშირებული მეცნიერების არჩევა ამ მიზნისთვის შემთხვევითი არაა).

მარიტენი შესაძლოდ თელის სამგვარი ბიოლოგიის გარჩევას: ა) ფიზიკა-მათემატიკური ბიოლოგია, რომლის შესაძლებლობა უკვე ესახება და რომელიც ეხება სიცოცხლის ფიზიკურ-ქიმიურ საშუალებებს; ბ) ტიპოლოგიური ანუ ფორმალურ-ექსპერიმენტული ბიოლოგია, რომლის საგანია ცოცხალი არსება თავისთავად. იგი იმუშავებს ემპირიოლოგიური და არაონტოლოგიური ცნებებითა და განასაზღვრებებით და თავის ცნებებს დაკვირვებადის სფეროში მოიყვანს, იგი დამყარება „ნაგულისხმევ“ (implied) ფილოსოფიურ პრინციპებს; მაგრამ არ აითქიფება მათში; თუ რომელი იქნება ეს პრინციპები, რა ცნებები ექნება ამ დისციპლინას და რა დებულებები — ამაზე მარიტენი არ ლაპარაკობს; გ) ფილოსოფიური ბიოლოგია, რომელიც ბუნების ფილოსოფიის ნაწილია. მასში ცნებებს სრული ინტელიგიბილური დატვირთვა და სრული სპეკულატური ღირებულება აქვთ და გრძნობადისაკენ აღარ ეშვებიან; მისი ცნებათა ნიმუშებია (falsis). ამ ფილოსოფიურ ცნებებს აქვთ ამხსნელი ცნებების როლი ბუნების ფილოსოფიაში, მაგრამ ვერ ექნებათ ასეთი როლი ფორმალურ-ექსპერიმენტულ ბიოლოგიაში. ისინი წარმართავენ, აორიენტირებენ და, ამ აზრით, არეგულირებენ ექსპერიმენტატორის მუშაობას ამ უკანასკნელში, მაგრამ იგი მათ თავის ახსნაში ვერ გამოიყენებს. მაგ., „მიზნობრიობის“ ცნებას ამხსნელი ცნების როლი აქვს ფილოსოფიურ ბიოლოგიაში, ორგანიზმის ფილოსოფიაში. — მაგრამ ვერ ექნება ასეთი როლი ექსპერიმენტულში. მიუხედავად ამისა, იგი აქ მაინც არის — არის როგორც ირაკონალური ელემენტი, როგორც ახსნადელი პირობა, რომლის არსებობაც ექსპერიმენტატორმა იძულებით დაუშვა, მაგრამ რომელსაც თავის ახსნაში ვერ შეიყვანს.

როგორც ვხედავთ, ბუნების ფილოსოფიის დაფუძნებისთვის ყველაზე მთავარი ამოცანა — ამ მეცნიერების შესაძლებლობის ინდექციური დასაბუთების ამოცანა მისგან მოპოვებულ ან მოსაპოვებელ თეზისთა ჩვენებისა და განხილვის გზით — მარიტენმა ვერ გადაწყვიტა. მისი მსჯელობა ბუნების ონტოლოგიური ანალიზის შესაძლებლობათა შესახებ, არსებითად, საპროგრამო ხასიათისად რჩება.

მიუხედავად ამისა, მარიტენის შრომა ამ საკითხზე მაინც (იმისივე მეტაფორული სტილი რომ ვიხმაროთ) ამ დარგის შესაძლებლობის რწმენით სუნთქავს, რომელიც მისი საჭიროების, მისთვის ცარიელი ადგილის არსებობის შეგნებიდან გამოდინარეობს. მეცნიერების უდიდესმა მიღწევებმა გააღვივა „მატერიალური სამყაროს ონტოლოგიური საიდუმლოს განცდა (sense)“. თანაჟედროვე ბუნების მეცნიერება, მიუხედავად იმ დიდი ჩრდილებისა, რომელიც მას ჯერ კიდევ ეფარება, „უფრო ახლოა (synergetic) არისტოტელურ-თომისტურ ფილოსოფიისთან, ვიდრე ძველი და შუა საუკუნეთა მეცნიერება. კარტეზიანიული კონცეფცია მსოფლიო-მანქანისა და გეომეტრიულ განფენილობასთან გაიგივებული მატერიისა, ნიუტონისეული კონცეფცია მსოფლიოსგან დამოუკიდებელი მარადი დროულ-სივრცული ჩარჩოსი, სამყაროს უსასრულობისა — ყველა ეს დოგმები წარსულს ჩაშვარდა. მასის, ენერჯის, ატომის, რადიოაქტივობით გამოწვეული მუტაციის თანამედროვე ცნებები, ელემენტთა პერიოდული სისტემა, ელემენტებისა და ხსნარის ან ნარევის ძირეული სხვაობა განაწყობს გონებას ბუნების, როგორც აქტიობის პრინციპის არისტოტელური აღიარებისაკენ, სუბსტანციური ცვლილების ჰილომორფისტული კონცეფციისკენ და მატერიალურ სუბსტანციათა აღმავალი რიგის აღიარებისკენ. ევოლუციონისტური იდეის მეცნიერული წარმატება კმნადობისა და მოძრაობის ფილოსოფიის ილუსტრაციას ახდენს. ერთი სიტყვით, ამ სამყაროზე დამკვიდრებული ფილოსოფოსი ხედავს, როგორ გავსებულია და გამსჭვალულია ყოველივე მატერიაში გონის ერთგვარი ზიარობით, რომელსაც ჩვენ ინტენციონალობას ვეძახით“.

სამყაროს იერარქია შეიცვალა „სამყაროს ცენტრი და დროის საზომი ახლა აღარაა ციური სხეულები, არამედ ადამიანის სულია“. „თვით ეს სამყარო კი შემთხვევითობის, რისკის, თავგადასავლის, შეუქცევადობის სამყაროა. მას აქვს ისტორია და მიმართულება დროში“. „ვარსკვლავები იწვის და მცირდება, ... დინამიზმისა და ენერჯის პირველყოფილი მარაგი ეცემა და წონასწორობას უახლოვდება. ... ფილოსოფოსებმა ბევრჯერ ბოროტად გამოიყენეს ენთროპიის პრინციპი, მაგრამ მაინც უფლება გვაქვს დავიმოწმოთ მისი ღრმა მნიშვნელობა, რომელიც ეთანხმება არისტოტელის მიერ დროის ფილოსოფიურ (არა ასტრონომიულ) გაგებას: „დრო თავისთავად უფრო დიდი მიზეზია ხრწნისა, ვიდრე წარმოშობისა“; აგრეთვე იმის აღნიშვნის უფლებაც გვაქვს, თუ ბუნებრივი გადახვევა ენერჯის დაცემის კანონიდან, როგორსაც წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმი, როგორ მკვეთრად მიგვანიშნებს ზღურბლს, სადაც ისეთი უწონო და უნიკალური მეტაფიზიკური ბედის მატარებელი რამ, როგორც ადამიანის სულია, მსჭვალავს მატერიას და ამით მასში სხვა სამყაროს ხსნის“.

ამგვარად, მარიტენის აზრით, მეცნიერება ადასტურებს იმ დიად იდეას, რომლის თანახმადაც თომისტური ბუნების ფილოსოფია „სამყაროში ხედავს აღმა სვლას ერთი ონტოლოგიური საფეხურიდან მეორეზე, უფრო და უფრო რთული ერთიანობისა და ინდივიდუალობის და ამავე დროს უფრო და უფრო მეტი შინაგანი სიმდიდრისა (interiority) და კომუნიკაბელობის მქონე ფორმები-

საყენ. — აღმა სვლას იმისკენ, რაც აღარაა ნაწილი ამ ფართო სამყაროში, არამედ თვითონაა სტაბილური სამყარო, გახსნილი სხეებისათვის გონებისა და სიყვარულის წყაროებით. ეს რაღაცაა პიროვნება — თომას სიტყვით, ყველაზე სრულყოფილი რამ მთელს ბუნებაში“. სამყაროს ამ იდეალური სურათის გაშიფრვისას, მარიტენის სიტყვით, ბუნების ფილოსოფია მასში სცნობს „უზარმაზარი ძალის სტიმულს პასუხისა... იმ სიტყვაზე (იგულისხმება: ქრისტე, ლოგოსი), რომელსაც იგი თვით არ იცნობს, მაგრამ მეტაფიზიკა იცნობს“ (Phil. fo Nature, გვ. 153—156).

მარიტენის „ბუნების ფილოსოფიის“ ამ ფინალურ ნაწილში კარგად ჩანს ავტორის მამოძრავებელი სტიმულებიც, მისი ბუნების ფილოსოფიური კონცეფციის საბოლოო მიზანიც და მისი მეცნიერული სამყაროს ზომაც. ბუნების ფილოსოფიური (ონტოლოგიური) გააზრების საჭიროებიდან (მისი ამომწურავი შემეცნების შეუძლებლობიდან პოზიტიური მეცნიერების მიერ), რომელიც მარიტენისთვის მისი კონცეფციის წანამძღვარია, წინააღმდეგ მარიტენის ლოგიკისა, არ გამომდინარეობს მისი სხვა, არაზუსტმეცნიერული მეთოდით შესწავლის შესაძლებლობა, მით უმეტეს, მისი სწორედ იმ დიფუზურად მოხაზული „აღმავალი ანალიზის“ წესით შესწავლის შესაძლებლობა, რომელსაც მარიტენი გვთავაზობს, მარიტენის მიერ დამოწმებული ცნებათა ნაწილი (ენტროპია, ცვლილება) ზუსტმეცნიერებისეულია, სხვები ადამიანთან და, ზოგადად, სიცოცხლესთან არიან დაკავშირებულნი (პიროვნება, ინტენციონალიზმი) და თავის არააღწერად, ზუსტი მეცნიერებისთვის მიუწვდომელ ხასიათს ამ გარემოების წყალობით იღებენ. ასე რომ „მატერიალური სამყაროს ონტოლოგიური საიდუმლო“ რომლის ამოხსნასაც მარიტენი ეძებს, ნამდვილად დაშლადია, იგი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტად დაყოფას ექვემდებარება: ზუსტი მეცნიერებისთვის მისაწვდომი, აღწერადი ნაწილი, რომელიც საკუთრივ ბუნებრივ კანონზომიერებებს ეხება და არააღრიცხვადი, ზუსტი მეცნიერების მიმართ მიღწერილი ნაწილი, რომელიც ამ სამყაროში მყოფსა და მისდამი დაპირისპირებულ ოდენობას — ადამიანს (და, ზოგადად, სიცოცხლეს) და სამყაროში მის ქმედებას ეხება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



პიორგი შუხანაშვილი

ფილოსოფია როგორც მაცნისეპება

დარგობრივ მეცნიერებათა გვერდით სინამდვილის შემეცნების სატეს ფილოსოფიაც წარმოადგენს. დღეს ფილოსოფიის შესახებ შეხედულება აქვს შემუშავებული ლოგიკურ ემპირიზმს, რომლის თვალსაზრისის განხილვა აუცილებელია ფილოსოფიის მნიშვნელობის დადგენასთან დაკავშირებით, რადგან ამ შეხედულებებს საკმარისი გავლენა აქვს მეცნიერულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. როგორც მ. შლიკი ისე რ. კარნაპი ჰგონებენ, რომ ფილოსოფია არაფერს შეიცნობს, არამედ შემეცნებას ახდენენ მეცნიერებანი, რომლებიც მიმართულია გარკვეულ მასალაზე და ადგენენ მის კანონზომიერებას. რაკი არის კერძო მეცნიერებანი სინამდვილის ცალკეული მხარეების შესასწავლად, აღარაფერი რჩება ფილოსოფიისათვის შესამეცნებელი. რადგან ამ უკანასკნელს არ შეუძლია ცდისეულ მეცნიერებაში მოპოვებულ ჰემპირიტებას რაიმე მიუმატოს ან გამოაკლოს.

ფილოსოფიაში ორი მხარეა გამოკვეთილი: ერთი — წმინდა იდეოლოგიური, რომლის მსჯელობის ფორმაში ჩვენი სურვილია უფრო გამოხვეული ვიდრე საგნის ნამდვილი ვითარება, მეორე კი არის წმინდა მეცნიერული, რომელიც მიმართულია საგნის ნამდვილ ვითარებაზე და მის გამოსახვას ემსახურება, ეს გარემოება გასაგებიცაა, რადგან ფილოსოფია განზოგადებებს ახდენს და ამ განზოგადებას არ შეეძლება ადამიანი ასცდეს; შეუძლებელია, რომ ადამიანმა ფილოსოფია თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად არ გამოიყენოს, და ფილოსოფიური დებულებებიდან თავისთვის საჭირო დასკვნები არ გამოიტანოს.

საზოგადოების ყოველი ფენა ცდილობს თავისი სოციალური მდგომარეობა ან მისი უარყოფა სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერებით გაამართლოს, ფილოსოფიური საფუძვლებიდან გამოიყვანოს. ნათელი რომ გახდეს ფილოსოფიის იდეოლოგიური და მეცნიერული მხარეების განსხვავება, არისტოტელეს ფილოსოფია განვიხილოთ, რომლის აზრით ადამიანი შესდგება სულისა და სხეულისაგან, მთელი სინამდვილე, რომ ავიღოთ გონებისა და მატერიის დაპირისპირებაა. არისტოტელეს გავებით სული მბრძანებლობს სხეულზე, სული სხეულს განსაზღვრავს ისე, როგორც ფორმა მატერიას; ადამიანში გონება განსაზღვრავს გრძნობებს, ადამიანი განსაზღვრავს შინაურ ცხოველებს, ისინი ადამიანს ემორჩილებიან, როგორც გრძნობები — გონებას; თუ ბუნებაში ასეთი ურთიერთდამორჩილება არსებობს ამის გამოაკლისს არც საზოგადოება უნდა წარმოადგენდეს; საზოგადოებაში არის ბატონი და მონა, მონა სხვისი საკუთრებაა და მას დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია, მას იმდენი გონება აქვს, რომ სხვისი ბრძანება შესართლოს და იმდენი არა აქვს, რომ დამოუკიდებელი

იყოს; ამიტომ მონას შეუძლია იყოს მხოლოდ როგორც ბატონისაგან დამორჩილებული ადამიანი, რადგან ის არის მისი საკუთრება, მისი მთლიანი საკუთრების ნაწილი; ადამიანში სულსა და გონებას საზოგადოებაში ბატონი შეესაბამება, ხოლო სხეულსა და გრძნობებს მონა შეესაბამება, რაკი სხეულის სულისადმი დაქვემდებარება მარადიულია, რაკი გრძნობების გონებისადმი დამორჩილება მუდმივია ამიტომ მონობა მარადიულია; არისტოტელეს აზრით, მონობის გარეშე არ არის საზოგადოება და ეს დასაბუთება მონათმფლობელური საზოგადოების გამართლებას ემსახურება.

არისტოტელეს ფილოსოფიის ეს ნაწილი იდეოლოგიურია. სულისა და სხეულის, გონებისა და გრძნობების იმ დაპირისპირებიდან ლოგიკურად სრულებითაც არ გამომდინარეობს მონური საზოგადოების მარადიულობა: მონას იმიტომ კი არა აქვს ნაკლები გონება, რომ ის მონაა, არამედ — იმიტომ, რომ ცხოვრების საზოგადოებრივმა პირობებმა მონურ პირობებში შოაქცია იგი და თუ ის განთავისუფლდება, იმავე გონებისა და აზროვნებისა იქნება, როგორც ბატონია. სულისა და სხეულის, გონებისა და გრძნობების დაპირისპირება ბუნებითია, ხოლო ბატონისა და მონის ურთიერთდაპირისპირება კი საზოგადოებრივი და პირობითია; ე. ი. მონა იმიტომ არ არის მონა, რომ ის როგორც ადამიანი ნაკლებია ბატონზე, ისინი როგორც ადამიანები ერთნაირები არიან და აქედან ლოგიკურად მონური წყობის მუდმივობის დასაბუთება ხელოვნურია, მაგრამ სწორედ ამ ხელოვნურობით არისტოტელე თავისი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

ავიღოთ ჰეგელის ფილოსოფიის მაგალითი. ჰეგელი ამტკიცებდა, რომ აბსოლუტურმა სულმა თავის განვითარებას და თავის შემეცნებას პრუსიულ მონარქიულ სახელმწიფოში მიაღწია. აბსოლუტური სულის განვითარებისათვის სრულიად გარეგანია პრუსიული სახელმწიფო და მისი მოქარობიდან ლოგიკურად სრულებითაც არ გამომდინარეობს ამ სახელმწიფოს არსებობა, მაგრამ ჰეგელს თავისი გერმანული სახელმწიფო წყობილება უნდა გაემართლებინა, ამიტომ მივიჩნია იგი ასეთ დასკვნამდე. ამ მხრივ გამონაკლისს მარქსისტული ფილოსოფია წარმოადგენს, იმიტომ, რომ მისი იდეოლოგიური და მეცნიერული მხარეები ერთმანეთს ემთხვევა, რადგან იდეოლოგიური მხარე მეცნიერულის საფუძველზეა აღმოცენებული. რაც შეეხება ფილოსოფიის მეცნიერულ მხარეს, მისი მსჯელობები გამოდიან არა სუბიექტური სურვილებისაგან, არამედ — საგანთა ბუნების შემეცნებიდან. არისტოტელე რომ ზოგადად განასხვავებს ფსიქიკურსა და მატერიალურს, ფორმასა და მატერიას, რაოდენობრიობასა და თვისებრიობას, არსების ორ სახეს; ჰეგელი თავისი ლოგიკის ამოსავალ ცნებად არსს რომ იღებს, განვითარებას რომ აღიარებს და მის კანონებსაც დაადგენს, — ეს ცნებაში საგნებთან მიმართების გზით დგინდება და სუბიექტის თავისებურებდან არ გამომდინარეობს. ფილოსოფია სწავლობს სინამდვილის მთლიანობას და მისი მსჯელობები მის უზოგადეს მხარეზეა მიმართული. ლოგიკური პოზიტივისტები, რომლებიც ფილოსოფიის არსოლოგიურ მხარეს უარყოფენ და მას მეცნიერების ანალიზით შემოფარგლავენ, იძულებულნი არიან სინამდვილეზე იმსჯელონ და ცნების ანალიზი ამის საშუალებად გამოიყენონ. ლოგიკური ემპირისტები იმის მიუხედავად, რომ სინამდვილეს ფილოსოფიის საგნად არ ზდიან, ისინი მაინც მასზე დადებით მსჯელობებს გამოთქვამენ; ისინი ამბობენ, რომ „სინამდვილე არის ფაქტების გრავა“; ეს მსჯელობა მაინც არის სინამდვილის როგორც მთლიანი დახასიათება ამავე დროს ეს მსჯელობა არც ერთ მეცნიერებას არ

მეიკუთვნება, ის ფილოსოფიური მსჯელობაა. ლოგიკური პოზიტივისტების მსჯელობის საგანია დრო, სივრცე, მიზეზობრიობა და სხვა, თუ ვიტყვით, რომ აქ ხდება დროის სივრცის და მიზეზობრიობის ცნების ანალიზი და არა თვით საგნების, ეს არ იქნება სწორი. ჩვენ საგნებთან მეცნიერული თვალსაზრისით მხოლოდ ცნებების საშუალებით მივდივართ, ხოლო საგნებთან პრაქტიკული დამოკიდებულება მეცნიერულ დამოკიდებულებას არ წარმოადგენს. პრაქტიკული დამოკიდებულება საგნებზე ზემოქმედებაა მათი გარდაქმნა-გამოყენების მიზნით, ხოლო მეცნიერული მიმართება კი მათზე ცნებების შედგენაა, იმის მტკიცება, რომ ჩვენ გვაქვს ცნებები რაიმე საგანთა ჯგუფზე და ისინი თვითონ საგნებთან მიმართებას არ გამოხატავენ არ იქნება სწორი, რადგან ცნებების ცოდნით ჩვენ არა მარტო ცნება ვიცით, არამედ ისიც ვიცით რაც ამ ცნებაშია ასახული, ანუ საგანი ჩვენ ამ ცნების საშუალებით ვიცით. ხსენებულ საგანთა ცნებების ანალიზი მათს შესახებ ცოდნას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში კერძო მეცნიერებას და ფილოსოფიას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი საგანს უშუალოდ ცდაში ნახულობს და მის კანონებს აღმოაჩენს, ხოლო ეს კანონები აზროვნებით დგინდება და მათ უნდა ახსნან ცდაში მოცემული საგანი; ფილოსოფია კი თავის შემეცნების საგანთან კერძო მეცნიერებით არის გაშუალებული, ე. ი. ფილოსოფიას საქმე აქვს იმ საგანთა მთლიან სურათთან, რომელიც კერძო მეცნიერებებშია ფარულად მოცემული. თვითეულ მეცნიერებაში სინამდვილის ერთი ნაწილია მოცემული და ახსნილი, მაგრამ ამათში არის ისეთი მხარეც, რომელიც ყველა ნაწილისათვის საერთოა და ეს საერთო ქმნის ფილოსოფიური კვლევის საფუძველს. მთელი, რაზედაც ფილოსოფიაა მიმართული, არა აბსოლუტური მთელია, არამედ ისტორიულ-შეფარდებითია და ამიტომ ცვალებადია; ეს ცვალებადობა მთელის არსებობას არ გამორიცხავს, იგი მხოლოდ მის აბსოლუტურ შემეცნებას ხდის შეუძლებელს, ის მხოლოდ შემეცნების დაუბოლოებელი მოძრაობის საფუძველია.

ადამიანის როგორც მოაზროვნის არსებობით სუბიექტისა და ობიექტის მიმართება მყარდება, ეს მიმართება ისეთივე სინამდვილეა, როგორც ამ მიმართების გარეშე არსებული საგნების არსებობა, ამიტომ იგი ისეთივე საკვლევი საგანია, როგორცაა ის საგანი, რაც ამ მიმართების გარეშეა. კერძო მეცნიერებები სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის დებულებიდან გამოდიან ეს არის უზოგადესი დებულება, რომლის გარეშე არც ერთი მეცნიერი არ მოქმედებს. მისი კვლევის საგნად გახდომა ცალკეული მეცნიერების საზღვრებიდან გასვლას ნიშნავს; რადგან იგი მის არეში არ ეტევა, ის უზოგადესია, ის ფილოსოფიის საკვლევი საგანია. მეცნიერი იკვლევს სინამდვილის ცალკეულ მხარეს და მის კანონებს, ფილოსოფოსი კი კერძო მეცნიერების საგნების საერთო ბუნებას შეიკნობს; შემეცნებელი სინამდვილეზეა მიმართული და ფილოსოფოსი იკვლევს თუ ამ მიმართებაში, რომელი — რომლის განმსაზღვრელია და როგორია შემეცნების საზღვარი: აბსოლუტურია ის, თუ — შეფარდებითი.

კერძო მეცნიერებანი ვითარდებიან და ფილოსოფიაც უნდა განვითარდეს. რადგან ფილოსოფია კერძო მეცნიერების მონაცემების განზოგადებას წარმოადგენს, სინამდვილის მთლიან სურათს ის ამ მეცნიერებების მონაცემების საფუძველზე ადგენს. ცალკეული სინამდვილე კერძო მეცნიერებაშია ასახული და სწორედ მათი მთლიანი სურათის შემეცნება ამ კერძო მეცნიერებებში ასახული სინამდვილის საფუძველზე უნდა მოხდეს, რადგან მათშია დაფარული სახით ის უზოგადესი, რასაც არც ერთი კერძო მეცნიერება არ შეისწავლის და რაც ფი-

ლოსოფიის საგანი უნდა იყოს. რაკი ამ მთლიანი სურათის შემეცნება კერძო მეცნიერებების მონაცემებითაა განსაზღვრული, ხოლო მეცნიერებები კი ვითარებიან და სინამდვილის ახალ მხარეებს აღმოაჩენენ, ამიტომ ფილოსოფიამ ამ მთელის შესახებ ცოდნის განვითარებისათვის თვითონაც განვითარება უნდა განიცადოს; როგორც მეცნიერების მოცემული საფეხური არ არის საბოლოო, არც ფილოსოფიის მიერ სინამდვილის მთლიანი სურათის შემეცნება იქნება საბოლოო, ისიც იცვლება, ისე, რომ ფილოსოფია ერთი მოცემული შეფარდებითი მთელიდან შემდეგ შეფარდებით მთელზე გადადის და ამ გზით თანდათან უახლოვდება აბსოლუტურ მთელს, რომლის შემეცნება ისევე დაუსრულებელია, როგორც — მეცნიერებების მიერ ამ სინამდვილის ცალკეული მხარეების შემეცნება.

მსჯელობაში ორი მხარეა გასარჩევი: ერთი — თვით მსჯელობა როგორც გარკვეული აგებულების მქონე, რაშიც შინაარსია მოცემული; მეორე — ის, რაზეც ეს მსჯელობა თავისი შინაარსით არის მიმართული. ის, რაზეც მსჯელობა მიმართულია, არის საგანი. მსჯელობის პირველი მხარის შესწავლა ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საქმეა, ხოლო მეორე — ონტოლოგიისა, ამიტომ ფილოსოფიის ამ ნაწილის არსებობა აუცილებელია. საგნის ბუნების გამორკვევა ისეთივე აუცილებელია, როგორც — თვით შემეცნების გამორკვევა. საგნები კერძო მეცნიერებების მიერ შეისწავლება, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მინც საგნებია, — ამიტომ მათი სახით საგანი საერთოდ არსებობს. რაკი საგანი საერთოდ არსებობს, საერთოდ არსებობს ის მხარეებიც, რომელთა გარეშე საგნის არსებობა შეუძლებელია. საგნის ეს მხარეებია: მოძრაობა, თვისებრიობა, რაოდენობრიობა, ფორმა, მატერია და სხვა. საგანს ეს ზოგადი მხარეები განსაზღვრავს, ფილოსოფია იკვლევს ცალკეული მეცნიერების საგანთა ზოგად საფუძვლებს. კერძო მეცნიერების მიერ დადგენილი სინამდვილის ცოდნა მაშინ იქნება სრული, როცა მას აქვს ფილოსოფიური ცოდნა ანუ სინამდვილის უზოგადესი მხარეების ცოდნა.

ცდისეული მეცნიერების მსჯელობა დამოკიდებულია ცდის მასალისაგან და მისი ჭეშმარიტება მით არის გაპირობებული; აქ მსჯელობათა ლოგიკური კავშირი ცდაში მოცემული საგნების კავშირებისა და მათი ბუნებიდან გამომდინარე სავარაუდო დამოკიდებულების გამომხატველია; ფილოსოფიური მსჯელობების კავშირი კი მათი შინაგანი ლოგიკური გამომდინარეობით არის განპირობებული. ფილოსოფიური მსჯელობების კავშირი სრულიად განსხვავებულია რელიგიური მსჯელობებისაგან. რელიგიური მსჯელობაც უზოგადესს ეხება, მაგრამ ის რწმენაზეა დაფუძნებული და არა შინაგან ლოგიკურ გამომდინარეობაზე, ე. ი. საგნის ბუნებიდან არ გამომდინარეობს. რელიგიური მსჯელობა მიმართულია საგანზე, მაგრამ საგანი სრულიად მიღმურია გონებისათვის და ამიტომ ადამიანი რწმენის ფარგლებში რჩება. ფილოსოფიური მსჯელობა, თუნდაც იდეალისტური, ლოგიკურ დასაბუთებას ემორჩილება და ის მსჯელობაა შესული სისტემაში, რაც მოცემული მსჯელობების ან საფუძველია, ან — მათგან გამომდინარე; ეს გამომდინარეობა კი საგნის თავისთავადობით არის განსაზღვრული. რელიგიური საგანი თვითნებობის განსაზღვრებაა, ფილოსოფიის საგანი კანონზომიერებას ემორჩილება და მისი წინა აუცილებლობით ბადებს შემდეგს.

ფილოსოფიური მსჯელობა უზოგადესია, ცალკეული მეცნიერული მსჯელობების შინაარსის არსოლოგიურ და ვნოსეოლოგიურ არსებას გამოხატავს;

მაგალითად, კერძო მეცნიერების — ქიმიის — მსჯელობაა ის, რომ „სინამდვილის ქიმიური მხარე შედგება განუყოფელი ატომებისაგან“, ხოლო ფილოსოფიის უზოგადესი მსჯელობაა ის, რომ „მთელი სინამდვილე უმარტივესი განუყოფელი ნაწილებისაგან შედგება“; მეორე მსჯელობა პირველის მიმართ უზოგადესია და აქ მხოლოდ მოცულობითი განსხვავება კი არ არის, არამედ მოცულობითი განსხვავება შინაარსობრივ განსხვავებას ემყარება, ეს შინაარსი კი ის არის, რომ მთელი სინამდვილე უმარტივესი ნაწილებისაგანაა შედგენილი. სინამდვილეს სხვადასხვა მეცნიერებანი სწავლობენ და ყველა ისინი იმ მსჯელობას აღგენენ, რომ მათს შესასწავლ საგანს უმარტივესი ნაწილები აქვს, ამიტომ მათი მსჯელობების მიმართ ფილოსოფიური მსჯელობა უზოგადესია. ისეთი ფილოსოფიური მსჯელობა, როგორცაა — „არსის და აზრის ერთიანობა მათ საერთო კანონებს ემყარება“, — სხვა რიგის ფილოსოფიური მსჯელობაა, ეს მსჯელობა არსისა და აზრის მიმართებას არკვევს ამ მიმართებას კი ყოველი მეცნიერება ემყარება.

ლოგიკური პოზიტივისტები კატეგორიებს მხოლოდ ენობრივ გამოთქმათა სისტემას მიაკუთვნებენ. ცხადია, ასეთ პირობებში კატეგორიების სისტემა საგნობრივ მნიშვნელობას კარგავს და წმინდა ფორმალური მნიშვნელობისა ხდება. თუ კატეგორია მხოლოდ ენობრივ გამოთქმებს მიეკუთვნება, მაშინ მთელი მეცნიერება ენობრივ გამოთქმებად გადაიქცევა და მეცნიერება ცოდნის მომცემი კი არა, არამედ ფორმალურ ნიშანთა სისტემად იქცევა; მაგრამ ასეთი გაგების პირობებში საკითხი დისკიმის თვით ამ ნიშანთა სისტემის არსებობის საფუძვლის შესახებ. ამაზე პასუხის მოცემა ნიშანთა სისტემას არ შეუძლია, ამაზე პასუხისათვის ნიშანთა სისტემიდან უნდა გავიდეთ და მისი ნაირობას საგანთა ნაირობაში უნდა მოუნახოთ საფუძველი. აზროვნება უსაფუძველოდ კი არ ქმნის ნიშნებს, არამედ ის საგანთა ვითარებითა განსაზღვრული და აზროვნების მოღვაწეობა მასზეა მიმართული, ამიტომ მისი ღირებულება სინამდვილესთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

ფილოსოფია როგორც მოძღვრება ტრანსცენდენტურის შესახებ შეუძლებელია, ცოდნად არსებობდეს, რადგან ასეთ სინამდვილესთან არა აქვს კავშირი შემეცნებას, ის მოცემული არ არის და რაც რამენაირად მოცემული არ არის, ის არც იქნება შემეცნების საგანი. კერძო მეცნიერებების საგნები ერთმანეთისაგან მოწყვეტილი კი არაა, არამედ ისინი მთლიანი სინამდვილის ნაწილებია, ამ მთლიანს აქვს უზოგადესი კანონებიც, რომლებიც მის არსებობას საფუძვლად უდევს. მთლიანობა და მისი უზოგადესი კანონები, რისგანაც მეცნიერებები მდუმარედ ამოდიან, ფილოსოფიის საკვლევი საგანია. ცდისეული სინამდვილის ერთიანობა განყენებული აზროვნებით შეიცნობა. იგი დასაბუთებულია თვით სინამდვილის ცალკეული მხარეების ურთიერთმოთხოვნის დასაბუთებით: არაორგანული ბუნება აუცილებლობით წარმოშობს ორგანულს, ეს კი — აზროვნებას, თავის მხრივ, აზროვნება აუცილებლობით ემყარება ორგანულს, ეს უკანასკნელი კი — არაორგანულს. კერძო მეცნიერებათა მონაცემების ერთობლიობის საფუძველზე ფილოსოფოსმა უნდა აღმოაჩინოს ის უზოგადესი კანონზომიერება, რომელსაც თვითეული მეცნიერების საგანთა ცალკეული კანონები ემყარებიან და რომელთა გამოხატულებასაც ისინი წარმოადგენენ. სინამდვილეში უზოგადესი ცალკეული მხარეებისაგან დამოუკიდებელი კი არ არის, არამედ მათშია როგორც მათი შინაგანი მხარე და ამიტომ ფილოსოფიური დებულების ქეშმარიტების დადასტურება მაშინ მოხდება, როცა ფილოსოფიური დებულებ-

ბის შესაბამისი ცალკეული მოღვენა ან ფაქტი იქნება ნაჩვენები, რომელსაც შინაარსად ამ უზოგადესი დებულების შინაარსი ექნება. სასკებით დამაჩერებელია ენგელსის ცდა, როდესაც რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონის ქვეშარტების დადასტურებისათვის, ქიმიას მიმართავს. აქ ნათელია, რომ გარკვეული ელემენტების ურთიერთკავშირი შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული რაოდენობით. მაშასადამე, მოცემული სხვადასხვა ელემენტების განსაზღვრულ ოდენობათა კავშირი ახალ თვისებრიობას წარმოშობს. მაგალითად, წყალბადის ორი ატომი და ენგბადის ერთი ატომი და მხოლოდ ამგვარი ოდენობით დამოკიდებულება წყალს იძლევა, ხოლო ენგბადის სამი ატომის შეერთება ოზონს იძლევა. ამას გარდა ამავე კანონით დასტურდება ზომის არსებობა, რადგან მხოლოდ განსაზღვრულ ოდენობათა კავშირი ჰქმნის ახალ თვისებრიობას, ეს იმის მაჩვენებელია, რომ საგნებში სხვადასხვა მხარეების ზომანზე ზევით ვაზრდა ამ საგანს ვაუქმებს როგორც გარკვეულ თვისებრიობის მქონეს. რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლა, ანუ ის აზრი, რომ გარკვეული რაოდენობას გარკვეული თვისებრიობა შეესაბამება არის ფორმა რაშიც ცვალებადობა ხორციელდება, ხოლო ცალკეულ მეცნაერებებში გამოხატული კანონები ასეთი ცვალებადობის ცალკეულია. ასე მაგალითად, ქიმიავი აღწერილი ცვლილებების და ამ ცვლილებების კანონები არის ქიმიური კანონები, ან ხახუნის რიცხობრივ ცვლილებას, რომ თვისებრივი ცვლილება, სითბოს წარმოშობა მოსდევს ეს ფიზიკის კანონია. შეგვიძლია მათ საგნობრივი კანონები ვუწოდოთ, რამდენადაც ეს კანონები თავისი საგნის მიხედვით განსხვავდებიან, რამდენადაც მათ თვითულს განსხვავებული საგანი აქვს და კანონიც ამ განსხვავებულისა. მაშასადამე, ფიზიკის და ქიმიის კანონები ამ მიმართულებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ, თუ მათ საყოველთაობის თვალსაზრისით განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ მათ აქვთ ერთი და იგივე კანონები, ესენი იქნებიან მათი უზოგადესი კანონები. სულერთია მოველნა ფიზიკურ სინამდვილეს, თუ ქიმიურ სინამდვილეს ეკუთვნის მათში ეს უზოგადესი კანონი ხორციელდება. რაოდენობრივ ცვლილებებს თვისობრივი ცვლილებები შეესაბამება და ამ შესაბამისობის გამომხატველი არის ზომა.

ფილოსოფია აზროვნების უმაღლესი განყენების მაჩვენებელია იმ აზრით, რომ იგი ისეთ საგანს ეხება, რომელიც არ არის არც ერთი კონკრეტული საგანი, ფილოსოფიის საგანი უზოგადესია, რომელსაც ცალკეულის გვერდით არსებობა არ გააჩნია და ამიტომ მისი ხელდადება შეუძლებელია. თუ ფილოსოფია ცოდნის დარგია, თუ ფილოსოფიის საშუალებით ისეთი დებულება მოიპოვება, რომლის მიღება ჩვენ რაიმე ცოდნას გვაძლევს, მაშინ უნდა არსებობდეს ის, რაც ამ ცოდნის უეჭველობის მაჩვენებელი იქნება, ამის გარეშე ჩვენ არ გვეცოდინება ცოდნის მომცემია ის, თუ არა, ქვეშარტია ის, თუ არა; ჩვენ მხოლოდ ის გვეცოდინება, რომ გვაქვს ასეთი დებულება და მეტი არაფერი.

ფილოსოფიის მსჯელობები საგნებზეა მიმართული და ისინი ან ქვეშარტია, ან მცდარი. მსჯელობა, რომლის მამტიცებელი საბუთი არ არსებობს, ქვეშარტად არ ითვლება. შეიძლება თუ არა ფილოსოფიური დებულებები ქვეშარტად ჩაეთვალოს და არ არსებობდეს მათი ქვეშარტების მამტიცებელი საბუთი? თუ ასეთი საბუთი საერთოდ არ არის და არც შეიძლება არსებობდეს, მაშინ ფილოსოფია ცოდნის დარგად არ შეიძლება ჩაითვალოს და თუ ასეთი საბუთი არსებობს, მაშინ ფილოსოფია მეცნიერული შექცელების დარგია. მაშასადამე, ფილოსოფიის საგანია სინამდვილე როგორც მთელი. ეგრძოდ, რო-

ვარი ბუნებისა ეს მთელი? რა არის მისი საწყისი, რა არის მატერიალური, რა არის იდეალური, როგორია მათი ურთიერთობა, როგორია თვითთვისის საერთო და საკუთრივი კანონზომიერება და სხვა ამ რიგის საკითხები. ეს საკითხები უზოგადესია, მათ თითქოს უზოგადესი სინამდვილე უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც ამ ხილული სინამდვილის ვარეშა, მისგან დამოუკიდებელია. ეს უზოგადესი მოცემულია ცალკეულ საგანთა და მათი კანონების სახით, ის მათშია დაფარული და ფილოსოფიამ უნდა აღმოაჩინოს. აქედან უკვე გამომდინარეობს ფილოსოფიისა და მეცნიერების კავშირი. შეუძლებელია რომ ფილოსოფიამ ისეთი რამ ამტკიცოს, რაც ცალკეულისა და მისი კანონების საწინააღმდეგო იქნება, რადგან ის ამ ცალკეულში და მის კანონებშია როგორც მათი საფუძველი. ფილოსოფიურმა დებულებამ თავისი გამართლება აქ უნდა ნახოს, აქ უნდა გამოჩნდეს ფილოსოფიური უზოგადესი. ე. ი. ფილოსოფოსი თავისი დებულების ქეშმარიტების დამადასტურებლად მეცნიერებაში აღმოჩენილ კანონებზე მიუთითებს და მათ ფილოსოფიური დებულების დასაბუთების ქსელში ჩართავს, თუ მაგალითად ფილოსოფოსი ამტკიცებს რომ სული როგორც სხეულისაგან დამოუკიდებელი არსებობს, ხოლო მეცნიერებაში ამ ფილოსოფიური დებულების შესაბამისი საწინააღმდეგო დასაბუთებული, მაშინ ფილოსოფიური მტკიცება საფუძველს მოკლებული რჩება. შესაძლებელია შებრუნებითი მდგომარეობა. თუ მეცნიერების დებულება დაუსაბუთებელია ის რაიმე ფილოსოფიური დებულების მექანიზმების მექანიზმების დასაბუთებლად არ გამოდგება. შესაძლებელია ფილოსოფიური დებულება ქეშმარიტი იყოს, რომლის შესაბამისი მეცნიერული დებულება მომავალში დადგინდება. ფილოსოფიური დებულებას მეცნიერული საფუძველი გამოენახება. ჰეგელის დიალექტიკის კანონების ქეშმარიტების მეცნიერული საფუძველები ჰეგელის დროს არ იყო, მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ის დაადასტურა, მისი მეცნიერული საფუძველები აღმოჩნდა. კერძო მეცნიერებათა კანონები უზოგადესი კანონის განხორციელების სახეებია. თუ ასეა მაშინ, ფილოსოფიური მსჯელობების ქეშმარიტების დასაბუთება შესაძლებელი იქნება და ფილოსოფიის არსებობა, როგორც არსის შესახებ მეცნიერებისა საფუძვლიანია. თუ ფილოსოფიური მსჯელობის შესაბამისი საგანი არის სინამდვილეში, რომელიც მეცნიერებაში აღიხატება მაშინ, ამ დებულების ქეშმარიტება დასაბუთებულია, მაშასადამე, ასეთ სურათს ვღებულობთ: თუ მეცნიერების მიერ შემუშავებული კანონის გამოთქმელი მსჯელობა ცდამ დააოხრება მაშინ, ეს მსჯელობა ქეშმარიტია, თუ ფილოსოფიური დებულების შესაბამისი საგანი, ან კანონი მეცნიერებაში არის მაშინ, ეს დებულება ქეშმარიტია. ცხადია, რომ ფილოსოფიის არედან ვარდება ყველანაირი მტკიცება რის საფუძველსაც ცალკეული მეცნიერების მონაცემები არ იძლევიან, ანდა თუ ხილული სინამდვილე არ აჩვენებს ფილოსოფიური აზრის შესატყვის მხარეს. ისე როგორც მეცნიერებაში კანონის დადგენისას, თუ რაიმე მოვლენა არ აღმოჩნდა რაც კანონს ეწინააღმდეგება, მაშინ კანონი ძალაშია, ასევე ფილოსოფიაშიც ფილოსოფიის მიერ წამოყენებული დებულება დამადასტურებელს საჭიროებს და ამას იგი კერძო მეცნიერებაში პოულობს. კერძო მეცნიერების აღმოჩენებმა ფილოსოფიური დებულება უნდა დაადასტუროს, შესაძლებელია კერძო მეცნიერებას ასეთი რამ ჯერ არ აღმოუჩენია, მაგრამ ფილოსოფიური დებულება ამის გამო არ უარყოფა რადგან თუ მას მეცნიერების განვითარებაში აქვს საფუძველი ამ დებულებას მომავალი განვითარება დაამტკიცებს.

ლოგიკური ემპირიზმის მტკიცება, რომ ფილოსოფია არ არის ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენი და იგი მხოლოდ კერძო მეცნიერების ლოგიკური ანალიზის მომხდენია არ არის სწორი. ლოგიკურ ემპირიზმში გვაქვს ისეთი დებულებები, რომლებიც არ არის ცდისეულ მეცნიერებაში და რაშიც კერძო მეცნიერების დებულების ხასიათია მოცემული. ფილოსოფია რომელიც ახდენს სხვა მეცნიერებათა ლოგიკურ ანალიზს, ადგენს ისეთ მსჯელობებს, რომლებიც არა გვხვდება კერძო მეცნიერებებში, მაგალითად: „მათემატიკური მსჯელობები არის ანალიზური“, ეს სრულიად ახალი მსჯელობაა, რომელიც ფილოსოფიური გააზრების შედეგია და ფილოსოფიას მიეკუთვნება. თვით ის ფაქტი, რომ „ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი“ ადგენს ამის შედეგად ისეთ დებულებებს, რომლებიც მეცნიერების შესახებაა გამოთქმული, მაგრამ რომლებიც იძლევიან ამ მეცნიერების სურათს და, ამდენად, ისინი ახალ მსჯელობებს წარმოადგენენ, რომლებიც ან ჭეშმარიტია ან მცდარი. ისე, რომ მეცნიერების ლოგიკურ ანალიზში ივლისსხმება მეცნიერების შესახებ გარკვეული ჭეშმარიტების დადგენა. ზემოხსენებული დებულება ისეთივე ჭეშმარიტია, როგორიც არის ცალკეული მეცნიერების ჭეშმარიტი დებულება; შემეცნება და მეცნიერება არსებობს და ფიზიკური საგანიც არსებობს, ისინი ერთმანეთისაგან არსებობისა და შესწავლის წესით განსხვავდებიან, ფიზიკური საგანი დროსა და სივრცეშია და ცდით შეისწავლება, მეცნიერება და შემეცნება კი დროშია და განყენებული აზროვნებით შეისწავლება. იმისი თქმა, რომ „ფილოსოფია არ არის ჭეშმარიტების აღმოჩენი“, შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ ის არ აღმოაჩენს ჭეშმარიტებას კერძო მეცნიერების საგანთა შესახებ, მაგრამ ეს საგნები ხომ არც არის ფილოსოფიის კვლევის საგანი.

ცდაში ორი მხარეა გაერთიანებული, რომელთაც აქვთ უშუალო სიცხადე და ამდენად ცდის შესაძლებლობის აუცილებელი წინაპირობა: ერთი არის შემეცნებელი და მეორე არის საგანი, რომელიც შემეცნებელს ცდაში ეძლევა. შემეცნებელს სურს არა მხოლოდ ეს ცალკეული ცდები და მათი შედეგები, არამედ — თვითონ ეს ცდისეული სინამდვილე მის ერთიანობაში თვით შემეცნებელის ჩათვლით. ცდისეული სინამდვილის ერთიანობა მდგომარეობს არა მარტო კერძო მეცნიერებათა ცნებების ერთიანობაში, არამედ ამ მეცნიერებათა ცნებებში მოცემული შინაარსების ერთიანობაში, საბოლოოდ ეს ერთიანობა მდგომარეობს საგნის ერთიანობაში და ამიტომ თვითონ ცდა გადაახედვინებს ადამიანს არსის უზოგადესი ბუნების საკითხების კვლევისაკენ. როდესაც ცალკეული მეცნიერებების მიერ ხდება ცდაში მოცემული საგნების შესწავლა, აზროვნება მაშინვე დგება არსოლოგიური საკითხების წინაშე. ე. ი. ცალკეული საგნების შესწავლა და მათი კანონების დადგენა ბადებს საკითხს თვით საგნის და მისი კანონების ბუნების შესახებ, რაც კერძო მეცნიერების არედან გასვლას და ფილოსოფიის არეში შესვლას ნიშნავს. ცდისეული სინამდვილის ერთიანობაში განხილვა არის არა ცალკეული მეცნიერების, არამედ ფილოსოფიის საქმე. ისე რომ თვითონ ცდისეული სინამდვილის არსებული საგნის კვლევას მიყავს ფილოსოფია არსოლოგიური საკითხებისაკენ. შემეცნება იწყება ცდით და მისი ამავე ცდაში შემოზღუდვა იქნებოდა იმისი შემეცნების აკრძალვა, თუ რა არის ცდა. იმის გასაგებად თუ რა არის ცდა საჭირო არ არის კვლავ ცდის ჩატარება, ამისათვის საჭიროა განყენებული აზროვნება, ანუ ცდის საგნად ქცევა და მისი არსის დადგენა. რაკი ფილოსოფიას საგანი ჰქონია კერძო მეცნიერებების გვერდით მასაც შეუძლია ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენა. თუ ჩვენ გავითვალისწინ-

ნებთ ფილოსოფიის ისტორიას ვნახავთ, რომ იგი არ არის უბრალო დებულებების წამოყენების ისტორია, აქ საქმე გვაქვს ისეთ დებულებებთან, რომლებსაც მოპოვებული აქვს კემპარიტების უფლება. არსოლოგიური ფილოსოფიის უარყოფას იმით ასაბუთებენ, რომ იქ არ ხდება დასმული საკითხების საბოლოო გადაწყვეტა, ე. ი. იქ არის მუდამ გადაუწყვეტელი საკითხები. ასეთი საკითხებია: სულოერის და სხეულებრივი ურთიერთობა, მთელი სინამდვილის არსების საკითხი. ლოგიკური ემპირისტების აზრით არასდროს არ მოხდება ამ საკითხების გადაწყვეტა, ამიტომ მასზე მუშაობა არის უქმი.

საქმე ის არის, რომ თვითონ მეცნიერების განვითარებამ დააყენა ისეთი საკითხები, რომლებიც ცდის ნიადაგზე არ გადაწყდება და რომლებიც მისი ფარგლებს სცილდება. მაგალითად, აინშტაინმა მიზნად დაისახა იმის დასაბუთება, რომ სამყარო არის დაბოლოებული და არა დაუბოლოებელი, ამის დასაბუთებაში იგი ემყარება გრავიტაციის კანონის მოქმედებას. ეს კანონი ცდის საფუძველზე აღმოჩენილი, მაგრამ აქედან სამყაროს დაბოლოების გამოყვანა სცილება ცდის არეს, რადგან ცდა და დაკვირვება არის დროულ ვრცეული საზღვრებით გაპირობებული და ასეთად გაგებული ცდა უუნაროა, რომ პასუხი გასცეს სამყაროს დაბოლება-დაუბოლოებლობის საკითხს. მან თუნდაც რომ დაასაბუთოს ჩვენი სამყაროს დაბოლება რა საფუძველი გვაქვს, რომ ვილაპარაკოთ საერთოდ სამყაროს დაბოლოების შესახებ. მაგრამ აინშტაინი თავის ფიზიკაში ამაზე თავისუფლად მსჯელობს. ეს სრულიად გასაგებია: ცდას აქვს თავისი საზღვარი და შემეცნება ამის საფუძველზე ცდილობს ისიც გაიგოს რაც ამ ცდის ბუნებიდან გამომდინარეობს. ფიზიკის მეცნიერებაში არის მრავალი ისეთი დებულება, რომელიც წამოყენებულია ცდის განზოგადების საშუალებით და ამ ზოგად დებულებას ჯერჯერობით ცდა არ ადასტურებს, მისი კემპარიტება ამით ჯერჯერობით არ არის უარყოფილი. დირაკი იმ უზოგადესი დებულებებიდან ამოდის რომ სამყაროში დაპირისპირებული მხარეებია, იგი ხელმძღვანელობს ამ დებულებით და ეძებს ნაწილაკთა სამყაროში მის შესაბამის ზოგადს. მან თეორიულად დაადგინა რომ ყოველ ნაწილაკს აქვს მისი საწინააღმდეგო, ე. ი. თუ არის უარყოფითი ელექტრონი არის, აგრეთვე დადებითიც. თუ იქნება პროტონი უნდა იყოს აგრეთვე ანტიპროტონიც... აქ ხდება დებულების განზოგადებული სახით წამოყენება, რომლებიც მოცემული ცდის საზღვრებს სცილდება, მაგრამ არ სცილდებიან საერთოდ შესაძლებელი ცდის საზღვრებს. ფიზიკის ცდებმა დადასტურეს მისი თეორიული განჭვრეტა. მაშასადამე, კერძო მეცნიერება გარკვეული აზრით ყოველთვის გადის მოცემული ცდის საზღვრებიდან იმდენად რამდენადაც ისეთ დებულებას აყენებს, რაც დღეს ცდით არ დასტურდება. ცდის საფუძველზე იმაზე ვასკენით რაც ცდაში უშუალოდ არა გვაქვს მოცემული და რაც ამ ცდის მონაცემების ბუნებიდან გამომდინარეობს ანუ იმას ვასკენით, რაც ცდისეული სინამდვილისადმი მიღებული არ არის, რაც მისი შინაგანია.

ცდის ცნებაში იგულისხმება ცალკეული მოვლენების რიგი, რომლებიც უშუალო ხედვაში გვეძლევა. ესენია დროულვრცეული საგნები მათი თვისებებით მათი ურთიერთ დამოკიდებულებანი, ამაში შედის აგრეთვე ცდის იარაღებით ნახული საგნები და მათი თვისებები, ურთიერთდამოკიდებულებანი ამას გარდა მასში შედის ცნობიერების მოვლენები. როგორც უშუალო განცდაში მოცემული თვით ამ განცდის ჩართვით. ამის მერე აზროვნებით ხდება მოცემულ საგანთა კანონის აღმოჩენა ანუ იმ საფუძვლის მონახვა რაც მათს არსებობას

განსაზღვრავს, ამ აზრით მეცნიერული აზროვნება უშუალო ცდის საზღვრებს სცილდება რამდენადაც ამ ცდას გააზრების საგნად აქცევს და მასში დაფარულ ზოგადს აღმოაჩენს, მაგრამ ამავე დროს ეს აზროვნება ცდით არის განსაზღვრული, მან თავისი ნააზრევი ცდით უნდა დაადასტუროს, მისი აღმოჩენილი კანონები ცდისეული საგნების კანონებია, ამიტომ ამ აზროვნებას მაინც ცდისეული აზროვნება უნდა ეწოდოს. თუ ცდაში რაიმე საგანი მოცემული არ არის, ისე რაიმე კანონის ძიება არ იწყება, რადგან კანონი მუდამ რაიმე საგნის კანონია. ამიტომ როცა ფართო გაგებით ვლაპარაკობთ ცდის შესახებ, ვგულისხმობთ კერძო მეცნიერებათა ერთობლიობაში მოცემულ ცდისეულ სინამდვილეს და იმ კანონებს რომლებიც მათშია მოცემული. ფილოსოფია მასზეა მიმართული და მისი გზა წმინდა განყენებული აზროვნებაა, ის მოვლენასაც ითვალისწინებს, მის კანონებსაც მაგრამ ყველაფერ ამას ასრულებს ლოგიკურ დედუქციური მეთოდით. არსოლოგიურმა ფილოსოფიამ ცდისეული სინამდვილის შესახებ უნდა დასვეს საკითხი და გამოარკვიოს მისი უზოგადესი ბუნება, არსოლოგიულმა ფილოსოფიამ უნდა გამოარკვიოს ცდისეული სინამდვილე როგორც ერთიანი.

ლოგიკური ემპირისტებისათვის სწორედ ეს ერთიანობაა სადაო. სინამდვილე მათთვის არის ერთეულების გროვა, მაგრამ ლოგიკური ემპირისტები საბოლოოდ ზოგადობას ვერ უარყოფენ. ფილოსოფიის საგანია მთლიანი სინამდვილე, ხოლო ასეთი სინამდვილე ჩვენ აზროვნებას არასდროს მოცემული არა აქვს, ამიტომ ემპირისტები ასკენიან რომ მისი შემეცნება შეუძლებელია. ამ აზრით არც ფიზიკოსს აქვს ფიზიკური სინამდვილე მთლიანად მოცემული, მაგრამ ფიზიკა შესაძლებელია. ერთ საფეხურზე ერთი ნაწილი ეძლევა მეორეზე, — მეორე და ასე უსასრულოდ, ფილოსოფიას სინამდვილე კერძო მეცნიერებისაგან აქვს მოცემული რომლის ახალ საფეხურზე ახალი სინამდვილე იქნება, და რომელიც უსასრულოს ნაწილია. ფიზიკას და ფილოსოფიას შორის ამ შემთხვევაში განსხვავება ის არის რომ ფიზიკა სინამდვილეზე უშუალოდაა მიმართული, ანუ ის ცდისეულ საგნების კანონებს ადგენს. ფილოსოფია კი კერძო მეცნიერებაზე მიმართებითაა სინამდვილეზე მიმართული. ცხადია, ზოგადი იმავე სახით არ არსებობს, როგორც ერთეული, მაგრამ ამის გამო ზოგადის უარყოფა არ იქნება დასაბუთებული, ემპირისტ-ნომინალისტები თავიანთ მეცნიერულ მოღვაწეობაში ზოგადის არსებობას ემყარებიან, თუმცა თეორიულად მის უარყოფას ახდენენ. „X არის ადამიანი“. ეს გამოთქმა გულისხმობს ერთეული ადამიანების არსებობას და რომ ამ გამოთქმიდან მსჯელობა მივიღოთ საჭიროა ცვლადის ადგილას ისეთი საგანი ჩავსვათ, რომელიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, აქ უნდა ჩავსვათ რომელიმე ერთეული ადამიანი მაშინ, მივიღებთ მსჯელობას და თანაც კუმპარტის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმ საგანთა გროვიდან, რომელთაც ყველას ერთი საერთო ნიშანი — ადამიანობა — ახასიათებს, ის ამოვარჩიეთ და ჩავსვით თავის ადგილას, ამ შემთხვევაში ჩვენ ვემყარებით ზოგადის გარკვეულ სახით არსებობას, ე. ი. ყოველი ერთეული საგანი მატარებელია რაღაც იგივეობრივის და ეს იგივეობრივი არის მათი ზოგადი, ამიტომ ერთეული არის ზოგადის გამოხატულება.

გამოთქმა „X არის ადამიანი“, ზოგადის უარყოფა კი არ არის, არამედ მას გამოხატავს. რაიმე შესაძლებელი ერთეული უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ადამიანთან, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ადამიანობა ე. ი. ერთეული არის ზოგადის მატარებელი. გამოთქმა „ქვეყანა არის ფაქტების გროვა“ თავიდან ვერ იცილებს ზოგადს. ყველა ფაქტს ერთად რაც აერთიანებს ის არის რომ მათ აქვთ

ფაქტად არსებობის ნიშანი. მათი ფაქტად არსებობა არ არის თვითონ რაიმეს გვერდით არსებული ფაქტი, ის მათი ზოგადია. ერთეულთა არსებობა ერთეულეზად არის მათი ზოგადობა, აქ ერთეული კი არ იქცა ზოგადად, არამედ მათ ერთეულობა აქვს საერთო. ზოგადის უარყოფა ისეთ დაბრკოლებებს აწყდება, რომელთა გადალახვა მეცნიერულ აზროვნებას არ შეუძლია. თუ დავუშვებთ, რომ არ არის ზოგადი და ყველაფერი არის ერთეული, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან სრულად განსხვავდებიან, მაგრამ ამით ზოგადად ვერ ავიცილებთ: ვერ ერთი, იმიტომ, რომ მათი განსხვავება იქნება მათი საერთო ნიშანი, რომელიც არა ერთეულია, არა ცალკეული ფაქტია, არამედ მათი ზოგადობაა და მეორე ის, რომ ასეთ შემთხვევაში არა გვაქვს უფლება ცალკეული საგნების რიგი ერთი საერთო ნიშნით დავახასიათოთ; მაშინ თვითეული არის „ეს“¹, მაგრამ ამ შემთხვევაში თვითონ „ეს“ ზოგადია, რამდენადაც ყველა ერთეულისათვის ის საერთოა. საგნები, როგორც — იგივეობრივი, ისე განსხვავებულია; ერთიანობის საფუძველი მათი ზოგადია, ისე, რომ ზოგადი რომ არ იყოს შემეცნება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ზოგადი არ არსებობს მაშინ არ არსებობს ზოგადი მსჯელობა, რაც შეუძლებელია, რადგან მეცნიერება ძირითადად ზოგადი მსჯელობისაგან შედგება.

ფილოსოფიური თეორიის აგება ისე უნდა მოხდეს, რომ ცდისეულ სინამდვილეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ფილოსოფიურ თეორიას მასში უნდა ჰქონდეს საყრდენი. ცდისეულ საგნებში უნდა გამოსკვიოდეს ის უზოგადესი, რაც ფილოსოფიური თეორიის ძიების საგანია, ე. ი. ისეთი არსოლოგია უნდა აშენდეს, რომელსაც თავისი ძირები ცდისეულ სინამდვილეში აქვს. ე. ი. ყოველი ფილოსოფიური დებულებების ჭეშმარიტების მაჩვენებელი სინამდვილეში უნდა არსებობდეს. ცდისეული მეცნიერებანი თავის ამოსავალში ემყარებიან იმ საერთოს, რასაც არცერთი არ იკვლევს და რასაც არსებობის ისეთი უფლება აქვს, როგორც ცდისეულ მეცნიერების საგანს. რას ემყარება ცდისეული მეცნიერება? იგი ემყარება მთელ სინამდვილეში კანონზომიერების არსებობას რომლის გამოხატულებასაც ცალკეული ცდისეული მეცნიერების კანონზომიერება წარმოადგენს. როცა ფიზიკოსი იკვლევს მექანიკურ მოძრაობას მისი მიზანია არა ჭევის მოძრაობის გამოკვლევა, არამედ საერთოდ მოძრაობის გამოკვლევა და მხოლოდ მაგალითისათვის მიმართავს ჭევის მოძრაობას. იგი ჭევის მოძრაობაში ეძებს იმას, რასაც საერთოდ მოძრაობა ეწოდება. მაშასადამე, ცდისეული შემეცნების საგანი არის ზოგადი, რომელსაც იგი ერთეულში აღმოაჩენს და მისთვის ერთეული არის ზოგადის პოვნის საშუალება. ფიზიოლოგია სწავლობს ცოცხალ არსების ფიზიოლოგიურ კანონებს, იგი ახდენს ცდებს გარკვეულ ცოცხალ არსებებზე, მაგრამ მისთვის მათი გამოყენება ცდისპირებად მიზანი კი არ არის არამედ საშუალებაა მათში დამალული ზოგადის კანონის დასადგენად. ხოლო ერთიანი სინამდვილის კანონზომიერება რაც ამ ცალკეულ კანონზომიერებაშია დაფარული ფილოსოფიის საგანია. თუ მეცნიერული შემეცნება ზოგადს ემყარება, რომელიც ცდაში მკვლავდება, მაგრამ თვითონ არ არის ცდა, ამ ზოგადის გამოკვლევა იქნება ახალი ცოდნის დარგი, რომელსაც ფილოსოფია ეწოდება. თუ სინამდვილეში არის ზოგადი მაშინ, არის ისეთი კანონზომიერებაც, რომელიც ამ ერთიან ცდისეულ სინამდვილეს უდევს საფუძვლად და განსაზღვრავს მის არსებობას. რაი არსებობს ცალკეულთა ზოგადი მაშინ არსებობს

¹ Гегель, Феноменология духа, М., 1959, стр. 58.

აგრეთვე მათი ერთიანობის საფუძველი ანუ უზოგადესი. ცალკეული მეცნიერებანი დებულების, ჭეშმარიტების დადასტურებისათვის ცდას ან დაკვირვებას მიმართავენ. ეს ნიშნავს ცდაში, მეცნიერული მსჯელობის შინაარსის ნახვას. თუ მსჯელობის შინაარსი შესაბამისობაშია ცდაში მოცემულ საგანთან, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია, ასეთი დადასტურება ფილოსოფიური მსჯელობისათვის არ ხერხდება რადგან ფილოსოფიური მსჯელობა, როგორც უზოგადესი ზოგადზეა მიმართული, ხოლო ზოგადი ცდის საგანი არ შეიძლება გახდეს. ცდის საგანი ყოველთვის ერთეულია თუმცა მისი შინაარსი ზოგადია. ზოგადის ცდაში მოცემულობა შეუძლებელია ამიტომ ფილოსოფიისათვის ცდის გზა გამოირიცხულია მისი გზა ლოგიკურია მაგრამ ის ამ მხრივ განსხვავდება მათემატიკისა და ლოგიკისაგან, რადგან ამათში ლოგიკური მტკიცება აქსიომებზე დაფუძნებით ხდება, ხოლო ფილოსოფიაში ყოველთვის შინაარსობრივი უზოგადესი დებულება გვაქვს, მაშასადამე ფილოსოფიაში მათემატიკისა და ლოგიკისაგან განსხვავებით სადაც ფორმალური აქსიომებია, და მტკიცება ამ აქსიომების ლოგიკურ დამოკიდებულებებს გამოხატავს, ფილოსოფია შინაარსობრივ უზოგადეს დებულებებს ემყარება და მათ შორის ლოგიკურ კავშირებს ადგენს. ყოველი ფილოსოფიური თეორია საწყისად შინაარსობრივ უზოგადეს დებულებას აიღებს და შემდეგი დებულებები მისგან ლოგიკური აუცილებლობით გამოდიან. მეცნიერებაში აღმოჩენილი კანონები არის სინამდვილის კანონები. მეცნიერებაში არსებული კანონების ცოდნა მათი გააზრება ფილოსოფიას მიიყვანს უზოგადესი კანონების აღმოჩენამდე. ფილოსოფოსი მოქმედებს ლოგიკურ დედუქციური მეთოდით, ამ მეთოდით მიღებულ შედეგებს იგი ასახულებს მეცნიერებაში მოპოვებული შედეგების თავისებური ანალიზით. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ფილოსოფოსი აზროვნობს სინამდვილის რაობის შესახებ და თუ მის მიერ წამოყენებული დებულებები ჭეშმარიტია მას მეცნიერების მიერ ახსნილი ფაქტები უნდა შეესაბამებოდეს. ეს შესაბამისობა ისევ ცდით არ დგინდება ასე, რომ იყოს ეს მიგვიყვანდა უსასრულო უკანსვლამდე, ეს შესაბამისობა მყარდება მხოლოდ განყენებული გააზრების გზით, რომელიც ემყარება მეცნიერების ცდით დადასტურებულ დებულებების უშუალო მოცემულობას.

ფილოსოფოსი არჩევს ამოსავალ დებულებას, როგორც თავისი თეორიის საწყისს და ეს განსაზღვრავს მისი ფილოსოფიის ხასიათს. მთელი სისტემა ამ საწყისის გამართლებას ემსახურება, და შემდგომი ცნებები არის ამ საწყისის განვითარება. როგორ ხდება საწყისის ამორჩევა? საწყისის ამორჩევა არ ხდება თვითნებური დაშვებით, რადგან აქ ამოცანა მარტო იმაში კი არ არის რომ აიგოს ლოგიკურად გამართული, წინააღმდეგობისაგან თავისუფალი სისტემა არამედ ამავე დროს იგი უნდა იყოს ჭეშმარიტი, იგი უნდა იყოს სინამდვილის სურათი. მაშ, ფილოსოფიური სისტემა უნდა იყოს მთლიანი და ჭეშმარიტი. ეს არის ყოველი ფილოსოფიის ამოცანა. ფილოსოფოსს განსაზღვრავს თავისი ეპოქის საერთო მიმართულება, მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების ხასიათი. მისი წინარე ფილოსოფია არის მისი ამოსავალი მასში აღმოჩენილი შინაგანი ცალმხრივობითა და შინაგანი წინააღმდეგობით, იმის პოვნას რაც ამ ცალმხრივობებსა და შინაგან წინააღმდეგობებს განსაზღვრავს ფილოსოფოსი მიჰყავს ახალი საწყისის ძებნისაკენ, რაც უფრო ლოგიკურს და ჭეშმარიტს ხდის ფილოსოფიურ სისტემას. ცხადია აქ მარტო ფილოსოფიის ანალიზი არ კმარა, საჭიროა მისი შედარება სინამდვილესთან, იმის დამტკიცება, რომ იგი ვერ იძლევა სინამდვილის ახსნას, სინამდვილე უფრო სხვაგვარია ვიდრე ეს წარმოდგენილია

ბის ურთიერთობის საკითხი მაშინ, იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ისინი ერთმანეთის ადგილს არ იკავებენ. ფილოსოფია არის უზოგადესის შემსწავლელი, კერძო მეცნიერება კი ზოგადი სინამდვილის ცალკეული მხარის კანონზომიერების შემსწავლელი და გამოსარკვევია თუ რა გავლენა აქვს ერთმანეთზე. ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორია, რომ ვავითვალისწინოთ, ერთი ამბავი გახდება ცხადი. როდესაც მეცნიერების განვითარების დონე არის დაბალი და ის ვერ წყვეტს თავის არეში დასმულ საკითხებს, ხოლო მასზე პასუხი აუცილებელია, აზროვნება მას არკვევს ზოგადი გზით, ასეთ შემთხვევაში საკითხები წყდება ფილოსოფიურად და მეცნიერებაში არსებული ხარვეზი ფილოსოფიით ივსება, ფილოსოფიის დებულება შემოწმებადი არ არის მას არ შეუძლია თავის დებულება დაადასტუროს ცდით, მისი დებულება სარწმუნო ხდება ლოგიკური დასაბუთების საშუალებით. ფილოსოფიის მიერ ზოგადობაში, განყენებულობაში შესწავლილი საგანი ცდისეულ სახეს მიიღებს და შეიძლება კერძო მეცნიერების კვლევის საგანი გახდეს. მაგალითად, ატომი როგორც სინამდვილე განყენებული აზრით დასაბუთდა დემოკრიტესთან, ხოლო შემდეგ კერძო მეცნიერებანი იწყებენ მისი ცდისეული გზით დადგენას. ჯერ ქიმიამ, და მერ ფიზიკამ დემოკრიტეს ეს ფილოსოფიური დებულება დაადასტურა, იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნიერების დაბოლოების შესახებ. სინამდვილე დაბოლოებულია თუ არა, დღემდე არცერთი მეცნიერების მსჯელობის საგანი არ ყოფილა. ამას მხოლოდ ფილოსოფია ეხებოდა, მაგრამ საქმე ის არის რომ დღეს ფიზიკა შეეხო ამ საკითხს და თავისი პრინციპებიდან შეეცადა იმ აზრის დასაბუთებას რომ სინამდვილე არის დაბოლოებული. ამის მაგალითია აინშტაინის თეორია.

საერთოდ შემეცნების თავისებურება ისაა, რომ სინამდვილეს იგი ჯერ ზოგად სახეში შეიცნობს ხოლო მეროე მის კერძობაში. ამ გავებით შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია მეცნიერებათა განვითარებას ზოგჯერ უსწრებს, კერძო მეცნიერება კი მიისწრაფვის იმისაკენ რომ ფილოსოფიური დებულებას გამოუნახოს ცდისეული შესატყვისი. უნდა თუ არა მეცნიერს ფილოსოფიასთან კავშირი იგი დამოკიდებულია მისგან. რადგან იყენებს იმ ზოგად ცნებებს, რომლებიც ფილოსოფიის მიერ არის დადგენილი. ეს ზოგადი ცნებები მასში შეუგნებლად კი არ იხადება, მთელი აზროვნებების ისტორიით არის განპირობებული. ფილოსოფიის უზოგადესი ცნებები: მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, ფორმა და შინაარსი — გარკვეულ ადგილს იკავებენ მეცნიერის მოღვაწეობაში. ეს ცნებები უბრალო სიტყვები კი არ არის, არამედ მისი მეცნიერული მუშაობის მამოძრავებელია. მეცნიერი აღმოაჩენს მიზეზობრივ ურთიერთობას და იგი ხელმძღვანელობს ამ კატეგორიით. აი რას ამბობს ენგელსი ფილოსოფიის და კერძო მეცნიერების კავშირზე. „მხოლოდ ის გარემოება რომ ჩვენი თანამედროვე ბუნების მკვლევარნი არ იცნობენ სხვა ფილოსოფიას გარდა იმ ორდინარული ვულგარული ფილოსოფიისა, რომელიც დღეს გერმანიის უნივერსიტეტებშია გავრცელებული, ნებას აძლევს მათ ამდაგვარად იხელმძღვანელონ ისეთი გამოთქმებით როგორიც არის „მექანიკური“ ისე, რომ ისინი ანგარიშს არ უწყევენ ანდა გუმანიც კი არ აქვთ იმისა თუ ამით აუცილებლად რა დასკვნებს იღებენ ისინი კისრად“². აქ ფილოსოფიისაგან მეცნიერების განსაზღვრაზეა ლაპარაკი. ფილოსოფია ნაწილობრივ გავს კრიტიკას. ისე როგორც კრიტიკოსი მიუთითებს მწერალს, ნაკლზე და იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილი-

² ბუნების დიალექტიკა, გვ. 261.

ყო დაძლეული ნაკლი, ასევე მეცნიერის მოღვაწეობას გააზრების საგნად ხდის ფილოსოფოსი და მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომელთა წინაშე დგას მეცნიერი და იმ გზებზე, რომლითაც მათი დაძლევა უნდა მოხდეს. შესაძლებელია კონკრეტულად, ფილოსოფოსის რომელიმე მითითება იყოს მცდარი, მაგრამ ეს არ უარყოფს მის როლს, რადგან თუ ერთი მითითება იქნება მცდარი აქედან არ გამოდის რომ ყველა სხვა მცდარი უნდა იყოს, როგორც ცნობილია ფიზიკოსები დაობდნენ იმის შესახებ, რომ სინათლე წყვეტადი თუ უწყვეტი, ნაწილაკური თუ ტალღური. ფილოსოფიური აზრის მონაწილეობამ შეარყია იქ არსებული ცალმხრივი რწმენა და ფიზიკოსთა დაძაბული კვლევის შედეგად დღეს მეცნიერებაში ის თვალსაზრისია, რომ სინათლე არის ნაწილაკური-ტალღური, ისე რომ სინათლის შესახებ შემუშავდა დიალექტიკურა გაგება.

ზოგადის გარეშე არ არის აზროვნება და ფილოსოფიური ზოგადობა სწორედ მეცნიერული აზროვნების ამოსავალი და საფუძველია. თუ არ ვაღიარებთ ფილოსოფიურ ცნებებს, როგორცაა საგანი მოძრაობა და სხვა, ისე შეუძლებელი იქნება რომელიმე საგანზე აზროვნება და მის შესახებ ცნების დადგენა ყოველი ცალკეული როგორც სააზროვნო საგანი გაპირობებულია იმით, რასაც ზოგადობა ეწოდება. თუმცა ის როგორც რეალობა პირველადია და ზოგადი მასშია, მაგრამ აქ საკითხი ეხება არა რეალობას, არამედ მის შემეცნების ხაზს. ამიტომ არის, რომ ისტორიულად შემეცნება ზოგადობიდან იწყება და პირველი ფორმა შემეცნებისა ფილოსოფიაა. ცალკეულის შემეცნება შესაძლებელია გახდეს მას შემდეგ რაც შეცნობილი გახდა ზოგადობა. ხოლო ზოგადობის შემეცნების შემდეგ გადავიდა აზროვნება, კერძო მეცნიერული შემეცნების საფეხურზე. თვით ის ფაქტი რომ ყოველი დიდი მეცნიერი ბოლოს გადადის ფილოსოფიურ კვლევა-ძიებაზე იმის მაჩვენებელია, რომ მეცნიერი თავის კვლევას თვლის დასრულებულად, მაშინ, როცა იგი გამოიკვლევს იმ საფუძველებს, რასაც მისი მეცნიერული კვლევა-ძიება ემყარება. ზოგადობის წყდომის მოთხოვნილება, რომელიც აუცილებელია ადამიანური აზროვნებისათვის იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანის აზროვნებას მისწრაფება აქვს ფილოსოფიისაკენ და იგი ადამიანის შემეცნებით მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს: ფილოსოფიური დებულება არის უზოგადესი, ამიტომ ფილოსოფიური უზოგადესი მეცნიერს უკარნახებს იმ ცალკეულთა ზოგადის აღმოჩენას რომლის შინაარსსაც შეიძლება იგი წარმოადგენდეს.

ბოლოს ერთი საკითხიც, რომელიც ფილოსოფიის ცალკეულ დარგებს შეეხება, ცალკეული მეცნიერებანი, რომ განვიხილოთ ვნახავთ რომ მათშიც არის საერთო და მისი ცალკეული დარგები, რომლებიც ამ საერთოდან გამოდიან, რომელთაც ეს საერთო უდევთ საფუძვლად. ბიოლოგიაში არის ზოგადი ბიოლოგია, ქიმიკაში ზოგადი ქიმია, ფიზიკაში ზოგადი ფიზიკა, ასევე შეიძლება ვიპოვოთ ფილოსოფიის და მისი ცალკეული დარგების დამოკიდებულება.

ფილოსოფიის ძირითადი საგანია იდეალურის და მატერიალურის ურთიერთობის საკითხი, რომელიც საბოლოოდ ადამიანის და სინამდვილის ურთიერთობის საკითხად გარდაიქმნება, ეს დამოკიდებულება კი უპირველესად არის

ადამიანის როგორც შემეცნებლის და შესაცნობი სინამდვილის მიმართება და ის კანონზომიერება რაც ამ მიმართებას განსაზღვრავს, აქედან გამომდინარეობს სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერების და თვითონ შემეცნების კანონზომიერების ცოდნა ამის შერე პირველი საკითხის გადაწყვეტის საფუძველზე უნდა გაირკვეს ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულებანი სინამდვილის მიმართ, ეს დამოკიდებულებანია ეთიკური, ესთეტიკური და ყოფიერებითი რომლებიც არსებითად ფილოსოფიის მთავარი საკითხის, სინამდვილის და აზროვნების უზოგადესი კანონზომიერების შემეცნების შედეგად მიღებული პრინციპებით არის განსაზღვრული, რის შედეგადაც მივიღებთ შემდეგფილოსოფიურ დარგებს: ყოფიერების საზრისის თეორიას და მის საფუძველზე ესთეტიკასა და ეთიკას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



3030 მარკველაშვილი

შენახვის ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თეორიის
დროითი საფუძვლები

1. დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური გაგება როგორც
ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ონტოლოგიის საფუძველი

ედმუნდ ჰუსერლის ლექციები დროის შინაგან ცნობიერებაზე — წაკითხულ
ლი გოტინგენში 1904—05 წლებში — შეკრება მარტინ ჰაიდეგერმა და 1928
წელს ჰალეს ფილოსოფიურ და ფენომენოლოგიურ კვლევათა ყოველწლიურ
ქურნალში გამოაქვეყნა¹. ამის მიზეზი მარტოოდენ მასწავლებლისადმი მოწა-
ფის მაღლიერი ყურადღება როდი იყო, არამედ — ჰაიდეგერის განსაკუთრებუ-
ლი დაინტერესებაც ხსენებულ ლექციებში განხილული საკითხის გამო. ქვემოთ
გიჩვენებთ, რომ ჰუსერლის მიერ შემუშავებული დროის შინაგანი ცნობიერე-
ბის ცნება შემდეგ საფუძვლად დაედო დროის შინაგანი ცნობიერების ჰაიდეგე-
რისეულ — წინარეონტოლოგიურ გაგებას (vorontologisches Seinsverständnis)².

დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური გაგება ჰაიდეგერმა
რამდენიმე დამატებითი განსაზღვრებით შეავსო და განავრცო იგი თუ შეიძლე-
ბა ასე ითქვას, ყოფიერების ცნობიერების (Seinsbewusstsein) ეგზისტენცია-
ლურ-ონტოლოგიურ ცნებად. ამ განვრცობით ეს თავდაპირველი, ეგზისტენცია-
ლური ონტოლოგიისათვის ამოსავალი, ფენომენოლოგიური ცნება ოდნავადაც
არ შეცვლილა; პირიქით, ეს ინარჩუნებს თავის არსს და ამდენად ჰაიდეგერის
ეგზისტენციალური ანალიტიკის პირველსაფუძვლად, მის ფენომენოლოგიურ სა-
ყრდენ წერტილად წარმოგვიდგება.

ადამიანის ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური ინტერპრეტაციისათვის დრო-
ის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური ცნება (inneres Zeitbewusstsein)
აუცილებელი ქვაკუთხედი აღმოჩნდა პირველ რიგში დროის იმ განსაკუთრებუ-
ლი, სტატიური (სივრცული) გაგების გამო, რაზედაც არსებითად დაფუძნებუ-
ლია ეს ცნება. ეს გაგება თავს იჩენს ჰუსერლის ხსენებული ტრაქტატის ყველა
მნიშვნელოვან პასაჟში. დროის შინაგანი გაცნობიერება, ფენომენოლოგიური
აზრით, პირველ რიგში მისი როგორც ველის გაცნობიერებაა. ეს საკმარისად
საბუთდება იმ ცნობილი პარალელით, რომელსაც ავლებს ჰუსერლი გარეგან
სივრცულ აღქმასა და დროის შინაგან აღქმას შორის. დროის წერტილები, ამ-
ბობს იგი, ისევე შორდება ჩემს ცნობიერებას, როგორც სივრცეში მდებარე

¹ Edmund Husserls Vorlesungen zur Phänomenologie des inneren Zeitbewusstseins, Herausgegeben von Martin Heidegger im Jahrbuch für Philosophie und phänomenologische Forschung, Halle, 1928, გვ. 367—496.

² M. Heidegger, Sein und Zeit, Halle, 1929, გვ. 13.

6. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1972, № 1

საგნის წერტილები, როდესაც მე ვშორდები მას: საგანი ინარჩუნებს თავის ადგილს და ზუსტად ასევე ბგერაც ინარჩუნებს თავის დროს; დროის ყოველი წერტილი უძრავია, მაგრამ ის სულ უფრო გვშორდება და ვადადის ჩვენი ცნობიერების სიდრემეში³. ამით განისაზღვრება დროის შინაგანი ცნობიერების როგორც ველის ფენომენოლოგიური გაგება. ჰუსერლის ფენომენოლოგიაში დროის შინაგანი ცნობიერების ცნება მხოლოდ იმ სპეციფიკურა, ინტენციონალური აქტების გამოვლენისა და აღწერის საშუალება იყო, რომლებიც დროით ობიექტებს ეხება. ხოლო ჰაიდეგერის ფუნდამენტალურ ონტოლოგიაში დროის ეს სიერცული აღქმა ძირითად ცნებად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ონტოლოგიაში დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიურ-სიერცული გაგება გარდასახულია ყოფიერების ცნობიერების ექსისტენციალურ-ონტოლოგიურ ცნებად.

როგორც ეს ეგზისტენციალური ანალიტიკის მთელი სტრუქტურიდან ჩანს, ამ გარდასახვის მეთოდი ორ მომენტს მოიცავს. ეს მომენტებია: 1) დროის შინაგანი ცნობიერების წარმოდგენა ყოფიერების ბუნებრივი, წინარემეცნიერულ-ონტოლოგიური გაგების საფუძვლად; 2) ყოფიერების წარმოდგენა პირველად და ფუძემდებლურ ურთიერთკავშირში ადამიანის დროის შინაგანი ცნობიერებასთან.

ეს ორი მომენტი აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰაიდეგერის ონტოლოგიური აზრის ორი საფეხური. პირველ საფეხურზე ყოფიერება გვევლინება და შესისწავლება დროის შინაგანი ცნობიერების საზღვრებში, მეორე საფეხურზე საბუთდება ყოფიერების მოცემულობა ამ ცნობიერებაში. როგორც ამ ორი ფაზის ერთიანობიდან აღმოცენებული, ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ფილოსოფია არსებითად იმის შედეგად გვევლინება, რომ დროის შინაგანი ცნობიერების ცნება გადატანილია ყველაზე ობიექტურ საფუძვლებზე. ამ გადატანის თანდათანობითი, ეტაპური განხორციელების თანახმად, დროის შინაგანი ცნობიერება პირველად თავის ზოგად შემეცნებით უნართან მიმართებაში მოწმდება. ეს შემოწმება, რომელიც ჰაიდეგერის მთავარი თხზულების — „ყოფიერება და დროს“ ცენტრალურ თემას წარმოადგენს, მთავრდება ამ უნარის სრული აღიარებით: ამჟამად გარკვეული გნოსეოლოგიური ფუნქცია როგორც თვისება დროის შინაგანი ცნობიერებისა, სახელდობრ: დროის შინაგანი ცნობიერება მხოლოდ დროის ცნობიერება კი არ არის, არამედ აგრეთვე ყოფიერების ცნობიერებას ანუ, როგორც ჰაიდეგერი ამბობს, „ყოფიერების გაგებასაც“ (Seinsverständnis) წარმოადგენს. დროის შინაგანი ცნობიერების ამ ონტოლოგიურ განვრცობა-გაფართოებაში ძირითადია ის, რომ ეს ცნობიერება თავისთავად მიჩნეულია პირველად და ამდენად ბუნდოვან (vage) ცნობიერებად. ყოფიერება ცნობიერებას ეძლევა არა ექსპლიციტურ ფორმაში, არამედ — განუსაზღვრებლად, გაურკვეველი სახით. რამდენადაც ტერმინი „ონტოლოგიური“ აღნიშნავს ყოფიერების შესახებ მხოლოდ ექსპლიციტურს, გარკვეულსა და მეცნიერულად ფორმულირებულ ცოდნას, ხოლო დროის შინაგანი ცნობიერება როგორც ყოფიერების გაგება, უფრო დაბალი საფეხურის ცნობიერებას წარმო-

³ Die Punkte der Zeitdauer entfernen sich für mein Bewusstsein analog wie sich die Punkte des ruhenden Gegenstandes im Raum für mein Bewusstsein entfernen, wenn ich mich vom Gegenstand entferne: Der Gegenstand behält seinen Ort, ebenso behält der Ton seine Zeit, jeder Zeitpunkt ist unverrückt, aber er entflieht in Bewusstseinsfernen. იხ. ჰუსერლის დასახელებული ნაშრომი, გვ. 386.



ადგენს, ჰაიდეგერი მას განმარტავს, როგორც წინარეონტოლოგიურს (vorontologisch-*Seinsverständnis*). ამგვარად, ყოფიერების ჰაიდეგერისეული მოძღვრების ძირითადი ამოცანაა დროის შინაგანი ცნობიერების როგორც ყოფიერების ცნობიერების ამაღლება მეცნიერულ-ფილოსოფიური ანუ ეგზისტენციალური ონტოლოგიის დონემდე. ამით დროის შინაგანი ცნობიერება, რომელიც ჰუსერლის ფილოსოფიურ სისტემაში დაქვემდებარებულ, მეორეხარისხოვან ადგილს იკავებდა, ჰაიდეგერის მეტაფიზიკური მოდელის ცენტრში აღმოჩნდა: აქ ის ფიგურირებს, როგორც ონტოლოგიის ძირითადი და მთავარი საკითხი, როგორც ერთადერთი შესაძლებელი და რეალური მისაღწევი მის საკუთარ საგანთან — ყოფიერებასთან.

დროის შინაგანი ცნობიერება მისი ონტოლოგიური გაფართოების პირველ საფეხურზე არსებითად ნაჩვენებია როგორც ცნობიერება, რომელიც საკუთარ ყოფიერებას ანუ, ჰაიდეგერის თქმით, საკუთარ ეგზისტენციას აცნობიერებს; დროის შინაგანი ცნობიერების ეს ფრიად მცირე ანუ ეგზისტენციალური მოცულობა შემდეგ იზრდება და ონტოლოგიური ინტერპრეტაციის მეორე საფეხურზე იგი (ცნობიერება) უკვე მთელი ყოფიერების მომცველად წარმოგვადგება. დროის შინაგანი ცნობიერება, მიუხედავად მისი ეგზისტენციალური შემოსაზღვრულობისა, ამავე დროს საერთოდ ყოფიერების ცნობიერებაა⁴. დროის შინაგანი ცნობიერების ეგზისტენციალური ანალიტიკა თუმცა უპირატესად რეფლექსიურის ანუ თვითშემეცნებელი სტრუქტურის ანალიტიკად გვევლინება, მაინც მილიანად თავისი საგნის ტრანსცენდენტური ხასიათიდან გამომდინარე: ამ ანალიტიკის მიერ შემუშავებული ყველა ეგზისტენციალური განსაზღვრება დროის შინაგანი ცნობიერებისა, — რომლებიც მას (ცნობიერებას) ახასიათებენ როგორც უპირველეს ყოვლისა თავის საკუთარ ყოფიერებაზე ზრუნვის სტრუქტურასა (Sorgestruktur)⁵ და როგორც არსებულს თავისი ეგზისტენციის ნამდვილ და არანამდვილ (eigentlich, uneigentlich) მოდუსებში⁶, — გადაქსოვილია ყოფიერების ცნებასთან: ყოფიერებასთან როგორც ასეთთან, როგორც პირველსა და ფუძემდებლურ ფაქტორთან მთელი ეგზისტენციალური ანუ უპირატესად რეფლექსიური სტრუქტურის ცნობიერებისა. ტრანსცენდენტურთან ეს პრიციპული დაკავშირება პირველ რიგში დროის იმ პირველი განსაზღვრებიდან მქავენდება, რომელიც მთელი ეგზისტენციალური ანალიზისათვისაა დამახასიათებელი: ამ განსაზღვრების მიხედვით, დრო წარმოადგენს ადამიანის მიერ ყოფიერების წინარეონტოლოგიური (ბუნებრივი) გაგების ჰორიზონტს⁷. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰუსერლის მიერ შემუშავებულ დროის შინაგანი, სივრცული ცნობიერების ცნება ჰაიდეგერის მიერ განიცრო და გადაიქცა ყოფიერების ცნობიერებად (გაგებად). დროის ხსენებული ეგზისტენციალური განსაზღვრება ამ გადაქცევის პირველი საფეხური გახლავთ. ტრანსცენდენტური მნიშვნელობის გამომხატველად აქ გვევლინება სიტყვა ჰორიზონტი, რომელიც აღნიშნავს უსაზღვრო ზოლს; ზოლს, რომელიც მასზე ფიქსირებულ ყველა წერტილზე უფრო შორს მიდის და სცილდება მათ როგორც ტრანსცენდენტუ-

⁴ Das dem Dasein zugehörige Seinsverständnis betrifft... gleichursprünglich das Verstehen... des Seins des Seienden. (Sein und Zeit, გვ. 13).

⁵ Sein und Zeit, გვ. 180 და შემდეგ.

⁶ იქვე, გვ. 267.

⁷ Sein und Zeit, გვ. 17.

რი. შინაგანი დრო როგორც ადამიანის ცნობიერების ჰორიზონტი გამოცხადებულია ამ ცნობიერების ტრანსცენდენტურ საფუძვლად, იმად, რაზეც დაფუძნებულია ცნობიერების ყველა წარმოდგენა უნივერსალიუმზე, სამყაროზე (Welt). ამ ცნობიერებაში გარეგანი სამყარო როგორც უნივერსალურისა და ტრანსცენდენტურის აღმნიშვნელი ცნება, იმით იკავებს თავის ადგილს, რომ ძვეს ტრანსცენდენტური (ჰორიზონტალური) დროის ხაზზე ამ ცნობიერების შიგნით⁸.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი აზრი შინაგანი დროის ჰაიდგერისეული განსაზღვრებისა ისევე ჰორიზონტის ცნებიდან გამომდინარეობს, — ცნებიდან, რომელიც უსასრულო ხაზის გარდა აგრეთვე რაღაც ღიას, ღიაობას აღნიშნავს და თავისუფალი, ღრმად პერსპექტიული ხედვის არეს გულისხმობს. იმისათვის, რომ გავაცნობიეროთ შინაგანი დროის ხაზი (ჰორიზონტალი) როგორც ტრანსცენდენტური, როგორც მიმსწრაფი უსასრულობისკენ და ის რაც მასზე ძვეს — როგორც ობიექტური, ტრანსცენდენტური სამყარო, აუცილებელია გავიაზროთ ჩვენი ცნობიერება ამ ხაზის უძირო პერსპექტიულობასა და ღიაობაში; აუცილებელია ცნობიერება, რომელიც ამ აზრით, თვითონ არის პერსპექტიული და ღია. ადამიანის ცნობიერება, რამდენადაც ის ფლობს დროის შინაგან ჰორიზონტს, ჰაიდგერის თანახმად, ღიაა გარემომცველი სამყაროსათვის⁹. უკეთეს ყოფიერების ცნობიერების ამ ორ მნიშვნელოვან მომენტს: ტრანსცენდენტურობასა და ღიაობას კიდევ მესამეს მიუვამატებთ და კერძოდ, სივრცობრიობას, რომელიც არანაკლებ ფუძემდებლურია ცნობიერების ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური განსაზღვრებისათვის და ასევე იგულისხმება სიტყვაში — „ჰორიზონტი“¹⁰, მაშინ მივიღებთ დროის შინაგანი ცნობიერების ონტოლოგიურად გაფართოებულ ცნებას, რომელიც ამ ცნობიერების დროით სივრცობრიობას გამოხატავს, რაც ჭერ კიდევ ჰუსერლმა შეამჩნია, ხოლო ჰაიდგერმა გამოიკვლია როგორც სამყაროს ბუნებრივი (წინარეონტოლოგიური) გაგების ტრანსცენდენტური საფუძველი. ძირითადად ამ ცნების მოცულობაში წარმოებდა და რჩება ადამიანის ეგზისტენციალური ანალიზი; ხოლო რაც შეეხება ამ ცნების უკანასკნელ დაფუძნებას ანუ დროის შინაგანი ცნობიერების წარმოდგენას ზოგადშემეცნებით ტრანსცენდენტურ სტრუქტურად, ეს ჰაიდგერის ფუნდამენტალური ონტოლოგიის მეორე უმნიშვნელოვანესი პლანის ამოცანა გახლავთ. ეს ამოცანა წყდება, უკეთ, უნდა გადაწყვეტილიყო დროის შინაგანი ცნობიერების ონტოლოგიური გაფართოებისა და ყოვლისმომცველ ონტოლოგიურ კონსტრუქტად მისი გადაზრდის მეორე საფეხურზე.

თუმცა ჰაიდგერის ფუნდამენტალური ონტოლოგიის ეს უმაღლესი საფეხური არ არის მოცემული „ყოფიერება და დროში“, თუმცა მის შემოქმედებაში მუშავდება და ფორმულირდება ძირითადად მხოლოდ მისი პირველი, ეგზისტენციალური საფეხური. მაინც შესაძლებელია გვიანდელ ფილოსოფიურ წე-

⁸ Die... Bedingung der Möglichkeit der Welt liegt darin, dass die Zeitlichkeit... so etwas wie einen Horizont hat. (Sein und Zeit, გვ. 365).

⁹ ...auf dem Grunde der horizontalen Verfassung der ekstatischen Einheit der Zeitlichkeit gehört zum Seienden, das je sein Dasein ist, so etwas wie erschlossene Welt. (Sein und Zeit, გვ. 365).

¹⁰ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სიტყვა ტერმინია, რომელიც ჰაიდგერის მიერ ყოფიერების წინარეონტოლოგიური გაგების პირველ და ძირითად განსაზღვრებაში ფიგურირებს, სადაც ეს გაგება შინაგანი დროის (Temporalität) მიხედვითაა განსაზღვრული.



რილებში (Was ist Metaphysik? Zur Seinsfrage, Einführung in die Metaphysik) მოცემულ შესაბამის მითითებაზე დაყრდნობით შეიქმნათ საკმარისი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორია ის დამატებითი ონტოლოგიური განსაზღვრება, რომელსაც მიიღებდა დროის შინაგანი ცნობიერება ამ უკანასკნელ საფეხურზე და რომლის მიხედვითაც ის ყოფიერების წინარეონტოლოგიურ, ყოველმხრივ დასაბუთებულ გაგებად გადაიქცეოდა.

ჰაიდეგერის თეორიის მიხედვით დროის შინაგანი ცნობიერება შეიძლება იყოს ის, რაც არის და, კერძოდ, — ცნობიერება ჰორიზონტალურად უსასრულოდ გაშლილი, ღია, ტრანსცენდენტური დროის ველისა, რამდენადაც მასში თანამყოფობს ყოფიერება და რამდენადაც ის, თავისი პირველადი და ძირითადი აზრით სწორედ ამგვარი თანამყოფობის ცნობიერება და გაგებაა. ამის დასამტკიცებლად მრავალი მავალითის მოხმობა შეიძლება. მაგრამ აქ მხოლოდ ჰაიდეგერის ერთ გამონათქვამს დავიმოწმებთ, რომლის თანახმადაც აღამიანი გამგები (hörend) არსებაა, რამდენადაც იგი ეკუთვნის (gehört) ყოფიერების თანამყოფობის სფეროს¹¹.

ამგვარად, ჰაიდეგერის მიერ დროის შინაგანი ცნობიერების ონტოლოგიური განსაზღვრების შედეგად, ეს ცნობიერება მალდება წმინდა ონტოლოგიური რანგის ცნებამდე, იქცევა თანამყოფობის სისტემის ცნებად. დროის შინაგანი ცნობიერების ყველა სტრუქტურული ნიშანი, რომლებიც ყოფიერების ცნობიერებად მისი გადაქცევის პირველ საფეხურზე დადგინდა, კერძოდ, — ტრანსცენდენტურობა, სივრცულობა (ჰორიზონტალურობა) და ღიაობა, — საბოლოოდ დასაბუთებას პოულობს აბსოლუტური აწმყო დროის ცნებაში, როგორც ცნებაში თ ა ნ ა მ ყ ო ფ ო ბ ი ს დ რ ო ი ს ა. ამგვარ დროს ეს ნიშნები თავისი ერთიანობისათვის, სინთეზისათვის საპირობენ. ამ დროში, როგორც დროთა ტრანსცენდენტურ-ჰორიზონტალურ, ღია ერთიანობაში (die horizontale Einheit der Schemata der Ekstasen¹², die horizontale Einheit der ekstatischen Zeitlichkeit¹³) ისინი ერთდროულად წარმოიდგინებთან. ჰაიდეგერის მიხედვით მხოლოდ ამ აბსოლუტური აწმყოს გაცნობიერების წყალობითაა შესაძლებელი ყოფიერების თანამყოფობა აღამიანის ცნობიერებაში და ამ ცნობიერების მიერ ისეთ ცნებათა შემუშავება, როგორიცაა: უზოგადესი, აბსოლუტური, არსებულის ყოვლადობა (Allheit des Seienden) და სხვ. ის ფაქტი, რომ სწორედ ცნობიერების დროულობაა (die Zeitlichkeit) ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი თანამყოფობის ამ სისტემაში, მედავნდება ჰაიდეგერის თხზულების („რა არის მეტაფიზიკა?“) ერთი დებულებიდან. — აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თანამყოფობაში მეფობს აწმყო დრო; დრო, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღამიანის მიერ გაცნობიერებული, დაფარულია მისთვის: Im Anwesen waltet ungedacht und verborgen Gegenwart..., west Zeit¹⁴.

ცხადია, აწმყო დროს აქ შემთხვევით არ გაეგმის ხაზი. ეს ის დროა, რომელშიც აღიქმება ყოველივე განვრცობილი, სივრცული, ამიტომ დროის შინაგანი ცნობიერების საზღვრებში, როგორც მის ჰუსერლისეულ, ასევე ეგზისტენ-

¹¹ Das Menschenwesen ist als solches hörend, weil es... ins Anwesen gehört.“. (Zur Seinsfrage, Frankfurt A. M., 1959, გვ. 28).

¹² Sein und Zeit, გვ. 365.

¹³ იქვე, გვ. 366.

¹⁴ Was ist Metaphysik, Frankfurt A. M., 1955, გვ. 17.

ციკლურ-ონტოლოგიური ინტერპრეტაციის მიხედვით, აწმყო დრო არსებითად მთავარი, დომინანტური დრო უნდა იყოს, რამდენადაც ორივე თეორია აგებულია დროის როგორც ერთი საერთო ველის წარმოდგენაზე, ველისა სადაც წარსული უკან მდებარეობს, აწმყო — გვერდით, ხოლო მომავალი — წინ და სადაც ამ სხვადასხვა მდებარეობის (პოზიციაურობის) პერსპექტიული ერთიანობა წარმოსადგენია მხოლოდ ერთ საერთო აწმყოში როგორც ყველა დროისა და ყველა არსებულის დროში, როგორც დროში თანამყოფობისა.

ამგვარად, დროის შინაგანი ცნობიერება, რომელიც ჰუსერლის ფენომენოლოგიაში მხოლოდ ყველაზე დაბალი, ინტენციონალური აქტების საფუძველს წარმოადგენს, ეგზისტენციალურ ონტოლოგიაში შემეცნების ერთადერთ, ფსიქიკურ საფუძველად იქცა ისეთი რიგის ცნებათა შესამუშავებლად, როგორცაა: ზოგადი და უზოგადესი. თანამყოფობის მოცულობა იკვეთება ცნობიერების დროითი ველის პორიზონტალურ სივრცულობად, უღრმესი და მანც პირველადი, ბუნებრივი, წინარემეცნიერული და ამდენად ბუნდოვანი აღქმის მოცულობად, რომელშიც ადამიანი პირველადად (ursprünglich) იაზრებს ყოველივე იმას, რაც არის, — ყოველივე მყოფსა და ყოფიერებას.

უკეთუ გავითვალისწინებთ იმ ფუძემდებლურ, შემეცნებით ფუნქციას, რომელიც ჰაიდეგერის ფილოსოფიაში დროის ცნობიერებას მიეწერება, შესაძლებელი გახდება ამ ფილოსოფიაში შემეცნების, სულ მცირე, ორი საფეხურის გამოყოფა: შესაძლებელი გახდება ამ ფილოსოფიის ძირითადი თემის — ადამიანის ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური განსაზღვრების (მისი ნამდვილობის და არანამდვილობის მიხედვით) გარდა, დავინახოთ და ვაღიაროთ ის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც მდგომარეობს ეგზისტენციანობის წმინდა გნოსეოლოგიური ასპექტის დასაბუთებაში, შემეცნების ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თეორიის დაფუძნებაში. ეს ამოცანა ჰაიდეგერს გადაჭრილი აქვს ზოგიერთი ძირითადი ეგზისტენციალური ტერმინის ონტოლოგიური მნიშვნელობის თანდათანობითი გაძლიერებით. ეს შეეხება, პირველ რიგში, ტერმინს Umsicht (წინდახედულება, სიფრთხილე). იმისათვის, რომ სრულად დავახასიათოთ შემეცნების ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თეორია და გავიაზროთ მისი სპეციფიკური დროითი საფუძველი ადამიანის ფსიქიკაში, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, გავითვალისწინოთ ჰაიდეგერის ყველა ძირითადი ეგზისტენციალური ტერმინი და წარმოვიდგინოთ ისინი იმ გაძლიერებული ონტოლოგიური მნიშვნელობით აღბეჭდილნი, რასაც მათ ანიჭებს ჰაიდეგერი.

2. ეგზისტენციალური ანალიტიკა როგორც თავისებური „შემეცნების თეორია“ დროის ველზე ორგვარი ხედვის შესახებ

ჰაიდეგერის ფორმულაში „დრო — ყოფიერების გაგების პორიზონტი“, პირველ რიგში ის არის მითითებული, თუ სად და როგორ შეიძლება ყოფიერების არსის გაგება; სახელდობრ: ყოფიერების არსი გაიგება დროიდან ამოსვლით, — დროიდან როგორც თავისებური სივრცული განზომილებიდან, როგორც გარკვეული ველიდან, რომლის პორიზონტიც ყველა შემეცნებით პროცესს განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით, სიტყვა „პორიზონტი“ ჰაიდეგერთან უკავშირდება „წინდახედულობის“ ცნებას, სიტყვას — Umsicht, რომელიც გერმანულში სივრცული პირველმნიშვნელობით არის აღბეჭდილი: sich umsehen ნიშნავს „მიმოხედვას“ (ე. ი. გერმანული Umsicht ნიშნავს „წინდახედუ-



ლობასაც“ და „მიმოხედვასაც“). თავისი არაეგზისტენციალური, ონტოლოგიური მნიშვნელობით ტერმინი „წინდახედულობა“ ჰაიდეგერთან გულისხმობს მიმოხედვას დროის ველზე, ყოფიერების ძიებას ამ ველის ჰორიზონტამდე. ყოფიერების ე. წ. წინარემეცნიერული (ეგზისტენციალური ანუ ბუნებრივი) გაგების (ursprüngliches Seinsverständnis) ონტოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ხედვა დროით ველებზე. სწორედ ეს ხედვაა ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ანალიზის საბოლოო ონტოლოგიური კრიტერიუმი, — ანალიზისა, რომელიც ისეთი წმინდა ფსიქოლოგიური ცნებების საშუალებით ხორციელდება, როგორცაა შიში, ზრუნვა, სინდისი და სხვა. რაც უფრო დიდია ადამიანის ეგზისტენციალური შეგნება, მით უფრო ვრცელია მისი ხედვა (მისი Umsicht) დროის ველზე, მით უფრო ღრმაა მის მიერ ყოფიერების გაგება და პირიქით: ეგზისტენციალურად რაც უფრო დაბნეულია ადამიანი (რაც უფრო ჩაკარგული და დაქცეულია: verfallen), მით უფრო ვიწროა მისი თვალთახედვა, მისი ხედვის არე დროის ველზე; მით უფრო ზერელეა მის მიერ ყოფიერების გაგება. ადამიანის, ეგზისტენციალური თვალსაზრისით, ნამდვილსა (eigentlich) და არანამდვილ (uneigentlich) ყოფიერებას შორის ჰაიდეგერის მიერ დადგენილ განსხვავება განისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს დროის ველზე სხვადასხვა ონტოლოგიურ ხედვას შორის: შეუძლია ადამიანს მისწოდეს ამ ველის ყველა მხარეს, თუ, პირიქით, ჩაკეტილი ყოფიერებით ცხოვრობს მხოლოდ ერთ დროით ადგილზე.

ყოფიერების პირველადი ეგზისტენციალური გაგება რომ დროის ველზე ხდება (ამ გაგებას ხელმძღვანელობს წარმოდგენა ამგვარ ველზე), ეს ჩანს აგრეთვე ჰაიდეგერის იმ ტერმინოლოგიის ფარული სივრცობრივი ხასიათიდან, რომლითაც იგი პირველადი (ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური) შემეცნების ზოგიერთ მხარეს აღწერს. ეს პირველ რიგში სიტყვა Bewandnis-ს ეხება, რომელშიც ჰაიდეგერი საგანთა მთელ მიზეზობრივ სემანტიკას (das Wozu des Zeugs) გულისხმობს და შემდეგ კი სიტყვა bewenden lassen-ს, რომელიც მასთან აღნიშნავს თავად მიზეზობრიობის შემეცნების აქტს¹⁵. ამასთან კავშირში არ არის შემთხვევითი. რომ ორივე სიტყვას ერთი ძირი აქვს: wenden, რაც „შემობრუნებას“ ნიშნავს. ჰაიდეგერის აზრით, დროის ველზე სწორედ ამ აზრობრივი შემობრუნებით, ამ მიმოხედვით, საგანთა მიზეზობრივი კავშირის ამ მიმოხილვით (mit der Um-sicht) მიდის ადამიანი ყოფიერების ეგზისტენციალურ (პირველად, წინარემეცნიერულ) ცოდნასთან. ამ პირველად ეგზისტენციალურ ცოდნას, ცხადია, სხვადასხვა სიღრმეები გააჩნია. თუ ის, მაგალითად, ყოველდღიურობის (Alltäglichkeit) ნიველირებად სინამდვილიდან ანუ თავად „მეს“ (საკუთარი ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური პოტენციის) განსაკუთრებული მობილიზაციის გარეშე მიიღება, მაშინ ის იქნება მხოლოდ და მხოლოდ საგნობრივი ცოდნა, — ისეთი ცოდნა, რომლის მფლობელიც ვანიზნევა და გაითქვიფება გარემომცველ სინამდვილეში თავისი ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური ღიაობის უდაბლეს საფეხურზე; მაგრამ ცოდნა ყოფიერებისა შეიძლება უფრო ღრმა იყოს, ონტოლოგიურად უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, ანუ იყოს ისეთი ცოდნა, რომელიც შეიძინება ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური ღიაობის უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც ის ეხება დროის ველზე ცხოვრებისეულას

¹⁵ Das umsichtig-entdeckende Sein bei... bes Besorgens ist ein Bewendenlassen, d. h. verstehendes Entwerfen von Bewandnis. (Sein und Zeit, გვ. 353).

(ეგზისტენციალურის) თვალსაზრისით ჭეშმარიტად მნიშვნელოვანს, თუ ის ამ ველზე ადამიანის არსებობას რაღაც აზრს ანიჭებს.

ეგზისტენციალური ანალიზის ძირითადი ტერმინი — *Umsicht* და მასთან დაკავშირებული სივრცობრივ სიტყვათა მთელი არსენალი, რომელთა საშუალებითაც ჰაიდეგერი შემეცნების ელემენტარულ პროცესებს აღწერს (*Be-wandtnis, be-wenden-lassen* და სხვა), ონტოლოგიურად კიდევ უფრო ცხადი ხდება და კიდევ უფრო მკვეთრად ჩნდება თავის დროით-სივრცულ მნიშვნელობასთან მიმართებაში, „ყოფიერება და დროს“ იმ თავში, რომელიც განმარტავს ყოფიერების პირველად-ეგზისტენციალური გაგებისა და თეორიულ (მეცნიერულ) ცოდნათა, სამყაროს აღმოჩენათა ურთიერთკავშირს. რამდენადაც ჰაიდეგერი ყოფიერების ეგზისტენციალურ გაგებას განიხილავს დროის ველზე პირველადი ხედვიდან და ამ ხედვიდან გამომდინარე ელემენტარული პრაქტიკული მოქმედებებიდან (რომლებიც პირველ რიგში სასიცოცხლოდ აუცილებელს უზრუნველყოფენ) ამოსვლით, ამ თავს ეწოდება: *Der zeitliche Sinn der Modifikation des umsichtigen Besorgens zum theoretischen Entdecken des innerweltlich Vorhandenen (Sein und Zeit, გვ. 356)*, რაც ქართულად დაახლოებით ალბათ ასე გამოითქმის: დროითი აზრი წინდახედული (და მიმოხილველი) ზრუნვის გადაქცევისა სამყაროს შიგნით არსებულის თეორიულ აღმოჩენად. როგორც სათაური გვიჩვენებს, ამ მონაკვეთში ჰაიდეგერი მიზნად ისახავს, გამოავლინოს დროითი აზრი ყოფიერების ელემენტარული, ეგზისტენციალური გაგების თეორიულ (მეცნიერულ) ცოდნად გადაქცევისა. ამგვარი გადაქცევის დამახასიათებელ ნიშნად ჰაიდეგერს მიაჩნია ის, რომ შემეცნებით პროცესში არაერთარ როლს არ ასრულებს რაიმე პრაქტიკული მოქმედება, რაიმე ელემენტარული პრაქტიკა და კონცენტრაცია მარტოოდენ მკვერტელობით აქტზე, დროითი ველის ამთვისებელ ხედვაზე ხდება. მაგრამ ამ თეორიულ დონეზე ხედვას ჰაიდეგერი აღარ უწოდებს *Umsicht*-ს (მიმოხედვას), არამედ — *Übersicht*-ს (გადახედვას). ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური ხედვის ეს ორი სახეობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული: პირველი — უფრო ელემენტარული ექვემდებარება მეორეს, — უფრო განყენებულს.

ხედვის ეს ორი სახეობა პირველ რიგში დიაპაზონით განსხვავდება ერთმანეთისაგან. *Umsicht*-ის დროს ხედვის წრიულ არეში ხდება უფრო კონკრეტული ხასიათის მიზეზობრივი და მიზნური ურთიერთკავშირები¹⁷.

თვით შესასწავლი საგნის არსება იცვლება იმისდა მიხედვით, თუ ხედვის რომელი სახეობა იხილავს მას. ხედვის უფრო დაბალი ხარისხის (*Umsicht*-ის) დროს შემეცნების ობიექტს ჰაიდეგერი ახასიათებს, როგორც *Zuhandenes*, ე. ი. როგორც ისეთს რამეს, რაც აკმაყოფილებს მხოლოდ ყოვლად ემპირიულ მოთხოვნილებებს, რაც წარმოადგენს ადამიანის უშუალო პრაქტიკის (შრომის) საგანს. ხოლო ხედვის მეორე, თეორიული სახეობის (*Übersicht*-ის) დროს შემეცნების ობიექტს ჰაიდეგერი ახასიათებს, როგორც უბრალო მოცემულობას დროის უტრცეს ველზე, როგორც *Vorhandenes*-ს¹⁸. ხედვის უმაღლეს საფეხურზე ფიქრის — *Überlegung*-ის წყალობით ობიექტები გამოაქვთ რეალური

¹⁷ Die Umsicht bewegt sich in den Bewandtnisbezügen des zuhandenen Zeugzusammenhangs (Sein und Zeit, გვ. 359).

¹⁸ იქვე, გვ. 362.



სიერციდან, სადაც ისინი ყოველ ინდივიდუალურ ცნობიერებას მხოლოდ რამოდენიმეჯერ, შეზღუდული სიხშირით შეიძლება შეხედნენ (aus der umweltlich umschrankten Platzmannigfaltigkeit des zuhandenen Zeugs) და გადააქვთ დროთა სუფთა ველზე, — იქ, სადაც ისინი წარმოგვიდგებიან როგორც მარადიულნი, ყველა დროში არსებულნი, ამ ველზე გამორჩენის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით (in purer Stellenmannigfaltigkeit); მხოლოდ ამ ველზე შეუძლია მთელ ყოფიერებასაც როგორც ასეთს, იქცეს თემად. ხედვის ამ უზოგადესი აზრით, ობიექტებს მხოლოდ სტრუქტურის მიხედვით განსხვავებულნი, უღარესად თავისებური და, ამასთან, მათთვის ფუძემდებლური ზოგადობები, დროითი ადგილები გააჩნიათ: Raum-Zeit-Stellen (გვ. 361, 62). ეგზისტენციალური ანალიზის ამ უმაღლეს ონტოლოგიურ დონეზე, სადაც დრო წმინდად სიერციული აზრით არის განმარტებული, მოხსნილია ყველა საკუთრივ ეგზისტენციალური (ფსიქოლოგიური) ტერმინი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ანალიზი აქ გვევლინება არა იმდენად ეგზისტენციალურ, რამდენადაც — ონტოლოგიურ ანალიზად, რომელიც არკვევს დროის კატეგორიის სტრუქტურულ როლს ყოფიერების შემეცნებაში; ამიტომ წამყვანი ტერმინი Umsicht, რომელშიც მაინც თავს იჩენს ეგზისტენციალური ელემენტი და, სახელდობრ, წინდახედულებისა და ზრუნვის მისი მეორე აზრობრივი ნიუანსი (Sorge, Besorgnis), მთლიანად შეცვლილია ცნებით Übersicht, რომელიც სრულიად თავისუფალია ამგვარი აზრობრივი ელფერისაგან.

DIE ZEIT ALS GRUNDLAGE DER EXISTENZIAL-ONTOLOGISCHEN THEORIE DER ERKENNTNIS

Resümée

Der von E. Husserl erarbeitete phänomenologische Begriff des inneren Zeitbewusstseins ist nach seiner ontologischen Modifizierung und Erweiterung unter der Bezeichnung „vorontologisches Seinsverständnis“ in die Existenzphilosophie M. Heideggers eingegangen. In der heideggerschen Philosophie erscheint dieses Zeitbewusstsein als allgemeines Verständnis von Sein, d. h. als Seinsbewusstsein. Der phänomenologische Grund des vorontologischen Seinsverständnisses ist besonders klar aus der charakterischen räumlichen Zeitlichkeit dieses Verständnisses ersichtlich. Wie die Phänomenologie des inneren Zeitbewusstseins dieses Bewusstsein vor allem als einen inneren Zeitraum untersucht und beschreibt, so wird auch in der existenzialen Analytik das primäre Seinsverständnis als ein wesentlich zeiträumliches Verständnis von Sein ausgelegt.

Diese Auslegung ist vor allem in dem vierten mit „Zeitlichkeit und Alltäglichkeit“ überschriebenen Kapitel von „Sein und Zeit“¹ durchgeführt, wo dem natürlichen Weltbegriff (Weltverständnis) die horizontale Einheit der ekstatischen Zeitlichkeit² im Welt-, bzw. Seinsbewusstsein des Daseins zug-

¹ M. Heidegger, Sein und Zeit, Halle, 1929, s. 334.

² „ „ „ „ „ s. 365.

rundegelegt wird. In der zeitlichen Horizontale des primären Seinsverständnisses³, d. h. in der für dieses Verständnis ausschlaggebenden Einheit der horizontalen Schemata von Zukunft, Gewesenheit und Gegenwart spricht sich deutlich der Raumcharakter, nämlich die horizontale Feldhaftigkeit des existenzial-ontologischen Zeitbegriffes aus.

Das innere zeiträumliche Fundament des primären Seinsverständnisses tritt aber auch noch besonders an jenen Stellen der heideggerschen Philosophie zum Vorschein, wo versucht wird dieses Verständnis weniger vom Dasein und mehr vom Sein her zu begreifen, wo der ständige Bezug des Daseins zum Sein als ein Parusie-Verhältnis ausgedeutet ist und die Gegenwart zur Hauptzeit des Seins, zur Seins-, bzw. Weltzeit aufrückt. Durch die Gegenwart des Anwesens⁴, d. h. durch die rein ontologische Gegenwart als zeitliche Dimension von allem vornehmlich Räumlichen, Ausgedehnten wird die Weltpräsenz im Dasein, nämlich das primäre Welt-, bzw. Seinsverständnis des Menschen erst konstituiert. Als höchste ontologische Zeitform ist die Gegenwart im existenzial-ontologischen System der Parusie dann auch die absolute Zeit: sie währt, das Bewusstsein ständig für die Welt (für das Sein) offen haltend, durch bis zum Ende des jeweiligen Daseins.

Als wesentlich erscheint der Begriff des inneren Zeitfeldes natürlich auch für alle konkreteren Ansätze zu einer existenzial-ontologischen Theorie der Erkenntnis in „Sein und Zeit“⁵. So wird dem existenzial-ontologischen Erkenntnisakt mit dem Grundbegriff der Umsicht die Zeit deutlich als jene bewusstseinsinnere Räumlichkeit vorgezeichnet, in der sich dieser Akt nur entfalten kann, in der er als ein Sich-Umsehen auf dem Zeitfeld des Daseins denkbar ist. Denselben strukturellen Bezug auf das zeiträumliche Seinsbewusstsein zeigen auch die für das existenzial-ontologische Erkennen ebenso wichtigen Begriffe der Bewandnis und des Bewendenlassens. In beiden Worten ist, wie bei der Umsicht, das Wenden als Bewegung auf dem inneren Zeitfeld des Daseins mitzudenken, d. h. als Akt der inneren Wahrnehmung, mit dem das Dasein ein Zeug nur auf seine Verwendungsmöglichkeiten hin betrachtet und begreift, mit dem es sich alle zeitlichen Phasen solchen Verwendens vergegenwärtigt.

Auf der höheren theoretischen Stufe der existenzial-ontologischen Erkenntnis erfährt, nach Heidegger, die Umsicht als der Gesichtskreis des jeweiligen Daseins auf dem inneren Zeitfeld eine Erweiterung: sie verliert ihre ursprüngliche umweltliche Beschränkung und wird zur Übersicht über das Vorhandene. In dieser allgemeinen Betrachtungsweise hat das Vorhandene für das Seinsverständnis vornehmlich den abstrakten Wert einer Raum-Zeit-Stelle⁶, d. h. es kommt als positionelle Allgemeinheit, nämlich nur in Hinsicht auf seine „pure Stellenmannigfaltigkeit“ auf dem Zeitfeld, in Frage.

³ „ „ „ „ s. 17.

⁴ „ „ „ Was ist Metaphysik Frankfurt A. M., 1955, s. 17.

⁵ M. Heidegger, Sein und Zeit, s. 356.

⁶ „ „ „ s. 362.

ფსიქოლოგია

დავით ჩაკვიანი

დადებითი და უარყოფითი ინფორმაციის უწყვეტი სოციალური განწყობის შეცვლაზე დამაარსებელი ცნობის სიტუაციაში

სოციალური განწყობა (attitude) გარკვეული მყარი ორგანიზაციის სისტემაა, იგი წარმოადგენს ადამიანის დამოკიდებულებას ამა თუ იმ სოციალური ობიექტის მიმართ; ეს დამოკიდებულება არ ამოიწურება ცოდნით ობიექტის შესახებ, — სოციალურ განწყობაში ცოდნის გარდა იგულისხმება ობიექტისადმი პიროვნების შეფასებითი მიმართება: მოწონება — დაწუნება, მიღება — მიუღებლობა, დადებითობა — უარყოფითობა და ა. შ. როგორც სხვა ფსიქოლოგიური ცვლადები, სოციალური განწყობაც გარკვეული ზემოქმედების შედეგად იცვლება. ყოველი სოციალური ობიექტის შეფასება განსაზღვრულია შესაბამისი განწყობით, ე. ი. — იმით, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანი ამა თუ იმ ობიექტის მიმართ.

სოციალური განწყობა ისეთი ფიქსირებული სისტემაა, რომელიც დროში ინარჩუნებს გარკვეულ სიმყარეს, მაგრამ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით განიცდის ცვლილებას, რის გამოც იმავე ობიექტს ადამიანი განსხვავებულად აფასებს. სოციალურ განწყობაში მომხდარი ცვლილებები ვლინდება ადამიანის შემეცნებით, გრძნობად და ქცევით რეაქციებში. სოციალური განწყობის შეცვლა და შეცვლისადმი წინააღმდეგობის გაწევის საკითხი ფართო ექსპერიმენტული მუშაობის ობიექტია, რადგან იგი უშუალოდ ეხება ადამიანის ფსიქიკის დინამიკის ასხნას. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ტარდება ქართული ფსიქოლოგების მიერ.

სოციალური განწყობები ადამიანში ყალიბდებიან სოციალური გარემოს ზემოქმედების ნიადაგზე. ამ ზეგავლენის არსებით პირობას წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესი, რომელიც არა მარტო აყალიბებს განწყობებს, არამედ ცვლის კიდევ მათ. ამიტომ, ბუნებრივია, როდესაც განწყობის შეცვლის ექსპერიმენტული შესწავლა ხორციელდება კომუნიკაციის პროცესის პრილში.

სოციალური განწყობის მკვლევარები კომუნიკაციას განიხილავენ როგორც სამი ნაწილის შემცველს: კომუნიკატორი (communicator), ცნობა (message) და მიმღები (receiver). კომუნიკატორი არის ის, ვინც ან რაც იძლევა გარკვეულ ინფორმაციას ობიექტის შესახებ. თვით ინფორმაცია, რომელსაც იძლევა კომუნიკატორი, არის ცნობა. ხოლო კომუნიკატორის მიერ მიწოდებული მასალა ეძლევა მიმღებს. როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ლაბორატორულ პირობებშიც, კომუნიკაციის პროცესი აუცილებლობით გულისხმობს ამ სამ ნაწილს. ამ სამი შემადგენელი ნაწილის ურთიერთქმედება ედება საფუძვლად განწყობის შეცვლის ექსპერიმენტულ კვლევას.

თვის მხრივ, კომუნიკაციის ძირითად კომპონენტებს გააჩნიათ გარკვეული მახასიათებლები, რომელთა ვარიაციით შეისწავლება განწყობას შეცვლა. შეცვლის ხარისხი და შეცვლისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. კომუნიკატორს გააჩნია შემდეგი თვისებები: სანდოობა ანუ სამართლიანობა, მიმზიდველობა და ძალა; მაგალითად, კომუნიკატორის მიმზიდველობის ვარიაციით ჩვენ შეგვიძლია ვიკვლიოთ მიმღების მიერ კომუნიკატორის მოწონება — დაწუნების გავლენა თვით მიმღების განწყობის შეცვლაზე გარკვეული ობიექტის მიმართ. ცნობის მახასიათებლებია: ინფორმაციის რაგვარობა (დადებითი — უარყოფითი, ცალმხრივი — ორმხრივი), მიწოდების წესი (პირველადობა — სიახლე). ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თვით მიმღების მახასიათებლების აღწერას და მათ ექსპერიმენტულ ვარიაციებს. მიმღების მახასიათებლების შემდეგი ექსპერიმენტული ვარიაციის შესაძლებლობანი არსებობს: ინდივიდის აქტიური მონაწილეობა ცდაში, საწყისი სკალური პოზიცია განწყობისეული ობიექტის მიმართ, ინდივიდის გადაწყვეტილება ცდაში მონაწილეობა — არმონაწილეობის თაობაზე, მიმღების იძულებითა თანხმობა კომუნიკატორის წინადადებაზე და ა. შ.

განწყობის შეცვლას შეისწავლიან სხვადასხვა ფსიქოლოგიურ სიტუაციებში, რომელთა რაგვარობა განპირობებულია თვით კომუნიკატორ — მიმღების ურთიერთქმედების სპეციფიკით. განწყობის შეცვლის ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ სიტუაციას წარმოადგენს ე. წ. დამარწმუნებელი ცნობის (persuasive message) პირობა, სადაც მიმღებს ეძლევა წინასწარ დამზადებული ინფორმაცია ანუ ცნობა, რომელშიც მოცემულია გარკვეული სახის არგუმენტაცია განწყობისეული ობიექტის შესახებ; ამ არგუმენტაციიდან გამომდინარეობს გარკვეული დასკვნა ობიექტის შესახებ, ხოლო დასკვნას ლოგიკურად აკეთებს თვით მიმღები. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: თითქმის ყოველთვის ასეთს სიტუაციაში არგუმენტაცია მიეწერება პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს. დამარწმუნებელი ცნობის მიცემის ეფექტურობა განწყობის შეცვლაზე, სადაც ცნობა მიეწერება დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს, ფართოდ არის შესწავლილი იელის ჯგუფის მკვლევართა მიერ¹. შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის ეფექტურობა გაშუალებულია თვით მიმღების შინაგანი მდგომარეობით (მაგ., ადამიანის საწყისი სკალური პოზიციით)².

იმისათვის, რომ შეგვესწავლა ინფორმაციის რაგვარობის გავლენა სოციალური განწყობის შეცვლაზე, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩინეთ დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში არ შეგვეტანა პრესტიჟის ფაქტორი. წინამდებარე შრომაში შეისწავლება დამარწმუნებელი ცნობის (დადებითი-უარყოფითი) ეფექტურობა განწყობის შეცვლაზე, როდესაც არ ხდება გარკვეული პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის ფაქტორის ჩარევა.

მსპერიმენტის ზოგადი აღწერა

სკალის აგების პროცედურა. შესწავლის ობიექტად ავირჩიეთ განწყობა კინოს მიმართ. სკალის შედგენაში ჩვენ გამოვიყენეთ სეფირის მიერ მოღერნი-

¹ W. Mc Guire—„The nature of Attitudes and Attitude change“—The Handbook of Social Psychology. ed. G. Lindzey and E. Aronson, 1969.

² M. Sherif and C. Hovland—„Social judgement“, New Haven and London, Yale University press, 1961.

ზებული ტერსტონის მსჯელობის მეთოდი (თანამიმდევარი ინტერვალითა სკალირების მეთოდი)³. მეთოდს გააჩნია ორი ძირითადი ასპექტი: 1) უნდა შევადგინოთ გარკვეული ობიექტის შესახებ წინადადებათა ანუ დებულებათა რიგი, რომლებიც შემდგომ უნდა განლაგდნენ სკალაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ დებულებას მიეწერება მისთვის შესატყვისი სკალური ღირებულება, ხოლო სკალური ღირებულება გამოხატავს წინადადების მიღება — მიუღებლობის ხარისხს; 2) სკალის შედგენის შემდეგ ცდის პირები ფასდებიან იმის მიხედვით, თუ რომელ წინადადებებს ეთანხმებიან ისინი, ხოლო მიღებული შედეგი გვაძლევს მათი განწყობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

პირველი პირობის დაკმაყოფილების პროცედურა ასეთია: შევარჩიეთ 40 წინადადება, რომლებიც გამოხატავდნენ გარკვეულ აზრებს კინოს შესახებ; სკალის შედგენაში მონაწილეობდა 30 ცდის პირი ანუ ექსპერტი, რომელთაც ეძლეოდათ ჩვენ მიერ შერჩეული წინადადებები და ევალუბოდათ ამ წინადადებების ობიექტური შინაარსის მიხედვით დახარისხება შეიძლება, კატეგორიად. ამის შემდეგ ვითვლიდით ყოველი დებულების სკალურ ღირებულებას, რომლის პროცედურა შემდეგია: პირველ რიგში ვადგენთ Pjg მატრიცას, რომელიც გვაძლევს სურათს დებულებათა ფარდობითი ანუ პროცენტული განაწილების შესახებ შეიძლება კატეგორიის მიხედვით, მაგალითად, j-სტრიქონისა და g-სვეტის გადაკვეთაზე ვწერთ რიცხვს Pjg, რომელიც გამოხატავს ექსპერტთა იმ ნაწილს, რომლებიც ათავსებენ j-დებულებას g-კატეგორიაში ან უფრო მაღალ კატეგორიაში; მეორე საფეხურს წარმოადგენს Xjg-მატრიცის შედგენა, რაც ეხულისხმობს Pjg-ის შესატყვისი უნიტარულ ნორმალურ გადახრას და თუ ეს მატრიცა არ აღმოჩნდა სრული ანუ, თუ რამდენიმე დებულება უარყოფილია (ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც), მაშინ უნდა შედგეს სხვაობის მატრიცა, რაც ეხულისხმობს იმას, რომ Xjg-მატრიცის ყოველ შემდგომ სვეტს ვაკლებთ წინას, ხოლო ამ მიღებული მატრიცის g-სვეტის საშუალო იქნება tg, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საზღვარს g-კატეგორიასა და g+1 კატეგორიას შორის; ბოლო საფეხურს წარმოადგენს tg—Xjg მატრიცის შედგენა, რისთვისაც Xjg-ს ანუ უნიტარულ ნორმალურ გადახრას ვაკლებთ ყოველ შესაბამის tg მაჩვენებელს, ამ მატრიცაზე სტრიქონის საშუალო მაჩვენებელი გვაძლევს შესაბამისი დებულების სკალურ ღირებულებას.

აქ აღსანიშნავია ორი გარემოება: 1) ინტერვალები კატეგორიებს შორის არ არის სავალდებულო, რომ იყოს თანაბარი და 2) j-დებულების შეფასების სტანდარტული გადახრა 1-ის ტოლია.

ამ მეთოდის გამოყენებით ჩვენ შევადგინეთ კინოს მიმართ განწყობის გასაზომი შეიღისაფეტურიანი სკალა (კითხვარი), რომელიც მიეცათ ცდის პირებს და შეიცავდა 30 კითხვას. ათი დებულება ფინალურ სკალაში ამოვარდა, რადგან ისინი ორაზროვანი აღმოჩნდა, რაზეც მიუთითებდა თვით დებულებების შეიღივე კატეგორიაში განაწილების მაჩვენებლები (დიდი გაფანტვა უვარგისობის მაჩვენებელია). ამ კითხვარზე ცდის პირთა მიერ პასუხების ვაცემა წარმოადგენს სკალირების მეორე პირობის დაკმაყოფილებას.

ექსპერიმენტის ჩატარების წესი. გამოკვლევა ტარდებოდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებზე. ჩვენ გამოვიყენეთ ექსპერიმენტის

³ W. A. Scott—Attitude measurement—The Handbook of Social Ssychology, ed. G. Lindzey and E. Aronson, 1969.

ჩატარების ე. წ. ორჯერ გაზომვის (test — retest) ტექნიკა. პირველ და მეორე გაზომვას შორის ინტერვალი უდრის ერთ კვირას. ცდის პირები დაყოფილია ორ ჯგუფად: ექსპერიმენტული და საკონტროლო. ცდის პირთა საერთო რაოდენობა უდრის 109 კაცს.

ა) საკონტროლო ჯგუფზე ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა. ცდის პირთა რაოდენობა — 36. ექსპერიმენტატორი შედის აუდიტორიაში და აცნობს თავის თავს, როგორც ოფიციალურ პირს, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი კინოს შესახებ. ჩვენ აგრეთვე ვამბობთ, რომ ასეთი გამოკვლევა ტარდება ფართო მასშტაბით უმაღლეს სასწავლებლებში. ამის შემდეგ ცდის პირებს ვურიგებთ № 1 კითხვარს. კითხვარის დარიგების შემდეგ ცდის პირებს ვთხოვთ დაკვირვებით წაიკითხონ ყოველი წინადადება და ზახი გაუსვან მხოლოდ იმ წინადადებებს, რომლებსაც ისინი იზიარებენ, ეთანხმებიან. ამით თავდება პირველი ვარიანტი. ერთი კვირის შემდეგ ისევ შევდივართ იმავე აუდიტორიაში და ვამცნობთ ცდის პირებს, რომ ჩვენ მოვიტანეთ დამატებითი მასალა და ამ უკანასკნელზე მათი პასუხები უფრო ნათელ სურათს მოგვცემს საკვლევი საკითხის შესახებ. ამის შემდეგ მათ ეძლევათ კითხვარი № 2, რომელშიც № 1 კითხვართან შედარებით შეცვლილია მხოლოდ წინადადებათა თანამიმდევრობა.

ბ) ექსპერიმენტულ ჯგუფზე ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა. ცდის პირთა რაოდენობა — 73. ამოცანის გაცნობა და პასუხების გაცემა კითხვარზე ისეთივეა, როგორც საკონტროლო ჯგუფში. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ ექსპერიმენტულ მანიპულაციაში: ვიდრე ცდის პირებს დაურიგდებათ კითხვარი № 2, მანამდე მათ ეძლევათ გარკვეულ სახის ინფორმაცია (დადებითი ან უარყოფითი) კინოს შესახებ. (ინფორმაცია წარმოადგენს ოთხგვერიან ტექსტს, სადაც კინო ზოგადად არის შეფასებული როგორც გარკვეული სოციალური ობიექტი. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: კინო როგორც მეცნიერული აღმოჩენა, კინო როგორც ხელოვნება, კინოს აღმზრდელი მნიშვნელობა და კინოზე დასწრების სტატისტიკური მაჩვენებლები. დადებითი ინფორმაცია ამ საკითხებში კინოს დადებითად აღვასებს, ხოლო უარყოფითი — პირიქით). ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ ცდის პირებს ურიგდებათ № 2 კითხვარი. ამდენად, საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით, ექსპერიმენტულ ჯგუფს № 2 კითხვარის დარიგებამდე ეძლევა გარკვეული ინფორმაცია კინოს შესახებ.

მიღებული შედეგების განხილვა

საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების განწყობის შეცვლის ზოგადი მაჩვენებლები.
ცხრილი 1

ჯგუფები	საწყისი პოზიცია	მეორადი პოზიცია	შეცვლა	t	p	
საკონტროლო	4.91	4.95	0.04	—	—	
ექსპერიმენტული	დადებითი ინფორმაცია	4.69	5.11	+0.42	2.5	0.02
	უარყოფითი ინფორმაცია	5.14	4.89	-0.25	1.94	0.05

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მესამე სვეტში რიცხვებთან მიწერილი ნიშნები შეცვლის რაგვარობის მაჩვენებელია (+ არის განწყობის დადებითი მიმართულებით შეცვლა, ხოლო — უარყოფითი მიმართულებით შეცვლა).

როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტული ჯგუფი ორ ქვეჯგუფად დაიყო: ქვეჯგუფი, რომელსაც მიეცა დადებითი ინფორმაცია (30 ც. პ.) და ქვეჯგუფი, რომელსაც მიეცა უარყოფითი ინფორმაცია (39 ც. პ.). ორი ცდის პირი გამოგვაკლდა, რადგან მათი შეცვლის მაჩვენებელი უდრიდა 0-ს. სანამ მიღებულ შედეგებს ანალიზზე გადავიდოდით, უნდა ავღნიშნოთ შემდეგი გარემოება: თუ შევადარებთ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფში მოხდარ ცვლილებებს, ცდის პირთა რაოდენობის განაწილების თვალსაზრისით, — როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით, — ჩვენ ვლბებულვით შემდეგ სურათს: საკონტროლო ჯგუფის ცდის პირთა 47% შეიცვალა უარყოფითი მიმართულებით, ხოლო დადებითი მიმართულებით ცდის პირთა 53%; ექსპერიმენტული ჯგუფის იმ ცდის პირებს, რომლებსაც მივაწოდეთ დადებითი ინფორმაცია, ცდის პირთა 74%-მა განწყობა შეიცვალა დადებითი მიმართულებით, ხოლო 26%-მა საწინააღმდეგო მიმართულებით; რაც შეეხება იმ ჯგუფს, რომელსაც მიეცა უარყოფითი ინფორმაცია, უარყოფითი მიმართულებით განწყობა შეიცვალა ცდის პირთა 70%-მა, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით 30%-მა. როგორც ვხედავთ, საკონტროლო ჯგუფში განწყობის შეცვლის მაჩვენებლები თანაბრად არის განაწილებული, ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფში სურათი საწინააღმდეგოა, კერძოდ, — განაწილება არათანაბარია; ამდენად, საკონტროლო ჯგუფში განწყობის შეცვლა მინიმალურია, თითქმის არ არის (აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი და № 1 ცხრილში მოცემული მაჩვენებლები ჩვენი სკალის სანდოობის კარგი მაჩვენებელია, რადგან სანდოობის დადგენის ერთ-ერთ მეთოდს სწორედ სკალის ორჯერ გაზომვა წარმოადგენს). ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფში განწყობის შეცვლის განაწილება, ცდის პირთა რაოდენობის თვალსაზრისით, ინფორმაციის რაგვარობის მიმართულებით მიდის. ამდენად ასეთი შედარებაც გვიჩვენებს ინფორმაციის ეფექტურობას ცდის პირთა განწყობის შეცვლაზე. ზემოთ მიღებული შედეგი ნათლად ელინდება № 1 ცხრილის განხილვის დროს. მონაცემები ნათელყოფენ, რომ შეცვლის ოდნობა საკონტროლო ჯგუფში უმნიშვნელოა (0.04), ხოლო ექსპერიმენტული ჯგუფის მონაცემები იძლევიან შემდეგ სურათს: დადებითი ინფორმაციით გამოწვეული შეცვლა უდრის +0.42, სადაც $t=2.5$ ($P=0.02$); უარყოფითი ინფორმაციით გამოწვეული შეცვლა არის — 0.25, სადაც $t=1.94$ ($P=0.05$). ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საკონტროლო ჯგუფის და ექსპერიმენტული ჯგუფის განწყობის შეცვლის მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორივე სახის ინფორმაცია ეფექტური აღმოჩნდა განწყობის შეცვლის თვალსაზრისით. ცხრილში მოტანილი შედეგები აგრეთვე გვიჩვენებენ თვით ორივე ინფორმაციის განსხვავებულ ეფექტურობას: დადებითი ინფორმაცია ოდნავ ეფექტური აღმოჩნდა უარყოფითთან შედარებით, მაგრამ ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის (დადებითი ინფორმაციით გამოწვეული შეცვლა 0.17-ით აღემატება უარყოფითი ინფორმაციით გამოწვეულ შეცვლას).

დადებითა ინფორმაციით ცდის პირთა საწყისა პოზიციების შეცვლის მაჩვენებლები
 ცხრილი 2

საწყისი პოზიცია	მეორადი პოზიცია	შეცვლა	t	p
4.04	5.06	1.02	3.13	0.005
4.87	4.99	0.12	—	—
5.13	5.24	0.11	—	—

 უარყოფითა ინფორმაციით ცდის პირთა საწყისა პოზიციების შეცვლის მაჩვენებლები
 ცხრილი 3

საწყისი პოზიცია	მეორადი პოზიცია	შეცვლა	t	p
4.65	4.58	-0.07	—	—
5.29	5.23	-0.06	—	—
5.48	4.95	-0.53	2.27	0.02

ზემოთ მოყვანილ ორ ცხრილში ნაჩვენებია ინფორმაციის ეფექტურობა განწყობის შეცვლაზე, როდესაც გათვალისწინებულია ცდის პირთა საწყისი პოზიციები. № 2 ცხრილის მონაცემებიდან სჩანს, რომ საწყისი პოზიციების მაჩვენებლების ზრდასთან ერთად, ანუ რაც უფრო უკიდურესია განწყობა, დადებითი ინფორმაციის ეფექტურობა კლებულობს. როდესაც ჯგუფის საწყისი პოზიცია 4.04-ის ტოლია, მაშინ დადებითი მიმართულებით შეცვლა უდრის 1.02, სადაც $t=3.13$ ($P=0.005$), რაც სტატისტიკურად დიდად სანდოა. ხოლო მომდევნო პოზიციებზე მყოფ ცდის პირებზე ინფორმაციის ეფექტი ნაკლებია, კერძოდ — შეცვლა უდრის 0.12 და 0.11. № 3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ, თუ საწყისი სკალური პოზიციები არის 4.65 და 5.29, მათი შეცვლის მაჩვენებელი ფაქტურად ტოლია. რაც შეეხება უფრო უკიდურეს საწყის პოზიციას, მისი შეცვლის მაჩვენებელი საკმაოდ დიდია — 0.53, სადაც $t=2.27$ ($P=0.02$).

მიღებული შედეგები რომ შევაჯამოთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ა) ინფორმაცია, რომელიც არ მიეწერება რაიმე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს, მაინც ეფექტური აღმოჩნდა სოციალური განწყობის შეცვლაში; ბ) დადებითმა ინფორმაციამ უმნიშვნელოდ უფრო მეტი ეფექტი მოახდინა განწყობის შეცვლაზე, ვიდრე უარყოფითმა ინფორმაციამ; გ) დადებითმა ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნეიტრალურთან ახლო მდებარე საწყისი პოზიციები, ხოლო შედარებით უფრო უკიდურესი საწყისი პოზიციები უმნიშვნელოდ გაზარდა დადებითი მიმართულებით (სხვათაგან, საშუალოსთან ახლოს მდებარე პოზიციები შეიცვალა, ხოლო უფრო უკიდურესი პოზიციები განმტკიცდა); დ) უარყოფითმა ინფორმაციამ უმნიშვნელოდ შეამცირა საშუალოსთან ახლო მდებარე და დადებითი პოზიციები, ხოლო შედარებით უფრო უკიდურესი და-

დებითი პოზიციები მნიშვნელოვნად შეამცირა (სხვანაირად, საშუალოსთან ახლომდებარე და დადებითი პოზიციები უმნიშვნელოდ შეიცვალა, ხოლო უფრო უკიდურესი დადებითი პოზიციები მნიშვნელოვნად შეიცვალა).

მონაცემების ანალიზის დროს ჩვენს წინაშე ნათლად გამოიკვეთა ე. წ. კომუნიკატორული წინააღმდეგობის საკითხი, რომელიც მიჩნეულია სოციალური განწყობის შეცვლის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. კომუნიკატორულ წინააღმდეგობაში იგულისხმება განწყობისეული ობიექტის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაში არსებულ პოზიციასა და მიმღების პოზიციას შორის განსვლა, წინააღმდეგობა. კომუნიკატორული წინააღმდეგობის შესწავლის დროს მიღებულია ორგვარი შედეგი: ზოგიერთი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დიდია კომუნიკატორული წინააღმდეგობა, მით უფრო მცირეა განწყობის შეცვლა⁴. ხოლო ზოგიერთში მიღებულია საწინააღმდეგო შედეგები⁵, — რაც უფრო დიდია კომუნიკატორული წინააღმდეგობა, მით უფრო დიდია განწყობის შეცვლა. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ჩვენს მონაცემებში? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტში მონაწილე ცდის პირობმა საზოგადოდ გვიჩვენეს დადებითი განწყობა კინოს მიმართ. დადებითმა ინფორმაციამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა განწყობის შეცვლაზე, ხოლო ამ შეცვლაში თითქმის მთელი ხვედრითი წონა მოდის იმ ცდის პირობებზე, რომელთა საწყისი პოზიციები ნეიტრალურთან ახლოა რამდენიმე ცდის პირმა უარყოფითი განწყობაც გვიჩვენა). ასეთი ვითარების გამო ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გარკვეულ კომუნიკატორულ წინააღმდეგობაზე, მაგრამ ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, კომუნიკატორული წინააღმდეგობის ეფექტი კარგად სჩანს უარყოფითი ინფორმაციის მიცემის დროს. ამ ვითარებაში მნიშვნელოვანი შეცვლა მოგვცა სწორად გარკვეულმა კომუნიკატორულმა წინააღმდეგობამ, სადაც, რაც უფრო დიდია წინააღმდეგობა, მით უფრო დიდია განწყობის შეცვლის მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 3). ეს შედეგი უფრო ნათლად მიუთითებს კომუნიკატორული წინააღმდეგობის კვლევის აუცილებლობაზე. ამ მიმართულებით უფრო ნათელი შედეგების მიღებისათვის საჭიროა ისეთი ექსპერიმენტული პირობების გამოყენება, რომლებშიც ჩვენ გვქენება ინფორმაციის პოზიციის ვარიაციის საშუალება. თვით კომუნიკატორული წინააღმდეგობის ფაქტის ახსნაც მოითხოვს იმ პირობების გათვალისწინებას და ანალიზს, რომლებშიც სხვადასხვა მკვლევართა მიერ მიღებულია განსხვავებული შედეგები. ყველაფერი ეს მოითხოვს დამატებით ექსპერიმენტულ კვლევას, რომლის სისტემაური ვაზარება, ჩვენი რწმენით, შესაძლებელია განწყობის ზოგადი თეორიის საფუძველზე.

⁴ M. Sherif and C. Hovland—Social judgement. New Haven and London, Yale University press, 1961.

⁵ A. Cohen—Communication discrepancy and attitude change. Journal of Personality, 27, :97—407, 1959.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

ლონდა სამსონიკი

მუსიკის განცდის ასაკობრივ თავისებურებათა საკითხისათვის

I

1. ჩვეულებრივ, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური განცდის საკითხს ფორმისა და შინაარსის პრობლემასთან აკავშირებენ. ღირებულებათა ის სფერო, რომელზედაც ესთეტიკური განცდა მიმართული, გულისხმობს განსაკუთრებულ მიდგომას მხატვრული შემოქმედების პროდუქტისადმი. გავრცელებული ფორმულირების მიხედვით, ესთეტიკური განცდის საკითხია „როგორ?“ და არა „რა?“, ე. ი. საინტერესოა არა ის, თუ რა არის დახატული, არამედ — ის, თუ როგორ არის დახატული. სწორედ აქ დაისმის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხი, რისი განხილვაც ჩვენს ამოცანას არ შეადგენს; გვინდა, მხოლოდ მივეუბნოთ, რომ ალბათ, არ შეიძლება იყოს საეხეობით მოწყვეტილი საკითხი, თუ რას ასრულებს, — იმისაგან, თუ როგორ ასრულებს. „როგორის“ — ე. ი. შესრულების ღირსებას ჰქმნის სწორედ ის გარემოება: არის თუ არა ამ შესრულებით ვადმოცემული ღრმად გაშლილი და გამომქაფრებული მოვლენის ნამდვილი შინაარსი.

შესრულების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა ესთეტიკური განცდისათვის მკაფიოდ ჩანს ბავშვის ესთეტიკური განცდის შესწავლის დროს. სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ბავშვებს ესთეტიკური განცდის უნარი არა აქვთ სწორედ იმიტომ, რომ მათ არ აინტერესებთ შესრულების ხარისხი; ისინი მიმართულნი არიან თვით დახატული ობიექტის ღირებულებაზე: მოსწონთ ის სურათი, რომელზედაც ლამაზი ან ლამაზად ჩატყული ბავშვი ხატია, მოსწონთ ლექსი ფარშევანგზე მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ფარშევანგია ლამაზი, — თვით ნაწარმოების მხატვრული ღირებულების მიმართ კი, თითქოს სრულიად ინდიფერენტულნი არიან. სწორედ ამიტომ ტიუბინგენის სემინარის მკვლევარები ბავშვის ესთეტიკური განცდის შესწავლისას შეეცადნენ ხელოვნურად მიემართათ ბავშვის ინტერესი ნაწარმოების არა შინაარსზე, არამედ — შესრულებაზე და ამით მოეხდინათ მათი შინაარსობრივი ინტერესის ნეიტრალიზაცია; მაგალითად: პატარა ცდის პირებს ისინი აწვდიდნენ ერთი და იგივე საგნის, ვიქვათ, ჩატყული კატის, რამდენიმე ბავშვის მიერ დახატულ სურათს; ცდის პირ ბავშვებს ეს ნახატები შესრულების ღირსების მიხედვით უნდა დაეფასებინათ, ე. ი. უნდა შეეფასებინათ: ძალიან კარგად, კარგად, საშუალოდ, ცუდად თუ ძალიან ცუდად არის შესრულებული ესა თუ ის ნახატი. ამავე სახის ექსპერიმენტები ჩატარდა სხვა მასალაზეც. ამ გზით ცდილობდნენ ტიუბინგენის სემინარის მკვლევარები ბავშვის ესთეტიკური განცდის შეფასებას. დადასტურდა, რომ ბავშვებს არამც თუ ახასიათებთ მხატვრული შესრულების შეფასების უნარი, არამედ ისინი უფრო მკარანობიარენიცი კი არიან

ამ მიმართულებით სპეციალურ განათლებას მოკლებულ მოზრდილებთან შედარებით¹. ამრიგად, თითქოს დადგინდა, რომ ინტერესის მიმართვა ნაწარმოების შინაარსზე აფერხებს ესთეტიკურ შეფასებას და ამ ნაწარმოების მხატვრული მხარისადმი გრძნობიერების გამომკლავნებას.

რაც შეეხება მუსიკის განცდას, ამ სფეროში ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხი უფრო თავისებურად დგას: აქ სპეციფიკურ სიძნელეს წარმოადგენს იმის თქმა, თუ რა არის მუსიკის „რა“ და რა არის მისი „როგორ“. თუ როგორი სტრუქტურული ფორმებითა და რა თანმიმდევრობით იქნება მიწოდებული ბგერითი მასალა, ჰქმნის ამ ნაწარმოების ფორმასაც და შინაარსაც, მაგრამ ერთი უდავოა, რომ ნაწარმოების შესრულებას აქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შემსრულებელი არის აუცილებელი შუამავალი შემოქმედსა და მსმენელს შორის, ურომლისოდაც მუსიკა, როგორც ხელოვნების დარგი ვერ იარსებებდა. მუსიკალური ნაწარმოები დარჩებოდა სანოტო სისტემის პირობითობის სიბრტყეში მოცემულ ნიშანთა ერთობლიობად. სწორედ ამიტომ შესრულების შეფასება, — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, — აქ ნიშნავს ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების წვდომის უმადლოეს საფეხურს. მუსიკალური ნაწარმოები არის გამოხატულება, მას აქვს თავისი ემოციური შინაარსი, შესრულება უნდა თავისებურად ემორჩილებოდეს და შეესატყვისებოდეს ამ შინაარსს: მაგალითად: სამგლოვიარო მარშის მუსიკას რომ მხოლოდ ერთი კომპონენტი — ტემპი შეუვცვალოთ და უფრო სწრაფად დაუყრათ, ეს შესრულება უკვე სრულიად არაადექვატური გახდება პიესის ნამდვილი ემოციური შინაარსის თვალსაზრისით².

საერთოდ, მუსიკალურ ნაწარმოებს მთელი რიგი კომპონენტები აქვს: რიტმი, მელოდია, ჰარმონია და სხვა, — რომელთა მიმართ მსმენელს უნდა გააჩნდეს ათვისების სპეციფიკური უნარი; გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს მუსიკის რიგი სხვა ელემენტების წვდომაც (მაგ., ფრაზის, კილო-ტონალობის, უნდა ჰქონდეს ნაწარმოების სტილის გრძნობა და ა. შ.). მუსიკალური განცდის განვითარებისა და ასაკობრივი თავისებურების შესწავლისათვის ჩვენ სწორედ ამ გარემოებიდან გამოვედით და შევეცადეთ მეთოდოლოგია იხევათ, რომ გამოგვემკლავნებინა, თუ როგორ ეკონომიკურად მიმართოს მსმენელს ასაკობრივ საფეხურზე აქვს ცდის პირს — უპირატესად ან, პირიქით, უფრო ნაკლებად — განვითარებული გრძნობიერება. ამასთანავე ჩვენ გვაინტერესებდა საკითხი: რას აძლევს საკუთრივ ასაკი მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ცდის პირს და, შემდეგ, რას აძლევს განათლება მუსიკის შემსწავლელ ბავშვებს მუსიკის აღქმის უნარისა და გემოვნების მხრივ.

¹ იხ. ამ საკითხზე ისევე, როგორც ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებაზე უფრო დაწვრილებით დ. რამიშვილი „ბავშვის ესთეტიკური აღქმის თავისებურება დაწვეებით სკოლის საფეხურზე“; კრ. „პედაგოგია“, 1944, ტ. 1.

² ზოგჯერ ისევე ხდება, რომ შესრულებამ შეიძლება იმდენი სიმდიდრე შეიტანოს ნაწარმოების შინაარსში, რომ მისი ესთეტიკური ღირებულება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს. მაგ., მე-18 საუკუნის იტალიელი კომპოზიტორის, ვალუპის სონატა მუსიკალური თვალსაზრისით საკმაოდ იაფფასიანია, განსაკუთრებით სუსტი და შეუყვრელია იგი ფორმის მხრივ, მაგრამ ამ სონატის ინტერპრეტაციაში არტური ბენდერი მიქელანჯელის იმდენი ინდივიდუალური სიმდიდრე შეაქვს, რომ ეს თითქოს ღარიბი და სქემატური მუსიკა მისი შესრულებით მაღალ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს.

ცდები ჩავატარეთ ცდის პირთა სამ ჯგუფზე. მუსიკის მოსწავლე ბავშვებზე 8-დან — 15 წლამდე (20 ც. პ.), ამავე ასაკის მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებზე (25 ც. პ.) და შესაძარებლად ავიყვანეთ მუსიკალურ განათლებას მოკლებულ მოზრდილთა ჯგუფი 20-დან — 60 წლამდე (20 ც. პ.).

2. ჩვენი ცდების პირველ ნაწილში, ცდის პირებს ვაწოდებდით ერთი და იგივე პიესის შესრულების სამ ვარიანტს, მათ უნდა შეეფასებინათ: რომელი იყო საუკეთესო, რომელი — საშუალო და რომელი — მდარე. ყოველ შესრულებაში ვცდილობდით წინ წამოგვეწვია მუსიკის ის კომპონენტი, რომლის მიმართ გრძნობიერების კვლევას ვცდილობდით ამ ცდაში. სახელოდობრ, — ხაზი გაგვესვა რიტმის, მელოდიის, ბგერითი ფორმების ჰარმონიული სიმწყობრისა და პოლიფონიური მომენტისათვის.

პირველ ცდაში გამოყენებული იყო ჩაიკოვსკის პიესა „ნეაპოლიტანური სიმღერა“, რომელსაც აქვს ძალიან მახვილი, ცეკვადი, რიტმული აკომპანემენტი. ჩვენი მეთოდის მიხედვით, პიესა მივაწოდეთ სამჯერ²: პირველი შესრულების დროს სპეციალურად ხაზგასმული იყო რიტმული აკომპანემენტი, რაც თავისთავად მეტად თუ ნაკლებად ლამაზია და გამახალისებელი, თუმცა მის ხარჯზე სრულიად იჩქმალება მელოდია და ამ შესრულებას ვერ მიჰყავს მსმენელამდე პიესის ნამდვილი შინაარსი, რისთვისაც იგი ყველაზე მდარე შესრულებად უნდა ჩაითვალოს; საშუალო ხარისხის შესრულებისას ამ ნაწარმოებს ვაწოდებდით ისე, რომ მელოდიასაც და აკომპანემენტსაც თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდათ, ამრიგად, ეს შესრულება ხაზს უსვამდა მუსიკალურ მასალას, ბგერითი ფორმების თანმიმდევრობა უნაკლოდ იყო მიწოდებული, ყველაფერი მარტივად, ნათლად, მაგრამ ნამდვილი, მხატვრული საშემსრულებლო ამოცანის გარეშე სრულდებოდა; მესამე შესრულება იყო სრულფასოვანი, სრულფასოვან შესრულებაში ვვლისხმობთ, მოცემული მუსიკალური ნაწარმოების ყველა შემადგენელი კომპონენტისათვის იმ ხედრითი წონის მინიჭებას, რომელიც აუცილებელია ამ მუსიკალური პროდუქტის ინდივიდუალური თავისებურების უფრო მომგებიანად გამოვლენისათვის. უხარისხო შესრულება, რომელშიც მპაროვოცირებელი ფაქტორის სახით განსაკუთრებით ხაზგასმული იყო რიტმი, განზრახ პირველ რაგში მივაწოდეთ. ვფიქრობდით, ამით შეგვემოწმებინა ჩვენი ვარაუდი, შეუძლია თუ არა საინტერესო, რიტმულ აკომპანემენტს, გარკვეული შემთხვევაში მიიტაცოს ცდის პირის ყურადღება და მხოლოდ ამ კუთხით იქნას ნაწარმოები განცდილი და მოწონებული.

ამავე ნაწილის მეორე ცდაში გამოვიყენეთ ჩაიკოვსკის პიესა „ტბილი ოცნება“, სადაც, ისევე როგორც წინა მასალაში, — აკომპანემენტი მეტად საინტერესოა, თუმცა სხვა სახისაა: „ნეაპოლიტანური სიმღერის“ რიტმული აკომპანემენტისაგან განსხვავებით, იგი შეიცავს მელოდიურობის ელემენტს და მოითხოვს მღერად შესრულებას; ეს პიესაც სამგვარი შესრულებით მივაწოდეთ, მაგრამ უკვე სხვა თანმიმდევრობით: პირველი შესრულება იყო ყველაზე მაღალი ხარისხის: საოცნებო, ნაზი, მღერადი მელოდია, რომელსაც ანლავს ტალღავანი ნახევარი ტონებით „მოცავი“ მშვიდი აკომპანემენტი; მეორე შესრულება იყო ყველაზე დაბალი ღირსების, აქ სრულიად იჩქმალება

² პიესის მიწოდება ხდებოდა ცდის ხელმძღვანელის მიერ ცოცხალი შესრულებით ფორტეპიანოზე და არა მაგნიტოფონის გამოყენებით.

წამყვანი მელოდია, შემსრულებლის ყურადღება გადატანილია მღერად, აგრეთვე მელოდიურ აკომპანემენტზე და სრულიად ირღვევა ამ პიესის მუსიკალურ-გამოხატულებითი შინაარსი; მესამე ე. წ. საშუალო შესრულება თავისი ამოცანით „ნეაპოლიტანური სიმღერის“ მეორე შესრულების ანალოგიურია, აქაც ხაზი გაესმის პიესის მხოლოდ მასალას, ყველა ხმა სრულდება თანაბარი ინტენსიობით, ნათლადაა გადმოცემული ბგერითი ფორმების სტრუქტურული თანმიმდევრობა, თუმცა საშემსრულებლო თვალსაზრისით ის არა დგას მაღალ დონეზე. ინსტრუქცია ცდის ამ ვარიანტშიც ისეთივეა, როგორც პირველი ცდის შემთხვევაში.

ამავე ნაწილის მესამე ცდა უფრო სხვა ხასიათისაა და მიზნად ისახავს გრძნობიერების გამორკვევას მუსიკის პოლიფონიური ელემენტის მიმართ. როგორც ვიცით, პოლიფონიის, ე. ი. მრავალხმიანობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ხმას თავისი მიმდინარეობა და განვითარება აქვს; პოლიფონიურ მუსიკაში ყველა ხმა თანასწორუფლებიანია. ჩვენ გვინტერესებდა სწორედ ეს: შესატყვისად აღიქვამდნენ თუ არა ჩვენი ცდის პირები პოლიფონიურობის არსს, რომელიც მდგომარეობს ორი ან მეტი დამოუკიდებლად მიმდინარე ხმის გაერთიანებაში უფრო რთულ სტრუქტურულ მთლიანობად. ცდა აგებული იყო ი. ს. ბახის პატარა პრელუდიაზე № 2 C dur, რომელიც აგრეთვე სამგვარი შესრულებით მივაწოდეთ: პირველი შესრულებების დროს, რომელიც საშუალო ღირსებისა იყო, თავიდან ბოლომდე უპირატესობა ჰქონდა ზედა ხმას, შეძლებისდაგვარად მიჩქმალული იყო ჰარმონიული საფუძველი — ქვედა და შუა ხმები; მეორე შესრულება მიზნად ისახავდა ამ პოლიფონიური პიესის ხმების თანასწორუფლებიანობის მხატვრულ დონეზე ჩვენებას და, ამდენად, წარმოადგენდა საუკეთესო შესრულებას; მესამე შესრულება ყველაზე დაბალი ღირსებისა იყო, მიმდინარეობდა ქვედა ხმის გაუმართლებელი გამოყოფით მთელი პიესის მანძილზე აქ დგება კითხვა: თუ პოლიფონიურ მუსიკაში ყველა ხმა თანასწორუფლებიანია და სავსებით გარკვეული ადგილი უჭირავს ნაწარმოების სტრუქტურაში, მაშინ ზედა ხმის გამოყოფას, რატომ ვთვლით საშუალო შესრულებაზე, ხოლო ქვედა ხმის გამოყოფას — ყველაზე დაბალი ღირსების მქონედ? საქმე იმაშია, რომ ამ პიესაში ზედა ხმას უფრო საინტერესო მიმდინარეობა აქვს თვით კომპოზიტორის ჩანაფიქრში, ხოლო ქვედა ხმა განსაზღვრულ მონაკვეთში დამოუკიდებლობას კარგავს და „ფონის“ ფუნქცია აკისრია. მელოდიის მიჩქმალვა და ფონის გამოყოფა, ვფიქრობთ უფრო უხეში ნაკლია, ვიდრე შესრულება, რომლის დროსაც ხდება დამოუკიდებელი მნიშვნელობით მიმდინარე ზედა ხმის გამოყოფა.

3. ამ ცდების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ, საერთოდ, მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასების ყველაზე მაღალ დონეს ამჟღავნებენ მუსიკის შემსწავლელი ბავშვები, მათ ახლოს მისდევენ მუსიკალურ განათლებას მოკლებული მოზრდილები, ხოლო ის ბავშვები, რომლებიც მუსიკას არ სწავლობენ, ამ ორივე ჯგუფს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

მასალის უფრო ზუსტი ანალიზი მოითხოვს ამ ზოგადი მონაცემების დაზუსტებას და გარკვეული კორექტივების შეტანას. მაშინ ჩვენს წინაშე მეტად საინტერესო და დიფერენცირებული სურათი იშლება: პირველ ცდაში რომელიც აგებული იყო ჩაიკოვსკის პიესაზე „ნეაპოლიტანური სიმღერა“ სწორი პასუხე-

ბი შემდეგნაირად განაწილდა (ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის სწორი გადაწყვეტა ჩვენს ცდებში ნიშნავს, რომ სამივე შესრულება სწორად არის რანგის მიხედვით განლაგებული, ე. ი. ამ ცდაში მოცემული სამივე ამოცანა სწორად არის გადაჭრილი): მთლიანად სწორი პასუხი მოგვცა მოზრდილების 60%-მა, ხოლო მუსიკის შემსწავლელი ბავშვების — 40%-მა, თუმცა მათ საკმაოდ აჭლოს მისდევდნენ მუსიკალურ განათლებას მოკლებული ბავშვები (36%); საინტერესოა, რომ საუკეთესო შესრულებას, როგორც მოზრდილებში, ასევე მუსიკის მოსწავლე ბავშვებში 60%-მა მიაკუთვნა პირველი ადგილი, ე. ი. სწორად გადაჭრა ყველაზე ძნელი ამოცანა. ხოლო საერთო შედეგებში მოზრდილების ყველაზე წინ გამოსვლა განაპირობა იმან, რომ მუსიკის მოსწავლე ბავშვებს ზოგჯერ საშუალო შესრულება გადმოჰქონდათ პირველ ადგილზე, ხოლო უხარისხო შესრულებას II ადგილზე აწინაურებდნენ. როგორც ვიცით, უხარისხო შესრულებაში მკაფიო რიტმული აკომპონემენტი იწინააღმდეგება, ხოლო უხარისხო შესრულებაში მკაფიო რიტმული აკომპონემენტი იწინააღმდეგება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უქანასკნელ შემთხვევაში პატარა ცდის პირებთან მხატვრულ შესრულებას მეტოქეობას უწევდა ისეთი „გამახალისებელი“ დინამიკური მომენტი აკომპონემენტში, როგორცაა რიტმი. ეს ჩვენთვის არც ისე მოულოდნელი იყო. როგორც ცნობილია, რიტმულ თანმიმდევრობას, რომელიც სუბიექტის მიერ განიცდება, როგორც წესზომიერი ტალღების სახით მიმდინარე საკუთარი აქტივობის პროცესი, თან ახლავს სიამოვნების გარკვეული ემოცია, ეს მით უფრო შეეხება ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებით მძაფრად აქვთ გამოხატული საკუთარი აქტივობის განცდა რიტმის დროს⁴.

კიდევ უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი საშუალო შესრულების პირველ ადგილზე გადმოტანის ფაქტს, რომელიც მუსიკის შემსწავლელ ბავშვებთან 40%-ს, ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან 52%-ს აღწევდა; ეს გვაფიქრებინებს, რომ ბავშვებს თვით ბეგრების მკაფიოდ გამოხატული სტრუქტურული თანმიმდევრობა, მათი კანონზომიერი ურთიერთმიმართების თვალსაჩინოება მოსწონთ და ამ შემთხვევაში ისინი თავის არჩევანს ზოგჯერ ასე ასახულებენ: „ხნები კარგად ეწყობა ერთმანეთს“, „მზიარულია“, „გასაგებია“. ეს რასაკვირველია, არამუსიკალურ მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მუსიკის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ეს ძალიან საინტერესო ფაქტია.

მუსიკის შემსწავლელი ბავშვებიც კი, რომლებიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, ამკარად, უფრო ფაქიზ გრძნობიერებას ამჟღავნებენ შესრულების მიმართ, აქ ხშირად წინ სწევენ საშუალო შესრულებას. როგორც ჩანს, მუსიკალური ნაწარმოების განცდაში მათთან რიტმისა და ჰარმონიული სტრუქტურების გრძნობას ისეთი გადაჭარბებული ხვედრითი წონა აქვს, რომ ეს უქან სწევს ზოგჯერ ყველაზე მაღალი შესრულების ღირებულებას; სამაგიეროდ, მუსიკის შემსწავლელ ბავშვებს არასოდეს არა აქვთ ისეთი უხეში შეცდომა, რომ უხარისხო შესრულება დააყენონ პირველ ადგილზე, რასაც მოზრდილებთანაც კი ვხვდებით; მუსიკის არამოდუნე ბავშვებისათვის კი, სრულფასოვანი შესრულება ხშირად მოსაწყენია, ისინი ასეთ არჩევანს შემდეგნაირად ხსნიან: „ჩემია“, „მოწყენილია“, „ნაღვლიანია“ და ა. შ.⁵

⁴ მათი ჩვენებებიც ჩვენს ცდებში ამაზე მიუთითებს. „უხარისხო შესრულებაზე ისინი ამბობენ: „მახალისებს“, „მზიარულია“, „მაფხიზლებს“, „მარცხენა კობტად დახტის“.

⁵ ძალიან საინტერესოა, რომ საერთოდ ბავშვებთან „მოწყენილი“, „ნაღვლიანი“, „ჩემი“ უღრის მოსაწყენს და ამიტომ უფრო ნაკლებად მოსაწონია.

მეორე ცდის გადაწყვეტამ, რომელიც აგებული იყო ჩაიკოვსკის პიესაზე „ტკბილი ოცნება“. უფრო ნათელი გახდა, რამდენად წინ მიდიან შესრულების შეფასების უნარის მხრივ ბავშვები, რომლებიც მუსიკას სწავლობენ. მათთან მთლიანად სწორი პასუხები (ე. ი. სამივე შესრულების სწორი განლაგება) შეადგენს 50%-ს, მოზრდილებთან — 45%-ს, ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან — მხოლოდ 24%-მდე. მუსიკის შემსწავლელი ბავშვების ასე წინ გამოსვლა უნდა აიხსნას იმით, რომ ამ ცდაში ისინი აღარ შეჰყავს შეცდომაში ისეთ მაპროვოცირებელ ფაქტორს, როგორცაა რიტმი.

მეორე ცდის შედეგებმა კიდევ უფრო გაუსვეს ხაზი მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელმაც ჯერ კიდევ პირველ ცდაში იჩინა თავი: ეს არის საშუალო შესრულების პირველ ადგილზე გადმოტანის ტენდენცია, განსაკუთრებით — მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებში, რომელთა შორის ამ შესრულებას 60%-მა მიუჩინა პირველი ადგილი; ამავე დროს, ისინი თავის არჩევანს გარკვეულად ამართლებდნენ: „ყველაფერი გამართულად შესმოდა“, „ორივე ხელი რასაც უკრავს, ყველაფერი მესმის“. ამ ცდამ უჩვენა, რომ მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვთათვის, ნაწარმოების მხატვრული ღირსების წვდომა ჩაიკოვსკის „ტკბილი ოცნების“ შემთხვევაში საკმაოდ ძნელი იყო. ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტის ძირითად ფაქტორს მელოდიურობა შეადგენდა, სწორედ ამიტომ მან ასე ადვილად ვერ მიიქცია ბავშვების ყურადღება, როგორც — რიტმულმა ფაქტორმა პირველ ცდაში. საუკეთესო შესრულება ამ ჯგუფის ბავშვების იმდენივე პროცენტმა აღიარა პირველ ადგილზე (35%), რამდენმაც ამავე შესრულებას მიანიჭა მესამე (ე. ი. უკანასკნელი ადგილი. სამში ერთის შერჩევის პირობებში ეს ნიშნავს, რომ გადარჩევა აქ შეიძლება სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ ცდის შედეგებმა მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვთა ჯგუფში მხოლოდ ერთი რამ გამოავლინა საკმაო მაჩვენებლად: ის, რომ მათთვის საშუალო შესრულებას განსაკუთრებული მიზიდველობა აქვს.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მუსიკის არამკოდნე ბავშვების დიდ ნაწილს სწორედ საშუალო შესრულება მოსწონს და გამოჰყავს პირველ ადგილზე? საქმე იმაშია, რომ როგორც ჩანს, მუსიკალური განათლების არამქონე ადამიანებს ზოგჯერ მოზრდილ ასაკშიც კი, და მითუმეტეს ბავშვობაში, მუსიკის მოსმენისას საშემსრულებლო ოსტატობა კი არ მოსწონთ, არამედ პირველ რიგში მათ იტაცებს თვით ბგერითი ფორმების, ბგერების ურთიერთმიმართებათა ჰარმონიული სტრუქტურები და თანმიმდევრობა, ე. ი. — ის, რასაც, ჩვენი აზრით, მუსიკალური მასალა შეიძლება ეწოდოს. ზემოთ დასახელებული პიესა ისევე როგორც ყოველი მუსიკალური ნაწარმოები შედგება ასეთი ბგერითი სტრუქტურებისა და მათი თანმიმდევრობისაგან, მაგრამ მელოდია უფრო მეტია ვიდრე ეს სტრუქტურული თანმიმდევრობა; სწორედ ამიტომ ის ვარემოება, რომ ბავშვები ვერ გრძობენ მელოდიის მიჩქმალვას, მიმართულნი არიან თვით პიესის სტრუქტურაზე და ამის მიხედვით საუკეთესოდ მიიჩნევენ იმ შესრულებას, სადაც ჰარმონიულ-სტრუქტურული მომენტი გამოდის წინ მელოდიის დაჩრდილვის ხარჯზე, მითითებებს მათი მუსიკალური განცდის სპეციფიკურ ხასიათზე.

4. პირველი ნაწილის მესამე ცდა მიზნად ისახავდა უფრო სხვა სახის ამოცანას, კერძოდ, გრძნობიერების შესწავლას მუსიკის პოლიფონიური მომენტის მიმართ. ამ ცდამ, რომელიც აგებული იყო ბახის პატარა პრელუდიაზე

(№ 2 C dur), კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ განათლებას მუსიკის აღქმის უნარის განვითარებისათვის. მრავალხმიანი მუსიკის ადექვატური აღქმა მსმენელისაგან მოითხოვს აღქმისა და ყურადღების თანაბარ განაწევრებას სამი დამოუკიდებელი მომენტის მიმართ ერთდროულად და, როგორც ფსიქოლოგიიდან არის ცნობილი, ეს სპეციფიკურ სიძნელეს შეიცავს ბავშვებისათვის. ჩვენს ამოცანაში (ე. ი. მუსიკის სფეროში) ეს მოზრდილებსაც კი გაუჭირდათ. მით უმეტეს გასაკვირია ის შედეგები, რომლებიც ამ ექსპერიმენტმა მოგვცა: ეს ამოცანა მთლიანად სწორად გადაჭრა მუსიკის შემსწავლელი ბავშვების 65%-მა, მათ საგრძნობლად ჩამორჩენ მოზრდილებიც კი (40%), ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებში სწორი პასუხები მხოლოდ 16%-ს შეადგენდა.

ამრიგად, მუსიკის შემსწავლელმა ბავშვებმა ყველაზე უკეთ გაართვეს თავი ამ ამოცანის გადაწყვეტას. როგორც ჩანს, მუსიკის სწავლამ დიდად შეუწყობ ხელი ასეთი დანაწევრებული მუსიკალური აღქმის უნარის განვითარებას მათთან; მაგრამ ცდაში თავი იჩინა შემდეგმა მეტად საყურადღებო ასაკობრივმა ფაქტორმა: უხარისხო შესრულების მოწონების შემთხვევა, რასაც თითქმის წესის ხასიათი ჰქონდა მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან (80% ამ შესრულებას ანიჭებს პირველ ან მეორე ადგილს), გვხვდებოდა აგრეთვე მუსიკის მოსწავლე ბავშვებთანაც, რომელთა სწორი პასუხები ამ ცდაში (67%-ს შეადგენდა). საქმე იმაშია, რომ ამ პიესის უხარისხო შესრულება შეიცავს ე. წ. დინამიკურ კონტრასტებს (P—f), სწორედ ამის გამო იგი მოსაწონი და საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისათვის. წყნარ, მელოდიურ დასაწყისს მოსდევს ნაწარმოების მეორე მონაკვეთში მორდენტები⁶ ბანის პარტიაში (ქვედა ხმაში); მეტოდიკის თანახმად, ეს მონაკვეთი ხმაბალა, მკაფიოდ შესრულდა და წარმოიშვა მკვეთრი დინამიკური კონტრასტი: p (ჩუმად), f (ხმაბალა). როგორც ჩანს, სწორედ ამან მაპროვოცირებლად იმოქმედა ბავშვებზე და უხარისხო შესრულების მოწონება გამოიწვია. საინტერესოა, რომ ასეთ შეცდომებს მუსიკის შემსწავლელ ბავშვებთან ადგილი აქვს მხოლოდ 10 წლის ასაკამდე, ხოლო ასაკის მომატებასთან ერთად დინამიკური ფაქტორის მაპროვოცირებელი გავლენა ამ ჩგუფის ბავშვებში თანდათან სუსტდება. ამ ვარაუდის არაპარდაპირი დადასტურებაა ისიც, რომ მოზრდილთა ჩგუფში ამ ტიპის უხეშ, შეცდომას — უხარისხო შესრულებისათვის პირველი ადგილის მინიჭებას — სრულებით არა აქვს ადგილი.

ფაქტი, რომ დინამიკურ კონტრასტს მუსიკაში შეუძლია მიიტაცოს ბავშვის ყურადღება, გარკვეული აზრით ანალოგიას ბადებს ბავშვის ლიტერატურულ-ესთეტიკურ აღქმასთან: სკოლამდელი ასაკის ბავშვის მიდრეკილებას ზღაპრისადმი ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხსნიან სწორედ ზღაპრის შინაარსობრივ-სიუჟეტური მრავალფეროვნებით, ამბის საინტერესო განვითარებით, კონტრასტების სიუხვით (დევეები — ქონდრისკაცები, კეთილი ფერები — კუდიანი დედაბრები), რაც საბოლოო ანგარიშში ქმნის ზღაპრის დინამიკურ ხასიათს და ამიტომაც მიმზიდველია ბავშვისათვის (შარლოტა ბიულერი). ამისი ანალოგიურია დაწყებითი სკოლის ბავშვების განსაკუთრებული მიდრეკილება ყოველივე იმის მიმართ, რაც მუსიკაში დინამიკურობას ქმნის. შემდგომ დავინა-

⁶ მორდენტი მელოდიური სამკაულია, რომელიც ერთ გარკვეულ ბერძნულ ეკლესიურ და ტაქტის რიტმულ-მეტრულ სურათს არ ცვლის.

ხაეთ, რომ დინამიკური მომენტებისადმი ლტოლვა ბავშვებში სულ სხვა სახის ამოცანებშიც იჩენს თავს.

II

1. ბავშვები განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებენ იმის მიმართ, რასაც პირობითად მუსიკალური მასალა ვუწოდებთ და ამ გარემოებამ ბიძგი მოგვცა ცდების მეორე ნაწილში გამოგვევლია მათი გრძნობიერება ამ მასალის ელემენტარული ნაწილების, მისი უფრო დაბალი მთლიანობითი ერთეულების მიმართ, სახელდობრ, შვევებმოწმებინა: ექნებოდათ თუ არა ჩვენს ც.პ-ებს გრძნობიერება მუსიკალური ფრაზის მიმართ, იგრძნობდნენ თუ არა ისინი ფრაზის დარღვევას. მეტყველების ანალოგიურად, მუსიკალურ ენაშიც არის ფრაზა და ინტონაცია. სამეტყველო ენაში ყოველი ფრაზის შემდეგ შეყოვნება ჩვეულებრივ გამართლებულია, ხოლო ფრაზის შუაში წერტილის დასმა წყვეტს აზრის თანმიმდევრობას; გარკვეული აზრით, ასევეა მუსიკაშიც. მუსიკალური ფრაზის გაწყვეტა, უკეთეს მსმენელი მისდევს ამ მუსიკალური ნაგებობის მსვლელობას, ბადებს დაუმთავრებლობის გრძნობას.

II ნაწილის პირველი თავის ცდებისათვის შერჩეულ პიესებს ეაწოდებდით ორგვარი შესრულებით: სრულფასოვნად და არასრულფასოვნად. არასრულფასოვანი შესრულების დროს, ფრაზის მთლიანობას საგანგებოდ ვარღვევდით, მაგრამ არა რიტმული სურათის შეცვლის ხარჯზე (ე. ი. არა ტაქტებს შორის პაუზის ჩადგმით), არამედ მტიციე რიტმული ჩარჩოების შენარჩუნებისას ფრაზის შუაში, სრულიად გაუმართლებელ ადგილას ვილებდით სუნთქვას⁷, ე. ი. ვხლებდით ფრაზას. გვანტერესებდა: იგრძნობდნენ თუ არა ცდის პირები პიესის სტრუქტურის შერყევას.

ცდებში გამოვიყენეთ ორი პიესა: რუბინშტეინის „მელოდია“ და კუხიანიძის მელოდია. რუბინშტეინის „მელოდიაში“ ფრაზის ერთტაქტიანი მონაკვეთები ცალ-ცალკე ლეგატოთია მითითებული და მათი ერთმანეთისაგან გამოიჯნა როგორღაც ხერხდება, ამიტომ არამომთხოვენ მსმენელს მისი არასრულფასოვანი, „განაწევრებული“ შესრულება შეიძლება მოეწონოს კიდევ, ვინაიდან იგი თითქოს „სანტიმენტალურ“ იერს აძლევს პიესას; კუხიანიძის მელოდიაში კი ოთხტაქტიანი ფრაზების გახლეჩა შუაში სუნთქვის ალებით იმდენად უხეშად ისმის, რომ აქ უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო სტრუქტურის შერყევის შემჩნევა. საყურადღებოა, რომ ამ ცდებში I ნაწილის ცდებთან შედარებით, ც.პ-თა სამივე ქვეყნის მძალიან მაღალი შედეგი აჩვენა.

რუბინშტეინის „მელოდიის“ მასალაზე აგებულ ცდაში, სწორი პასუხები ჯგუფების მიხედვით ასე განაწილდა: მუსიკის შემსწავლელი ბავშვები — 75%, მუსიკალურ განათლებას მოკლებული ბავშვები — 68%; მოზრდილები — 70%.

კუხიანიძის მელოდიაზე აგებულ ამოცანაში სწორი პასუხები უფრო მეტი იყო: მუსიკის შემსწავლელ ბავშვებთან — 95%, მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან — 88%, მოზრდილებთან — 90%.

რუბინშტეინის პიესის შემთხვევაში სწორი პასუხების უფრო ნაკლები პროცენტი, როგორც ჩვენც ვვარაუდობდით, გამოწვეული იყო პიესის ერთგვარი

⁷ სუნთქვის ალება — ინსტრუმენტულ მუსიკაში შემოტანილი ტერმინია ვოკალური მუსიკიდან, ვინაიდან მომღერალს არ შეუძლია ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ამოუსუნთქავდ იმდეროს, თითოეული ფრაზის შემდეგ იღებს სუნთქვას, რაც ნაწარმოების რიტმს არ აზარალებს, არამედ ხაზს უსვამს თითოეული ფრაზის შინაგანი სტრუქტურის გარკვეულობას.

„გასანტიმენტალებით“ არასრულფასოვან შესრულებაში. ც.პ-ც ამის შესატყვისად ამართლებდა თავის არჩევანს: „წყვეტს, თითქოს გულში ჩამწყყდა რალაც“, „მომწონს, რადგან წყვეტს“. როგორც ვხედავთ, ამ ც.პ-თ სავსებით გაცნობიერებული აქვთ თავისი არჩევანი, ისინი ამჩნევენ ამ შესრულების თავისებურებას. სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წარუმატებლობა ამოცანის გადაჭრამი გამოწვეულია გემოვნების დაბალი დონით და არა აღქმის შეცდომებით.

2. ამავე 11 ნაწილის მეორე თავი მიზნად ისახავდა გრძნობიერების გარკვევას მუსიკალურ ფრაზის სწორი ინტონირების მიმართ, რომლის დარღვევა, შესაძლოა, უფრო საზიანოც იყოს, ვიდრე ინტონირების დარღვევა სალაპარაკო ენაში, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საზრისისათვის შეუფერებელმა ინტონაციურმა ხაზგასმამ შეიძლება სრულიად შეცვალოს წინადადების მნიშვნელობა. მუსიკალური სტრუქტურის ნაწილების ინტენსიფიკაციის წესრიგი, მტკიცე და თითქმის სავალდებულო ხასიათს ატარებს შესრულების სრულფასოვანების თვალსაზრისით; ზოგ შემთხვევაში მუსიკალური ფრაზა იწყება ძლიერად და დასასრულ სუსტდება, ზოგჯერ კი, პირიქით, ინტენსიობის მომატება აღინიშნება ფრაზის ბოლოს, — ეს გაპირობებულია ნაწარმოების ემოციური შინაარსის ლოგიკით: სწორედ ფრაზის ამ ლოგიკურ ინტონირების მიმართ გრძნობიერების გარკვევას ისახავდა მიზნად მოცემული თავი.

ცდებისათვის გამოვიყენეთ ორი პიესა: პირველი პიესა იყო ი. ს. ბახის პოლონეზი (ანა მაგდალინა ბახის რეჟულიდან). რომლის არასრულფასოვან შესრულებაში ძლიერად, ფორტეზე დაწყებული ფრაზა მთავრდებოდა გაუმართლებელი შესუსტებით, ხოლო სხვა ფრაზები, რომლებიც უნდა დამთავრდეს ჩუმად, — პირიქით, — უხეშად იყო გამოყოფილი უადვილო გაძლიერებით. ამრიგად, არასრულფასოვან შესრულებაში დარღვეული იყო ინტენსიფიკაციის ის კანონზომიერება, რაც აუცილებელია ნაწარმოების ადექვატური შინაარსის გადმოცემისათვის.

მეორე ცდა აგებული იყო ჩაიკოვსკის პიესაზე — „დედა“ (საბავშვო ალბომიდან). ამ პიესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამავე მიზნით გამოყენებული ბახის პოლონეზისაგან განსხვავებით მისი მუსიკა ადვილად იტანს გადასტრუქტურებას. ინტენსიფიკაციის წესრიგის შეცვლა, რომელიც სინკოპების წარმოშობის ხარჯზე ხდება, ნაწარმოებისათვის საზიანოა, მაგრამ არა ქმნის ისეთ ქაოტიურ შეუსაბამობას, როგორც ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში.

ამოცანაში მაპროვოცირებულ ფაქტორად შემოტანილია სტრუქტურის მერყეობა. გვანტერესებდა ც.პ. სწორ არჩევანს გააკეთებდა, თუ შეეგუებოდა და მოიწონებდა ახალ სტრუქტურას, რომელიც არ შეესატყვისება პიესის მთლიან ემოციურ განწყობილებას, თუმცა უხეშ დარღვევას არა ქმნის; უფრო მეტიც, იგი უფრო მარტივი და ნათელია რიტმულად და სწორედ ამიტომ შეიცავს მაპროვოცირებელ ელემენტს.

რაც შეეხება ამ ცდების შედეგებს, საყურადღებოა, რომ ბახის პოლონეზის მასალაზე აგებული ამოცანა, ყველა ჯგუფის ც.პ-მა წარმატებით გადაჭრეს: განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მუსიკის შემსწავლელი ბავშვები, მათთან სწორმა პასუხებმა 100% შეადგინა, მოზრდილებთან — 92%, ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან 80%; ამ ბოლო ჯგუფის 20%-ში, რომლებ-

8 სანკოპა ნიშნავს მახვილის გადატანს ტაქტის ძლიერი დროიდან სუსტ დროზე.

მაც შეცდომა დაუშვეს და არასრულფასოვანი შესრულება მოიწონეს, ერთ-ერთ ც.პ.-ს ქონდა ასეთი განმარტება: „უფრო ცოცხალი იყო, ხან ჩუმი, ხან ხმა-მაღალი“, — როგორც ჩანს, აქაც ისევე როგორც პირველი ნაწილის მესამე ამოცანაში (ბახის პრელუდიის კონტრასტები) ინტენსიობის ცვლის დინამიკურ-მა ფაქტორმა ითამაშა განმასაზღვრელი როლი: „სიბრტყელმ“ თვალი მოსჭრა პატარა ც.პ.-ს. მეორე ცდის შედეგი, როგორც მოველოდით, უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ამოცანისა, რადგან აქ ფრაზის გადასტრუქტურებამ წამოსწია რიტმული მომენტი. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სტრუქტურის შერყევა, რომელიც ფრაზის შეცვლამ გამოიწვია, შეამჩნია და უარყოფითად შეაფასა ცდის პირთა დიდმა უმრავლესობამ, განსაკუთრებით, ბავშვებმა, რომლებიც მუსიკას სწავლობენ (88% სწორი პასუხები). მოზრდილთა ჯგუფში სწორი პასუხების რიცხვი უდრიდა 75%-ს, ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებში 67%-ს. ხოლო, შეცდომები ამ ცდაში, როგორც ც. პირთა ჩვენებები მიუთითებდა, როგორც წესი, გამოწვეული იყო არასრულფასოვან შესრულებაში რიტმული სურათის გათვალსაჩინოებით და გამარტივებით, რამაც ეს შესრულება თითქმის უფრო „გამახალისებელი“ გახადა. ცდის პირები ასეთ განმარტებებს აძლევდნენ თავიანთ არჩევანს: „მახვილები კარგად იყო გამოყოფილი“, „უფრო რიტმულია, მახვილები ალამაზებს“, ორ ც.პ.-ს შეცვლილი სტრუქტურის ფრაზები უფრო ნათელ მუსიკადაც კი მოეჩვენა.

II ნაწილის ცდების შედეგებმა დააყენა ჩვენი წინაშე საკითხი მუსიკალობისა და არამუსიკალობის საზღვრების შესახებ: არის თუ არა მუსიკალური აღქმის უნარი ისეთი გამორჩეული რამ, რომელიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახასიათებს ადამიანს? როგორც ჩვენი ცდებიდან დავინახეთ, გრძნობიერება მუსიკის სტრუქტურის, სახელდობრ, ფრაზის მთლიანობის დარღვევის მიმართ, ყველა ჯგუფის ც.პ.-ით აღმოაჩნდათ. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გეშტალტის განცდასთან გვაქვს. როგორც ვიცით ფსიქოლოგიიდან, გეშტალტს ახასიათებს სწრაფვა დასრულებისაკენ. ჩვენმა ცდის პირებმა მათთვის მიწოდებული პიესების არასრულფასოვან შესრულებაში იგრძნეს სწორედ გეშტალტის დაუსრულებლობა. მართალია, გეშტალტის სწრაფვა დასრულებისაკენ საყოველთაო ფსიქოლოგიური ფაქტია, მაგრამ ის გარემოება, რომ ჩვენმა ც.პ.-ებმა აღიქვეს მუსიკალური გეშტალტი როგორც ასეთი, უკვე მოწმობს, რომ მათ მუსიკის აღქმის უნარი გააჩნიათ. მუსიკალური გეშტალტის დარღვევისა თუ სრულქმნის განცდა, უკვე ნიშნავს ისეთი შინაარსის წვდომას, რომელიც მუსიკის სფეროს ეკუთვნის ვინაიდან მუსიკალური ენას სწორედ მუსიკალური გეშტალტები ქმნიან.

რაც შეეხება ცდებს ინტონაციის გრძნობაზე, ისინი უფრო სხვა სახის ფაქტზე მიუთითებენ. საქმე იმაშია, რომ გრძნობიერება ნაწარმოების ინტონირების მიმართ უკვე არ შეეხება იმას, რასაც ჩვენ მუსიკალური მასალა ვუწოდებთ; და არც — გეშტალტის დაუსრულებლობის განცდას. ინტონირების გრძნობა ნიშნავს გრძნობიერებას მუსიკის ნამდვილი შინაარსის, მისი ემოციური ლოგიკის მიმართ. მით უფრო საინტერესოა, რომ სწორედ აქ პატარა ც.პ.-ებმა განსაკუთრებული უნარი გამოიჩინეს: მუსიკის შემსწავლელმა ბავშვებმა 100%-ით გადაქრეს ეს ამოცანა. ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არსებობს მუსიკის განცდის განვითარებაში ისეთი საფეხური, რომელიც მასალის წვდომაზე მაღლა დგას, თუმცა ჯერ არ წარმოადგენს მუსიკის აღქმის ყველაზე მაღალ საფეხურს ანუ შესრულების შეფასების უნარს. ყოველივე ამან ხაზი გაუსვა იმ გა-

რემოვბას, რომ არაკვალიფიციური მსმენელი მიმართულია თვით მუსიკალურ ნაწარმოებზე, მის კონკრეტულ შინაარსზე. მართალია, შესრულების ფაქტს ხელოვნებაში და განსაკუთრებით მუსიკაში სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს არა ნიშნავს, რომ თუ აღმქმელს არა აქვს გამოუმუშავებული შესრულების სწორად შეფასების უნარი, თითქოს ის სრულიად არ განიცდის მუსიკას და ხელოვნების ეს სფერო მისთვის დახურულია. მსმენელი შეიძლება ვერ არჩევს ავკარგიანობის მხრივ დიდი ოსტატისა და რიგითი სტუდენტის შესრულებას, მაგრამ მას სწორედ ეს მუსიკა სიამოვნებს, ეს ჰანგი მოსწონს. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ მას მუსიკის განცდა სულ არ შეუძლია? როგორც ჩანს, მუსიკის აღქმის უნარი საფეხურებრივია და მისი დაბალი საფეხური ყოველ ადამიანშია მოცემული; ასე რომ არ იყოს, მაშინ როგორ განვითარდებოდა საერთოდ მუსიკა?

სწორედ ამიტომ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც ისეთ მაღალ მოთხოვნას უყენებენ მუსიკალური აღქმის უნარის მქონე პიროვნებას, რომ ამ მოთხოვნას ვერ უპასუხებს არა მარტო მუსიკალურ განათლებას მოკლებული ადამიანი და მით უმეტეს ბავშვი, არამედ — მუსიკოსების გარკვეული ნაწილიც კი; მაგ., გ. რევეშის აზრით, მუსიკალობის ქვეშასაზოგადოდ უნდა გაიგებოდეს მუსიკის ავტონომიური ხემოქმედების განცდისა და მუსიკალურ გამოვლინებათა ესთეტიკურ ღირებულებაზე (შინაარსზე) მსჯელობის უნარი და მოთხოვნილება⁹. ძალიან სადავოა, რომ მუსიკალური უნარის მქონედ მივიჩნიოთ მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია თეორიული ცნებებით ჩამოაყალიბოს ნაწარმოების მაღალი ღირებულება და არა ვცნობ იმ ადამიანის მუსიკალობა, რომელიც წამდვილად განიცდის და ასხვავებს მაღალ მხატვრულ ქმნილებას იაფუასიანისაგან, მაგრამ ვერ აცნობიერებს და ვერ ასაბუთებს თავის არჩევანს.

III

მეორე ნაწილის შედეგებმა მოგვცა საფუძველი გვეკვლია, თუ რამდენად შორს მიდის ჩვენი ც.პ-ების გრძნობიერება მუსიკის უფრო რთული სტრუქტურის დარღვევის მიმართ: გრძნობენ თუ არა ისინი ნაწარმოების ერთიანობის დარღვევას და მისი მუსიკალური აზრის გაწყვეტას. ამისათვის გადავწყვიტეთ ექსპერიმენტის დროს საგანგებოდ შერჩეულ ნაწარმოებში ჩაგვედგა სულ უცხო მასალა, განსხვავებული ამ პიესისაგან სტილით, ხასიათით, ზომით და ა. შ.

პირველი ცდა აგებული იყო ასე: ვასრულებდით ნაწყვეტს ბეთჰოვენის № 19 საფორტეპიანო სონატიდან (პირველი 4 ტაქტი), შემდეგ მას უშუალოდ გადავამადით ვ. კუხიანიძის მარშს (4 ტაქტი) და ვამთავრებდით ისევ ნაწყვეტით ბეთჰოვენის სონატიდან; მეორედ კი სრულდებოდა ბეთჰოვენის დასახელებულ სონატის იგივე მონაკვეთი ჩადგმული ეპიზოდის გარეშე. ჩადგმული ეპიზოდი (კუხიანიძის მარში) ბეთჰოვენის სონატისაგან განსხვავებულია ტემპით (Andante — vivace), რიტმით, ზომით, ტონალობით (g moll — F dur), ხასიათით (მარში უაღრესად ცოცხალი და დინამიკურია, სონატა კი — შვიდი, მდორედ მიმდინარე) და ავტორის სტილით.

⁹ G. Rèvész, Einführung in die Musikpsychologie, 1946, გვ. 163.

ამავე ნაწილის მეორე ცდაში ც.პ-ებს ეძლეოდათ ბახის ქორალის (a moll) ორი ტაქტი, რომელიც გადადიოდა ბახისავე მენუეტში (F dur); ხოლო შემდეგ ვებრუნდებოდით ისევ ქორალის IV და V ტაქტს. მეორე შესრულების დროს ც.პ-თ ვაწოდებდით ბახის ქორალის 5 ტაქტს ჩადგმული მონაკვეთის გარეშე. ინსტრუქცია იყო იგივე, როგორც პირველ ცდაში; მეორე ამოცანა უფრო ძნელი გადასაჭრელი უნდა ყოფილიყო, ვერ ერთი, იმიტომ, რომ აქ არ არის სტილის ისეთი მკვეთრი დაპირისპირება, როგორც ბეთჰოვენისა და კუხიანიძის ნაწარმოების შემთხვევაში: ორივე პიესა ბახისაა, გარდა ამისა, გადასვლა ერთი ტონალობიდან მეორეში აქ ისეთი უხეში არ არის, როგორც — პირველ ცდაში, თუმცა ამ პიესებს ბევრი რამ აქვთ განსხვავებული: ზომა $\left(\frac{4}{4} \frac{3}{4}\right)$ ტემპი (Lento — Moderato) და ხასიათიც; ქორალი მძიმეა, ჩაფიქრებული, ღრმა და აბალღებული; მენუეტი კი წყნარია და ფაქიზი, თუმცა მაინც მოძრავი და საცეკვაო.

ამავე ნაწილის მესამე ამოცანა შედარებით განსხვავდებოდა წინამორბედთაგან: აქ საქმე შეეხებოდა პიესის დამთავრებას უცხო მასალით. ც.პ-თ პირველად ვაწოდებდით 5 ტაქტს შემანის დავიდსბუნდლერების მარშიდან (საფ-ნო ციკლიდან „კარნავალი“) ეთხოვდით კარგად დამანსოვრებინათ მუსიკა და ვაძლევდით შემდეგ ინსტრუქციას: „ამ მუსიკას გაუუკეთებთ ორგვარ დაბოლოებას და თქვენ გადაწყვიტეთ, თუ რომელი დაბოლოება უფრო კარგია და უხდება ამ ამონაკვეთს“. პირველი შესრულების დროს ვაბოლოვებდით ისე, როგორც ავტორს აქვს მითითებული, მეორედ კი მოცემულ 4 ტაქტს მარშიდან ვაგრძელებდით შოპენის ვალსით (№ 10). იმისთვის, რომ გადასვლა უხეში არ ყოფილიყო, ვალსს გაუკეთეთ ტრანსპოზიცია h moll-დან b moll-ში. პირველ შესრულებაში მუსიკა თავიდან ბოლომდე მხნე და ვაჟაკური იყო, მეორე შესრულებაში კი ხდებოდა მარშული მუსიკის გადაზრდა შოპენის ვალსის ნახ, მეოცნებე მელოდიაში, განსხვავებულში პირველისაგან ზომით, ხასიათითა და ტემპით.

ამ ნაწილის ცდების შედეგები შემდეგ სურათს იძლევა: პირველ ამოცანაში (ბეთჰოვენის სონატისა და კუხიანიძის მარშის შეერთება) სწორი პასუხები ასე განაწილა: მუსიკის შემსწავლელ ბავშვებში — 65%, მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვთაგან — 30%, მოზრდილებთან — 55%. რაც შეეხება არასწორ პასუხებს, უნდა ითქვას, რომ უცხო მასალის შეტანას მუსიკის მსვლელობაში დიდი მპაროვაცირებელი გავლენა აღმოაჩნდა, როგორც ჩანს, მუსიკის ხასიათის სწრაფი ცვლის გამო. ასეთი უხეში სახის დინამიკა ბევრი ც.პ-სათვის უფრო „საინტერესო“ აღმოჩნდა. ამ გავლენის ქვეშ ყველაზე მეტად მოექცნენ მუსიკალურ განათლებას მოკლებული ბავშვები (70% შეცდომა). ძალიან საინტერესოა ფაქტი, რომ იმ ც.პ-თა უმრავლესობამ, რომელთაც შეცდომები დაუფვეს, ამავე დროს მეტ-ნაკლებად ადეკვატური გამართლება მისცეს თავის არჩევანს: „შუაში რაღაც შეცვალეთ, ძალიან უხდება“ ან „მოწონს იმიტომ, რომ შუაში სხვანაირად ხტუნავს“ ან „პირველი მელოდია, მეორეში შედის სტაკატოები და სწორედ ეს ხდის ამ პიესას საინტერესოს“¹⁰. როგორც ჩანს, ის ც.პ-ბიც კი, რომლებმაც შეცდომები დაუფვეს, გრძნობენ განსხვავებული მასალის შეჭრას, მაგრამ სწორედ ეს ცვლა და „სიჭრელე“ მოსწონთ.

10 ეს გამონათქვამი ეყუთენის მუს. განათლებას მოკლებულ მოზრდილს.

მეორე ცდაში, რომელიც ბახის ქორალისა და მენუეტის მასალაზე იყო აგებული, სწორი პასუხები ასე განაწილდა: მოზრდილთა ჯგუფში — 40%, მუსიკის შემსწავლელ ბავშვთაგან — 35%, ხოლო მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებთან — 30%. როგორც ვეარაუდობდით, ეს ამოცანა უფრო ძნელი გადასაჭრელი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. ალბათ იმიტომ, რომ ჩადგმული მონაკვეთის, ბახის მენუეტის მუსიკა ისე უხეშად არ უპირისპირდებოდა ქორალის მუსიკას, როგორც ეს ბეთჰოვენისა და კუხინანდის შემთხვევაში იყო. პირიქით, მენუეტი რამდენადმე ერწყმის კიდევ ქორალის მუსიკას. საფიქრებელია, რომ ამ ცდაში ც.პ-თა დიდმა ნაწილმა არჩევანი გააკეთა იმის მიხედვით, რომ მენუეტის მუსიკა უფრო მარტივია და ადვილად მისაწვდომი, ქორალის მძიმე, დინჯსა და დატვირთულ მუსიკასთან შედარებით; ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მუსიკის შემსწავლელი ბავშვები შეცდომების შემთხვევაში ძალიან მიგნებულად ამართლებენ თავის არჩევანს: „მეორე შესრულებაში ახალი მუსიკა შევიდა, თანმიმდევრული არ იყო, მაგრამ უფრო ლამაზი იყო“, „მეორე მომეწონა იმიტომ, რომ ჯერ წყნარი იყო, მერე უცებ სხვა მუსიკა შეერია, გაალამაზა, მერე უცებ თავის თემას დაუბრუნდა და მოუბდა“ და სხვა. აქ თვალსაჩინოვდება მოცემული მუსიკის ადექვატურად აღქმის ნიშნები, მიუხედავად იმისა რომ ც.პ-ნი სწორედ შერეულ მუსიკას ამჯობინებდნენ. სწორედ იმიტომ ვფიქრობთ, რომ ეს შედეგი უნდა მივიჩნიოთ მათი გეგმობის თავისებურების მაჩვენებლად.

რაც შეეხება მეცამე ცდას, აგებულს შუმანის მარშისა და შოპენის ვალის მასალაზე, აქ პასუხები ც.პ-თა სამივე ჯგუფში თითქმის შუაზე გაიყო, მაგრამ მათი ჩვენებები მიუთითებენ, რომ პასუხები არ ყოფილა შემთხვევითი, როგორც შეიძლება მონაცემების მიხედვით გვევარაუდა. როგორც წესი, ისინი ამჩნევდნენ, რომ მეორე დაბოლოება „რალაც სხვაა“, მაგრამ სწორედ მას აძლევდნენ უპირატესობას. ამრგვად, ც.პ-ები მთლიანობის დარღვევას გრძობდნენ, მაგრამ არ განიცდიდნენ მას, როგორც უარყოფით ფაქტს. მუსიკალური მასალის ცვლა დინამიკურ ხასიათს აძლევს ნაწარმოებს, რაც იზიდავს არა მარტო ბავშვებს, არამედ მოზრდილებსაც; ამიტომ, მთელი ამ ნაწილის შედეგები, ჩვენი აზრით, მიუთითებს არა მუსიკალური უნარის უქმარობას ბავშვებთან, არამედ — მათი გემოვნების გარკვეულ საფეხურს. ამ საფეხურის მოცემულობა გამართლებას და ახსნას აძლევს ისეთი მუსიკალური ფორმის არსებობას და ზოპულარობას, როგორცაა — ზოპური, სადაც ჩვეულებრივ სხვადასხვა ავტორისა და განსხვავებული ხასიათის მასალა გაერთიანებული; მიუხედავად ამისა, მას მაინც არ ეყარება მხატვრული ღირებულება. როგორც ჩანს, გემოვნების გარკვეულ საფეხურზე იგი შეესატყვისება ადამიანის მძაფრ მისწრაფებას დინამიკური მუსიკისადმი.

IV

ცდების IV ნაწილში ჩვენს წინაშე იდგა მუსიკალური ნაწარმოების სტილის გრძობის კვლევის ამოცანა¹¹. მეთოდის შემდეგი სახისა იყო: ც.პ-ებს ვაწოდებდით 3 მუსიკალურ მონაკვეთს, აქედან ორი მონაკვეთი, ან ერთი ავტორისა ან ერთი სტილისა, მეცამე კი — სხვა ავტორისა ან სხვა სტილისა; ც.პ-ს

¹¹ მეთოდის პრინციპი ნასესხებია დ. რამიშვილის გამოკვლევიდან „ბავშვის ესთეტიკური აღქმის თავისებურებები დაწყებითი სკოლის საფეხურზე“, კრ., „პედაგოგია“, ტ. I, 1944.

ცალკე უნდა გამოეყო ერთი ავტორის ორი პიესა. პიესები ისე შეირჩა, რომ ერთი ავტორის პიესები ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილიყო და ამავე დროს ერთ-ერთი მათგანი, რაიმე ნიშნით (დინამიკით, რიტმით ან საერთო განწყობილებით) მსგავსი ყოფილიყო სხვა ავტორის პიესისა. გვიანტერესებდა, თუ რა ნიშნის მიხედვით მოახდენდნენ ც.პ-ები პიესების დაჯგუფებას: გამოპყოფდნენ სტილისტურად მსგავს, მაგრამ ხასიათით განსხვავებულ ერთი ავტორის პიესებს, თუ მათზე იმოქმედებდა რომელიმე ცალკეული მომენტი (მაგ., დინამიკური მსგავსება) და სხვადასხვა ავტორის სტილისტურად განსხვავებულ, მაგრამ ხასიათით მსგავს პიესებს მიიჩნევდნენ ერთი ავტორის ნაწარმოებებად.

პირველ ამოცანაში ც.პ-თ ვაწვდიდით სამ მუსიკალურ მონაკვეთს, სადაც წმინდა კლასიკურ სტილს უპირისპირდებოდა ქართული მუსიკალური სტილი. პირველი მონაკვეთი იყო ჰაიდნის საფ-წო სონატიდან (№ 7), მეორე — მონაკვეთი დალი ჩხეიძის პიესიდან — „ლილინი“ და მესამე — საცეკვაო მონაკვეთი ცაგარეიშვილის პიესიდან — „მხიარული წამი“. სწორ პასუხად ვგულისხმობდით ჩხეიძისა და ცაგარეიშვილის პიესების დაჯგუფებას ერთი ავტორის პიესებად, ვინაიდან ისინი მკვეთრად გამოხატული ქართული სტილის მატარებელნი არიან, თუმცა ხასიათი განსხვავებული აქვთ: „ლილინი“ ნელი, მღორე მგლოდიაა, ოდნავ სევდიანიც; ცეკვა კი ცეცხლოვანია და მახვილი, სადაც ბანის პარტია დაირის აკომპანემენტსაც კი მოგვაგონებს. ჰაიდნის მე-7 სონატა (ე. ი. სხვა ავტორის პიესა) ახლოსაა ცაგარეიშვილის საცეკვაოსთან თავისი ცოცხალი, დინამიკური ხასიათით, თუმცა არც სტილისტურად და არც კილოპარამონიის მხრივ ქართულ საცეკვაოსთან არაფერი აქვს საერთო. როგორც თავიდანვე ვეარაუდობდით ც.პ-ნი ხშირად ერთ ჯგუფში ათავსებდნენ ჰაიდნის სონატასა და ცაგარეიშვილის საცეკვაოს (მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვთა 50%-მა დააჯგუფა ასე). ამ ფაქტორმა ძლიერ იმოქმედა მუსიკის შემსწავლელ ბავშვებზეც, თუმცა — მხოლოდ ოთხწლეულის ფარგლებში (10 წლის ასაკამდე). ბავშვები ასე ხსნიდნენ თავის არჩევანს: „მათ ერთი კაცი დასწერდა იმიტომ, რომ ორივე ჩქარია“, მაშინ, როცა მოზრდილები და მუსიკის შემსწავლელი ბავშვები IV კლასის ზევით, თავის არჩევანს უფრო ნაციონალური მომენტის მიხედვით აკეთებენ და სწორად გამოყოფდნენ მუსიკის ქართულ სტილს, რითაც ამართლებდნენ თავის გადაწყვეტას, რომ ეს ორივე პიესა ქართულია.

სულ სხვა სურათი მივიღეთ მეორე ამოცანის შემთხვევაში, სადაც შევეცადეთ, რომ გაგვებათილებინა დინამიკური ფაქტორის მაპროვიცირებული შემოქმედება. ამისათვის ექსპერიმენტში გამოვიყენეთ სამი ისეთი მონაკვეთი, რომლებიც ყველა ჩქარა (Allegro) სრულდება. სამივე მონაკვეთი საკმაოდ დინამიკურია, სტილისტურად კი განსხვავებულ ორ ჯგუფად იყოფა: რადინირებულ კლასიკურ სტილს უპირისპირდება თანამედროვე პოლიფონიური სტილი: მოცარტის მე-7 სონატა და მოცარტის რონდო მოცემულია მოსტაკოვიჩის ფუგასთან (B dur) ერთად. ინსტრუქცია იყო იგივე. რაც — პირველ ცდაში.

მუსიკალურ განათლებას მოკლებულ ბავშვებს შორისაც კი, რომლებიც საზოგადოდ ყველა ამოცანებში შედარებით სუსტად პასუხობდნენ, ეს ამოცანა სწორად გადაწყვიტა 70%-მა. მუსიკის მოსწავლე ბავშვების და მოზრდილთა ჯგუფში სწორი პასუხების რიცხვი კიდევ უფრო დიდი იყო (ორივე ჯგუფში

75%)¹². მათ ერთ ავტორისეულად ჩათვალეს მოცარტის სონატა და მოცარტის რონდო, ფუვაზე კი ამბობდნენ: „ეს რალაც სხვა არის“. ფსიქოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, ბავშვებმა სწორად გამოყვეს ნაწარმოების მთლიანი ქვალიტეტი, მისი სტილისტიკური არსის მაჩვენებელი გეშტალტი¹³. სწორედ ამიტომ არავითარი უფლება არა გვაქვს, რომ არა ვცნოთ ამ ბავშვებთან მუსიკალური განცდის უნარისა და მუსიკალური ნაწარმოებისადმი საკმაოდ ფაქიზი ალღოს არსებობა.

დასკვნებ ო. ცდების შედეგად ზოგადი ხასიათის შემდეგი ფაქტები გამოვლადნა.

1. მუსიკის აღქმის უნარის გარკვეული დონე, შეიძლება ითქვას, ახასიათებს ყველას განურჩევლად ასაკისა და მუსიკალური განათლებისა და არ არის აუცილებლობით დაკავშირებული იშვიათად მოცემულ, სპეციფიკურ, ინდივიდუალურ ნიჭიერებასთან; ამავე დროს შეკადრდება მუსიკალური აღქმის ასაკობრივი განვითარების გარკვეული საფეხურები და თავისებურებები. ცდების შედეგად გამოვლინდა ის წვლილიც, რაც შეაქვს ბავშვების მუსიკალური პერცეპციის განვითარებაში სპეციალურ განათლებას. ამ შედეგების მიხედვით მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასების წვდომა წარმოადგენს მუსიკალური აღქმის უფრო მაღალ საფეხურს, ხოლო განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე ან მუსიკალურად გაუნათლებელი ინდივიდი მუსიკის მოსმენისას მიმართულია თვით ნაწარმოებზე, მის შინაარსზე, მოსწონს სწორედ ეს ჰანგი, ამ პიესის ინდივიდუალური ხასიათი, არჩევს მას სხვა სახის მუსიკისაგან; შესრულების ფაქიზი ნიუანსები კი მისთვის შეუმჩნეველი რჩება.

2. ასაკობრივ თავისებურებათა მიხედვით ცდებმა გვიჩვენეს, რომ მუსიკალური განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე ბავშვები განსაკუთრებულ გრძნობიერებასა და მისწრაფებას იჩენენ მუსიკის დინამიკური მომენტებისადმი: რიტმის, ტემპისა და ინტენსიობის კონტრასტული დაპირისპირების (P—f), სპეციფიკური მუსიკალური „სიჭრელის“ მიმართ; ამიტომაც, ამ მომენტებს დიდი მპროვოცირებელი ფაქტორია აქვთ მათს მუსიკალურ აღქმაზე. გარდა ამისა, ბავშვების მუსიკალური აღქმა ამ საფეხურზე მიმართულია უმთავრესად მუსიკალური ნაწარმოების იმ მხარეზე, რომელსაც შეიძლება მუსიკალური მასალა ეწოდოს: ბგერების ურთიერთმიმართებათა ჰარმონიულ სტრუქტურება და თანმიმდევრობებზე. სწორედ ამიტომ, როგორც ცდებმა გამოამჟღავნეს, მათ ახასიათებთ დიდი გრძნობიერება მუსიკის სტრუქტურული ერთეულების შერყვევის, ფრაზის გახლეჩის, სუნთქვის უადგილოდ შეტანისა და, საერთოდ, მუსიკის სტრუქტურული მთლიანობის დარღვევისადმი. განსაკუთრებულ გრძნობიერებას იჩენენ ბავშვები ინტონაციური შეცდომების მიმართაც, რაც უკვე მოწმობს მუსიკის შინაარსობრივი მომენტის აღქმის უნარის არსებობას მათთან; ამ პრინციპზე აგებული ამოცანების შემთხვევაში სწორი პასუხები მათთან თითქმის 100%-მდე აღწევს. მუსიკის აღქმის ამ ასაკობრივი თავისებურებებით შეპირობებულია ბავშვების გემოვნების თავისებურებანი, რაც ასაკის მატებასთან ერთად თანდათან იხსნება; ამის გამო მოზრდილი ც.პ-ნი გარკვეული მიმართულებით თითქმის ყოველთვის უსწრებენ ბავშვებს, ზემო-

¹² სამი არჩევანის შესაძლებლობის დროს ეს შეტად მაჩვენებელი მომენტია.

¹³ გეშტალტის ამ სახის შესახებ იხ. მეტჯერის სტატია: W. Metzger, „Grundbegriffe der Gestaltpsychologie“, Aktuelle Probleme der Gestalttheorie, 1954, გვ. 3—15.

აღნიშნული „ბავშვური“ თავისებურებები მოზრდილებს მხოლოდ გამონაკლისის სახით ახასიათებთ („გახეება“ ადრეულ საფეხურზე).

3. მუსიკის შემსწავლელი ბავშვები განათლების წყალობით უფრო ადრე თავისუფლდებიან აღნიშნული ასაკობრივი თავისებურებებისაგან, მათთან ასაკობრივად შეპირობებული შეცდომები გვხვდება მხოლოდ 10 წლამდე, მაშინ როცა მუსიკალურ განათლებას მოკლებული ბავშვები ასაკობრივ თავისებურებათა გავლენას ვერ აღწევენ თავს 15 წლამდე. იმ ექსპერიმენტებში, სადაც ხდებოდა ასაკობრივ თავისებურებათა მაპროვოცირებელი მომენტების ნეიტრალიზაცია, მუსიკალური განათლების მქონე ბავშვები დაბალ ასაკშიც, როგორც წესი, თავის პასუხებში სჯობნიდნენ მოზრდილებს. მუსიკალური განათლების როლი განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა პოლიფონიურა მუსიკის აღქმის შემთხვევაში, ამ სახის ცდაში მუსიკის შემსწავლელმა ბავშვებმა შორს მოიტოვეს არა მარტო მუსიკალურ განათლებას მოკლებული ბავშვები, არამედ — მოზრდილებიც.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

ეკონომიკა

ბეჰირბი ხახია

მევენახეობის განვითარება საქართველოში (1921—1925 წწ.)

„ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკედვე განძსავეთ წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცოდინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიიჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუღენია და მიუბარებია საშვილისშვილოდ“.
(ილია ჭავჭავაძე).

მევენახეობა უძველესი დარგია საქართველოს სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა, სადაც ყველაზე სრულყოფილად აისახა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეურნეობრივი თაოსნობა. „მევენახეობა-მეღვინეობის საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებულა მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაც და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაც, რომ თემურ ლენგმა XIV ს. დამლევეს და შემდეგ XVII ს. დამდევეს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძღურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს“¹.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის ვაზის პლანტაციების ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩანაგებული იყო. მისი ფართობი 49430 ჰექტარიდან 1913 წელს შემცირდა 40794 ჰექტარამდე 1917 წელს, 30500 ჰექტარამდე 1921 წელს. ამის მერმე გატარდა ღონისძიებანი, რომელთა შედეგადაც ვაზის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 37557 ჰექტარამდე 1925 წელს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საქირო იყო გადამურული ღონისძიებების მიღება მევენახეობის აღდგენა-განვითარებისათვის².

1922 წლის აგვისტოში კახელ მევენახეთა გაერთიანებამ „კავშირ-კავშირის“ გამგეობამ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ“. დასახელებულ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „უეჭუო ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთავარ ძარღვს, სასოფლო-სამეურნეო მეურნეობა შეადგენს, რომელშიც უმთავრესი დარგი მეღვინეობა-მევენახეობაა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდე ეს დარგი ფრიად შემოსავლიანი იყო და ერთად ერთი საქესპორტო სოფლის ნაწარმოები ღვინო იყო. გარდა შემოსავლიანობისა ეს მაღალ კულტურული და კეთილშობილური დარგი სასოფლო მეურნეობისა, რამდენიმე ათასა

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, თბ., 1930, გვ. 604.

² ვრცლად იხ. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967, პროფესორ პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 336—358.

წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა და უკანასკნელ წლებში ჩვენი მევენახეობა წარმოადგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ დარგს სასოფლო მეურნეობის ვაზის საუკეთესო ჯიშებით და ევროპულ განთქმულ ლენიობებთან მოქიშვე მალალი ღირსების ღვინოებით³. იქვე გამახვილებული იყო ყურადღება მევენახეობის არსებულ მდგომარეობაზე და მოვლა-პატრონობის ტექნიკაზე: „ჩვენი ვენახების დამუშავება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის უკეთეს ვენახებს და ვენახების სივრცეც იმდენად მატულობდა, რომ ჩვენი ღარიბი მშრომელი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში ამ დარგს უნდა დაეკავა უდიდესი ადგილი. მაგრამ უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში კალაპოტში ჩამდგარი განვითარება ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობისა ძირიანად შეირყა და დღეს იგი განიცდის კატასტროფულ მდგომარეობას, ხოლო თუ ამ დარგის სრულიად განადგურებისაგან გადასარჩენად არ იქმნა მიღებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, სულ ორი, სამი წლის განმავლობაში, ეს უძვირფასესი და უძველესი დარგი ჩვენი, ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა ვაჭკრება სამუდამოდ“⁴.

მევენახეობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისათვის, კერძოდ გლეხობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ცხადია, მეტად დიდი იყო; ამიტომაც იმავე დოკუმენტებში ხაზგასმით აღინიშნა, თუ როდენ დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მევენახეობის გაჩანაგებას ქართული ხალხისათვის, კერძოდ: „ა) საქართველოში ვენახების სივრცე აღემატება 50000 დესეტინას და იგი ჰკვებავს გარდა უცხო დაქირავებული მუშისა 95000 მეკომურ მევენახეს, ანუ არა ნაკლებ ნახევარ მილიონ მაცხოვრებლებსა, რომელთაც ლუკმა გაუწყდებათ მისი მოსპობით; ბ) დესეტინა ვენახის შემოსავალი ნორმალურ დროისა უდრიდა არანაკლებ 5-8 დესეტინა სახნავი მიწის შემოსავალს და მაშასადამე თუ 50000 დესეტინა ვენახი გაუქმდება მის ნაკლად ვენახის მუშა უნდა დაკმაყოფილდეს 250000-400000 დესეტინა სახნავით, რაც შეუძლებელია ჩვენი ვარგისი სახნავი მიწების სიმცირის გამო, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტი წილი სავენახე მიწებისა თითქმის სულ უვარგისია სახნავად“⁴. მევენახეობას დიდი როლი ენიჭებოდა შრომითი რესურსების გამოყენების საქმეშიც. „ვენახი მოითხოვს მთელი წლის განმავლობაში მრავალ მუშახელს და მაშასადამე მისი გაუქმება შექმნის რამდენი ათეულ ათას უმუშევარს, რაც ისედაც გაღარიბებული სახალხო მეურნეობას კიდევ უფრო გააჩანაგებს“⁵.

მევენახეობა მძიმე მდგომარეობაში იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მისი აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობის საზოგადოებებსაც. იმერეთის მევენახეთა კოოპერაციულმა საზოგადოებამ 1922 წლის 22 სექტემბერს მოხსენებითი ბარათი შეიტანა საქართველოს სსრ კოოპერაციულ სამმართველოში, სადაც აღნიშნული იყო ასეთი საზოგადოების დაარსების მნიშვნელობა მევენახეობის აღდგენა-განვითარებისათვის: „... ამ მევენახეთა საზოგადოების საშუალებით იმერეთის მევენახეობა ბაზარს ჰკოებს ევროპის და აზიის მთავარ სავაჭრო ცენტრებში, და ჩვენი გლეხი მევენახე კი აუცილებლად ზღდება როგორც მწარმოებელი ისე მრეწველი და ვაჭარიც თავისი ნა-

³ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 541, ფ. 71—74.

იქვე, ფ. 71.

⁴ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 541, ფ. 71.

⁵ იქვე, ფ. 72.

წარმოებისათვის⁶. იმერეთში მევენახეობა მძიმე მდგომარეობაში იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში. ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით 1889 წელს წერდა: „იმერეთში 15 სოფელში შორაპანი-სა და ქუთაისის მაზრაში ფილაქსერა უკვე აღმოჩენილია... და მოღებული აქვს 120 ცალკე ვენახს, რომელთაც ერთად უჭირავთ 166 დღიური მიწა და მოფენილია 75 ვერსის სივრცეზე“⁷. იმ დროისათვის გავრცელებული იყო ვაზის სხვა ავადმყოფობაც. სტატიაში „ვაზის სნეულბანი“ დიდი ილია 1889 წელს ასკვნის: „ეს ოც-და-ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია. საცა-კი ეს კირი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსაუღლებლად“⁸.

რამდენადმე ანალოგიური მდგომარეობა იყო კახეთშიც. ი. ჭავჭავაძე წერდა 1890 წელს, რომ „შარშან, მაგალითებრ, კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს, ნაცარი შემჩნეული იყო ვაზზე აპრილის დასასრულს და მისის დასაწყისს. მისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში მიღლიდუმაც იჩინა თავი“⁹.

ამრიგად, ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობანი საქართველოში, მართალია, მეტ-ნაკლები ზომით, მაგრამ მაინც გავრცელებული იყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან.

მევენახეობის განვითარების მიზნით მევენახეთა საზოგადოების ერთ-ერთი მოთხოვნა ასეთი იყო: „მთავრობას კარგად მოეხსენება, რომ ქ. ზესტაფონში კი ხანია რაც არსებობს ყოფილი მემამულის ანანოვის ღვინის დასაყენებელი ევროპულ გეგმაზე მოწყობილი სარდაფი. აღნიშნული სარდაფი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, გადაეცა კუთვნილებისამებრ შორაპნის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თუ მაზრაში მევენახეთა საზოგადოება დაარსდებოდა, სარდაფი უნდა გადაეზარებინა აუცილებლივ მევენახეთა საზოგადოებას. ზემოთ აღნიშნული გარემოება ჩვენ საბუთს გვაძლევს გვეფიქრა, რომ საზოგადოების დაარსებისთანავე ანანოვის ყოფილი ქარხანა გადავიდოდა მევენახეთა საზოგადოების ხელში; და ამით შეგვიწყობდა კიდევ ადგილობრივი მთავრობა ხელს მივედღწია დანიშნულებისათვის, მაგრამ შორაპნის მაზრის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სარდაფის გადმოცემაზე უარი გვიპასუხა იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივი მთავრობა თვით აპირებს ამ სარდაფის ექსპლოატაციას საოჯახო წესით“¹⁰.

დასახელებული ღვინის სარდაფის წინა წლებში გამოყენების მაჩვენებლები ნათელი დამოწმებაა იმისა, რომ ასე მისი დატოვება არ იყო გამართლებული არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სხვა მხრივაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ანანოვის ღვინის სარდაფის წლიურა სიმქლავრე შეადგენდა 60000 ვედრო ღვინოს, ფაქტიურად კი ქარხანაში წლიურად მხოლოდ ათასი ფუთი ღვინო დამზადდა და ორ ათას ფუთამდე სასურსათო გადასახადის ღვინო გამოიხადა კონიაკის სპირტად. ასეთი მდგომარეობის მოთმენა და ფაქტიურად ქარხნის გაცდენა შეუძლებელი იყო სწორედ იმ დროს, როდესაც მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოებას შეეძლო თავის თავზე მიეღო ყველა იმ პრობლემ-

6 საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. II, საქ. 541, ფ. 85.

7 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 126.

8 იქვე, 83. 128.

9 იქვე, 83. 132.

10 საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 86.

ტის უფასოდ გადამუშავება, რომლის შედეგად შეეძლო შორაპნის მახრის მიწათმოქმედების განყოფილებასა და აღმასკომს.

„მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება თავის მხრივ იძლევა შემდეგ პირობებს, თუ სარდაფი იქნება დაუყოვნებლივ გადაცემული მევენახეთა საზოგადოება „იმერეთზე“: 1) იმერეთის მევენახეთა საზოგადოება „იმერეთი“ იყისრებს ყოველგვარ ღვინოს პროდუქტების დამუშავებას, რასაც შეიძენს შორაპნის მახრის აღმასკომი იმ რაოდენობით, რამდენიც აღნიშნულმა დაწესებულებამ გადაამუშავა წარსულ წლებში და ამ გადამუშავებულ ნაწარმოებს აბარებს იგი აღმასკომს ყოველსავე ხარჯ-გაუღებლივ; 2) ანდა წმინდა მოგების 10%-ს (ანდა მთელი პაის მეათედს) გადასცემს მთავრობას ადგილობრივ ხელისუფლების სახით და ამ თანხებს ყოველწლიურად შეიტანს „იმერეთა“ აღმასკომის საღაროში“.

მევენახეობის განუვითარებლობა სხვა მხრივაც აბრკოლებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. კერძოდ, ივარგებოდა ერთადერთი საექსპორტო საქონელი რუსეთში — ღვინო: „რადგან ჩვენი პურეულობით საზღვარგარეთის თუნდაც რუსეთის ბაზარზე გასვლა სრულიად უაზრო იქნებოდა“¹¹.

ექსპორტისათვის მევენახეობის პროდუქციის მნიშვნელობის თვალსაზრისით, საჭიროა აღინიშნოს, რომ, თუ ღვინო როგორც ექსპორტის საგანი არ იქნებოდა, სახელმწიფოს მოესპობოდა ყოველწლიურად დიდი შემოსავალი: „ამის ნახლავურება სახელმწიფოს არც ერთ სხვა სამეურნეო დარგით არ შეუძლია“¹².

მეღვინეობა-მევენახეობის დაქვეითება ჩვენში პირველად აღინიშნება მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914 წ.), როდესაც, ერთი მხრით, ღვინის ვაჭრობის აკრძალვამ და ხორბლეულობის გაძვირებამ, აგრეთვე მობილიზაციის გამო მუშახელის შემცირებამ და, მეორე მხრით, საწამლებელ მასალათა სიმცირემ და სიძვირემ მევენახეობის განვითარება სრულიად შეაჩერეს; ვენახების ფართობს მატების მაგიერ კლებდა დაეტყო და მოსავალიც თანდათან შემცირდა. „სეტყვასთან საბრძოლველად ძველად შემოღებული საშუალებები თანდათან უფარგისი ხდებოდა, ახალი არაფერი შემოდიოდა და სეტყვა ანადგურებდა ყოველწლიურად მრავალ ჰექტარ ვაზის პლანტაციას. ყველაფერი ეს ხდებოდა და არავითარი სეტყვისაგან დამზღვევი ორგანიზაცია არ არსებობდა, რაც ცხადია კიდევ უფრო ართულებდა არსებულ მდგომარეობას“¹³.

მევენახეობის განვითარებას აბრკოლებდა ისიც, რომ ღვინის ვაჭრობის საქმეში არსებობდა მრავალი წინააღმდეგობა: „იმ დროისათვის ერთერთი ბაზარი ჩვენი ღვინისა რუსეთი, სულ დახშული იყო შვიდი წლის განმავლობაში და ჩვენი ღვინო ჩაკეტილი საკუთარ ვიწრო საზღვრებში ებრძოდა განჯა ერევნიდან მოწოლილ იაფ-ფასიან ღვინოებს. ყველა ეს გარემოება რა თქმა უნდა ღვინის წარმოებას მეტად უსარფოდ ხდიდა. ასეთ ვითარებაში მევენახე, იძულებული იყო ემსჯელა იმაზე, რომ ვაზი გაჰკაფოს და იმის მაგივრად პური და სიმინდი დათესოს თუ არა“¹⁴.

¹¹ იქვე, ფ. 74.

¹² საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 541, ფ. 73.

¹³ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 541, ფ. 73; ვრც. იხ. აგრეთვე — ბ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. III, 1959, თბ., გვ. 429—436.

¹⁴ იქვე, გვ. 419—420; იხ. აგრეთვე, ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. 1, 1962, გვ. 103—108.

ერთ-ერთი, იქნებ უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება, იმეამინდელ ვითარებაში შეიქმნა „ვაზის საშინელი მტერის ფილოქსერის გავრცელება კახეთში, რომელშიც უკანასკნელ წლებში კახეთის ვენახების არა ნაკლები 15% (3-4 ათასი დესეტინა) იმსხვერპლა და ეხლაც ისეთის სისწრაფით ვრცელდება, რომ 4-5 წლის განმავლობაში იგი კახეთის მთელ ვენახებს გაანადგურებს. ვენახების აღდგენა ამერიკული ვაზის ნამყენზედ კი მეტად ნელა და თითქმის უმნიშვნელოდ სწარმოებს“¹⁵. ამასთანავე, მთელ კახეთში იყო 50-60 დესეტინა ამერიკული ვაზის ნამყენზედ აღდგენილი ვენახი და ამ გზით ყოველწლიურად „შეიძლებოდა აღდგენილიყო 5-8 დესეტინა (ორი სახელმწიფოებრივი სანერგის — კონდოლის და ჩუმლაყის საშუალებით) მაშინ, როდესაც ყოველწლიურად ფილოქსერა 2-3 დესეტინა ვაზის პლანტაციას ანადგურებდა“¹⁶.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ პერიოდისათვის (1922-23 წწ.) „მეღვინეობა შეიქმნა ფისკის მსხვერპლი და თუ ფისკალური საშუალებები არ იქნა შეფარდებული ამ დარგის დღევანდელ ვითარებასთან და შესაძლებლობასთან, მევენახეობა მოისპობა. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა შორის ერთადერთი ღვინოა რომ იბეგრება, და იმავე დროს მას, როგორც არა პირველ მოთხოვნილების საგანს ნაკლები ღირებულება და გასავალი აქვს ყველა სხვა ნაწარმოებთან შედარებით“¹⁷. გარდა ამისა ღვინოზე დაწესებული იყო: „1. საღესტრობი გადასახადი მიუხედავად მოსავლის რაოდენობისა, უმეტეს შემთხვევაში დაახლოებით მოსავლის 10%. 2. აქციზი, 3. პატენტი, 4. სარდაფების საიჯარო მეტად დიდი და აუტანელი ქირა, 5. ღვინით ვაჭრობის უფლებაზე და მეტად დიდი გადასახადი ქალაქის მიერ გასტრონომიულ მაღაზიებზე და რესტორნებზე და (რესტორანი იძულებულია ან უზომო ხარჯების დასაფარავად ღვინოს დაადოს 200 და 300% თვით ღირებულებისა), 6. სხვადასხვა მოულოდნელი გადასახადები (სანიტარული და სხვა) და 7. მეტად გაძნელებული ტრანპორტის ორგანიზაცია“¹⁸.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ „ყველა ზემოთ აღნიშნული ხარჯები ზოგი სულ ახალი იყო და ზოგი კი (გარდა აქციზისა) 2-3-ჯერ და 4-ჯერ მეტი იყო ვიდრე ომის წინა დროის შესაბამისი ხარჯები. ეს მაშინ როდესაც ღვინის ფასი და მასზედ მოთხოვნილება ერთი ორად და ერთისამად ნაკლები იყო ვინემ ომამდელ, მშვიდობიან პერიოდში, ომის წინ ერთი ევრო ღვინის ღირებულება უდრიდა ფუთი პურის და ნახევარი ფუთი შაბიამნის ღირებულებას, მაშინ როდესაც ეხლა იგი უდრის ნახევარი ფუთი პურისა და ხუთი გირვანქა შაბიამნის ღირებულებას“¹⁹.

სწორედ ამ ვითარებამ აიძულა ღვინის მომხმარებელი სრულიად გვერდი აეგლო ათეული წლობით შექმნილ ღვინის სავაჭრო ორგანიზაციისათვის და „მიემართა კერძო ვაჭრებისათვის, რომელთაც ყოველ მატარებელზედ კახეთი-

¹⁵ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 73.

იქვე, გვ. 419—430 და იხ. ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 103—108.

¹⁶ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 73; იხ. აგრეთვე ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. III, გვ. 419—430; ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 103—108.

¹⁷ საქ. სსრ ცსსა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 73.

¹⁸ საქ. სსრ ცსსა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 73.

¹⁹ იქვე, ფ. 74.

დან თბილისში, სადგურ შორაპან-სვირიდან ბათუმში ჩაჰქონდათ წერილი ჭურჭლით ათასობით ვედრა ღვინო... აქციზის, პატენტის და სხვ. ხარჯების გადაუხდელოდ, რაც იძლეოდა 120-150 მანეთის განსხვავებას ვედროზედ. ამრიგად სახელმწიფო და საქალაქო გადასახადი მთელი თავისი სიმძიმით აწვებდა ღვინით სავაჭრო აპარატს, რომელიც მას ვერ უძლებს და თანდათან ისპობა, ხოლო ღვინო ახალი გზით მიდის მომხმარებელთან²⁰.

ანალოგიურ და სხვა ხასიათის დაბრკოლებათა მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო საგარეო ბაზარზე: „ერთადერთი ბაზარი ღვინისა — რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ იქ თითქო ღვინის გაყიდვა ნებადართულია და თვით სახელმწიფო განაგებს ამ საკითხს, მაგრამ საშინელო ფარსატის (რომელიც ღვინის ღირებულებას ერთი ოთხად სჭარბობს) უფრო საშინელი აქციზის (ღვინის ღირებულებას ერთი ექვსად სჭარბობს), გაძნელებული ტრანსპორტის და სასურსათო კომისარიატის მიერ გასატან ღვინოზედ დაწესებულ ნატურით 15-25% გადასახადის მეოხებით ღვინო რუსეთში სულ არ მიდის და კარზედ მომდგარი მოსავალი არ იცის გლეხმა სად ჩაახსას, რადგან ჭურჭელი ძველი მოსავლით აქვს სავე. ღვინის გატანას კი ველარაგინ ბედავს“²¹.

ის ფაქტი, რომ რუსეთში ღვინოზედ დაწესებული იყო მაღალი აქციზი მოასწავებდა, რომ შეიძლებოდა იქ ღვინის შეტანა აეკრძალათ კიდევაც. ამიტომ საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება: „მიემართოს საქართველოს სახალხო კომისარიატს საბჭოს საშუალებით ფედერაციულ საბჭოს, რათა მან აღძრას მოსკოვის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ღვინოზედ აქციზის სრულად მოხსნის შესახებ“²². შემუშავდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა დროზე გატარების მიზნით რეკომენდირებული იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან მევენახეობა-მეღვინეობის ქვეგანყოფილების ნაცვლად მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტის შექმნა.

აღნიშნული ვითარებიდან გამოდიოდა საქართველოს სსრ სავაჭრო საკრებულო, რომელმაც 1922 წლის 22 დეკემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება ღვინოზე დადებული ფასების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „თანახმად კომისარის მოადგილის (ამ თვის 22 რიცხვის თარიღით) რეზოლუციისა, დღეიდან ღვინის ფასები დაწესებულ იქნას შემდეგი“²³, წითელი ღვინო (ათას მანეთობით): № 45 „წინანდალი“ — 200, № 46 „მუკუზანი“ — 170, № 47 „ნაფარეული“ — 130. № 48 „თელიანი“ — 250, „ძველი“ (1916 წელზე ძველი) — 450; შესაბამისად თეთრი ღვინის ფასი (ათას მანეთობით) უდრიდა: № 64 „წინანდალი“ — 200, № 65 „მუკუზანი“ — 170, № 66 „ნაფარეული“ — 180, შამპანიური „ბაღდადი“ — 400, კონიაკი „ქართული“ — 450, „იმერული“ — 400.

1922 წლის 2 ოქტომბერს კახელ მევენახეთა ყრილობის მომწვევემა ბიურომ მიიღო სპეციალური მიმართვა კახელი მევენახეებისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი, ჩვენი დოვლათი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად კლება იწყო და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ ეს უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა — მევენახეობა სრულიად მოიხსობა. ამისი მიზეზი არის ის, რომ რამდენიმე წელიწადი

20 იქვე, ფ. 74.

21 იქვე.

22 საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 541, ფ. 74.

23 საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 539, ფ. 16.

ღია, რაც ჩვენს ვენახებს შემოესია საშინელი ვაზის მტერი — ფილოქსერა, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ვენახებს, — ახმობს ვაზს, შუაგულ კანეთში საუკეთესო ვენახები, სახელდობრ გრძელ მინდორში, ახალშენში, კურდღელაურში, წინანდალში, რუისპირში, ნაფარეულში, ვეჯინში და სხვა, კიდევ ბევრ ალაგას მოსპობის გზაზე დააყენა²⁴. იქვე მითითებოდა: „იქვე არ უნდა დაგვებადოს, რომ ასეთივე ბედი მოელის მთელ ჩვენს ვენახებს თუ საქარო ზომებს არ მივმართავთ უბედურების თავიდან ასაცილებლად და ვენახების ამერიკულ ვაზზედ ნამყენებით განახლებას. ვენახისათვის შექმნილ ამ საშინელ გარემოებას ანგარიში გაუწია ჩვენმა მთავრობამ და მევენახეთა კავშირებთან ერთად განიზრახა კახელ მევენახეთა ყრილობის მოწვევა კახეთში, სოფ. გურჯაანში 1922 წ. 19 ნოემბერს, სათათბიროდ...“²⁵. ამასთანავე, კახელი მევენახეებისადმი მოწოდებაში ნათქვამი იყო: მოვექცეთ ამ კულტურას მეტის სიფხიზლით, ენერჯით, მეტი დაკვირვებით და ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად სწორად აულებთ ალღოს დღეს შექმნილ მდგომარეობას.

1922 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სსრ მიწსახყომის სახალხო მამულების ქვეგანყოფილებამ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა მიწსახყომს „სახალხო მამულების მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, სადაც ხაზგასმით იყო მითითებული: „მეღვინეობა-მევენახეობის სახალხო მამულები განადგურების გზას ადგანან. ფილოქსერა თანდათანობით სპობს მათ ვენახებს და როგორც ადგილობრივ გამოირკვა სულ ამ 7 წელიწადში ეროვნულ საუკეთესო მამულებში აღარ დარჩა არცერთი ვაზი. მეცნიერებს აქამდისინ ვერ გამოუგონია ფილოქსერასთან უშუალო საბრძოლველი საშუალება. ერთადერთი საშუალება იმაშია, რომ განადგურებულ ვენახების მაგივრად გააშენეს ახალი ამერიკული ვაზის ჯიშებზედ დამყნობილი ვენახები. ახალი ვენახების გაშენება მოითხოვს დიდ თანხას და რამდენიმე წელიწადს. მანამდისინ კი მამულების შემოსავალი აუცილებლად იკლებს ერთი მხრივ იმიტომ, რომ მოსავალი წლითიწლობით შემცირდება, რადგან არსებული ვენახების სივრცე იკლებს, მეორეს მხრით, — კი იმიტომ, რომ ახალ ვენახების გასაშენებლად მამულებს დასჭირდებათ ზედმეტი არა ჩვეულებრივი ხარჯი“²⁶.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მოსავლიანობა მევენახეობაში მეტად დაბალი იყო. ის ვენახები, რომლებიც ომამდე საშუალოდ ერთ დესეტინაზე იძლეოდა 500 და მეტ ფუთ ყურძენს, ბოლო დროს 200-250 ფუთსაც აღარ იძლეოდა, ე. ი. მოსავლიანობა შემცირდა ორჯერ; ეს მაშინ, როდესაც ხარჯი მამულს იგივე და ხშირად მეტიც სჭირდებოდა, რის გამოც მამულების შემოსავალი თანდათან მცირდებოდა. ასეთ პირობებში მევენახეობისათვის საქმარისი იყო დახმარების აღმოჩენა, მაგრამ რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობაც ისეთი იყო, რომ არ შეეძლო დახმარება გაეწია მევენახეობისათვის; ამასთან დაკავშირებით დასახელებულ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „სამწუხაროდ, რესპუბლიკის საერთო ეკონომიური მდგომარეობაც არ იძლევა იმდენს, რომ საქმარისი თანხის გამოღება შეეძლოს ხაზინას. ამიტომ უნდა იქნეს გამოწინასწარი ისეთი საშუალება, რომელიც ასწეებს მამულის შემოსავალს, რათა თავისი ძა-

²⁴ საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 287, ფ. 168.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე, ან. 1, საქ. 604, ფ. 1.

ლებით მამულმა თუ სრულად არა, უმთავრეს ნაწილში მაინც დაჰფაროს მეტი ხარჯები, ამ საშუალებად ქვეყანაში აღიზნება, მამულებში ღვინით სავაჭრო აპარატის გაძლიერება შეძლებისდაგვარად. სახალხო მამულები მოწყობილია ფართო სარდაფებით, ღვინის ინვენტარით, საქირო რაოდენობით მცოდნე და მეღვინეობაში დახელოებული სპეციალისტებით და მუშა-მოსამსახურეებით²⁷. ამასთანავე ქვეყანაში აღიზნება აზრით რეკომენდირებული იყო ნაყიდი ღვინით ვაჭრობა, მაგრამ საქირო იყო ამისათვის საქირო თანხების გამოძებნა, „... რადგან თვით ოპერაცია სარგებლიანია, ამიტომ სესხითაც შეიძლება ასრულდეს. თუ რომ ესხლავ ვიშოვით თანხას 100 ათასი ვედრა ღვინის საყიდლათ, ამას დასჭირდება დაახლოებით 30 მილიარდი მან“. (300 ათასად ვანგარიშობთ ვედროს). ეს ასი ათასი ვედრო გაზაფხულზედ გაიყიდება ისეთ ფასად, რომელიც გაისტუმრებს თავს და სარგებელს და ბევრათ ასწევს მამულების შემოსავალს. მოხსენებული თანხის შოვნა — კი ჩვენის აზრით შეიძლება ერთი მხრით სესხით, მეორეს მხრით მოსკოვის ღვინით ვაჭრობის მართებლობასთან შეთანხმებით. მოსკოვს სჭირია დიდძალი ღვინო, საუკეთესო ღვინო — კი მოიპოვება მხოლოდ საქართველოში და კიდევაც აქ ყიდულობს მოსკოვი ამ ღვინოს, მას სჭირია საქართველოში სავაჭრო აპარატი, რომელიც ჩვენ გვაქვს, ჩვენ კი გვეჭირია ბაზარი, რომელიც აქვს მოსკოვს. ამ ორი ძალის შეთანხმება ადვილი და სასარგებლოდ უნდა იქნეს ორივე მხარისათვის²⁸. გარკვეული თანხის ვალდება სესხის სახით შეეძლო სააქციო უწყებასაც, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებით.

მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მიწსახკომმა მოისმინა მეღვინეობის სპეციალისტების მოხსენება: „ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის დარგში წესრიგის დამყარების შესახებ“. მომხსენებელმა მრავალი საინტერესო საკითხი გახადა მსჯელობის საგნად. მან მიუთითა, რომ „ღვინის დაყენებას“ შენახვას და გაყიდვას თავისი წესრიგი აქვს და ეს კარგა ხანია დაკანონებულია ევროპაში. დაკანონებული იყო ის რუსეთში 1914 წ. 24 აპრილის კანონით ღვინოზე და იგივე კანონი ტარდებოდა ცხოვრებაში საქართველოშიც. ჩვენ ცხოვრებასთან შეფარდებით ამ კანონს შეიძლება ცოტა, რამ ნაკლიც ჰქონდა და ღვინის დაყენების, შენახვის და გაყიდვის წესრიგს სრულად ვერ იცავდა, მაგრამ სულ არააზობას მაინც ვობდა“²⁹. მართალია, 1914 წ. 24 აპრილის კანონი ღვინოზე გაუქმებული არ იყო, მაგრამ, ფაქტიურად, „სააქციო უწყება ვედრა ღვინოზე იღებს 32 ათას მანეთს (ზონის კურსით), გრადუს ღვინის ალკოგოლზე არის დადებული 10000 მან. სასურსათო კომისარიატი რუსეთში გასაგზავნ ღვინოზე იღებს 25% ნატურით, მევენახეებს ვენახების სივრცის მიხედვით ახდევინებენ ღვინის რაოდენობას და სხვა გადასახადებიც აწევს ღვინოს. ყველა ეს მევენახეობას და მეღვინეობას არა თუ განავითარებს, არამედ უკან დასწევს და დასცემს თუ ამ გადასახადებთან ერთად სათანადო კულტურული მუშაობა და ღვინის ბუნებრივობა არ დაეცავით, რადგან ფაქტობრივად უაღრესი მტერია მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისა“³⁰.

27 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 604, ფ. 1.

28 იქვე, ფ. 2.

29 იქვე, ან. I, საქ. 541, ფ. 66.

30 იქვე.

ცხადია, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აღნიშნულ მოვლენას ყურადღების გარეშე ვერ დატოვებდა, მაგრამ მას ხელს უშლიდა უსახსრობა. ეს იმ დროს, როდესაც „... ფინანსთა და სასურსათო კომისარიატები, რომლებიც იღებენ ღვინოზე გადასახადებს სხვადასხვა სახით, სააქციო უწყებები იღებს აქციის დაახლოებით ორ მილიონს ვედრა ღვინოზე, რაც შეადგენს შემოსავლის დაახლოებით (320 000 მან. X 2 000 000 მილ.) 64 მილიარდამდის (ბონის კურსით); სასურსათო კომისარიატმა შეკრიბა ღვინო (მევენახეობიდან დაახლოებით 30 000 ვედრამდის, რაც შეადგენს ფულად დაახლოებით (150 000 მან. X 30 000) ოთხ მილიარდზე მეტს. ამას რომ დაუმატოთ შემოსავალი ღვინის ალკოგოლიდან (ერთ გრადუსზე) 10 000 მან.) და სხვა ხარჯები ღვინოზე. სახელმწიფო იღებს ღვინიდან მრავალ მილიარდებს, ასე რომ ჩვენის აზრით სრულად სამართლიანი იქნებოდა თუ ღვინოზე კანონის განხორციელების ხარჯები დაიფარება აღნიშნული კომისარიატების შემოსავლიდან“³¹.

დასახელებული მომენტების გათვალისწინებით აღიძრა შეუამდგომლობა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე რათა აღნიშნული შემოსავლებიდან საშუალება მისცემოდა მიწსახკომს ცნოვრებაში გაეტარებინა ღვინოზე არსებული კანონი და ხელი შეეწყობოდა მევენახეობასა და მეღვინეობას. საქართველოს სსრ მიწსახკომის მოქმედების ანგარიშგებაში 1923 წელს იანვარ-აპრილში ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომელიც შედგენილია 1923 წლის 21 აპრილის³² თარიღით აღნიშნულია, რომ მევენახეობის განვითარებას ემსახურება 4 სანერგე, ისინი მომსახურებას უწყვენ მევენახეობის მეურნეობებს.

ამასთანავე, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ზესტაფონში შეიკრიბა ზემო იმერეთის მეღვინეთა ყრილობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის. ყრილობა ჩატარდა 1923 წლის 13 აპრილს. ყრილობამ მიიღო დადგენილებანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ³³. კერძოდ, ყრილობამ სასურველად მიიჩნია: „1. მოგვარებულ იქნას ამერიკული ვაზის სანერგე ფართო მასშტაბით, რისთვისაც საჭიროდ იყო მიჩნეული საქარის სანერგე მეურნეობის სათანადოდ გამოყენება; 2. საცდელი ვენახების მოწყობა ზემო იმერეთის სხვადასხვა რაიონებში ნიადაგისა და მიხედვით, ჭეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის განოყიერებასა და დამუშავებას, აგრეთვე ვაზის ჯიშთა შერჩევა-გამოცვლას; 3. მევენახეობის აღორძინების მიზნით სოფლის მეურნეობისადმი ხანგრძლივი სასოფლო-სამეურნეო კრედიტების მიცემა, რისთვისაც რეკომენდირებულ იქნა მთავრობის მიერ სათანადო დაწესებულებათა გახსნა; 4. სოფლის კოოპერატივებისათვის შეღავათიანი სარეწაო და სააქციო გადასახადების შემოღება; 5. აგრონომთა და ინსტრუქტორთა კადრის გაღვივება იმ მოტივით, რომ მევენახეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო ცოდნის გავრცელებით; 6. ტყეების დაცვის გაძლიერება, უწყსრივად ტყეების გაჩეხვის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის გამოცხადება; 7. დაევალოს ამხანაგობა „იმერეთს“ დაუყოვნებლივ შეუდგეს ამხანაგობების რაიონებად ორგანიზაციის და მთავრობისაგან საჭირო მასალებით და სესხის სახით დახმარების გამოძენას; 8. საქარის სანერგე მეურნეობასთან საშუალო მეურნეობრივი სასწავლებლის

31 საქართველოს სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 541, ფ. 66.

32 საქ. სსრ ორცა, ფ. 228, ან. 11, საქ. 680, ფ. 8.

33 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 816, ფ. 115.

დაარსება და არსებული ჰუმანიტარულ ტექნიკუმის საშუალო თეორიული სასწავლებლად გადაკეთება³⁴.

მევენახეობის დარგში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორებისა და ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წელს მიღებულ ღონისძიებებს: „საქართველოს სსრ-ში 1923—1923 წწ. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ“. დასახელებული პერსპექტიული გეგმის შესავალ ნაწილში გაანალიზებულია მევენახეობა-მეღვინეობის იმეამინდელი მდგომარეობა საქართველოში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო დასავლეთ საქართველო, რომელიც ამ პერიოდში მოკლებული იყო ყოველგვარ შესაძლებლობას მიეღო ფილოქსერაგამძლე საძირე მასალა. ამის გამო დასავლეთ საქართველოში 1914 წლიდან მოყოლებული 1924 წლისათვის აღდგენილი იყო ვაზის პლანტაციების მხოლოდ 75%; დანარჩენი მთლიანად დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა მევენახეობის აღდგენისათვის ფილოქსერაგამძლე საძირეზე ფილოქსერა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო საქართველოს სსრ-ში, სადაც თავის დროს მოამზადეს მოსახლეობა ამ საქმისათვის და აითვისეს საძირე მასალის წარმოებაც. ამ მხრივ ამ რაიონის მიერ დაგროვილი გამოცდილება როგორც მევენახეობის აღდგენის, ისე ვაზის საძირე მასალის დამზადებისათვის იყო არა მხოლოდ გაკვეთილი ამ რთულ საქმეში, არამედ ეს რაიონი წარმოადგენდა უშუალო პუნქტს ამერიკელი ვაზის სადღეების დამზადებისა და ნერგების გაგზავნისა როგორც აზერბაიჯანის, თურქმენეთის, სომხეთის, ყირიმის, უკრაინის, ჩრდილო კავკასიის და დონის ოლქისათვის, ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ 1914 წელს შორაპნის მაზრაში დამზადდა 11,2 მლნ ვაზის საძირე მასალა³⁵. მუშაობა ფილოქსერაგამძლე მასალის დამზადებისა და გაგზავნისათვის სტავროპოლის გუბერნიასა და ყუბანის ოლქში დაიწყო თავიდანვე, რამდენადაც დასახელებულ ადგილებში კლიმატური პირობების გამო ამერიკული ვაზის კულტურისა და ნამუყენის დამზადება შეუძლებელი იყო, ამიტომ საქართველოს ამ მხრივ მათთვის შეეძლო დიდი დახმარების გაწევა³⁶.

საქართველოში ვაზის პლანტაციების ფართობი ომამდე უდრიდა 57 624 დეკეტინას, ხოლო გეგმით 1922 წლისათვის გათვალისწინებული იყო 50 000 დეკეტინა, ე. ი. შემცირდა 13%-ით ომისწინა დონესთან შედარებით. ნამდვილად არსებული მდგომარეობის მიხედვით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული შემცირება 20%-ით და 1922 წლისათვის ვაზის პლანტაციების ფართობი უნდა ყოფილიყო არა 50 000 დეკეტინა, არამედ 44 100 დეკეტინა. „ეს ფართობი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებს შორის შემდეგნაირად უნდა განაწილებულიყო, არა 490 დეკეტინა საბჭოთა მეურნეობებისათვის და 49 500 დეკეტინა მშრომელი მევენახეებისათვის. არამედ 500 დეკეტინა საბჭოთა მეურნეობებისა და 43 6000 დეკეტინა მშრომელი მევენახეებისათვის, რაც შეადგენს 44 100 დეკეტინას³⁷.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოუფლელი ვენახების რაოდენობას საქართველოში მხოლოდ საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში უნდა შეედგა-

34 საქ. სსრ ორცა, ფ. 228, საქ. 816, ფ. 117.

35 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 1975, ფ. 203.

36 იქვე, ფ. 303.

37 იქვე, ფ. 304.

ნა — 98 დესეტიანა, ხოლო „შრომით მეურნეობებში — 5193 დესეტიანა, მაშინ როდესაც მოუვლელად მიტოვებული ვენახები სრულებით არ იყო საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო შრომით მეურნეობებში შეადგენდა მთელი ფართობის არა უმეტეს 5%-სა, ე. ი. 2180 დესეტიანას. გვემით გათვალისწინებული იყო აგრეთვე ფართობების გარკვეული თანაფარდობა სუფრის ღვინოების ჭიშების გათვალისწინებით. იგი საბჭოთა მეურნეობებში უნდა ყოფილიყო 25%, ხოლო დანარჩენი 75% გათვალისწინებული იყო. შრომით მეურნეობებში. მაგრამ ეს ვერ ასახავდა ნამდვილ მდგომარეობას. საჭირო იყო საბჭოთა მეურნეობების ხვედრიწონის განსაზღვრა 5%-ის, ხოლო დანარჩენისა 95%³⁸.

სათანადო ყურადღება ეთმობა აგრეთვე საქონლური ღვინის წარმოებას, რაც ხუთწლედში შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

	„მაიარა“ — შეზღერებული ღვანობები (ვედრ.)	„ბლდალი-ეარტ-ხე“ — შაშანიურა (ბოთლ.)
1924 წ.	23 000	30 000
1925 წ.	15 000	40 000
1926 წ.	20 000	50 000
1927 წ.	25 000	50 000
1928 წ.	30 000	50 000

გეგმა ითვალისწინებდა მეღვინეობისათვის სათანადო ინვენტარის დამზადებასაც სულ 3 946 000 მანეთის ღირებულებით; მათ შორის: კოკა 3850 ათასი მანეთის, კოდი და ბოთლები — 67 500 მანეთის, ხის კასრები 25 000 მანეთის, სხვა ინვენტარი 3500 მანეთის³⁹.

რაც შეეხება მოსავლიანობის ზრდას, იგი სრულმოსავლიან პლანტაციებზე გათვალისწინებული იყო 1 დესეტიანაზე ფუთობით: 1924 წ. — 210, 1925 წ. — 230, 1926 წ. — 260, 1927 წ. — 300, 1928 წ. — 300.

მთლიანი მოსავალი ყურძნისა საბჭოთა მეურნეობებსა და შრომით მეურნეობებში ნანაგარიშევი იყო ფუთობით: 1924 წ. — 8 794 890, 1925 წ. — 8 996 070, 1926 წ. — 9 446 340, 1927 წ. — 10 145 700, 1928 წ. — 9 848 700⁴⁰. ეს ციფრები იყო მხოლოდ წინასწარი. ნამდვილად დასავლეთ საქართველოსათვის შეიძლებოდა საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლად აგველო 450 ფუთი. რაც მთელ ფართობზე (44 100 დესეტიანა) იქნებოდა 13 230 000 ფუთი და არა 8 და 9 მლნ ფუთი, როგორც ამას გეგმა ითვალისწინებდა. ამასთანავე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოითხოვდა წითელი ღვინის ხვედრითი წონის დაზუსტებას ღვინის მთელს წარმოებაში; გეგმის მიუხედავად იგი უნდა ყოფილიყო 20%, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში წითელი ღვინო იყო 30%, თეთრი — 70%; ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში თეთრი — 50% და წითელიც — ამდენივე⁴¹. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე წმინდა შემოსავალს მანეთობით: 1924 წ. — 7225, 1925 წ. — 7225, 1926 წ. — 7225, 1927 წ. — 7225, 1928 წ. — 7226.

38 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, საქ. 1975, ფ. 304.

39 საქ. სსრ ორცა, ფ. 631, საქ. 77, ფ. 126.

40 საქ. სსრ ორცა, ფ. 631, საქ. 77, ფ. 127.

41 იქვე.

მევენახეობის შემდგომი განვითარების მიზნით 1924 წლის 22 ივლისს საქართველოს სსრ მიწსახკომმა მიიღო კანონპროექტი „ამერიკული ვაზის საძირგების და ნამყენების გავრცელებაზე კონტროლის დაწესების შესახებ“⁴², რომლის შესავალ ნაწილში ხაზგასმით იყო აღნიშნული მევენახეობის არსებული მდგომარეობა, „რომ ალაზნის გაღმა-გამოღმა ვენახები, რომლებითაც მოქარგული იყო ველები და მთების კალთები, დღეს ბეჩაელებმა, ნიაველებმა და ჰქრებმა. საშინელმა მტერმა — ფილოქსერამ თავისი მუხანათურის დალი, ქართლ-იმერეთის შემდეგ აქაც დააჩნია და დაღუპვა-განადგურების გზაზედ შეაყენა კახეთის სახელ-განთქმული მევენახეობა“⁴³. იქვე ნათქვამია: „ამ თორმეტ-ცამეტიოდე წლის წინად ლაპარაკი იყო კახეთში ფილოქსერის გაჩენის და მისგან მოსალოდნელი უბედურების შესახებ, მაგრამ მაინც და მაინც მაშინ საამისო ყური არავის გაუბერტყია ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ფილოქსერის აღმოჩენმა ჯგუფმა შემოიარა ზერელედ კახეთის ზოგიერთი ვენახიანი ადგილები და იმ დროს ამით დაკმაყოფილდა დაინტერესებული უწყება. რეალური და თვალსაჩინო ამ მხრივ ამ ხანებში თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორი პატარა ამერიკულ ვაზის სახერგეების, კონდოლის და ჩემლაის მორიგ მუშაობას, რომლებსაც უნდა ვუღახვილად ვაღიაროთ. არავითარი გარკვეული სამუშაო გეგმა ამ საკითხის შესახებ არ ჰქონიათ, ომის დაწყების შემდეგ და რევოლუციის დროს“⁴⁴.

კახეთის მასშტაბით ისეთი დიდი, თითქმის ვეებერთელა მევენახეობის მეურნეობა, როგორც ყოფილი საუფლისწულო უწყების ვენახები იყო კახეთში, ამ გაპირების დროს, ფილოქსერის გაჩენის გამო თითქო უპატრონოდ დარჩნენ და არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, თუმცა ომამდე რამდენიმე წლით ადრე აღმოაჩინეს ფილოქსერა სოფ. წინანდლის საუკეთესო ვენახებში. იმ დროს კახეთს არ აღმოუჩნდა არც ერთი გულშემატკივარი ვაგენიანი დაწესებულება ან პირი, რომ ხმა აემალღებინა კახეთის მევენახეობის მომავლის და ბედ-იღბლის სასარგებლოდ, რის გამოც კახეთი ათეული წლით მაინც ჩამორჩა მევენახეობაში.

არა თუ ამ საშიშროების გაზვიადებას არ ჰქონდა ადგილი, პირიქით, აქარწყლებდნენ მას. ამის მერე „თუმცა მოგვიანებით, მაგრამ, სამაგიეროდ გამრავლებული ენერჯით შეუდგა მიწათმოქმედების კომისარიატი, თვით სახალხო მამულების სახით, როგორც თვისი ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების, ისე კერძო ვენახების აღდგენას, რისთვისაც, თავდაპირველად. გააძლიერა სახერგეების მუშაობა, რომლებიც დასარგავ ნამყენს და სახერგე ამერიკული ვაზის მასალას აწვდის როგორც სახალხო მამულებს: მუკუხანს, წინანდალს და ნაფარულს, ისე კერძო პირებს. ამ მუშაობაში მუყაითად ჩაებნენ და მხარს უჭერენ კომისარიატს ადგილობრივი კოოპერატივები ვერ „კავშირ-კავშირის“ — ეხლა კი „წარმოკავშირის სახით“.

კახეთში ვენახების აღდგენის საქმე ამის შემდეგ საკმაოდ საიმედო გზაზე დადგა: „შემუშავებულ ღონისძიებათა შედეგად მუშაობამ შესაძლებელი სასწრაფო გაქანება მიიღო და ყველაფერი დამოკიდებული იყო საბედისწერო მატერიალურ მხარეზე, რომ მას ხელი არ შეეშალა ამ საფუძვლიანი მუშაობისა-

42 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1338, ფ. 14.

43 იქვე, ფ. 15.

44 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1338, ფ. 15.

თვის, რომლისაგანაც დიდად იყო დამოკიდებული კახეთის, ამ ჩვენი მევენახეობის სახელოვანი აკენის მომავალი“⁴⁵. ამის მერე ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩებოდა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა. კანონპროექტში მითითებული იყო: „ყველა ჩქარობს — დაკარგული დრო მალე აინაზღაუროს და, სწორედ ამ სიჩქარისა და გაფაციცების გამო, ისეთ დაუშვებელს შეცდომებს აკეთებს, რომლის გამოსწორება შემდეგში თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელი იქნება“⁴⁶.

ერთბაშად, ნაჩქარევად დაწყებულ მუშაობას, ცხადაა, ჰქონდა ნაკლიც. „დასარგველი ნამყენი ვაზის სივ-კარგის, საქმის სიახლისა, გამოუცდლობის და სიჩქარის გამო, საქირო ანგარიშს ვერ უწყევნ. ოღონდ კი ნამყენი ვაზი დროზედ შეიძინონ დასარგავად, არ დასდევნ — რა ღირსებისაა ამერიკული ვაზის საძირე, რომელზედაც საღვინე ჭიშია დამყენილი და რამდენად შეეფერება ის იმ ნიადაგს. სადაც უნდა დაირგას. ამ გარემოებას კი თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცნობილია, რომ ამერიკული ვაზის სხვა და სხვა ჯიში ყველა ნიადაგს და პირობებს ერთნაირად ვერ შეეგუება — ერთგან რომ ის საღვინე უდროვოდ ხმება, ერთი სიტყვით ვერ იჩენს საქირო შედგრობა-გამძლეობას“⁴⁷. ამ შემთხვევაში მრავალი მომენტი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული: „ასევე ითქმის დამყენილ მომსხმელ სანაყოფო ვაზზედაც, თათოვულ ადგილს თავისი შესაფერი ვაზის ჯიში აქვს, ზოგჯერ საუკუნეობით შერჩეული, სადაც ის ნაყოფიერიც არის, სენსაც უფრო უმკლავდება და პროდუქტსაც კარგს იძლევა“⁴⁸.

ცხადა, რომ სულ ერთი არ იყო, თუ რომელი მომსხმელი ვაზის რქას დამყენიდან ამერიკულ საძირეზე. ეს რქა, თვით ნაყოფიერი და ზომიერი ასეთსავე მუშა ხნის ვაზზე უნდა იყოს შერჩეული და აჭრილი, რომ მომავალ ახალშენ ვენახებსაც ეს თვისება გადასცეს. მხოლოდ ამგვარი თანდათანობით, მკაცრი და მედგარი შერჩევით მოახერხეს საფრანგეთში სხვადასხვა ვაზის ჯიშების მოსავლის გადიდება, გაძლიერება და გაუმჯობესება ღირსება-რაოდენობის მხრით. ამ გამოცდილ გზას ვერც ქართველი მევენახე გადაუხვევდა ჩვენს მუშაობაში და იგი საფუძვლად უნდა დასდებოდა ჩვენი მევენახეობის საქმეს. ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვანაირი იყო, „ეხლა კი არა ვხედავთ — ნამყენი ვაზის შექმნის დროს, იმდენად გატაცებულნი არიან დროს მოგებით ვენახის აღდგენის საქმეში, რომ ვერ ამჩნევენ, თუ როგორ თავისებურად უმზადებენ საფლავს როგორც კერძოდ თავის, ისე კახეთის და საბოლოოდ კი, სახელმწიფოს მევენახეობას, ამ ერთ-ერთ ჩვენი სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო საფუძველს. არ არჩევენ არც იმას, თუ რამდენად საიმედოდ და მთლიანად შეხორცებულია ნამყენი, ამაზედ კი დამოკიდებულია ვენახის ჯანსაღობა და ხანგრძლივობა, არც იმას თუ რომელ ამერიკულ ვაზის საძირეზედ არის დამყენილი მომსხმელი გასაშენებელი ვაზი, მაშინ, როდესაც შესაძლებელია, იმ სრულიად შეუფერებელი გამოდგეს იმ ადგილისათვის, სადაც იმას დარგვას უპირებენ. არც იმას, თუ ნამდვილად რა მომსხმელი ჯიშია დამყენილი ამერიკულზედ, რამდენად შერჩეული იყო ის ნაყოფიერება — სისაღის მხრით, რამდენად შეეფერება ადგილობრივ პირობებს. ხშირია მაგალითი, რომ ნამყენი ვაზები მოაქვთ იმერ-

45 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1338, ფ. 14.

46 იქვე, ფ. 15.

47 იქვე.

48 იქვე.

თიდან, მასთან იმერული ჯიშები და ასალებენ კახურად. ამისთანა შემთხვევაში შედეგიც მოსალოდნელია სრული უარყოფითი⁴⁹.

ასეთ პირობებში საქირო იყო ვაზის სანაშენო და ნაშენი მასალის სასტიკი, უღმობელი კონტროლი, განურჩევლად იმისა: ადგილობრივი იყო იგი, თუ — შემოტანილი. ასეთი კონტროლი უნდა დაეკისრებინათ მიწათმოქმედების კომისარიატისათვის, როგორც ამ საქმეში ყველაზე უფრო დაინტერესებული უწყებებისათვის. კონტროლის გარეშე არ უნდა გაშენებულიყო არც ერთი ამერიკული ვაზის სადედე, არც ნაშენი ივაზის სანერგე და ვაზი.

ასეთი კონტროლის განსახორციელებლად გატარდა სათანადო ღონისძიებანი⁵⁰, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მევენახეობისათვის სანერგე მეურნეობის განვითარებას და საბოლოო ანგარიშით ფილოქსერისაგან მიყენებული ღიძძალი ზარალის ანაზღაურებას, საერთოდ — მევენახეობის შემდგომ განვითარებას.

1924 წლის 29 სექტემბერს — საქართველოს სსრ მიწსახკომმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს „მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარების ღონისძიებების შესახებ საქართველოში“, სადაც ნათქვამია: „ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ უძლიერეს დარგს წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობა. ვენახების სიერცე საქართველოში უდრის 53 054 დეს. ყოველწლიური საშუალო მოსავალი 12-13 მილიონ ვედრას, ე. ი. 12/13 მილ. მან.⁵¹ მაგრამ იმ დროისათვის ვითარება მეტისმეტად მძიმე იყო: „სამწუხაროდ, უკანასკნელ დროში ვაზის ავადმყოფობამ, ნამეტნავად ფილოქსერამ, საშინელ კრიზისამდე მიიყვანა მევენახეობა, ზოგიერთ ადგილებში, მაგ. ქართლში, ვენახები თითქმის მთლიანად ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავა ნაკლებ ღირებულ კენკის კულტურამ. კახეთში ეს საუკეთესო პლანტაციები მევენახეობისა — უკვე გახვეულია ფილოქსერის ავციეცხლში. ამიტომ მევენახეობის აღდგენა ეს გადაუღებელი მორიგი საკითხია. მეორე მხრით, ჩვენი მევენახეობის პროდუქტები ღვინო, კონიაკი და სხვ. ტექნიკური უტოლინრობის გამო, ისეთ ღირებულებისანი არიან, რომ ვერ ჰპოულობენ ბაზარზე სათანადო გასაყალს და იძულებული ვხედებით შინაგანი მოთხოვნილება ზედმეტად დაეაკმაყოფილოთ. ამით მეტად კლებულობს შემოსავლიანობა ამ დარგიდან და ეკონომიურ წარმატებასაც ამ რაიონში ვერ ვამჩნევთ“⁵².

ასეთს ვითარებაში საქართველოში არსებულ მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურების მიზანი იყო, ხელი შეეწყობა ამ დარგის აღდგენა-განვითარებისა და რაციონალურ ნიადაგზე დაყენებისათვის. საქარის საცდელ სადგურს ჰქონდა 30 წლის სამავალითო წარსული: მას შეეძლო საესეებით გადაეყვანა ვენახები დასაეღეთ საქართველოში ფილოქსერაგამძლე ჯიშებზე და მოეხდინა ნიადაგების ნაწილობრივი გამოკვლევა, მაგრამ მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, მას ვეალებოდა კიდევ მრავალი სხვა საკითხების გარკვევა, რომლებიც არსებითად გამომდინარეობდნენ ამ დარგების რაციონალურ ნიადაგზე დაყენებიდან, ნამეტნავად — მეღვინეობაში. კახეთის საცდელი სადგური ეს ყვერ კიდევ ახალი დაწესებულება იყო, მხოლოდ 2 წლის გამოცილილება ჰქონდა: „მას

49 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1338, ფ. 15.

50 საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1338, ფ. 15—16.

51 იქვე, ფ. 13.

52 იქვე.

წინ უდგეს ხანგრძლივი შრომა მრავალგვარი საკითხების გადასაჭრელად, ურომლისოდაც არ შეიძლება ვილაპარაკოთ კახეთის მევენახეობა-მელენიეობის აღორ-ინინება-განვითარებაზე⁵³. მაშინ ეს სადგურები იმყოფებოდნენ სახალხო მამულ-უბნის ტრესტის განკარგულებაში: „ასეთ მდგომარეობაში მათი ყოფნა თითქმის უმნიშვნელოდა ხდის იმ დიდ მიზნებს, რომლებიც დასახული აქვთ ამ სადგურ-ებზე: მათი მიზანია მეცნიერულად გააშუქონ მევენახეობა-მელენიეობის სა-კითხები და ამ ნიადაგზე დააყენონ ამ დარგების აღდგენა განვითარების საქმე. ასეთ საქმეს, ცხადია ვერ იკისრებს და ვერც შესძლებს სახალხო მამულების ტრესტი, ვინაიდან საცდელი საქმის წარმოება, არ შეადგენს ამ დაწესებულე-ბების ძირითად საკითხს; ეს თვით სახელმწიფოებრივი საქმეა და იგი უნდა უდგეს მას სათავეში. მის შედეგებზე უნდა აშენდეს მევენახეობა-მელენიეობა საქართველოში, რომლის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ეკონომიურ წარმატები-სათვის აშკარა და უდავოა“⁵⁴.

ზემოსწენებული მიზეზების გამო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატ-მა თხოვნით მიმართა რესპუბლიკის მთავრობას საქარისა და კახეთის მევენა-ხეობა-მელენიეობის საცდელი სადგურების სახელმწიფოებრივ ხარჯზე მიღების შესახებ, რათა კომისარიატს შესაძლებლობა ჰქონოდა შეუჩერებლივ ეწარ-მოებინა ის საქმე, რომელიც საწინდარი იყო ხალხის ეკონომიკური მდგომარეო-ბის გაუმჯობესებისათვის.

მევენახეობის კახეთის საცდელი სადგური მოწოდებული იყო, მნიშვნელო-ვანი როლი ეთამაშნა მევენახეობის აღდგენა-განვითარების საქმეში, მაგრამ ეს სადგური ფინანსურად მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, ამიტომ საჭირო შე-იქმნა მისთვის სათანადო ფინანსური დახმარების გაწევა. ამ მიზნით 1925 წლის აპრილს საქართველოს სსრ მიწსახკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა „წარმოკავშირის“ აგროკულტურულ განყო-ფილებას კახეთის საცდელ სადგურისათვის დახმარების გაწევის შესახებ. მი-მართვაში გაანალიზებული იყო მევენახეობის არსებული მდგომარეობა და მი-თითებული იყო მისი აღდგენა-განვითარების კონკრეტული ღონისძიებებიც. კერძოდ, მასში ნათქვამია: „მოგვხსენებათ, თუ რა კატასტროფულ მდგომარეო-ბის წინაშე სდგას კახეთის მევენახეობა-მელენიეობა. ზერელე დაკვირვებიდა-ნაც სჩანს, რომ მეურნეობის ეს დარგი ერთ-ორი წლის განმავლობაში სულ მთლად ამოვარდება. ამიტომ მევენახეობა-მელენიეობის აღდგენის საკითხი გა-დაუდებელი და სადღეისო საკითხია. ასეთ აღდგენას ნაწილობრივ კიდევ მოჰკი-დეს ხელი კოოპერატივებმა, სახალხო მამულების ტრესტმა, ცალკე მეურნეო-ბებმა და სხვ. არის ნიშნები, რომ ახლო მომავალში ეს აღდგენა წავა უფრო სწრაფად და შესაძლებელია სტიქიური ხასიათიც მიიღოს“⁵⁵. დასახელებულ მი-მართვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ: „ასეთ დაწესებულებას დღეს უკვე მჭიდ-რო საძირკველი აქვს ჩაყრილი კახეთის მევენახეობა-მელენიეობის საცდელი სადგურის სახით ს. ურიათუბანში. შედგენილია საორგანიზაციო და სამუშაო გეგმა, უკვე მიმდინარეობს გამოკვლევანი ფოტოკატალოგიური, ბოტანიკური, ნიადაგების, ლენის ჰუმნიკების, მეტეოროლოგიური დაკვირვებანი და სხვ. მიუ-ხედავად იმისა, რომ სადგურმა მხოლოდ ეს მეორე წელიწადია, რაც დაიწყო ასე-

⁵³ საქ. სსრ ორცა, ფ. 188, ან. I, საქ. 1311, ფ. 42.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ საქ. სსრ ორცა, ფ. 288, ან. I, საქ. 1211, ფ. 42.

თი მუშაობა, ისეთ მეტის მეტად გაჭირვებულ პირობებში, მაინც მან მიიღო სო-
ციური პრაქტიკისათვის გამოსადეგი მიღწევანი, ამჟამად სადგური აძლევს
დადებით პასუხს, თუ როგორ ნიადაგში როგორი ჯიშის ვაზი იხარებს და სხვ.⁵⁶,
მაგრამ სადგურის საორგანიზაციო მუშაობის გეგმა ითვალისწინებდა გაცილე-
ბით მეტ სამუშაოს, რისთვისაც საჭირო იყო დაფინანსების გადიდება.

ამრიგად, სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მნიშვნელოვანი მუ-
შაობა ჩატარდა მევენახეობის აღდგენა-განვითარებისათვის, რასაც დიდი მნი-
შვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის.

56 იქვე.

(წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



ლევან ონიანი

საშოვარზე გასვლის საყოველთაო ხასიათი რეფორმის- მეჩინდელი პერიოდის სვანეთში

საშოვარზე გასვლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მართალია მან კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით სისტემატური ხასიათი მიიღო (იგი რეფორმისმერმინდელ საქართველოში ჩვეულებრივი, საყოველთაო მოვლენა გახდა), მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავდაპირველი საფუძველი, რადგან ეს ფაქტი ცნობილი იყო კაპიტალიზმამდელ ეპოქებშიაც, სადაც იგი, არაბეჭდულად, შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ფეოდალური ურთიერთობების პირობებში სოფლად ფულის შოვნის უკიდურესი სიძნელე იწვევდა უპირატესად მცირემიწიან და „ზედმეტი“ მუშახელიანი გლეხის ოჯახიდან თავისი წყვრის საშოვარზე იძულებითი გასვლის აუცილებლობას. ასეთი გზით ნაშოვნი ფულით გლეხის ოჯახი ისტუმრებდა გადასახადებს, იძენდა მეურნეობისათვის საჭირო ზოგადი აუცილებელი ინვენტარს.

საშოვარზე გასვლის განვითარების ძირითადი და თავდაპირველი მიზეზი მაინც მცირემიწიანობა და მის შედეგად გამოწვეული „ზედმეტი“ მუშახელის გაჩენა იყო, თუმცა მთელ საქართველოში, შეიძლება ითქვას, თვით სვანეთშიც კი, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწის ფართობი უფრო მეტი იყო ვიდრე ეს, არსებულ ტექნიკურ პირობებში იყო აუცილებელი მოსახლეობისათვის. ყოველივე ამას კი იწვევდა მიწის დანაწილების ხასიათი; მიწათმოვლობის წოდებრივობა, რაც, თავის მხრივ, უშუალო მიწის მუშას მცირემიწიანად აქცევდა და მიწის ნაკლებობას ბადებდა. მკაცრ ბუნებრივ პირობებთან ერთად მცირემიწიანობა სასტიკ ვაგლენას ახდენდა სვანეთის მოსახლეობაზე. მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელი პირობები აიძულებდა სვან მოსახლეობას სისტემატურად გასულიყო გარე საშოვარზე და ნაშოვნი ფულით შეეძინა პური, მარილი და სხვა პროდუქტები, რომლებიც სვანეთში ან სულ არ მოიპოვებოდა (მარილი) ანდა მცირე რაოდენობით იწარმოებოდა (მარცვლეული).

საშოვარზე გასვლა სვანეთში ადრინდნვე ყოფილა განვითარებული, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს სვანებსა და თავად ჭაფარიძეებს შორის 1413¹ წელს დადებული სასისხლო წიგნი², სადაც ნათქვამია: „... დაგვიწყეთ მტრობა

1 იხ. დ. დავითულიანი, მეფე ალექსანდრე დიდის ერთი განაჩენი თავისუფალი სვანეთის შესახებ, ტურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1971, I, გვ. 71.

2 მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, ფეოდალურ დამოკიდებლობასთან დაკავშირებით, სვანეთის კავშირურობისათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან შესუსტდა. ამას დაერთო ე. წ. „თავისუფალი“ სვანეთში შემავლელთა ძალაუფლების დამსხვრევა.

საერთო აშლილობით ისარგებლეს რაჰის თავადებმა (ჭაფარიძეებმა) და მონიღომეს სვანეთის კვლავ დაუმეგობრეს. ისინი ყოველგვარი საბაზის გარეშე გზებს უკრავდნენ საშოვარზე მიმავალ სვანებს, რის გამოც ამ უკანასკნელთ შემოაკვდათ (1406) ჭაფარიძეთა ორი წარმომადგენელი. საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლმა მეფე ალექსანდრემ მკვლელობის ამ აქტს



თქვენ ჭაფარიძემან სარგის და აღარ გაგუიშვით საქამაგიროდ, აღარც რაჰას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგუიშვით“.

ტექსტში სხვა ადგილზე ვკითხულობთ: „... ვერსაით საქამაგიროდ ვერ გაგეპარენით; ... ვერც კახეთისაკენ ვიშოვთ საქამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ...“³. წყაროდან ირკვევა, რომ სვანები საშოვარზე გადიოდნენ, როგორც დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო, გურია), ისე აღმოსავლეთ (კახეთი, ქართლი) და სამხრეთ საქართველოშიაც (სამცხე), აგრეთვე — ჩრდილოეთ კავკასიაშიც (დვალეთი).

საშოვარზე გასულ სვანებს თან მიჰქონდათ „საუპურო“ („... რაც საუპურო გუახლდა გავჰყიდეთ...“), უმთავრესად შინამრეწველური წარმოების საქონელი, რასაც ისინი გაყიდდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო პროდუქტებზე. პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ საშოვარზე გასვლა „... ცხადია, მთასა და ბარს შორის გაცვლის, შრომის დანაწილების სახითაც წარმოგვედგება და სრულიადაც არ არის სპეციფიკურად მე-19—20 სს., ე. ი. კაპიტალისტურ ურთიერთ-

განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა, რაც, ცხადია, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საერთო პოლიტიკით იყო ნაკარნახევი. „თავისუფალი“ სვანეთის პირისპირ სამეფო ხელისუფლება აღმოჩნდა, რომელმაც მას საქართველოს ისტორიაში არსებულ, მძიმე განაჩენი გამოუტანა. განაჩენის ძალით მეფემ ჭაფარიძეებს კვლავ დაუყვება „თავისუფალი“ სვანეთის მოსახლეობის 400 კომლი.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თავისუფალ“ სვანეთში ადრეც არსებობდა ბატონყმური ურთიერთობა და აღნიშნული აქტი მართლაც მათი კვლავ დაყვევების პროცესი იყო (ახლა უკვე თავად ჭაფარიძეების მიერ) ადასტურებს სასისხლო წიგნში ჩამოთვლილ (სისხლის ფასში მიცემულ) ადგილთა და კომლითა დასახელებაში „აზნაურთა“ მოხსენიება: „...ამის გარეთ იქვე ხიდურას ერთი აზნაურიშვილი... მისით ციხითა თორმეტი კუამლი კაცითა... და ღებს (ს. შაკალათის აზრით დღევანდელი მთის რაჰის ტერიტორიაზე — ლეხი, ჭიორა — სვანური მოსახლეობა იყო გავრცელებული და კავკასიონის მთელი ეს კუთხე მე-15 საუკუნეში სვანეთს ეკუთვნოდა — იხ. ს. შაკალათი, მთა რაჰა, 1930, გვ. 9) თრი აზნაური... მისით ციხითა სამოცდათორმეტი კუამლი კაცითა... (იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941, გვ. 131). როგორც ჩანს, წყაროში „აზნაურები“ ციხეთა და კომლითა (კაცთა) „მფლობელებად“ არიან მოხსენიებული და არა ყმათა, რაც იმას ადასტურებს, რომ მათთან მოსახლეობას უკვე ამ დროისათვის სიმბოლურად გამოხატული ვალდებულებითი ურთიერთობები აკავშირებდათ მხოლოდ.

აღუქსანდრე ღიდის განაჩენი, ცხადია, არ შეესაბამებოდა იმდროინდელ სამართლებრივ ნორმებს. იგი პოლიტიკური ღონისძიება უფრო იყო, ვიდრე სამართლებრივი აქტი, ხოლო შიშველი საბრალდებულო აქტით „დაყმევებული“ მოსახლეობა აუჭანყდა ჭაფარიძეებს და კვლავ დაიბრუნა „თავისუფლება“. ისინი აიყარნენ განაჩენის ძალით ჭაფარიძეებისათვის გადაცემული ტერიტორიები და ნაწილი ბაღს ზემო სვანეთში გადასახლდა, ნაწილი კი — ლაშხეთ-ჩოლურში, რაც იმ დროისათვის „თავისუფალი“ სვანეთის საზღვრებში შედიოდა. ბაღს ზემო ნაწილში გადასახლებულმა მოსახლეობამ შეინარჩუნა „თავისუფლება“, ხოლო ლაშხეთ-ჩოლურში გადასახლებულნი კი, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ქვეყნის ამ ნაწილის „თავისუფალი“ სვანეთის საზღვრებიდან დაღიანების მიერ ძალდატანებით გამოყოფის გამო გელოვანებაში და გარდაფხაძეებმა დაიყმევეს.

ამდენად, მოცემულ დოკუმენტადან ირკვევა, რომ სვანები უკვე მე-15 საუკუნეში და, ცხადია, უფრო ადრეც გადიოდნენ ვარე საშოვარზე. მაგრამ ამ დოკუმენტის მთავარი აზრი მაინც სულ სხვაა. იგი სასისხლო წიგნია, სადაც, როგორც პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, „სისხლისათვის ბრძოლა საბაბია, ფეოდალთა კავშირი სვანთა მთებში ჩაყვრისათვის ამოჭრავებული ძალაა: ეს ძალა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ამ ეტაპზე, კანონია (იგი სიგელის სახით უაღიბებდა); ხოლო ამ კანონის აზრი და მიზანი თავდათავან თავისუფალი თემების დაყმევება“ (იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბ., 1956, გვ. 780).

³ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941, გვ. 131—132.

ბათა დამახასიათებელი რამ. ამ დროიდან მან მხოლოდ უფრო საყოველთაო, სისტემატური და მშვიდობიანი ურთიერთობის ხასიათი მიიღო. ცხადია, თვით საშოვარზე გასვლა, რეფორმისმერმინდელ პერიოდში, სავსებით ჩვეულებრივი, საყოველთაო მოვლენა გახდა და სულ უფრო ვითარდებოდა არა მხოლოდ მთებში, არამედ ამიერკავკასიის თითქმის ყველა კუთხეში, კერძოდ ბარშიაც, სადაც ახალ წარმოებრივ ურთიერთობათა შესაბამისად. სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ადგილმამულის გადანაწილების პროცესი⁴.

იმის შესაბამისად, თუ რა სახის დროებით სამუშაოზე (სარეწხე) მიდის მუშა — მრეწველობის დარგებში, მიმოქცევის სფეროში (საერთოდ ქალაქში) თუ მიწათმოქმედების (საერთოდ სოფლის მეურნეობის) დარგებში — საშოვარზე გასვლის ორი სახე არსებობს: მიწათმოქმედური (სოფლისმეურნეობრივი) და არამიწათმოქმედური (მრეწველური).

რეფორმისმერმინდელ პერიოდში საქართველოს მთის მოსახლეობა გარე საშოვარზე გადის როგორც სოფლად, ასევე ქალაქადაც. კაპიტალიზმის განვითარება იწვევს არამიწათმოქმედურ სამუშაოზე გამსვლელთა რიცხვის ზრდას; ამასთან ერთად, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით, იზრდება სოფლისმეურნეობრივ (მიწათმოქმედურ) სამუშაოზე გასულ მუშათა რაოდენობაც, იზრდება დაქირავებული შრომის გამოყენება სოფლად. აღნიშნული პროცესის ნათლად წარმოსადგენად ნაკლებად მოგვეპოვება სტატისტიკური მონაცემები, მაგრამ დამკვირვებელთა და არსებული წყაროების დამოწმებით დასტურდება, რომ რეფორმისმერმინდელ სენათში სწრაფად იზრდება სოფლისმეურნეობრივ სამუშაოზე გამსვლელ მუშათა რიცხვი და ადგილი აქვს ამ უკანასკნელის ზრდას ქალაქადაც.

სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი სამუშაოთა სეზონურობა აღრიდანვე ქმნიდა აუცილებელ პირობებს მუშების გარედან შოზიდვისათვის. სოფლის მეურნეობის სამუშაოთა პიკური პერიოდები იწვევდა მუშახელის ნაკლებობას. საქართველოს მთიანი რაიონები ამ დროს გამუდმებით აწვდიდნენ მუშახელს ბარის რაიონებს.

რეფორმისმერმინდელ პერიოდში, საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, სენათის შრომისუნარიანი მოსახლეობის გარე საშოვარზე გასვლა საყოველთაო ხასიათს ღებულობს. საშოვარზე გასულნი მუშაობდნენ ძირითადად სოფლისმეურნეობრივ სამუშაოებზე (ხე-ტყის დამზადება, სამშენებლო მასალის დახერხვა, ტყის გაჩეხვა სახნავი მიწის შემომატების მიზნით, ბღებისა და ვენახების ბარვა, თხრილების გაჭრა და სხვა). აღსანიშნავია, რომ სენანები მუშაობდნენ კეთილსინდისიერად და მონდომებით, რის გამოც მათ ყველა სიამოვნებით ქირაობდა. ლეჩხუმის მაზრის სავადასახადო ინსპექტორის 1900 წლის ანგარიშგებაში მაზრის მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ სენანები განთქმულნი არიან როგორც მთიანეები და ყოველგვარი მეურნე სიამოვნებით ქირაობს მათ დარწმუნებული იმაში, რომ ისინი ყველას სჯობდნენ ამ საქმეში⁵.

სენანები გარე საშოვარზე გადიოდნენ ოქტომბრის ბოლოს და შინ ბრუნდებოდნენ აპრილში, სავაზაფხულო სამუშაოების დაწყების დროს; ხშირი იყო შემთხვევა, როცა მთელი წლითაც რჩებოდნენ გარე საშოვარზე. სენანი მოსახ-

⁴ პ. გუგუშვილი, საქ. და ამიერკავკ. ეკონ. განვით. XIX—XX სს., გვ. 779—780.

⁵ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 541, лл. 221—222.

ლეობა გარე საშოვარზე ზაფხულობითაც გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და უფრო შორსაც. იმავე საგადასახადო ინსპექტორის ცნობით ვგებულობთ, რომ სათიბად და მოსავლის ასაღებად სვანები გადიოდნენ პიატიგორსკში, სტავროპოლის გუბერნიაში და ა. შ.⁶

აღსანიშნავია, რომ ბატონყმობის გაუქმებამდეც კი მუშახელის გარედან მოზიდვას ცაროზმის მოხელეებიც ეწეოდნენ, რომლებმაც მეფის მთავრობის წინაშე რალაც დამსახურებისათვის ხელში ჩაიგდეს მსხვილი მამულები, მაგრამ არ გააჩნდათ ან ცოტა ყავდათ ყმები. სწორედ ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ბურჟუაზიული მეწარმეების ინტერესით შეპყრობილი ადამიანები რომლებიც იაფი მუშახელის გამოყენებით კაპიტალისტური ფერმების მოწყობას ცდილობდნენ.

რეფორმისმერმინდელ პერიოდში, ახალი ურთიერთობების განვითარებამ ადგილობრივ მემამულეთა მეურნეობებში მუშახელის ნაკლებობა გამოიწვია. ამიტომ, ცხადია, ისინიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი მუშების გარედან მოზიდვით; მათ მართლაც მოახერხეს მუშახელით თავისი მეურნეობების უზრუნველყოფა შრომამიგების გვერდით დაქირავების კაბალური ფორმების გამოყენების მეოხებით, რაც საბოლოო ანგარიშით ასპარეზიდან სდევნიდა ყმური შრომის გამოყენებას, ზრდიდა მოთხოვნილებას სოფლად თავისუფლად დაქირავებულ მუშებზე და აფართოებდა დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბს. აღნიშნული პროცესის განვითარებას ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობაში თავისუფლად დაქირავებული მუშის ხელფასის დაბალი დონე, რაც გლეხობის ღირებულების უკიდურესი გაღრმავების შედეგად სოფლის პროლეტარიატის რიცხვის სწრაფი ზრდით იყო ნაკარნახევი.

ცხადია, ასეთი ვითარება სასტიკად აჩანავებდა საშოვარზე გასულ სვან გლეხს, რადგან მათი დაქირავება შეიძლებოდა 2—3-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული გლეხებისა. ლეჩხუმის მაზრის საგადასახადო ინსპექტორის ცნობით სვან მუშას, თვით ისეთი მძიმე სამუშაოს შესრულებისათვისაც კი, როგორცაა ეზოს გალავნის აგება, 15—20 კაპიკს უზღიდნენ დღიურად (კვების გარეშე). სვანი მუშის წლიური ხელფასი საშუალოდ 40—80 მანეთამდე აღწევდა⁷.

უურნალ „კვალის“ კორესპონდენტის ცნობით, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის გარე საშოვარზე გასული სვანი გლეხი, მიუხედავად გამუდმებული შრომისა, ვერას აწყობდა რა, პირიქით, უფრო ლატაკდებოდა, ძალა ელეოდა და სუსტდებოდა ისე, რომ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არც კი ფიქრობდა⁸. იგივე კორესპონდენტი გვაცხობინებს, რომ 1899 წელს გარე საშოვარზე გასული სვანი გლეხი „6 თვის შემდეგ ბრუნდება ისევ თავის სახლში ერთი ან ორი თუმნით, რომელსაც ან შევასზე წაიღებს ნასესხებ ფულების სარგებელში (აქ პროცენტი თუმანზე 10 შაურია თვეში), ან რომელიმე ჩარჩი ვაჭარი“⁹.

ბატონყმური ურთიერთობა ხელს უშლიდა გარე საშოვარზე გასვლის განვითარებას. ეს მაშინ, როცა ყველგან იგრძნობოდა მუშახელის სიმცირე. მაგრამ საშოვარზე გასვლის თავდაპირველი (ძირითადი) მიზეზი, ეკონომიკური გაჭირ-

⁶ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 541, лл. 221—222.

⁷ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 541, лл. 221—222.

⁸ „კვალი“, „სადადეშქელიანო სვანეთის ამბები“, № 41, 1900.

⁹ „კვალი“, „ზეშო სვანეთის ვითარება“, № 19, 1899.

ვება და ამასთან ერთად ახალი ურთიერთობების განვითარება, მაინც ფართო გასაქანს აძლევდა თავისუფალ დაჭირავებას სოფლად. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე თუ გვიან იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მამაპაპათა საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი და შორეულ თუ ახლობელ რაიონებში გადახვეწილიყო ჯერ, როგორც წესი დროებით საშოვარზე გასვლის სახით, ხოლო შემდეგ სამუდამოდაც. ეს პროცესი მით უფრო ღრმავდებოდა, რაც უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობები, რაც მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იწვევდა მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირებას არამიწათმოქმედი მოსახლეობასთან შედარებით¹⁰.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ზემო სვანეთში 1910 წლისათვის 1487 კომლი ცხოვრობდა, რომელთა სარგებლობაშიც იყო 2400 დესეტინა სახმარი მიწა, ე. ი. კომლზე საშუალოდ მოდიოდა 1,6 დესეტინა. ცხადია სხვადასხვა კომლთა საკუთრებაში მყოფი მიწის ოდენობაში არსებობდა მკვეთრი განსხვავება, რაც იმავე წლის მონაცემების მიხედვით 0,94 დესეტინიდან 2,4 დესეტინამდე მერყეობდა, მაშინ, როდესაც სვანეთში ოჯახის წევრთა საშუალო რიცხოვნობა ამ დროისათვის 8 სულს შეადგენდა¹¹.

მიუხედავად მცირემიწიანობისა, სვანეთში მიწათმოქმედების კულტურა ისეთ ღონეზე იდგა, რომ მოსავლიანობით იგი არ ჩამორჩებოდა თვით რუსეთის შავმიწანიდაგიან რაიონებს¹². კ. ნიკოლაძის ცნობით 1886 წელს ზემო სვანეთში მიუღიათ 38890 ფუთი მარცვლეული, ხოლო 1887 წელს (ჭვავისა და ფეტვის მოსავლის გამოკლებით) 88895 ფუთი¹³. ს. ანსიმოვის ცნობით კი 1927 წელს ზემო სვანეთში მოუწევიათ დაახლოებით 124902 ფუთი მარცვლეული. მისივე მონაცემებით აქ ერთ დესეტინაზე სხვადასხვა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა დაახლოებით ასეთია: ხორბალი — 105 ფუთი, ქერი — 128 ფუთი, სიმინდი — 158 ფუთი, ფეტვი — 106 ფუთი, ჭვავი — 115 ფუთი, კარტოფილი — 528 ფუთი, ცერცვი — 163 ფუთი და ა. შ.¹⁴.

მიუხედავად მაღალი მოსავლიანობისა, სვანეთში მარცვლეული კულტურები ნაკლებად ხდებოდა საქონლური მიმოქცევის სფეროში. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული შეძლებული გლეხები აწარმოებდნენ მარცვლეულის გარკვეული რაოდენობით გაყიდვას ქვეყნის შიგნით (რა თქმა უნდა მის ქვეყნის გარეთ ვატანას ხელს უშლიდა სატრანსპორტო სიძნელეები), რის შეიხებითაც ისინი იძენდნენ მიწებს და აფართოებდნენ საკუთარ მეურნეობებს. ძირითადად კი სვანი მოსახლეობა, მცირემიწიანობისა და მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, თვით აწარმოებდა მარცვლეულის რეგულარულ შესყიდვას მეზობელ რაიონებში (ძირითადად ლეჩხუმში), თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სატრანსპორტო სიძნელეების გამო, ესეც არ ხერხდებოდა და საშუალო მოსავლიანობის დროსაც კი გლეხი მარცვლეულის ნაკლებობას განიცდიდა¹⁵.

კ. ნიკოლაძის ცნობით, 1886-87 წლების მონაცემების მიხედვით. ზემო სვანეთის მოსახლეობის თითოეულ კაცზე 9 ფუთი მარცვლეული მოდიოდა, როცა

¹⁰ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1954, გვ. 166.
¹¹ ЦГИАЛ, ф. 1291, оп. 131, д. 547, 1910, л. 1.
¹² С. Анисимов, Сванетия, М.-Л., 1929, стр. 70.
¹³ К. Николадзе, Сванетия, газ. «Новое обозрение», №№ 4719, 4731, 4752. 1897.
¹⁴ С. Анисимов, იქვე, გვ. 69.
¹⁵ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 541, л. 216.



რუსეთში ყოველ ჯარისკაცზე წლიურად უნდა დახარჯულიყო 22 ფუთი¹⁶. მეფისნაცვლის 1910 წლის მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ სვანეთში საშუალომოსავლიან წელიწადს ლეჩხუმიდან შემოჰქონდათ 8922 ფუთი მარცვლეული. ერთი ფუთი მარცვლეულის ღირებულება შეადგენდა 60 კაპიკს, ხოლო მისი გადაზიდვის ხარჯები ერთ მანეთამდე აღწევდა. თითოეული სვანი მოსახლე ყოველწლიურად ლეჩხუმში საშუალოდ ერთ საბალნე (6 ფუთი) მარცვლეულს ყიდულობდა, რაც მას 9,6 მანეთი უჯდებოდა. მეფისნაცვალი თავის მოხსენებით ბარათში იმასაც კი იტყობინება, რომ ზემოაღნიშნული ხარჯები გაანგარიშებულია ნორმალურ პირობებში, როდესაც მარცვლეულის შექენა შემოდგომობით ხდება: შედარებით იაფად და გადაზიდვისათვის ხელშემწყობი პირობების არსებობის დროს. მაგრამ სვანი გლეხი, იმ იმედით, რომ საკუთარი წარმოების მარცვლეულის მკაცრი მომჭირნებით ხარჯვის მეოხებით როგორმე გაიტანდა თავს ახალი მოსავლის მოწვევამდე, არ ზრუნავს მარაგის შემოდგომით შევსებაზე; მაგრამ, ხდება ისე, რომ უკვე შუა ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე მის ოჯახში თითქმის აღარა რჩება მარცვლეული და იგი იძულებულია ორმაგი და ზოგჯერ მეტი ხარჯიც კი გაწიოს მის შესაძენად¹⁷.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, რომ სვანი გლეხი დამატებითი მარცვლეულის შექენისათვის საჭირო არც თუ მცირე ფულად სახსარს ძირითადად გარე საშოვარზე გასვლით შოულობდა და გარედანვე შემოჰქონდა მარცვლეული პროდუქტები ქვეყნის შიგნით ამ უკანასკნელის ნაკლებობით გამოწვეული მისი საქონლური ხასიათის შეზღუდულობის გამო, რაც სვანეთში უკიდურესი მცირემიწიანობით იყო გამოწვეული.

უკიდურესი მცირემიწიანობა ხელს უწყობდა სვანეთში კაპიტალისტური ტიპის წვრილი სარეწების წარმოქმნას, რომლებიც, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების მეოხებით, თვით აწარმოებდნენ დაჭირავებული შრომის ექსპლოატაციას. რა თქმა უნდა სვანეთში ასეთი ტიპის სარეწები იშვიათობას წარმოადგენდნენ. ესენი ძირითადად წვრილი ხელოსნური საწარმოებია (სამშქედლო, დურგლის სახელოსნო და სხვა), რომლებიც მისი მფლობელის შემოსავლის მნიშვნელოვან და ზოგჯერ ძირითად წყაროსაც კი წარმოადგენდნენ.

როგორც ცნობილია, ხელოსნობა ძირითადად ორი ფორმით წარმოგვიდგება: 1. ხელოსანი მუშაობს სახელოსნოში; 2. ხელოსანი დადის კარდაკარ. სვან ხელოსნებს ადგილზეც ქონდათ წვრილი ხელოსნური სარეწები (სამშქედლო, დურგლის სახელოსნო), მაგრამ მინც ჰქონდა ადგილი მშედელ-ხელოსნისა და ძირითადად დურგალ-ხელოსნის საშოვარზე გასვლის ფაქტებს (კარდაკარ სიარულს).

რეფორმისმერმინდელ პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, იზრდება დაჭირავებულ სვან მუშათა რიცხვი და მათი დაჭირავების ხანგრძლივობა. მცირემიწიანობა, მიწის მაღალი საიჯარო ჭირა, საქონლურ-ფულადი ურთიერთობების ნაკლებად ხელსაყრელი პირობების არსებობა და, რაც მთავარია, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შემოჭრა (სავაჭრო და მევახშური კაპიტალის მოქმედების გაფართოება, რომლის წინაშეც დავალიანება და სარგებელი მძიმე ტვირთად აწვა სვან გლეხობას), სვანი მოსახლეობის გარე საშოვარზე გასვლას საყოველთაო ხასიათს აძლევდა.

¹⁶ К. Николадзе, Сванетия, газ. „Новое обозрение“, №№ 4719, 4731, 4752, 1897 г.

¹⁷ ЦГИАЛ, ф. 1291, оп. 131, д. 547, лл. 1—2.

ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში (1908 წ.) ნათქვამია, რომ სვანეთიდან თითქმის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცა გადიოდა გარე საშოვარზე¹⁸. ე. კალვეიტი აღნიშნავს, რომ გარე საშოვარზე გასვლა სვანებისათვის რამდენადმე არსებითი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. სვანები, როგორც საერთოდ მთიელები, საშოვარზე გადიოდნენ (ბარში ჩადიოდნენ) უმთავრესად ავეისტო-ოქტომბერში და ბრუნდებოდნენ საახალწლოდ ანდა სააღდგომოდ მაინც¹⁹. ერთი შეხედვით, ე. კალვეიტის ასეთი განცხადება შეიძლება გადაჭარბებულად მივიჩნიოთ, მაგრამ საქმის არსს თუ ჩაუყვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით მის სისწორეში, რადგანაც სვან გლეხობას, განსაკუთრებით რეფორმისმერმინდელ ხანაში, თითქმის მართლაც არ შეეძლო არსებობა გარე საშოვარზე გასვლის გარეშე. ალ. წულუკიძე 1903 წელს წერდა: „ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ ამოძრავა ეკონომიურმა სიფიწროვებმ ჩვენებური გლეხები: სვანი. რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მოედინებიან ქალაქებისაკენ და ადვილს დაეძებენ“²⁰.

აღსანიშნავია, რომ რეფორმისმერმინდელ ხანაში გარე საშოვარზე სვანეთიდან გალატაკებული წვრილი აზნაურები და შეძლებული (კულაკი) გლეხებიც გადიოდნენ, რაც, ცხადია, საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განვითარების შედეგი იყო. — საშოვარზე გასვლა მასობრივ ხასიათს ღებულობდა განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, რაც უკიდურესად აუძლურებდა წვრილ გლეხობას, აღრმავებდა და აძლიერებდა გალატაკებული გლეხობის საშოვარზე ლტოლვას; მაგრამ სოფლად გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი რეფორმისმერმინდელ პერიოდში ისე გაღრმავდა, რომ ჩვეულებრივ პირობებშიც კი, საშოვარზე გასვლის გარეშე გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეეძლო არსებობა.

მიუხედავად მიწათმოქმედების მაღალი კულტურისა, სვანეთში მოუსავლიანობა არაიშვიათი იყო: გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა, ქარები, ადრეულ აციკება, ნათესების დაავადება და მოსავლის მავნებლების (დათვების) მომრავლება არა ქმნიდა ნორმალური მოსავლის მიღების გარანტიას. იმპერიის ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის ცნობით, 1878 წლიდან დაწყებულმა განმეორებადმა მოუსავლიანობამ, სვანეთის მოსახლეობა სრულ დაბეჩავებამდე მიიყვანა. 1882 წლის მოუსავლიანობამ გამოიწვია სვანებისათვის 14000 მანეთის დახმარების განკარგულების გაცემის აუცილებლობა²¹. ი. პანტიუხოვის ცნობით, მოუსავლიან წლებში ზოგიერთი სვანი თითქმის თვეობით არ ქამს პურს და ძირითადად რძის პროდუქტებით და ხორცით იკვებება²².

1910 წლის მოუსავლიანობამ სვანეთში სასურსათო კრიზისი გამოიწვია. მეფისნაცვალმა იმპერიის მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი ზემო სვანეთში სასურსათო მალაზიის დაარსების თაობაზე, სადაც მოსახლეობა სურათს შეიძენდა დასამზადებელ ფაქებში, განვადებით და სხვა შეღავათებით. მეფისნაცვლის განგარიშებით. მთავრობას საამისოდ (მარცვლეულის შესასყიდად და სვანეთში გადასაზიდად) უნდა გაეღო 10 000 მანეთი: იგი მოითხოვდა მთავრობისაგან

¹⁸ Обзор Кутаисской губернии за 1908 г., стр. 61.

¹⁹ Э. Кальвент, „Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, Тиф., 1911, стр. 61—63.

²⁰ ალ. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 116.

²¹ ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 188, д. 4409, 1884, л. 103.

²² И. И. Пантюхов, Население Кутаисской губернии, СПб., 1892, стр. 28.



აღნიშნული თანხის დახმარების სახით გაცემას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფისნაცვალის შუამდგომლობდა, რომ იმპერიის ხელისუფლებას ნება დაერთო მისთვის აღნიშნული თანხის სესხის სახით გაცემაზე, იმ პირობით, რომ კავკასიის ადმინისტრაცია მას დაფარავდა ამიერკავკასიაში აკრეფილი საერთო გადასახადების თანხიდან 3 წლის ვადაში. მეფისნაცვლის ეს უკანასკნელი მოთხოვნა იმპერიის მთავრობამ დააკმაყოფილა 1910 წლის ოქტომბერში²³. რა თქმა უნდა ასეთი ვითარება სავარძლობლად ზრდიდა სვანეთიდან გარე საშოვარზე გასულთა რიცხვს.

ლენჩუმის მაზრის საგადასახადო ინსპექტორის 1900 წლის ანგარიშგებაში მაზრის მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ ზემო სვანეთში 1898-99 წლებში გარე საშოვარზე გასულთა რიცხვის ზრდა გამოიწვია ზედიზედ სამი წლის მოუსავლიანობამ; ლენჩუმი კი სადაც მოსაუვალი გაცილებით უკეთესია და არ განიცდის მსგავს მერყეობას, გაცილებით ნაკლებ მუშახელს უშვებს, ვიდრე სვანეთი. ამასთან, საგადასახადო ინსპექტორი მოუთითებს ლენჩუმის მაზრაში საშოვარზე გასულთა რიცხვის ზრდასაც და აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობა თუმცა მაზრის მეურნეობის ძირითად დარგებს წარმოადგენენ, მაგრამ ისინი მხოლოდ საარსებო საშუალებებს თუ იძლევიან. აუცილებელი ფულადი სახსრების მისაღებად, რაც ესოდენ საჭიროა გადასახადთა დასაფარავად და სხვა გადაუღებელი საჭიროებისათვის, ლენჩუმის მაზრის მცხოვრებლები უკანასკნელ ხანს ფართოდ მიმართავენ საშოვარზე გასვლას, რაც ფულის შოვნის ყველაზე მარტივი საშუალებაა. ლენჩუმის მაზრიდან გარე სამუშაოზე გამსვლელ მუშათა ყველაზე დიდ კონტიგენტს სვანეთი გამოყოფდა. ლენჩუმის მაზრის მიმომხილველი გვატყობინებს, რომ სვანეთიდან, სადაც თითოეული კომლი ფლობს 2—2,5 დესეტინა მიწას, გაცილებით მეტი ვადიოდა გარე საშოვარზე, ვიდრე ლენჩუმიდან, სადაც მიწის მფლობელობა კომლზე 4—5 დესეტინაა²⁴. როგორც ჩანს, მეფის მოხელეები საშოვარზე გასულთა რიცხვის ზრდას ძირითადად მცირემიწიანობითა და მოსავლიანობის მერყეობით ხსნიან, თუმცა მათივე ანგარიშგებებიდან ირკვევა, რომ საშოვარზე გასვლის ასეთი ზრდა და ხელფასის განაკვეთის აწევა სხვათა შორის აიხსნება საშოვარზე გამსვლელთა შრომაზე მოთხოვნის ზრდით იმ ადგილებში საითაც ისინი მიედინებოდა²⁵.

ლენჩუმის მაზრის საგადასახადო ინსპექტორი ქუთაისის სახანონო პალატისადმი გაგზავნილ 1899 წლის ანგარიშგებაში თავისებურად აყალიბებს გარე საშოვარზე გასვლის ზრდის გამოიწვევ ფაქტორებს. იგი აღნიშნავს, რომ ასეთ ფაქტორებად გვევლინება: მცირემიწიანობა, მიწის მალალი სააჯარო ქირა, მიწათმოქმედების პროდუქტების გასაღების არასწორი ორგანიზაცია, მოსახლეობის ზრდა, რაც იწვევს არა მარტო უღარიბესი გლეხური მოსახლეობის, არამედ პრივილეგიური წოდების გასვლასაც კი გარე საშოვარზე²⁶. როგორც ვხედავთ, მეფის მოხელეებიც კარგად გრძობდნენ ვითარების შეცვლას. მართალია, მეფის მოხელეები არ იყვნენ დანტერესებულნი ახალი ვითარების

²³ ЦГИАЛ, ф. 1291, оп. 131, д. 547, 1910, лл. 1—4.
²⁴ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 541, л. 221.
²⁵ იქვე.
²⁶ იქვე, д. 540, лл. 45—46.

კვლევა-ძიებით, მაგრამ, როგორც ჩანს ისინიც ვერ აუვლიდნენ გვერდს უკვე აშკარა სინამდვილეს.

1899 წელს ქურნალ „კვალის“ კორესპონდენტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „დადგება თუ არა ოქტომბერი, სვანეთში აღარაფერ რჩება, ვისაც მუშაობა შეუძლია მიესწრაფება სამეგრელოში, იმერეთ-გურიაში და სხვაგან ფულის მოსაგებად“²⁷.

ქურნ. „კვალის“ იგივე კორესპონდენტი 1899 წელს აღნიშნავდა, რომ ადრე „თუ სვანი ისე მოკვდებოდა, რომ ლეჩხუმსაც კი ვერ იხილავდა, დღეს მას დასვლეთ საქართველოს რომელ სოფელში ვერ შეხვდებით თოხითა და ნიჩბით შეიარაღებულს და თვალგაფაციცებით სამუშაოს მაძიებელს“. ლეჩხუმის მახროს სავადასახადო ინსპექტორი 1899 წელს გუბერნიის ხელმძღვანელებს ატყობინებდა, რომ გარე საშოვარზე გამსვლელთა რიცხვი არა თუ კლებულობდა. არამედ შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია, ხელფასის აწევით; ხოლო უქანასკნელ წლებში გასულთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა²⁸.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1900 წლისათვის სვანეთის ბოქაულს მხოლოდ ზემო სვანეთში მცხოვრები გლეხებისათვის 1645 პასპორტი გაუცია. ამ დროისათვის კი ზემო სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 11896 სულს, ხოლო აქედან მამაკაცთა რიცხვი 6000 იყო²⁹. ბუნებრივია, რომ ზემო სვანეთში მცხოვრები მამრობითი სქესის ამ 6000 სულიდან ბევრი შრომისუნარ-მოკლებული (მოხუცი და ბავშვი) იქნებოდა. ამას გარდა, საფიქრებელია, რომ საშოვარზე გასულთა რიცხვი მხოლოდ გაცემული პასპორტებით არ განისაზღვრებოდა. საშოვარზე გადიოდნენ აგრეთვე დროებითი მოწმობებითაც, რადგანაც სოფლის საზოგადოებათა მამასახლისები, პასპორტის ბლანკების უქონლობის გამო, ასეთ მოწმობებსაც გასცემდნენ ხოლმე.

ცხადია საშოვარზე გასულთა რიცხვის ასეთი ზრდა გამოიწვია რეფორმის-მერმინდელ პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ-მა ღრმა ცვლილებებმა, რამაც ამ დროისათვის ფართოდ მოიკიდა ფეხი მეურ-ნეობის თითქმის ყველა დარგში. სოფლის პროლეტარიატის მკვეთრი ზრდა, რომელიც ქალაქის პროლეტარიატის რიგებს ავსებდა და ქვეყნის მრეწველური განვითარების აღმავლობა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ფართოდ უკაფავდა გზას საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას. საქარ-თველოში კაპიტალიზმის სწრაფმა აღმავლობამ გაზარდა მოთხოვნა თავისუფ-ლად დაქირავებულ მუშახელზე, რასაც მნიშვნელოვნად აკმაყოფილებდა დასაუ-ლეთ საქართველოს, მეტადრე მისი განაპირა კუთხეების მცირემიწიანი და უმი-წო გლეხობა, რომელიც სოფლად სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის უკიდურესი გაღრმავების გამო საჭირო მუშახელს აწვდიდა მიწათმოქმედებაში კაპიტალისტურად მოწყობილ მეურნეობებსა და მზარდ მრეწველურ ცენტრებს. უნდა ითქვას, რომ სვანები საერთოდ ცნობილი იყვნენ როგორც სოფლის-მეურნეობრივ სამუშაოთა უბადლო შემსრულებლები. ამდენად საშოვარზე გა-სული სვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამიწათმოქმედო რაიონებში იყო დასაქმებული. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავდა გარე საშოვარზე გა-

²⁷ „კვალი“, „ზემო სვანეთის ვითარება“, № 9, 1899.

²⁸ ЦГИАЛ, ფ. 573, ოპ. 25, დ. 540, პ. 45.

²⁹ ЦГИАЛ, ფ. 1291, ოპ. 131, დ. 547, 1910, პ. 2.

სული სვანი მოსახლეობის საქართველოს მრეწველურ რაიონებში დასაქმების შესაძლებლობას.

ვეფქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ სვანეთი მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისათვის ისეთ რაიონად გვევლინება, რომელიც მიწათმოქმედებაში (ნაწილობრივ — მეურნეობის სხვა დარგებშიც) დასაქმებული თავისუფლად დაქირავებული მუშახელის მნიშვნელოვან კონტინენტს გამოპყოფდა; ხოლო, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, დაქირავებული შრომის გამოყენება სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მთავარი გამოხატულება იყო³⁰.

რეფორმისმერმინდელი პერიოდის საქართველოში გარე საშოვარზე გასულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მათი ნაწილი სამუშაოს სამიწათმოქმედო რაიონებში პოულობდა, ხოლო ნაწილი კი ქალაქს მიმართავდა დროებითი სამუშაოსათვის, სადაც ისინი, ადრე თუ გვიან, ნამდვილ მრეწველურ (ინდუსტრიულ) მუშებად იქცეოდნენ. კითხვაზე, თუ რა აიძულებდა გლეხს დაეტოვებინა მამა-პაპური სახლ-კარი და მიემართა ქალაქისათვის, ი. ბ. სტალინი უპასუხებდა: „შიმშილის შიში, უმუშევრობა, ის გარემოება, რომ სოფელი მისთვის წარმოადგენდა დედინაცვალს, და იგი მზად იყო გაქცეულიყო იქედან, თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ რამე სამუშაო მიეღო“³¹.

საშოვარზე გასულთა რიცხვი, მათი ცხოვრების პირობების სიმძიმის მიუხედავად, რეფორმისმერმინდელ ხანაში სულ უფრო იზრდებოდა. ისინი ხშირად ღამეს ღია ცის ქვეშ ათევდნენ, მუშაობდნენ ყოველგვარ ამინდში თავდაუზოგავად და ცუდი კვების პირობებში.

ქალაქში პირველად მოხვედრილი სოფელი მუშა (მით უფრო — სვანი გლეხი), გარდა ჩვეულებრივი სიძნელეებისა, ცხადია, მის გამოუცდლობასთან დაკავშირებულ კიდევ მრავალ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდიდა. ქალაქად თუ სოფლად საშოვარზე გასული მუშა უპირატესად შემთხვევით დღიურ სამუშაოზე იყო დამოკიდებული და, რაც უფრო იზრდებოდა საშოვარზე გასულ გაპროლეტარებულ გლეხთა რიცხვი, მით უფრო მცირდებოდა მათი ხელფასი.

განსაკუთრებით მძიმე იყო საშოვარზე გასულ მოზარდთა მდგომარეობა. ქალაქური ცხოვრებისათვის სავსებით მოუმზადებელნი და გამოუცდელნი ისინი სწრაფად ითვისებდნენ ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მანკიერ ჩვევებს და განიცდიდნენ მორალურ დაკნინებას.

აღსანიშნავია, რომ უმიწოდ დარჩენილი (გაპროლეტარებული) ქუთაისის გუბერნიის გლეხთა ნაწილი იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა სამშობლო და სხვაგან გადასახლებულიყო (იმიერკავკასიაში). როგორც ცნობილია, მოსახლეობის ასეთ ემიგრაციას იწვევს მიწის სიმცირე — იმ ქვეყანაში, საიდანაც მიდიან და თავისუფალი მიწების არსებობა იქ, სადაც სახლდებიან. მართალია დასაუფლებლად საქართველოში მიწის დიდი სივიწროვე იყო, მაგრამ აქ მაინც საკმაოდ მოიძებნებოდა თავისუფალი მიწები (სოხუმის ოკრუგი, ბათუმის ოლქი), რაც ცარიზმის ადმინისტრაციამ საყოლონიზაციოდ მისცა ცენტრალური გუბერ-

³⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 265.

³¹ ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მე-4 რუსული გამოცემიდან, თბ., 1939, გვ. 416.

ნიებიდან გადმოსახლებულ გლეხობას; მაშინ, როდესაც მეზობელი ადგილობრივი მკვიდრი გლეხობა მიწის უკიდურეს სიეწროვეს განიცდიდა³².

ამრიგად, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, იმ დროს, როდესაც საჭირო იყო ამიერკავკასიელი უმიწაწყო გლეხობისათვის დასახლებელი ადგილების სხვაგან გამოძებნა, ნამდვილად, ისევე აქეთ გადმოსახლებას აწარმოებდნენ³³.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1912 წელს რაჭის მაზრიდან თერგის ოლქში მუდმივ საცხოვრებლად გადასულა 302 კაცი, მაშინ. როდესაც მთავრობას იმავე წელს ოზურგეთის მაზრაში ნადელები გამოუყვია ცენტრიდან გადმოსახლებული 122 გლეხისათვის³⁴. ცნობილია, რომ სვანი გლეხი ადვილად ვერ თმობდა მამა-პაპეულ კარმიდამოს. რეფორმამდელ პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც მას აიძულებდა მრისხანე მეზობელი, მტრობა ან სენი მიეტოვებინა სახლ-კარი და გადახვეწილიყო მეზობელ რაიონებში, სადაც იგი ხიზნურ ურთიერთობაში ექცეოდა ახალ „მფარველ“ მეზობლებთან.

ჩვენ ხელთ არა გვაქვს იმის დამადასტურებელი პირველწყაროები, რომლებიც მეტყველებდნენ რეფორმისმერმინდელ პერიოდში სვანი მოსახლეობის მიერ თავიანთი კარმიდამოს მუდმივად მიტოვების ფაქტებზე, მაგრამ სავარაუდოა, რომ საკვლევ პერიოდში აქაც ადგილი ჰქონდა დროებითვადლებულ გლეხთა მიერ ნადელების მიტოვების ფაქტებს, რაც თავისთავად მრეწველური პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესის დაწყებაზე მიუთითებს. ნადელმიტოვებული გლეხი, ამის მიუხედავად: გარე საშოვარზე გადის თუ ადგილზევე აქორავებს საკუთარ მუშაძალას, ამა თუ იმ ზომით მრეწველური პროლეტარიატის რიგებს უერთდება. სვანეთში ნადელებს გლეხები იჯარითაც ვასცემდნენ ხოლმე, რაც საშოვარზე ვასვლის სარფიანობით იყო გამოწვეული. ცენტრალური გუბერნიებიდან გლეხთა საქართველოში გადმოსახლების მიზანი ნათელია: იმპერატორი, ახორციელებდა რა საკუთარ მოსაზრებებს, საქართველოს „თავისუფალი“ მიწებზე ასაჩუქრებდა თავის ახლობლებს, რომელთა ცმიწის მუშები გარედან უნდა მოეზიდათ. მათ მხარს უზამდნენ 1905 წლის რევოლუციით დაშინებული ქართველი მემამულეებიც, რომლებიც თავის „თავისუფალ“ მიწებზე კოლონისტებს ასახლებდნენ ქართველი გლეხის რევოლუციური ამყოლობის შიშით.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სოფელში „ჭარბი“ მოსახლეობის საკმაო რაოდენობით არსებობის მიუხედავად, ზოგიერთ რაიონში მაინც იგრძნობოდა თავისუფლად დაქირავებული მუშახელის ნაკლებობა, რაც ძირითადად მასზე მოთხოვნის სეზონურობით იყო გამოწვეული (უმთავრესად მოსავლის აღების პერიოდში, რის შემდეგაც საგრძნობლად ეცემა მუშახელზე მოთხოვნა). ცხადია, მუშახელის სიმცირე სეზონური სამუშაოებისთვისაც კი, ნაკლებად იქნებოდა საგრძნობი, რომ მიწათმოქმედებაში გამოყენებული ყოფილიყო სოფლისმეურნეობრივი მანქანა-იარაღები; მაგრამ ჩამორჩენილ ტექნიკურ ბაზაზე დამყარებულ სოფელშიაც არ წარმოიქმნებოდა მუშახელის საგრძნობი ნაკლებობა, რომ არ დაწყებულიყო და მნიშვნელოვანი ზომით არ განვითარებულიყო საერთო გლეხური მეურნეობების დაშლის პროცესი

³² ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მე-19 ს. (მონოგრაფიები, ტ. 1).

³³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 100—101.

³⁴ С. Дариани, Грузия после 1905 года, Кутаиси, 1914, стр. 34.

(გლახთა დიფერენციაციის პროცესი), რის შედეგადაც, ერთი მხრივ, გაპროლეტარებული გლახობა გადიოდა სოფლიდან გარე საშოვარზე, იქცეოდა სოფლის თუ ქალაქის დაქირავებულ მუშად და, მეორე მხრივ, შექლებული გლახობა (კულაკობა) იძენდა მიწებს, ტექნიკას, აფართოებდა საკუთარ მეურნეობას, ეწეოდა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას.

ქალაქური ცხოვრებისა და მოპოვებითი მრეწველობის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვან მოთხოვნას აყენებდა მუშახელზე და ბლომად იზიდავდა სოფლის გაპროლეტარებულ გლახობას, რაც თავის მხრივ იწვევდა სოფელში თავისუფლად დაქირავებული მუშახელის „გამოლევას“. საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ისეთ ჩარჩოებში მოძრაობდა, რომ სოფლის „ჭარბი“ მოსახლეობის დენადობას მთიდან ბარში ჩვეულებრივ მოკლენად ხდიდა, ხოლო საშოვარზე გასვლას კი საყოველთაო ხასიათს აძლევდა.

მცირემიწიანობა და ბატონყმობი მეურნეობის მძლავრი გადმონაშთები (მიწის განაწილების ხასიათი, მიწათმფლობელობის წოდებრიობა) სვანეთში თავისთავად იწვევდა შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის — „ზედმეტი“ მუშახელის გაჩენას. სვანეთის მკაცრი ბუნებრივი პირობები (ხანგრძლივი ზამთარი), რაც თავის მხრივ მუშახელზე მოთხოვნის მკვეთრ სეზონურობას იწვევდა, საგრძნობლად ამოკლებდა სამუშაო პერიოდს. ეს კი, რა თქმა უნდა, სვანეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის არასრულ დასაქმებას იწვევდა; ამდენად, სვანეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა მიწათმოქმედებასა და მრეწველურ ყოფაში მომხდარ ახალ ცვლილებებს (სავაჭრო მიწათმოქმედებისა და წარმოების ფაბრიკული წესის განვითარებას), ძირითადად გარე საშოვარზე (მოსარეწელზე) გასვლითა და იქ დროებითი ან მუდმივი დასაქმებით უპასუხა, თუმცა რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში აღინიშნება, შეიძლება ითქვას, სოფლური მრეწველობის განვითარება, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „... სოფლებში მიწათმოქმედების სამუშაოთა ე. წ. პიკური პერიოდების დადგომისას თავს იჩენდა მუშახელის ნაკლებობა და, ხშირად, მწვევე ნაკლებობაც. სწორედ ამიტომ ამიერკავკასიის სოფლები, რომლებიც გამუდმებით და ბლომად ისროდნენ ქალაქებისაკენ და საერთოდ გარე საშოვარზე „ჭარბ“ მუშახელს, იმავე დროს წარმოადგენდნენ შრომის შინაგან ბაზარსაც ამიერკავკასიის სოფლების, თუ ამიერკავკასიის გარედანაც შემოსული მუშებისათვის“³⁵. მართალია, სვანეთის სოფელში ნაკლებად იჩენდა თავს მიწათმოქმედების სამუშაოთა პიკური პერიოდები და ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეული მუშახელის ნაკლებობა (იგი თვით აწვდიდა საქართველოს ბარის რაიონებს მუშახელის გარკვეულ კონტინენტს), მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი მოსავლის აღების დროს შექლებული (კულაკი) გლახების მიერ ადგილობრივ გაპროლეტარებულ გლახთა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას; ასევე, სვანეთი წარმოადგენდა შრომის შინაგან ბაზარსაც ამიერკავკასიიდან თუ თვით რუსეთის იმპერიიდან და მის გარედანაც შემოსული მუშებისათვის.

სვანეთის მდიდარი ტყეები ფართოდ იზიდავდნენ როგორც რუს, ისე უცხოელ კაპიტალისტებსაც. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ცხენისწყლის ხეობას (ქვემო სვანეთი) მოაშურეს ხე-ტყის ქარხნების მეპატრონეთა აგენტებმა, ისინი იჯარით იღებენ როგორც ხაზინის, ისე კერძო მფლობელთა ტყეებს,

³⁵ პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 800.

ჩამოკვეთ დაქირავებული მუშები, ქირობენ ადგილობრივ გაბროლქარებულ გლეხებსა და იწყებენ ხე-ტყის დაკურებას. ცხენისწყლისა და რიონის შესართავთან (სოფ. მარანი) სერებრიაკოვი მართავს ხე-ტყის სახერხ ქარხანას, რომელიც შემდეგ იტალიელ კაპიტალისტებს გადასცა. კაპიტალისტთა ხარბი თვალი ენგურის ხეობასაც მისწვდა. მე-20 საუკუნის დამდეგიდან აქ იწყება ხე-ტყის საცდელი დაკურება, დგება ენგურის ხეობის გაწმენდისა და გზის მშენებლობის პროექტები. ხაზინა ისაკუთრებს სვანეთის ტყის მასივებს და ხელშეკრულებებს დებს ხე-ტყის მრეწველებთან.

ცხადია, აღნიშნული პროცესი იმ დროს უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო, რადგან საბოლოო ანგარიშით ფართო გასაქანი ეძლეოდა კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბება-განმტკიცებას: ფეხს იკიდებდა და მკვიდრდებოდა მეწარმეობრივი იჯარა, ფართოდებოდა დაქირავების არეალი, რაც მთავარია, სვანეთი უკვე თვითონ ხდებოდა გარედან შემოსული მუშებისათვის შრომის შინაგანი ბაზარი.

აღნიშნულთან ერთად, სვანეთში ხდებოდა შინამრეწველური ტიპის სარეწების წვრილხელოსნურ, დამოუკიდებელ სარეწებად გარდაქმნის პროცესი. ცნობილია, რომ მანუფაქტურა მისი დასრულებული ფორმით ერთბაშად და ყველგან არ გაბატონებულა. მასზე ადრე და, შემდეგ მის გვერდით, ფართოდ იკაფავდა გზას ე. წ. სოფლური მრეწველობა. რამდენადაც სოფელში კაპიტალისტი არ ხდებოდა არავითარ დაბრკოლებას (აქ ვერ აღწევდა ქალაქის ამქრული ადმინისტრაციის წვრილმანი მეთვალყურეობა და თავმომაბეზრებელი რეგულამენტაცია), ფართოდ ეწეოდა სოფლის შინამრეწველთა ექსპლოატაციას. წარმოების პროცესი სოფლურ მრეწველობაში უმეტეს შემთხვევაში ბევრად არ განსხვავდებოდა ქალაქური სახელოსნოსაგან.

სოფლური შინამრეწველობის ადრინდელ ხანაში კაპიტალისტი იშვიათად თუ გვევლინება როგორც წარმოების ორგანიზატორი. იგი თავდაპირველად შუამავლის როლში გამოდის სოფლის შინამრეწველთა პროდუქციის რეალიზაციის დროს, შემდეგ კი თანდათანობით იწყებს მათი საქონლის რეგულარულად შესყიდვას და ამ უკანასკნელის უფრო ფართო ბაზარზე გასაღებას; ამდენად, ვაჭარი კაპიტალისტი შემსყიდველი ხდება, იგი სოფლის შინამრეწველს სესხად აძლევს ფულს, ნედლეულს და მასალებს მზანაწარმის წინასწარ დაწესებულ დაბალ ფასებში მისთვის მიყიდვის პირობით. ვაჭარი კაპიტალისტი თანდათანობით იქცევა ჩამომრიგებლად და სოფლის შინამრეწველებს წარმოების საშუალებებსაც კი აწვდის, რითაც თიშავს მათ წარმოებისაგან და, როგორც წარმოების საშუალებების მესაკუთრე, თვით ექცევა წარმოების სათავეში, — ვანაგებს მას.

სოფლური მრეწველობა თავისი ოპერაციების ნაწილით დაკავშირებული იყო მანუფაქტურასთან, ამქრული წარმოების გაძევებისას, იგი აყალიბებდა წვრილხელოსნურ, დამოუკიდებელ მეწარმეთა კლასს, რომლის წარმომადგენელი კაპიტალისტებად იქცეოდნენ შემდგომ. ამდენად, სოფლური მრეწველობა, შემსყიდველზე დამოკიდებული კუსტარულობის ფორმით, ისტორიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასასვლელად. პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა თავისი განვითარების დონით ბევრად არ ვასცილებია კაპიტალისტური წარმოების „მანუფაქტურულ“ სტადიას. ხელით შრომა. მარტივი კოოპერაცია, მანქანათა სპორადული გამოყენება, სოფლისმეურნეობრივ წარმოებას უმთავრესად წერილი წარ-

მოვების ხასიათს აძლევდა. თუმცა ყოველივე ეს მსოფლიო კაპიტალიზმის ორბიტაში მოქცეულ ქვეყანას, იმპერიალიზმის ეპოქაში, სრულიადაც არ უშლიდა ხელს აქ „გაფურჩქენილიყო“ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამახასიათებელი თითქმის ყოველგვარი „მშვენიერებანი“³⁶. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს „მშვენიერებანი“ მთელი თავისი ავკარგიანობით იყო „გაფურჩქენილი“ რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პირიქით, იგი ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა ბარის საქართველოს; მაგრამ, ცხადია, სწრაფად განვითარებადმა მსოფლიო კაპიტალიზმმა საქართველოს ეს განუყოფელი ნაწილიც ჩააბა თავის ფერხულში.

რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში კაპიტალისტური ტიპის წვრილი მრეწველური სარეწები ძირითადად სოფლისმეურნეობრივი წარმოების დანამატად წარმოვიდგებინა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განვითარება და საშოვარზე გასვლის საყოველთაო ხასიათი (საერთოდ კაპიტალიზმის გენეზისი მათ თანდათანობით აქცევდა ადგილობრივი და გარედან შემოსული თავისუფლად დაქირავებული მუშების დასაქმების ადგილად. სვანეთის წვრილბურჟუაზიული ტიპის გლეხური მეურნეობები და კაპიტალისტური ტიპის წვრილ მრეწველური სარეწების მეპატრონეები თავდაპირველად საკუთარი ძალებით წარმართავდნენ მეურნეობას, შემდეგ მათ თანდათანობით იწყეს დაქირავებული შრომის გამოყენება და მეურნეობათა გამსხვილება. აღნიშნული პროცესი კი სხვა არ არის რა, თუ არა „ოჯახური კოოპერაციის“ კაპიტალისტურ კოოპერაციად გადაქცევის პროცესი. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „ოჯახური კოოპერაცია“ მეურნეობის გაძლიერებას წარმოადგენს და ამრიგად იქცევა კაპიტალისტურ კოოპერაციად³⁷.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ საშოვარზე გასვლას საყოველთაო ხასიათი მისცა.

ახლა განვიხილოთ, თუ რა წილი ჰქონდა გლეხის ოჯახის ბიუჯეტში საშოვარზე გასვლის მიღებულ შემოსავალს, როგორი იყო სოფლის დაქირავებული მუშის ხელფასი.

ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში უმიწო და მცირემიწიან გლეხთა აუცილებელი პროდუქტის ნაწილიც კი მიჰქონდა მემამულეს, სახელმწიფოს, კულაკს, მევახშეს, მეღუქნეს, ეკლესიას, შემსყიდველს; გლეხი ვერსად გაექცეოდა მათ, იქნებოდა იგი დამოუკიდებელი მიწის მუშა, შინამრეწველი თუ სრული პროლეტარი. მე-19 საუკუნის დასასრულისათვისაც კი დიდი ზომით შენარჩუნებული ბატონყმური ექსპლოატაციის გადმონაშთების გარდა. სავაქრო და მევახშური კაპიტალის როლის ზრდის მეოხებით, მიმდინარეობდა გლეხობის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური ექსპლოატაცია, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევდა გლეხობის შეუწინებელ დიფერენციაციას.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში სოფლის პროლეტარიატი უკვე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ან საცხებით უმიწო ლატაკებისაგან ანდა სანადელო, საიჯარო თუ საკუთარი მიწის მეტად მცირე ნაკვეთის მქონე გლეხობისაგან, რომელიც არამეტუ დაყვანილი იყო სოფლის დაქირავებული მუშის დონემდე, არამედ, ხშირად უარეს მდგომარეო-

36 ვ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 902.

37 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 127.

ბაშიაც იმყოფებოდა. მიწის მცირე ნაჭერი, რომელიც მას გააჩნდა, მხოლოდ იმის საბაზი იყო, რომ მემამულეს, კულას, ვაჭარს, მეევანშეს, სახელმწიფოსა და ა. შ. — გამოეჭაჩა მისთვის აუცილებელი პროდუქტის დიდი ნაწილიც კი, შესაძლებლობა მისცემოდა მემამულეს მიეღო თავის მამულიდან მოგება, სარგებელი და რენტა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, წვრილი მიწათმოქმედი გლეხი, რომელმაც ამ დროისათვის უკვე შეძლო თავი დაეღწია ყმური მდგომარეობიდან, სინამდვილეში დაყვანილია სოფლის დაქირავებული მუშის დონემდე, რომელიც მინიმალურ ხელფასს ღებულობს არა მარტო მაშინ. როდესაც საშოვარზეა გასული, არამედ — მაშინაც, როდესაც თავის სანადგლო ან საკუთარ ანდა იჯარით აღებულ მიწას ამუშავენ. აღსანიშნავია, რომ მიწის იჯარის ქირა და მიწის ფასი გაცილებით ჩქარა იზრდებოდა, ვიდრე სოფლის დაქირავებული მუშის ხელფასი; ამასთანავე, ეს ხელფასი მით უფრო ეცემოდა, რაც უფრო ძვირდებოდა მისი ოჯახისათვის აუცილებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტები და, საერთოდ, საყოფაცხოვრებო პირობები.

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ სამუდამოდ გააქრო ნატურალური ევოქისათვის დამახასიათებელი გლეხური მეურნეობის თვითკმარობა. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული უკიდურესად მცირდება გლეხის თავისუფალი დროის ბიუჯეტი მოსავლის აღებისთანავე გლეხი იძულებულია წავიდეს გარე საშოვარზე, სადაც გაზაფხულამდე რჩება და სოფელში დაბრუნებულს მას ზშირად ძილის დროც არა რჩება ქანცგამოლეულს. 1900 წელს ჟურნ. „კვალის“ კორესპონდენტი მეზა ფარელი გვატყობინებს, რომ „სვანი, რომელსაც კი შრომა შეუძლია, სტუმარია თავის ოჯახში. წელიწადის სამ მეოთხედს ის მოკლებულია ოჯახის კერას: შემოდგომა-ზამთარში ის დასავლეთ საქართველოში მუშაობს ორიოდე გროშისათვის, ხოლო გაზაფხულზე კი ოსეთში“³⁸.

რეფორმისმერმინდელ პერიოდში სვანეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა მასობრივად გადის გარე საშოვარზე. დოკუმენტები მოწმობენ, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ზამთრობითაც მიდიოდნენ სამუშაოდ. ინტერესს იწვევს კალის სოფლის საზოგადოების მამასახლისის მიერ გაცემული ბილეთი, სადაც ნათქვამია, რომ ამ ბილეთის წარმომდგენს კონსტანტინე ბესის ძე ხარძიანს, მცხოვრებს ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრის სვანეთის უბნის ჩემს მიერ რწმუნებული კალის საზოგადოების სოფელ მუქდარში, უფლება ეძლევა იცხოვროს რუსეთის იმპერიის ყველა ადგილში 6 თვის ვადით. იქვე აღნიშნულია, რომ ბილეთი გაცემულია პასპორტის ბლანკის უქონლობის გამო. დოკუმენტი დათარიღებულია 1916 წლის 15 ნოემბრით³⁹. როგორც ჩანს სვანი მოსახლეობის ნაწილი თვით რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში ვადიოდა საშოვარზე, თანაც საკმაოდ დიდი ხნით.

აღსანიშნავია, რომ რეფორმისმერმინდელ პერიოდში, ბატონყმური ურთიერთობების ძლიერი გადმონაშთების ძალდატანებითი დაცვის გამო, საერთო-გლეხური მეურნეობებიდან მისი დიფერენციაციის შედეგად გამოყოფილი წვირგლეხური მეურნეობები არსებითად ხელოვნურ გადამეტმოსახლეობას წარმოადგენდნენ მიწათმოქმედებაში. სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შექრის შედეგად წარმოქმნილი ეს შეფარდებითი ზედმეტი მოსახლეობა ადრე

³⁸ „კვალი“, „სადაღეშქელიანო სვანეთის ამბები“, № 41, 1900.

³⁹ ა. ნ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი, 1967, გვ. 247.

თუ გვიან ტოვებს სოფელს და არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად საშოვარზე გადის. ესენი არიან სოფლის წვრილმწარმოებელთა, ბოგანოთა და ღარიბ-ღატაკთა ყველაზე ინიციატივიანი და ახალგაზრდა ძალები. ბრუნდებიან რა შინ, ეს უკანასკნელნი ისევე ქალაქს მიმართავენ და თან გაიყოლებენ ხოლმე სოფლის ბოგანო ახალგაზრდობას. საერთოდ, საშოვარზე გასვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის ცხოვრებაში. სწორედ ამ გზით მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობიდან მრეწველობის მუშათა გამოყოფა. როგორც პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, დროებით საშოვარზე გასული გლეხი ადრე თუ გვიან საბოლოოდ რჩებოდა ქალაქში. სეზონურად ქალაქში, ქარხანასა და მაღაროში მისული ღარიბიც „ქალაქელდება“ და არსებითად მუშათა კლასის წრეში ექცევა — მით უფრო მეტი ზომით, რაც უფრო მეტ როლს თამაშობს მის ყოფაცხოვრებაში საკუთარი მუშაძალის გაყიდვით მიღებული ფული — ხელფასი⁴⁰.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გარე საშოვარზე გასული სენი გლეხის ხელფასი უკიდურესად მცირე იყო, რადგანაც საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მუშებთან შედარებით იგი გაცილებით იაფად აქირავებდა თავის მუშაძალას; მაგრამ გარე საშოვარზე ნაშოვნი ფული მაინც იყო სენი გლეხის ოჯახის ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, მთავარი წყარო. საარქივო დოკუმენტები მეტყველებენ, რომ 1899 წელს საშოვარზე გასული სენი გლეხის წლიური ხელფასი 130-150 მანეთს შორის მერყეობდა. 1898 წელს კი იგი 140-380 მანეთს უდრიდა⁴¹. ჩვენი აზრით, ხელფასის ასეთი მერყეობა სამუშაოს ხასიათითა და ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში მუშახელზე მოთხოვნის ცვალებადობით უნდა აიხსნას.

აღსანიშნავია, რომ რეფორმამდელი ხანის სენი გლეხის ბიუჯეტში მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით მეტი იყო ვიდრე რეფორმისმერმინდელ პერიოდში. ლეჩხუმის მაზრის საგადასახადო ინსპექტორი 1910 წელს იტყობინებოდა, რომ მესაქონლეობის როლის დაქვეითება სენათში აიხსნება საშოვარზე გასვლის ზრდით⁴². მართლაც, რეფორმისმერმინდელი პერიოდის საქართველოში, საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ და საშოვარზე გასვლის საყოველთაო ხასიათმა განაპირობა სენი გლეხის ბიუჯეტში მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავლის წილის შემცირება და გარე საშოვარზე გასვლით მიღებული შემოსავლის ზრდა. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1909 წელს მარტო ზემო სენათიდან გარე საშოვარზე გასულ პირებს სულ მიუღიათ 20050 მანეთი. სხვა ცნობით იმავე წელს ეს თანხა 20000 მანეთს უდრიდა⁴³. ვფიქრობთ დოკუმენტებში ნაჩვენები თანხა შემცირებულია, რადგანაც, ჯერ ერთი, დოკუმენტებში აღნიშნულია იმ პირთა რიცხვი, რომლებზედაც პასპორტები იყო გაცემული და მეორეც, საშოვარზე გასული პირები ბოქაულს თანხის რაოდენობას შემცირებული სახით წარუდგენდნენ. აღსანიშნავია, რომ გარე საშოვარიდან შინ დაბრუნებულ გლეხებს სენათში კულტურა, ახალი საზოგადოებრივი ცნობიერება და რევოლუციური მოძრაობის სულისკვეთება შემოჰქონდათ.

გადიოდა რა გარე საშოვარზე შეფარდებითი ჰარბი მოსახლეობა, რამდე-

⁴⁰ პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 810.

⁴¹ ЦГИАЛ, ф. 573, оп. 25, д. 540, л. 46.

⁴² იქვე, ფურც. 40.

⁴³ ЦГИАЛ, ф. 1291, оп. 131, д. 547, 1910, л. 2.

ნადმე უმჯობესდებოდა შინდარჩენილთა მდგომარეობა, რადგანაც სოფლად მუშახელის შემცირება იწვევდა სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშის ხელფასის ზრდას. საშოვარზე გასვლა, რამაც მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო, მიწათმოქმედების თუ მრეწველობის სექტორში ადიდებდა დაქირავებულ მუშათა რიცხვს. აფართოებდა სახალხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბებს. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, „კაპიტალიზმი საქონლური წარმოების განვითარების ის სტადია არის, როდესაც თვით სამუშაო ძალაც იქცევა საქონლად. კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო მეურნეობის მთელი სამუშაო ძალა წარმოებაში გამოყენებული იქნას მხოლოდ მეწარმეთა მიერ მათი ყიდვა-გაყიდვის შემდეგ“⁴⁴.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია მეტნაკლები ზომით უკვე მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, საქართველოს ყველა კუთხეში. პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „... თვით წვრილ მეურნეობათა შორისაც მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს ამიერკავკასიაში უკვე ძნელად თუ მოიძებნებოდა ისეთი მწარმოებელი, რომელიც არც თვითონ ქირავდებოდა და არც სხვას ქირაობდა, ასე, რომ მუშაძალის ყიდვა-გაყიდვა საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა...“⁴⁵.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რეფორმისმერმინდელ პერიოდში საშოვარზე გასვლის საყოველთაო ხასიათმა, ძლიერი ბატონყმური გადმონაშთების ძალდატანებით დაცვის მიუხედავად, ფართოდ შეუწყო ხელი წმინდა ეკონომიკური იძულების თანდათანობით დამკვიდრებისა და თავისუფლად დაქირავებული მუშების კონტინგენტის ზრდას სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. საშოვარზე გასულ დროებითვალდებულ გლახთა დიდი ნაწილი იმდენ ფულს შოულობდა, რომ ნადელების გამოსყიდვასაც კი ახერხებდა და თავს აღწევდა დროებითვალდებულებითი ურთიერთობებიდან, რის შედეგაც იგი თვითონ აწყობდა საკუთარ მეურნეობას, აფართოებდა მას და, ხშირ შემთხვევაში, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციასაც ეწეოდა, ხოლო საშოვარზე გასული გლეხობის უმრავლესობა კი პირიქით, თავისუფლად დაქირავებულ მუშათა რიცხვს უერთდებოდა.

საბოლოო ანგარიშით, საშოვარზე გასვლა ძირს უთხრიდა დაქირავების კაბალურ ფორმებს და შრომამიგებას. იგი მოასწავებდა მოსახლეობის მოძრაობის გაჩენას და წარმოადგენდა უდიდეს სკოლას ახალი ურთიერთობებისა და წესების გასაცნობად მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში, ქალაქსა და განაპირა კუთხეებში.

⁴⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 688.

⁴⁵ პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 812.

იაკობ ზაუტაშვილი

ძირითადი ფონდების წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისათვის მშენებლობაში

ძირითადი ფონდები ქვეყნის ნაციონალური სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია და სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს შეადგენს. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტურობა ვლინდება უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვან სახალხო მეურნეობებში პროპორციებში, რომლებიც ახსიათებენ თანაფარდობას, ერთი მხრით. ძირითადი ფონდებისა და წარმოებული პროდუქციის, მეორე მხრით. დაგროვების ზრდის ტემპებს შორის. პროდუქციის გამოშვების უფრო სწრაფი ტემპი ძირითადი ფონდების ზრდის ტემპთან შედარებით ნიშნავს, რომ წარმოებაში უფრო ეფექტური და იაფი ძირითადი ფონდები გამოიყენება.

მეშვიდე ხუთწლეულში ძირითადი ფონდების საშუალო წლიური მოცულობის ზრდა უსწრებდა პროდუქციის მოცულობის მატებას როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე მშენებლობაში. ამის გამო ფონდუკუება შემცირდა მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში 14%-ით, ხოლო მშენებლობაში — 26%-ით¹. მერვე ხუთწლეულში მიღებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა წარმოების ეფექტურობა და მთელ სახალხო მეურნეობაში ფონდუკუების შემცირება შეადგენდა მთლიანი პროდუქციის მიხედვით მხოლოდ 4%-ს, ხოლო ნაციონალური შემოსავლის მიხედვით — 2%-ს. მშენებლობაში ფონდუკუების შემცირება უდრიდა 20-23%-ს, თუმცა 24,4 კაპიკი მოგება, რომელიც 1965 წელს მოდიოდა ძირითადი ფონდების საშუალო წლიური მოცულობის თითოეულ მანეთზე, 1970 წელს გაიზარდა 42,2 კაპიკამდე. მიუხედავად ამისა, მერვე ხუთწლეულში კაპიტალური დაბანდების თითოეულ მანეთზე მოქმედებაში შევიდა 91,7 კაპიკის ძირითადი ფონდი, ნაცვლად 93,7 კაპიკისა მეშვიდე ხუთწლეულში².

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპი უსწრებდა საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზრდის ტემპს; საანალიზო პერიოდში პირველი გაიზარდა 56,5%-ით, ხოლო მეორე — 28%-ით. ამ მდგომარეობამ საგრძნობლად იმოქმედა ფონდუკუების მაჩვენებელზე, რომელიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 1970 წელს შეადგინა 1965 წლის ფაქტიური დონის მხოლოდ 81,6%.

მიზეზთა შორის, რომელთა გამო მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდებით აღჭურვილობის ზრდას არ გამოუწვევია უკუკუების შესაბამისი ზრდა, შეიძლება დავასახელოთ მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურული ცვლილება. მანქანა-მექანიზმების ცვლიანობის დაბალი კოეფიციენტი, არადაამაკმაყოფილებელი სარემონტო ბაზა და სხვ.

¹ Журн. „Плановое хозяйство“, № 2, 1972., стр. 105—106

² Журн. „Плановое хозяйство“, № 2, 1972, стр. 106—109.

მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა და ფონდუქვედების დინამიკა პროცენტობით 1965 წლის მიმართ³
ცხრილი 1

წლები \ მაჩვენებლები	1965	1966	1967	1968	1969	1970
მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები	100	116	126,8	137,1	142,3	156,5
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა	100	108,3	123,6	119,8	125,7	128,0
ძირითადი წარმოებრივი ფონდების უქვეება აბს. (მან.)	3—43	3—20	3—34	3—00	3—03	2—80
%-ობით	100	93,2	97,3	87,4	88,4	81,6

სამშენებლო წარმოებას ემსახურება სამგვარი სტრუქტურული შედგენილობის ძირითადი ფონდები: სტაციონალური ინდუსტრიული ბაზის ანუ წარმოებრივი პროცესების მომსახურე, სამშენებლო კონსტრუქციების ტრანსპორტირებისა და სამშენებლო მოედანზე გამოყენებული. მომსახურების ასეთი ხასიათის მიხედვით ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაცია ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურა (პროცენტობით ვამის მიმართ)⁴

ცხრილი 2

სამშენებლო ორგანიზაციები	წლები	ძირითად წარმოებრივ ფონდთა სახეები		
		წარმოებრივი პროცესების მომსახურების	ტრანსპორტირების	ამწე მანქანა-მექანიზმების
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	1969	9,8	7,1	55,7
	1970	10,8	10,8	53,2
ტრესტი „საქმადროენერგომშენი“	1969	14,0	30,9	48,5
	1970	18,7	23,2	43,3
ტრესტი ამიერკავკასიის ტრანსშენი ⁵	1969	2,1	34,5	52,4
	1970	9,5	30,0	48,4
ტრესტი „კავკასელექტროქსელმშენი“	1969	10,5	30,9	31,5
	1970	15,1	26,9	36,0
ტრესტი „ინტშენი“	1969	4,8	6,4	56,9
	1970	7,5	9,3	57,8

ცხრილი გვიჩვენებს სამშენებლო ორგანიზაციების ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურულ ცვლილებას: წარმოებრივი პროცესების მომსახურე ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა 1969 წელს 2,1%-დან 14%-მდე მერყეობდა, ხოლო 1970 წელს — 7,5%-დან 18,7%-მდე და ერთი წლის განმავლობაში

³ შედგენილია საქართველოს ცსს-ს მონაცემების მიხედვით.

⁴ აქ და ქვემოთ მოტანილი ცხრილები შედგენილია შესაბამისი ორგანიზაციების წლიურ ანგარიშგებათა მონაცემების მიხედვით.



შესამჩნევად გაიზარდა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე ტრანსპორტირების ძირითადი ფონდები, რის გამო აშწ მანქანა-მექანიზმების ზვედრითი წონა მშენებლობის სამინისტროში, ტრესტ „საქპიდროენერგომშენში“ და ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში“ შემცირდა.

მასასადამე, მშენებლობაში ფონდალქურვილობის საერთო ზრდა თითქმის არ მომხდარა უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემსრულებელი ფონდების ხარჯზე, რის შედეგად როგორც კავშირის მასშტაბით, ისე ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობაში ჯერ კიდევ დიდია ხელით შრომის ზვედრითი წონა (უდრის 60%-ს), განსაკუთრებით — სპეციალურ და მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

ფონდუკუგების მაჩვენებელზე სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაზე, შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, ძირითადი ფონდების სტრუქტურაზე და ა. შ.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების უკუგების მაღალი მაჩვენებელი აქვს სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო და იმ ორგანიზაციებს, რომელთა ძირითადი წარმოებრივი ფონდების შემადგენლობაში დიდი ზვედრითი წონა ფონდების აქტიურ ნაწილს — სამშენებლო მანქანა-მექანიზმებს — უჭირავს.

1970 წლის მონაცემებით მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების შემადგენლობაში მანქანა-მექანიზმების ზვედრითი წონა საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში შეადგენდა 53,2%-ს; „საქპიდროენერგომშენში“ — 42,3%-ს, ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში“ — 48,3%-ს; ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენში“ — 36%-ს და ტრესტ „ინემშენში“ — 57,8%-ს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებში სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ზვედრითი წონის თითოეულ პროცენტზე მოდიოდა 15 კაპიკის უკუგება, მაშინ როცა ტრესტ „საქპიდროენერგომშენში“ ეს მაჩვენებელი შეადგენდა 9 კაპიკს, ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში“ და ტრესტ „ინემშენში“ კი — 11 კაპიკს თითოეულში.

მესამე ცხრილში მოტანილია მონაცემები ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებისა და ფონდუკუგების ზრდის შესახებ საქართველოს სსრ ძირითად სამშენებლო ორგანიზაციებში:

როგორც მონაცემებიდან ჩანს მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების ზრდა თითქმის ყველა ორგანიზაციაში აქარბებს ფონდუკუგების ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მშენებლობის სამინისტრო, სადაც 1970 წელს შედარებით 1966 წელთან ფონდუკუგების მატება 97,2%-ით ჩამორჩება ძირითადი ფონდების ღირებულების ზრდას. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროში ეს ჩამორჩენა 1970 წელს შეადგენდა 74,2%-ს, ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში“ — 42,5%-ს, ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენში“ — 23,1%-ს, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში — 4,8%-ს და ტრესტ „ინემშენში“ — 4%-ს.

⁵ ძირითად წარმოებრივი ფონდთა ღირებულების შემცირება ტრესტ „საქპიდროენერგომშენში“ 1969—1970 წლებში გამოწვეულია ამ ტრესტის შემადგენლობიდან „ენერჯისის“ მშენებლობის მთავარი სამმართველოს გამოყოფის შედეგად.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებისა და ფონდუქვების ზრდის დინამიკა პროცენტობით 1966 წლის მიმართ

ცხრილი 3

საქართველოს სს რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების დასახელება	ძირითად წარმოებრივ ფონდთა ღირებულება წლების მიხედვით				ფონდუქვება წლების მიხედვით			
	1967	1968	1969	1970	1967	1968	1969	1970
მშენებლობის სამინისტრო	109,0	114,4	130,1	139,7	108,0	115,8	129,3	134,9
სოფლის მშენებლობის სამინისტრო	112,1	136,9	173,0	211,8	106,2	101,2	114,1	114,6
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	111,6	143,3	149,7	177,1	57,6	88,5	107,6	102,9
ტრესტი „საქპიდროენერგომშენი“	131,9	167,8	22,9 ¹⁾	22,9	96,4	82,3	243,5	245,3
ტრესტი „ამიერკავკასტრანსენი“	105,1	114,0	128,1	134,1	89,9	97,3	88,3	91,6
ტრესტი „კავკასელექტროქსელომშენი“	112,2	118,0	123,0	125,3	86,0	71,9	73,5	102,2
ტრესტი „იფომშენი“	100,2	100,4	100,6	125,0	97,9	101,2	116,8	121,0

მშენებლობის ძირითადი ფონდების არაღამაკმაყოფილებელი საექსპლოატაციო-სარემონტო ბაზა და სათადარიგო ნაწილების უკმარისობა ადიდებს მექანიზმების რემონტში ყოფნის დროს, აუარესებს მანქანური პარკის შედეგინობას. სამშენებლო ორგანიზაციები ზოგჯერ იძულებული ხდებიან გამოიყენონ გაუმართავი მექანიზმები და ისეთებიც, რომელთა მომსახურების ვადა გასულია. მაგალითად: საქართველოს მშენებლობის სამინისტროს 1971 წლის დასაწყისისათვის აღრიცხულიდან ჰქონდა ჩამოსაწერი 16 სხვადასხვა სიმძლავრის ექსკავატორი, 6 ავტოგრეიდერი, 21 ბულდოზერი, 14 კომპეტრა ამწე და სხვ. ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენი“ ამავე პერიოდისათვის ჰქონდათ ჩამოსაწერი 10 ექსკავატორი, 25 ბულდოზერი, 10 კომპეტრა ამწე, 10 ავტომწე, 5 ტრაქტორი და სხვ.

მშენებლობის ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტზე ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახსრები იხარჯება. ქვეყნის მასშტაბით სამშენებლო მანქანების 25 პროცენტი ყოველწლიურად მოითხოვს კაპიტალური რემონტის ჩატარებას, რომელზედაც დაახლოებით 250 მლნ მანეთი იხარჯება. რესპუბლიკის ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციებში კი ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტზე გამოყოფილი გეგმური დანახარჯები წლობით რჩება აუთვისებელი, სარემონტო სამუშაოების გეგმების შეუსრულებლობის გამო.

სამშენებლო დანიშნულებას ძირითადი წარმოებრივი ფონდების კაპიტალური რემონტის დანახარჯების ხედრათა წონის დინამიკა ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიური ღირებულების მიმართ (%-ით)

ცხრილი 4

წლები	1966	1967	1968	1969	1970
ორგანიზაციების დასახელება					
მშენებლობის სამინისტრო	3,7	2,9	3,1	2,3	3,2
სოფლის მშენებლობის სამინისტრო	4,3	5,1	5,4	4,7	2,8
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	4,7	7,2	6,4	9,9	6,0
ტრესტი „საქპიდროენერგომშენი“	5,0	4,8	3,6	9,1	7,3
ტრესტი „კავკასელექტროქსელომშენი“	7,0	6,9	7,0	7,2	7,4
ტრესტი „ამიერკავკასტრანსმშენი“	6,7	7,6	5,0	6,7	4,5



ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ მშენებლობის სამინისტროში ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის ფაქტიური დანახარჯები საშუალოდ შეადგენდა 3,04%-ს ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების მიმართ, მაშინ როცა გეგმური დანახარჯების ხვედრითი წონა 3,45%-ს შეადგენდა. სოფლის მშენებლობის სამინისტროში ძირითადი წარმოებრივი ფონდების კაპიტალური რემონტის საშუალო წლიური დანახარჯები ამ ფონდების საშუალო წლიური ღირებულების მიმართ შეადგენდა — 4,46%-ს, წყალთა მეურნეობის სამინისტროში — 6,08%-ს, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენში“ — 5,96%-ს, ტრესტ „ამიერკავკასტრანსშენში“ — 6,1%-სა და ტრესტ „ამიერკავკასელექტროქსელმშენში“ — 7,1%-ს.

კაპიტალური რემონტის დანახარჯების ასეთმა სიმცირემ ვერ უზრუნველყო სამშენებლო ტექნიკის სამუშაო მდგომარეობის შენარჩუნება და მექანიზმებმა მანქანასათვის გამომუშავების ნორმატიულ დონესაც ვერ მიაღწიეს, რამაც უარყოფითად იმოქმედა ფონდუკუების ზრდაზე. კაპიტალური რემონტის ფაქტიური დანახარჯების სიმცირის ერთ-ერთი მიზეზია კაპიტალური რემონტის გეგმის სისტემატური შეუსრულებლობა. მაგალითისათვის შევეხებით საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალურ ტრესტს, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება სამშენებლო მანქანა-მექანიზმების სარემონტო ქარხანა: როგორც ანგარიშგებითი მონაცემებით გამოირკვა, ტრესტმა 1966—1971 წწ. ვერ შესრულებულა სამშენებლო მექანიზმების ვერც ერთი დასახელების რემონტის გეგმა.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების კაპიტალური რემონტის გეგმების შეუსრულებლობა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვან მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

მოვიტანოთ ძირითადი სამშენებლო მანქანების კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულების მონაცემები საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მიხედვით:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალური ტრესტ-ს სამშენებლო-მანქანების სარემონტო ქარხნის შიერ კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულების დანაშაუა ძირითადი სამშენებლო მექანიზმების მიხედვით (პროცენტობით)

ცხრილი 5

წლები	1966	1967	1968	1969	1970
სამშენებლო მექანიზმების დასახელება					
ექსკავატორები	24,3	44,9	41,4	46,6	60,0
ავტოამწეები	40,5	9,4	23,3	17,1	33,3
კომპურა ამწეები	—	13,3	23,0	3,2	27,5
ტრაქტორები და ბულდოზერები	61,0	66,7	47,2	63,3	44,4
სხვადასხვა მექანიზმები	—	20,5	34,4	15,7	35,9
ცალკეული კვანძები და ავრევატები	—	36,8	54,2	75,8	94,3

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ექსკავატორების, ავტოამწეების, კომპურა ამწეებისა და სხვა მექანიზმების კაპიტალური რემონტის გეგმა წლების განმავლობაში 50%-ითაც არ შესრულებულა. ამ ხნის მანძილზე კი სამშენებლო მანქანების დიდი ნაწილი კაპიტალური რემონტის მოლოდინში გამოუყენებელი იყო და სამშენებლო პროდუქციის შექმნაში არ მონაწილეობდა.

მშენებლობის ტექნიკური აღჭურვის ზრდა, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლა და ცვლიანობის გადიდება მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს მშენებელ მუშაკთა რაოდენობის გაზრდისა და კვალიფიციური შედგენილობის ამაღლების ხაზით, მაგრამ მშენებლობაში ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებებია კვალიფიციური მუშებით უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალური ტრესტის მიერ კვალიფიციური კადრების მომზადების გეგმა შესრულდა 1966 წელს — 76,2%-ით, 1967 წელს — 52,8%-ით და 1968 წელს — 70,3%-ით. მაღალია მშენებელი კადრების დენადობის მაჩვენებელიც. სამინისტროს მასშტაბით 1966 წელს განახლდა მუშათა მთელი რაოდენობის 31%, 1967 წელს — 35%, 1968 წელს — 36,3%, 1969 წელს — 41,2% და 1970 წელს — 26,0%.

მშენებლობაში ფონდუკუგების შემცირების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ძირითადი სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ცვლიანობის დაბალი კოეფიციენტი. საქართველოს მშენებლობის სამინისტროში 1970 წელს ცვლიანობის კოეფიციენტი შეადგენდა: ექსკავატორებისა — 1,44; ბულდოზერებისა — 1,43; კომპურა ამწესი — 1,41; მუხლუხა ამწესი — 1,56; პნემატური ამწესი — 1,55 და ავტოამწესი — 1,38. სოფლის მშენებლობის სამინისტროში კი საშუალოდ მანქანა-მექანიზმების ცვლიანობის კოეფიციენტი არ აღემატებოდა 1,1-ს. ამიტომ აქ ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდება ფონდუკუგების ზრდის ერთ-ერთი რეალური რეზერვია, ვინაიდან, როგორც კ. მარქსი გვასწავლიდა, „შრომის ერთი და იგივე საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო ეფექტურად, როგორც ყოველდღიური მოხმარების დროის გადიდების, ასევე მათი ინტენსიური გამოყენების ამაღლების გზით“⁶.

მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებით იზრდება შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა და მაშასადამე, უკუგება. მაგრამ, გარდა ამისა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ფონდუკუგების გაზრდით ვალწევთ ამ ფონდებზე საჭირო მოთხოვნილების შემცირებასა და კაპიტალდაბანდების ეფექტურობის ამაღლებას დანახარჯების შემცირების გზით. სამშენებლო დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების მთავარი მიზანია წარმოებრივი სიმძლავრეების დროული ამოქმედება, მოგებისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა. ამ მაჩვენებლების დინამიკაზე წარმოდგენას ვაძლევს შემდეგი მონაცემები:

მონაცემებიდან ჩანს, რომ მშენებლობის სამინისტრო 1969 წლამდე სამშენებლო საქმიანობის ხაზით ზარალს განიცდიდა და არარენტაბელური იყო. მოგების მიღება იწყება მხოლოდ 1969 წლიდან და ამავე წელს რენტაბელობის დონე 1,7%-ს შეადგენდა, ხოლო 1970 წელს — 4,8%-მდე გაიზარდა. სამშენებლო დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდების 1 მანეთზე გაანგარიშებით მოგება 1969 წელს შეადგენდა 8 კაპიკს, ხოლო 1970 წელს — 24 კაპიკს და საკავშირო მაჩვენებლის 57% შეადგინა. 1969 წლამდე მშენებლობის სამინისტროს ზარალიანობის ძირითადი მიზეზი იყო სამშენებლო მასალებისა და მუშათა ხელფასის ფონდის დიდი რაოდენობით გადახარჯვა; მაგალითად: 1968 წელს სამინისტროში სამშენებლო მასალების გადახარჯვამ 2051 ათასი მან. შეადგინა, ხოლო მუშების ხელფასის ფონდის გადახარჯვამ — 1345 ათასი მან.

⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 445.



საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების მოგებისა და რენტაბელობის დინამიკა

ცხრილი 6

წლები	1966	1967	1968	1969	1970
მაჩვენებლების დასახელება					
(+) მოგება (-) ზარალი (ათას მან.)	-977	-1771	-4164	+3128	+10180
რენტაბელობის დონე (მოგება შეფარდებულა საომონტაჟო საქმეთათა თვით ღირებულებასთან %-ობით)	-0,8	-1,1	-2,3	+1,7	+4,8
მოგების ზრდა სამშენებლო დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდების 1 მანეთზე (მანეთობით)	-	-	-	0-08	0-24

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსთან ერთად 1969 წლიდან რენტაბელობის გაზრდას „საქპიდროენერგომშენის“, „ამიერკავკასიანსმშენის“, „კავკასიელექტროქსელმშენისა“ და „ინეშენის“ ტრესტებში.

რენტაბელობის დონემ 1969 წლის ბოლოსათვის „საქპიდროენერგომშენში“ შეადგინა 1,5%, „ამიერკავკასიანსმშენში“ — 1,6%, „კავკასიელექტროქსელმშენში“ — 4,3% და „ინეშენში“ — 5,2%. 1970 წლის ბოლოსათვის „საქპიდროენერგომშენისა“ და „ამიერკავკასიანსმშენის“ ტრესტებში გადააქარბეს წინა წელში მიღწეული რენტაბელობის დონეს შესაბამისად 0,8 და 0,3%-ით, ხოლო „კავკასიელექტროქსელმშენისა“ და „ინეშენის“ ტრესტებში მიღწეული დონეც კერ შეინარჩუნეს და რენტაბელობა შეამცირეს შესაბამისად 4,2 და 4,5%-მდე. „კავკასიელექტროქსელმშენის“ ტრესტში რენტაბელობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ ტრესტის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ, რუსეთის სფსრ-სა და უკრაინის სსრ-ში, რაც დიდ დანახარჯებთან და დანაკარგებთან იყო დაკავშირებული.

სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია წარმოებრივი სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების უფრო ეფექტურად გამოყენების რეზერვების რეალიზაციის კონკრეტული პროგრამა, რაც მდგომარეობს ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებაში, მანქანებისა და მოწყობილობების სრულ გამოყენებასა და მათი მოცდენების ლიკვიდაციაში, ახალი წარმოებრივი სიმძლავრეების ათვისების ვადების შემცირებაში და სხვ. ამ გადაწყვეტილებათა შესრულება აუცილებელიც არის და შესაძლებელიც, ვინაიდან ძირითადი ფონდების უკუგების შემცირების ტემპი დროებითი მოვლენაა, ხოლო მისი გამოწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები დასაძლევია და უნდა აღმოიფხვრას. პირველ ყოვლისა ამ მიზნით აუცილებელია მანქანა-მექანიზმების მოცდენის ლიკვიდაცია და ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება; მშენებლობაში ფართოდ უნდა დაინერგოს მცირე მექანიზაციის საშუალებები და შემცირდეს ხელით შრომის ხვედრითი წონა; ძირითადად უნდა გარდაიქმნას სამშენებლო

7 სკკ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1971, გვ. 19.

მანქანა-მექანიზმების კაპიტალური რემონტის ორგანიზაცია; საჭიროა გაუმჯობესდეს მშენებელი კადრებით სამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველყოფა.

მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების უკუგების გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა, რომლის დანერგვა მშენებლობაში დაიწყო 1970 წლიდან. ახალი სისტემის პირობებში ფუნდუკუგების გამაღიღებელ ბერკეტად გვევლინება ფონდების გადასახდელის დაწესება, რენტაბელობის ღონის განსაზღვრაში ძირითადი წარმოებრივი ფონდების მონაწილეობა და სხვ.

გარდა ამისა, მშენებლობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ ფონდების გამოყენების ეფექტურობა დაკავშირებული იყოს სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ სტიმულირებასთან. მატერიალური დაინტერესება გაიზრდება თუ სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა შეფასდება არა მარტო შოგების სიდიდით, არამედ იმ სახალსომეურნეობრივი ეფექტის წილითაც, რომელიც მიიღება ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების შედეგად: ეს კი გამოიწვევს ობიექტების ადრე ამოქმედებას და წარმოებრივი სიმძლავრეების ათვისებას, რაც მშენებლობაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების დანერგვის ძირითად ამოცანას შეადგენს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



С. Р. БУАЧИДЗЕ

КЛАССИФИКАЦИЯ НЕКОТОРЫХ КОМПОНЕНТОВ МИРА СИСТЕМ

В статье рассматривается классификация некоторых компонентов мира систем, в основном, со следующих точек зрения: 1) целевых функций систем; 2) структурализма и комбинаторики; 3) моделирования систем во времени; 4) разных видов морфизма; 5) взаимодействия подсистем.

Количество U_{AR} алгоритмов A и соответствующих предикатов P структуры и функционирования компонентов мира систем стремится, очевидно, к бесконечности¹. Следовательно, и количество соответствующих категорий систем² также стремится к бесконечности. Мы ограничимся рассмотрением, в первом приближении, проблемы классификации-категоризации некоторых систем и их компонентов.

Представим системы и их компоненты соответствующими символами. Свободная таблица символов помещена в конце параграфа. Обозначим систему вообще символом S , большую систему символом GRS , подсистему символом US , стандартную, элементарную систему символом ES , а элемент системы ES символом E . Согласно теории множеств получаем:

$$(ES)_j = \bigcup_i E_i;$$

$$(US)_i = \bigcup_j (ES)_j;$$

$$(GRS)_j = \bigcup_i (US)_i;$$

Макросистему, т. е. систему укрупненных показателей операций обозначим символом $MACS$, а микросистему³, т. е. систему детализированных показателей — символом $MICS$.

Обозначим систему (подсистему) оператора символом MS , а систему (подсистему) оператора через OS . Они представляются как компоненты глобальной системы (подсистемы) операций.

Физико-технологическую систему операций обозначим символом SPH , а метафизическую систему аналитико-логических операций — символом SAL . Системы SAL могут, в частности, отображать, в аналитико-логическом аспекте, функционирование соответствующих систем SPH . Системы MS и OS можно представить в виде компонентов глобальных систем SPH и SAL .

Целевые функции системы (с учетом, если они имеют место, факторов ограничений действия этих функций) могут быть внутренними или внешними, или же — и внутренними и внешними вместе. В первом случае имеют место операции внутрисистемные, касающиеся только собственной структуры системы, во втором — операции взаимодействия рассматриваемой системы со внешней средой — другими системами, а в третьем, общем случае — операции её и самоструктурирования и взаимодействия со внешней средой.

Здесь может иметь место, кроме морального износа физико-технологических элементов системы, еще и идейное старение самых целевых

¹ Алгоритмы, предикаты, множества: см., например, [1, ..., 6].

² Системы категоризации: см., например [7].

³ Макросистемы и микросистемы: см., например, [8].

функций или же только старение системных стратегий при продол-
 жających оставаться неизменными целевых функциях.

С точки зрения вариации целевых функций на данных интервалах
 времени, или же (и) на отрезках других компонентов-параметров
 n -мерного пространства, системы можно разбить на две категории:
 1) системы CFS с неизменными (инвариантными) целевыми функциями;
 2) Системы VFS с переменными целевыми функциями.

Системы CFS могут представиться как компоненты общей систе-
 мы VFS в пределах соответствующих отрезков рассматриваемого ком-
 плексного интервала времени или же отрезков другого какого-либо па-
 раметра-аргумента функционирования этой последней: $(VFS)_j = U(CFS)_i$.

Примером может служить система VFS плана вероятностного
 функционирования комплекса взаимосвязанных предприятий: в зави-
 симости от хода событий может потребоваться перевод в пределах
 данного интервала времени любого из этих предприятий с одной систе-
 мы CFS планирования на другую.

Определим классификацию систем с точки зрения некоторых ис-
 ходных моментов структурализма и комбинаторики⁴.

Обозначим символом SS систему структуры данной системы опер-
 аций. Эта система, предопределяемая конъюнкцией⁵ соответствующих
 целевых функций, может представиться в следующих аспектах: 1) как
 система-схема SSPH структуры комбинаций физико-технологических
 элементов системы операций; 2) как система SSAL структуры анали-
 тико-логических зависимостей между элементами соответствующей
 системы SSPH, или же элементами просто абстрактной, метафизичес-
 кой системы.

Пересекающиеся системы могут иметь общие компоненты на всех
 ступенях их структуры, т. е. на ступенях:

- 1) $\bigcap_i E_i$ элементов E ; 2) $\bigcap_i (ES)_i$ систем ES ;
 3) $\bigcap_i (US)_i$ систем US ; 4) $\bigcap_i (GRS)_i$

систем GRS .

Система MS оператора выполняет над системой OS операнда-объ-
 екта один из двух комплексов операций, выбор между ними предопре-
 деляется создавшейся в данной глобальной системе ситуацией: или
 структура системы OS поддерживается неизменной — такую систему
 назовем системой SSQ поддержания статус кво (инвариантности) стру-
 ктуры систем операида — или же получаем систему SST структурных
 преобразований системы операида.

Переход системы SPH с одной целевой функции на другую вле-
 чет за собой, очевидно, соответствующее преобразование её системы
 SSAL; при этом, сама схема SSPH структуры может остаться неизмен-
 ной. Пример—функционирование машин ЭВМ (электронных вычисли-
 тельных машин): при изменении выполняемых функций цифровая ма-
 шина ЦВМ переходит на выполнение новой программы системы SSAL
 без изменения её схемы SSPH, а аналоговая машина АВМ переключает-
 ся при этом на соответствующую, новую схему SSPH.

Рассмотрим некоторые моменты моделирования во времени систем
 операций. Здесь получаем следующую классификацию систем DS моде-
 лирования функционирования систем оригиналов:

⁴ Структуризм и комбинаторика: см., например, [6, 9, ... 13].

⁵ Конъюнкция и другие операции математической логики: см., например, [3, 4, 6].

1) Системы ADS априорного моделирования-прогнозирования функционирования систем оригиналов;

2) Системы SDS синхронного моделирования систем оригиналов;

3) Системы PDS апостериорного моделирования систем оригиналов.

Очевидно, что системы SDS работают только в реальном (истинном) масштабе и практически без отставания от системы оригинала и без ее опережения. Для функционирования же систем ADS и PDS может быть выбран любой из масштабов времени-ускоренный, замедленный или же реальный.

Системы SDS и PDS представляются также как системы следующие⁶.

Роль синхронной модели SDS может, например, выполнять быстройдействующая система⁷ взаимосвязанных машин ЭВМ, если суммарное время, потребное для следующих операций перерабатываемой системой данных машин соответствующей информации, получается сравнительно малым и им можно пренебречь: 1) операций восприятия, переработки и выдачи этими машинами данной информации; 2) операций циркуляции данной информации в соответствующих звеньях связи между машинами внутри системы и между системой оригиналом и данной моделирующей системой. Если же указанное суммарное время запаздывания сравнительно велико, то с точки зрения выполнения операций во времени, получается система апостериорного моделирования. Менее надежной представляется модель в виде только одной ЭВМ⁸.

Введем классификацию систем с точки зрения морфизма⁹. Всеобщая морфная система GFS операций может представиться в следующих аспектах:

Всеобщая униморфная система GUFFS отражает или общий изоморфизм соответствующих частных систем PS операций, т. е. $GUFFS \cong (PS)_i \in PS$, или же, — по крайней мере, — их общий гомоморфизм, т. е. $GUFFS \sim (PS)_i$. Следовательно, система GUFFS является всеобщей моделью для соответствующих системы PS.

В свою очередь, системы PS данного изоморфизма представляются между собой как взаимные модели-аналоги.

Физико-технологическая частная система PSPH может с точки зрения одного комплекса предикатов, примыкать к одной метафизической частной системе PSAL и соответствующей системе GUFFS, а исходя из других предикатов — к другим таким системам.

Синхронный изоморфизм или же гомоморфизм системных операций — операций внешних и внутренних, в последнем случае автоморфизм¹⁰, или же эндоморфизм¹¹ — обеспечивается соответствующими межсистемными или же внутрисистемными функциональными связями.

Введем понятие всеобщей полиморфной системы GPFS. Такая система, в отличие от системы GUFFS, отображает функционирование ряда систем оригиналов PS разных морфизмов. Следовательно, одна система GPFS эквивалентна комплексу соответствующих систем GUFFS.

Очевидно, что системы как GUFFS, так и GPFS могут представиться в виде систем моделирования ADS, PDS и SDS.

⁶ Следящие системы и моделирование систем: см.; например, [14,... 19].

⁷ Системы взаимосвязанных ЭВМ: см., например, [20, 21, 17].

⁸ ЭВМ — синхронная модель: см., например, [22].

⁹ Морфизм и его различные виды: см., например, [1, 2, 5, 6, 23,...26].

¹⁰ Изоморфизм внутри системы.

¹¹ Геоморфизм внутри системы.



Системы GPFS можно, с точки зрения выполнения ими во времени функций моделирования, разбить на три следующие категории!

1. Система GPFSI, отображающая одновременно операции п систем PS (первичные операции) посредством соответственно настроенных и параллельно работающих ее компонентов-моделей. Ее можно также назвать, — расширив соответствующее понятие математической логики,

— системой одновременной, всеобщей конъюнкции $\bigwedge_{i=1}^n (PS)_i$ операций

систем PS. Пример-система [2] взаимосвязанных машин ЭВМ: каждая из групп этих машин воспроизводит, одновременно с другими, функционирование соответствующей, выделенной ей на рассматриваемом интервале времени, системы оригинала PS.

2) Система GPFSD, отражающая последовательно во времени выполняемые одновременно операции систем PS. Это — система последовательной дизъюнкции $\bigvee_{i=1}^n (PS)_i$ операций систем PS. Пример: роль

системы GPFSD выполняет система взаимосвязанных ЭВМ, которая моделирует операции систем PS согласно заданной очередности¹².

3) Система GPFSID параллельно-последовательных операций моделирования систем PS — система, представляющаяся как синтез двух предыдущих категорий систем. Например, одни группы машин ЭВМ системы моделируют, одновременно и параллельно, часть операций систем PS, а другие ЭВМ — последовательно остальные операции этих систем.

Всеобщая система GSSQ поддержания статус кво структур систем сперандов будет отображать морфизм, общий для соответствующих частных систем SSQ, а всеобщая система GSST структурных преобразований — морфизм, общий для систем SST.

Обозначим символом TS систему нестационарного режима функционирования первичной системы S и символом CS — систему ее стационарного (инвариантного) режима. На данном интервале времени режимы CS и TS могут чередоваться между собой: это-установившиеся и переходные режимы¹³ функционирования системы S. Морфизм систем S может иметь место при режимах TS, или же (и) при CS.

Система S операций, функционирующая согласно соответствующим алгоритмам-предикатам, может быть представлена как состоящая из трех следующих категорий компонентов: 1) основных подсистем UST операций принятия решений, т. е. решений, касающихся ситуации внутри или же (и) вне данной системы; 2) Подсистем USE операций восприятия воздействий на систему; 3) подсистем USC операций реализации принятых решений или же — только реализации информации об этих решениях. Здесь имеют место внутренние операции прямой и обратной связи между элементами системы: USE \rightleftharpoons UST \rightleftharpoons USC.

Рассмотрим примеры соответствующих физико-технологических систем.

1. Система - человек: он воспринимает, посредством подсистем USE, состоящих из его слуховых и зрительных органов, воздействия, идущие из внешней среды. Они влекут за собой принятие соответствующего решения мозговой подсистемой UST человека. Затем решение вы-

¹² Отметим попутно, что построение в подобных случаях системы очередности моделирования систем PS может быть выполнено на основании соответствующих алгоритмов-предикатов теории массового обслуживания.

¹³ Режимы установившиеся и переходные систем: см., например, [14].

полняется подсистемами **USC** его органов силовых или же (и) других.

2. Система — цифровая машина ЦВМ: ее блок ввода информации играет роль подсистемы **USE**, совокупность блоков управления, вычислений и памяти — роль подсистемы **UST**, а блок вывода — роль подсистемы **USC** выдачи информации о принятых решениях.




Рис. 1. Пример схемы подсистем **USE**, **UST** и **USC** глобальной системы операций.

